მღვდელმონაზონი საბა (იანიჩი)

განდგომილება

მღვდელმონაზონი საბა (იანიჩი)

განდგომილება

თბილისი

2015წ.

ა ნ ო ტ ა ც ი ა

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს თითქმის ერთსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც გასული საუკუნეში პატრიარქების დოროთეს, ათინაგორას, მელეტი მეტაქსასისისა და სხვათა მოღვაწეობით დაიწყო და რომელსაც დღევანდელი პატრიარქი ბართლომე აგრძელებს, არის განდგომილებისა და ქრისტეს ღალატის უპეცედენტო მაგალითი, აღბეჭდილი უნიატური პოლიტიკითა და პროპაპისტური ეკლესიოლოგიით, ეკუმენისტური მწვალებლობითა და პანეკუმენისტური მოძრაობით, განმაახლებლობითა და მოდერნიზმით; წმ. იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მოღვაწეობა, რომელიც „საცდურს უქმნის მართლმადიდებლურ სინდისს, უარყოფს რა მართლმადიდებელი ეკლესიისა და სარწმუნოების ერთადერთ მაცხოვნებელ ჭეშმარიტებას“. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს სერბ მღვდელმონაზონ საბას (იანიჩი) წიგნი „განდგომილება“, რომლის რუსულიდან თარგმანსაც ვთავაზობთ ქართველ მკითხველს. ვფიქრობთ, წიგნი კიდევ უფრო აქტუალური ხდება 2016 წელს დაგეგმილი ე.წ. სრულიადმართლმადიდებელთა კრების კონტექსტში.

ა. უნგიაძე

* * *

ქართული გამოცემის რედაქტორი - ავთანდილ უნგიაძე

მთარგმელები: ავთანდილ უნგიაძე, თამუნა კიკნაველიძე

ყდის დიზაინი: მ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, ა. უნგიაძე

კონსულტანტი: დეკანოზი ზაქარია (მარგალიტაძე)

* * *

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო წინამდებარე წიგნის მომზადებასა და გამოცემაში. ღმერთმა შეუწიროს მათ ღვაწლი, დალოცოს ისინი და მათი მონაგარი.

ქართული გამოცემის რედაქტორი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი_____ 3
მწვალებლობათა მწვალებლობა_____ 7
ეკუმენიზმის წარმოშობა_____ 9
1920 წლის კონსტანტინეპოლის ენციკლიკა_____ 11
სერგიანელობა რუსეთის ეკლესიაში_____ 18
ეკლესიათა მსოფლიო საბჭო_____ 27
პატრიარქ ათინაგორას ეკუმენიზმი: ,,დოგმატების დრო
წავიდა“_____ 30
პატრიარქი დიმიტრი – ჩემი წინამორბედის არასწორი
გზის შესახებ_____ 57
ეკუმენიზმის მოციქულები_____ 75
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სპექტაკლები_____ 81
ისლამთან და სხვა რელიგიებთან ლაციცი_____ 83
მსოფლიო რელიგიათა პარლამენტი_____ 93
სინკრეტული დომხალი – კანბერა–1991_____ 97
ხმა სინდისისა და მასთან ანგარიშსწორება_____ 103
განდგომილების გაგრძელება_____ 107
ახალი მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი_____ 109
ეკუმენისტური ტრაგიკომედია უფსალაში_____ 119
მონოფიზიტებთან კავშირი_____ 124
პატრიარქი დოიდორი მართლმადიდებლობის დაცვის
სადარაჯოზე_____ 131
1993 წლის კონსტანტინეპოლის კრება პატრიარქ
დიოდორეს წინააღმდეგ_____ 139
კონსტანტინეპოლის პაპისტური ეკლესიოლოგია_____ 150
სწრაფვა დიასპორის რეორგანიზაციისაკენ_____ 153
უნია ბალამანდში – ვატიკანის დიპლომატიის
გამარჯვება_____ 158
პაპიზმი როგორც ,,და-ეკლესია“_____ 176
ანგარიშსწორება წმინდა მთის ზილოტებთან_____ 187
და რას მოწმობენ წმიდა კრებათა კანონები?_____ 198
ეკუმენიზმის მიზნები_____ 205
რა გავაკეთოთ?_____ 216

შესავალი

“რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს იდებდენ, არამედ გულისთქუმისაებრ თავისა თვისისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურთაჲთა; და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარე-მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“ (2ტიმ. 4,3-4).

,,რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცდუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა“ (მათე.24,24).

,,გლოცავთ თქუენ, ძმანო, მოწყალებათათვის ღმრთისაჲთა, წარუდგინენით ხორცნი ეგე თქუენნი მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებაჲ თქუენი. და ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისაჲთა, რაჲთა გამოიცადოთ თქუენ, რაჲ იგი არს ნებაჲ ღმრთისაჲ: კეთილი, სათნოჲ და სრული“ (რომ.12, 1-2).

დღეს მსოფლიოში არც ისე ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთაც მტკიცედ სწამთ, რომ მხოლოდ მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეინარჩუნა ჭეშმარიტი სახე ღმერთკაც ქრისტესი და მთელი სიმდიდრე მისი სწავლებისა, რომელიც გადმოცემულია საღმრთო წერილში მოციქულებისა და მათი მიმდევრების მიერ. მხოლოდ ჩვენს ერთ წმინდა, კათოლიკე ეკლესიას აქვს უფლება იწოდებოდეს მართლმადიდებელად, იმდენად, რამდენადაც იგია *,,ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“* (1. ტიმ. 3,15) *„და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“* (მათ.16,18). სწორედ მასზე ბრძანა უფალმა: *,,...აჰა, ესერა მე თქუენ თანა ვარ ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“* (მათ.28,20). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უეჭველია, რომ ჭეშმარიტი და ერთადერთი ეკლესია, რომელიც უფალმა დააფუძნა, ის

ეკლესიაა, რომელიც სათუთად ინახავს ქრისტეს ჭეშმარიტებას. ქრისტეს ეკლესიის მშფოთვარე ისტორიაში არაერთგზის ყოფილა მცდელობა, სახარების სიტყვა ცოდვაში ჩაძირული ადამიანის ჭკუაზე მოერგოთ, სახარება ახლებურად განემარტათ. მაგრამ ეკლესიამ შეძლო შეენარჩუნებინა ამ სოფლის სულით (რომელიც მისთვის ყოველთვის უცხო იყო) წაუბილწავი მთელი სიმდიდრე. ტრადიციონალიზმი, რაც დღესდღეობით სულ უფრო და უფრო უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია მართლმადიდებელი ეკლესიისა. უფალმა მოგვცა თავისი ჭეშმარიტება ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ უნდა ვისწრაფვოდეთ, ამ ჭეშმარიტების შესაბამისად ვიცხოვროთ და აქტიურად შევიმეცნოთ იგი. არ უნდა მივყვეთ მეცნიერულ-საღვთისმეტყველო აღმოჩენების გზას, რადგანაც აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს. მხოლოდ უფალია ერთადერთი *,,გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“*. ამასთან ერთად, უფალი მოგვიწოდებს, რომ ვაზიაროთ ადამიანები მართლმადიდებლობის სისავსეს, და არა სარწმუნოება მოვარგოთ ადამიანებს. ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ცათა სასუფეველი მიწაზე კი არ გადმოვიტანოთ, არამედ ადამიანები ავამაღლოთ ცათა სასუფევლამდე, გარდავქმნათ ისინი, რომ გარდაქმნილნი ქრისტეს თანაზიარნი გახდნენ.

მეორე მხრივ, არსებობს ბევრი არამართლმადიდებელი ,,ქრისტიან“-ერეტიკოსი, რომელიც ეკლესიის გარეთ იმყოფება და უღირს ადამიანთა საზოგადოებას ქმნის (συστηματα πονηρευομενων [1]) რადგან „როგორ შეიძლება ეკლესიის წევრი იყოს ის, ვინც უარყო მოციქულებრივი სარწმუნოება, შექმნა ახალი მავნე შრომები, ვინც დაივიწყა საღმრთო წერილის ღვთაებრივი სიტყვები, ხოლო ადამიანური მცდარი ბრძნობა ახალ სიბრძნედ გამოაცხადა“ [2]. ამგვარად, ვინც ღვთის მიერ ბოძებულ სარწმუნოებას განუდგა, არ შეიძლება ქრისტიანად იწოდებოდეს [3].

სამწუხაროდ, დღევანდელ ბობოქარ დროს ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ ეკლესიას წმინდა მამების, მოწამეებისა და აღმსარებლებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ. ეს თანამედროვე, მართლმადიდებლობისაგან განდგომილი ადამიანები, ახალი ერესის - ეკუმენიზმის პროტაგონისტები [4] აქტიურად მუშაობენ ე.წ. „ახალი ქრისტიანობის“ შექმნაზე, რომლის საშუალებითაც კაცთა მოდგმის მტერი ცდილობს თავისი ცრუ ეკლესია (ანტიეკლესია) დააარსოს და მისი შემწეობით ანტიქრისტეს მოსვლა მოამზადოს. ამ ადამიანთა მიზანია ეკლესია ჩვენი დროის სულთან შესაბამისობაში მოიყვანოს. მათ რცხვენიათ, ღიად დაამოწმონ მართლმადიდებლური აღმსარებლობა „მოწინავე“ და „თავისუფალი“ დასავლური საზოგადოების წინაშე. ისინი სხავადასხვა ჯურის ერეტიკოსებთან ერთად ცრუ თავმდაბლობით გმობენ ეკლესიას. აღიარებენ, რომ თითქოს ჯოჯოხეთის ბჭეებმა უკვე გაიმარჯვეს ეკლესიაზე [5], რომ ის დანაწევრებულია და ჩვენ „ყველამ უნდა შევინანოთ და თავიდან შევრიგდეთ“. ამ ახალი მასწავლებლების აზრით, ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ მოვიპოვებთ ერთიან, განუყოფელ და ჭეშმარიტ ქრისტეს ეკლესიას. არც თუ შორეულ წარსულში ეს ადამიანები ერეტიკოსებთან დიალოგს იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს მათთვის მართლმადიდებლური ჭეშმარიტების განმარტება სურდათ. ახლა კი ისინი თავად ღალატობენ მართლმადიდებლობას და ღორებს მარგალიტებს უყრიან.

და მაინც, ჩვენ ვიცით, რომ ეს ბნელი მიზნები არასდროს არ განხორციელდება, რადგან ქრისტეს ეკლესიის განადგურება შეუძლებელია. ის, უბიწო, შეუბღალავი და უღალატო, ამ სოფლის აღსასრულამდე ელის თავის სიძეს - ქრისტეს. საკითხავია მხოლოდ ის, თუ რამდენი ადამიანი მიხვდება, რომ ეს არის ჭეშმარიტი ეკლესია და რამდენი ჰპოვებს ამ ეკლესიაში ცხონებას.

---

1. წმ. კირილე იერუსალიმელი. ტ 33, 1048 A. აქ და შემდგომ, თუ საგანგებოდ არ არის აღნიშნული, შენიშვნა ავტორისეულია.

2. წმ. ათანასე დიდი, ტ 27. 152 C.

3.იგივე წმინდა მამა მოციქულებისა და წმინდა მამების მსგავსად გვახარებს ამ ჭეშმარიტებას მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ. ის ბრძანებს: „ჩვენ ვიცავთ სარწმუნოებას კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა, რომელიც უფალმა მოგვცა, მოციქულებმა იქადაგეს, წმინდა მამებმა დაიცვეს. მასზეა დაფუძნებული ეკლესია და ის, ვინც მას განუდგება, ქრისტიანი არ არის და არ შეიძლება ქრისტიანი ერქვას“. (სერაპიონის მიმართ; 1, 28, ტ. 26, 593 C-596 A).

4. „ეკუმენიზმი ეს არის საერთო სახელწოდება დასავლეთ ევროპის ფსევდოქრისტიანობისა და ფსევდოეკლესიისა. მასში მთელი ევროპული ჰუმანიზმია თავმოყრილი პაპიზმის მეთაურობით. მაგრამ ეს ყველაფერი ფსევდოქრისტიანობაა, ყველა ეს ფსევდოეკლესიები სხვა არაფერია, თუ არა მწვალებლობათა მწვალებლობა. ამ ყველაფერს აქვს სახარებისეული სახელწოდება - ცრუმოძღვრება“ (მართლმადიდებლური ეკლესია და ეკუმენიზმი, არქიმ. იუსტინე პოპოვიჩი, სალონიკი, 1974).

5. ჯორდანვილის მთავარეპისკოპოსი ამბერკი ბრძანებს: ,,ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან ეკლესიას“. თუმცა ისინი მოერივნენ და უეჭველად ძალუძთ მოერიონ იმ ბევრ ადამიანს, რომელთაც საკუთარი თავი ეკლესიის ბურჯებად მიაჩნიათ. ეს ნათლად ცხადჰყო ეკლესიის ისტორიამ.

მწვალებლობათა მწვალებლობა

მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეების მანძილზე წინ აღუდგა მრავალ მწვალებლობას და მიუხედავად ყველაფრისა, შეძლო შეენარჩუნებინა უმწიკვლო აღმსარებლობა ღმერთკაცის სარწმუნოებისა, რომელიც თავად იესო ქრისტემ მოციქულებისა და წმინდა მამების საშუალებით მოგვცა. იგი დღესდღეობით ყველაზე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ახალი მწვალებლობა, მთელი ერესი ეკუმენიზმისა ყველა მხრიდან

უთხრის ძირს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობას, მის მოძღვრებასა და მრავალსაუკუნოვან კანონიკურ სტრუქტურას.

ეკუმენიზმის ფენომენი არ არის რაღაც სრულიად ახალი და უცხო რამ. მასზე პირველი ათწლეული არ არის, რაც წერენ. მაგრამ ახლა სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუბარია მის მეტად რთულ და მრავალმხრივ გამოვლინებაზე. ძველ მწვალებლობათაგან განსხვავებით, რომლებიც მართლმადიდებლური მოძღვრებისა და მაცხოვრის ღმერთკაცობრივი სახის ცალკეულ მხარეებს ამახინჯებდნენ, ეკუმენიზმი საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვლინდება. არსებითად საუბარია სხვადასხვა მწვალებლურ სწავლებათა მთელ ნაკრებზე, რომელიც მართლმადიდებლური სარწმუნოების მთავარ საფუძველს - ეკლესიას უტევს. ამიტომ ეკუმენიზმი ეკლესიოლოგიური ერესია. ,,დღესდღეობით კაცთა მოდგმის მტრის მიზანია ადამიანებს არა მხოლოდ იმ მაცხოვნებელი გზიდან გადაახვევინოს, რომლითაც ეკლესიას მიჰყავს, არამედ შექმნას საკუთარი „ქრისტეს ეკლესია“, ქრისტეს სხეული აქციოს „ეკუმენისტურ“ ორგანიზაციად, ამით კი თავისი რჩეულის, ანტიქრისტეს მოსვლა მოამზადოს...“ [1]. ამგვარად, ეკუმენიზმი თვითნებურად ასწორებს ქრისტეს მოძღვრებას, იგი სოციალური, ჰუმანისტური, პაციფისტური იდეების დონემდე დაჰყავს, ცვლის რა განმღრთობილ მაცხოვარს სეკულარიზებულ ევროპელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ქრისტიანობას ახალი დროის სულის შესაბამისად განმარტავს და ამით ეკლესიის კარს უხსნის ყველა სხვა ერესსა და ახალ სწავლებას.

ძველ ეკლესიაში სიტყვა οικουμενικοζ (მსოფლიო) გულისხმობდა ყველა ხალხის მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტების სისავსესთან და სიწმინდესთან თანაზიარებას. ეს სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობით, როგორც განსაზღვრება, ემატებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სახელწოდებას. დღეს კი ეს გამოთქმა სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობით იხმარება. ის ქრისტიანული კონფესიების (ბოლო დროს

არაქრისტიანულისაც) ერთობას ნიშნავს, რაც ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტების სისავსის წინააღმდეგაა მიმართული. რასაკვირველია, ამ ერთობის მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი ადამიანური საზოგადოების შექმნა, თავისებური სამოთხის დაფუძნება დედამიწაზე, ოღონდ ღვთის გარეშე.

არც ისე ძნელია ამ იდეის წარმომავლობის განსაზღვრა. ის რაციონალური და ჰუმანისტური დასავლეთის ზეგავლენით წარმოიშვა და მართლმადიდებელი ქრისტიანების აზროვნებისათვის აბსოლუტურად უცხო იყო მიმდინარე ასწლეულამდე, როცა სიცრუის გზით მან მართლმადიდებელ ეკლესიაში შემოაღწია. მას მხარს უჭერდნენ პროდასავლურად განწყობილი ინტელიგენცია, მმართველი გუნდი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ცალკეული იერარქები-დასავლური პაპიზმისა და პროტესტანტიზმის სულით ჩამოყალიბებულნი.

---

1. ბედრ-მონაზონი სერაფიმე როუზი „The Ortodox Word“ № 5 (70) Sept.-Oct. 1976-,,The royal Path/ True Orthodoxy in an Age of Apostasy“.

ეკუმენიზმის წარმოშობა

ეკუმენიზმის Magna Charta [1] ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს წარმოიშვა, უფრო ზუსტად კი - 1879 წელს ლამბერტში 194 ანგლიკანი ეპისკოპოსის კონფერენციაზე. ამ შეხვედრისას მოხდა ქრისტიანული ,,ეკლესიების“ ეკუმენისტური უნიის პრინციპების ფორმულირება. მათ შორის იყო ე.წ დოგმატური მინიმალიზმი, რაც გულისხმობს, რომ ერთობის გზა სხვადასხვა საღვთისმეტყველო მოძღვრებებში საერთო ნიშნების მოძიებაზე გადის. ამ მინიმალურ საერთო საფუძვლს უნდა შეადგენდეს: საღმრთო წერილი (ოღონდ არა საღმრთო გარდამოცემის კონტექსტში), ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსის სიმბოლო და ორი საიდუმლო: ნათლობა და ზიარება. გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეებმა წინ წამოსწიეს ტოლერანტობის პრინციპი სხვა

„ეკლესიების“ მოძღვრებათა მიმართ და გამოთქვეს მზადყოფნა კომპრომისისათვის, რომელსაც საფუძვლად სიყვარული უნდა დაედოს. ლამბერტის კონფერენციის კიდევ ერთი „მიღწევა“ გახდა ცნობილი განშტოებების თეორია (Branch Theory), რომლის მიხედვითაც ქრისტეს ეკლესია ტოტებიან ხეს წარმოადგენს, ამ ხის ტანი არის ერთიანი განუყოფელი ეკლესია, მრავალრიცხოვანი ტოტები კი სხვადასხვა „ეკლესიები“, რომლებიც თანაბარუფლებიანები არიან და ამ ერთიანი ეკლესიის ნაირგვარ გამოვლინებებს წარმოადგენენ. ამ ტოტთგან არცერთი არ ფლობს სრულ ჭეშმარიტებას. ამიტომ ცალკეული საღვთისმეტყველო მოძღვრებანი დიალოგის გზით უნდა საერთო მნიშვნელამდე მივიყვანოთ, და სწორედ მაშინ მოხდება ერთადერთი ჭეშმარიტების „რეკონსტრუირება“ და ერთიანი ეკლესიის დაფუძნება [2].

მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1910 წელს ედინბურგში პროტესტანტური ეკლესიების ორგანიზაციებმა მოიწვიეს მსოფლიო მისიონერული კონფერენცია (Internatioal Missionary Sosiety), რომელზედაც გადაწყდა, რომ ჩამოეყალიბებინათ ქრისტიანთა მსოფლიო მოძრაობა, რომლის მიზანიც სარწმუნოებრივ უმეცრებასთან ბრძოლა და ერთიანი საეკლესიო წესის (World movement for Faith and order) შემუშავება იყო. იმავდროულად წარმოიშვა მოძრაობა ,,სიცოცხლე და შრომა“ (Life and Work), რომლის მიზანიც იყო ქრისტიანების გაერთიანება თანამშრომლობისა და ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტის გზით. 1948 წელს ეს ორი მოძრაობა გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ე.წ. „მსოფლიო საეკლესიო საბჭო“ (The World Council of Churches), რომელმაც შტაბ-ბინა ჟენევაში დაიდო. ამის პარალელურად რელიგიის უნიფიცირებისათვის მიმდინარეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესი, რომელთა მიზანიც იქნებოდა შეექმნათ პირობები მსოფლიოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ამგვარად, 1919 წელს დაარსდა ერთა ლიგა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინასახე

გახდა. არსებითად, საუბარი ამქვეყნად იდეალური მსოფლიოს წესრიგის ჩამოყალიბების იდეაზე იყო; ეს იდეა მრავალი საუკუნის მანძილზე შთააგონებს დასავლეთს და იგი სხვადასხვა გამოვლინებებში გვხვდება, როგორიცაა პაპიზმი [3], ჰუმანიზმი, მარქსიზმი, მასონობა და მისთ.

ამასთან, ამის განხორციელების გზაზე ყველაზე დიდი დაბრკოლება რელიგიურ ჭრილში არის სწორედ მართლმადიდებლობა თავისი წმინდა მამათა სწავლებითა და ქრისტიანული მოძღვრების ნებისმიერი მოდერნისტული ინტერპრეტაციების მიმართ ტრადიციული შეუვალობის პოზიციით, თავისი რწმენით, რომ ერთადერთი შესაძლებლობა ეკლესიათა დანაწევრების აღმოფხვრისა არის ჩვენი უფლის, ღმერთკაც იესო ქრისტეს მაცხოვნებელი ჭეშმარიტების შეცნობა. უფალი გვასწავლის, რომ ყველა ადამიანის ერთობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში, წმინდა ზიარების საიდუმლოსა და მოციქულებრივი სარწმუნოების აღმსარებლობის გზით. ამგვარად, გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ ეკუმენისტურ მოძრაობაში ჩაერთოთ მართლმადიდებელი ეკლესიაც, შეეცვალათ მისი მოძღვრება ეკლესიის შესახებ ეკუმენისტური ერესით. პირდაპირი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ორი საპატრიარქო, რომელთაც ყველაზე დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდათ მთელ მართლმადიდებელ სამყაროში. და მალევე ეკუმენიზმის მთავარი მსახიობების, პროტესტანტების გვერდით მართლმადიდებლებიც გამოჩნდნენ.

---

1. Magna Charta - ძირითადი კონცეფცია.

2. ეკუმენისტები ხშირად იყენებენ მზეზე მდებარე გატეხილი სარკის შედარებას. ყოველი ნატეხი მზის სხივებს ირეკლავს, თუმცა სარკე გატეხილია. ასევე ყველა „ეკლესია“ ჭეშმარიტების სისავსეს ფლობს, თუმცა მათი ხილული ერთობა არ არსებობს.

3. ეს არის ყველაზე ზუსტი სახელწოდება რომაულ-კათოლიკური რეფორმირებული ქრისტიანობისა, რომელიც სრულიად სეკულარიზებული, ამქვეყნიური სამეფო, საეკლესიო-პოლიტიკური

ორგანიზაცია გახდა. „დასავლეთში ქრისტიანობა არ არსებობს როგორც ეკლესია. იგი ეთიკურ ნორმებამდე დაყვანილ იდეოლოგიად იქცა. ამიტომაც იქ ადამიანი პრაქტიკული ცხოვრებით ცხონდება. ამან შედეგად მოიტანა ის, რომ (კათოლიკების აზრით) ქრისტიანობა გადავიდა იმ ნორმებში, რომლებსაც ღვთაებრივი ხასიათი აქვს. ამის საფუძველში კი ცათა სასუფევლის ამქვეყნად აშენებაა.“ ეპ. ეგნატე მიდიჩი, „თანამედროვე სამყარო და მართლმადიდებლური ეკლესია“, ქრისტიანული აზრი, 6-8, 1993 წ.

1920 წლის კონსტანტინეპოლის ენციკლიკა

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან ეკუმენიზმის მიმართ პირველი დათმობა 1920 წ. ენციკლიკის [1] გამოცემა იყო, რომელიც „ყველა ქრისტიანული ეკლესიისადმი“ იყო მიმართული; მასში, სხვასთან ერთად, შემოთავაზებული იყო გრიგორიანული კალენდრის შემოღება. თავისთავად, ახალი კალენდრის შემოღება, რომელიც იულიანეს კალენდართან შედარებით ნაკლებად ზუსტია, განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ნაბიჯი დასავლეთის მიმართ მაამებლობის, მასთან დაახლოების აშკარა სურვილის გამოვლინება იყო, ამასთან - მართლმადიდებელ ეკლესიათა მრავალსაუკუნოვანი საღვთისმსახურო ერთობის საზიანოდ [2]. თავად შინაარსი ამ ენციკლიკისა, რომელსაც მაშინდელი locum tenens [3] კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტი დოროთე პრუსიელი და კიდევ თერთმეტი მიტროპოლიტი აწერდა ხელს, საპატრიარქოს სხვა წინამორბედ ოფიციალურ დოკუმენტებთან შედარებით სრულიად განსხვავებულ ტონს წარმოაჩენს. ყურადღება მივაქციოთ ამ ენციკლიკის ზოგიერთ ერეტიკულ ფორმულირებას, რომელშიც თავად სიტყვა „ეკლესია“ არა მხოლოდ ადგილობრივ მართლმადიდებელი ეკლესიათა მიმართ გამოიყენება, არამედ სხვადასხვა მწვალებლური კონფესიების მისამართითაც. დასაწყისში ნათქვამია: ,,. . . არ შეიძლება სხვადასხვა ქრისტიანული

ეკლესიის დაახლოებისა და მათ შორის ურთიერთობების უარყოფა მხოლოდ დოგმატური განსხვავებების გამო“. შემდეგ მოსდევს მოწოდება, რომ ინდა ვიმუშაოთ „სრული ერთანობის მომზადებისა და განხორციელებისათვის“. თუმცა ამასთან არ არის დაზუსტებული, რომ ამ ერთობის მიღწევა მხოლოდ მართლმადიდებელი მოძღვრების საფუძველზეა შესაძლებელი. სხვადასხვა დაჯგუფებები სახელდებულია „ეკლესიებად, რომლებიც არიან ჩვენთვის უცხონი და გაუგებარნი, პირიქით, ყველა მათგანს ქრისტე აერთიანებს“ და ყოველ მათგანს შეგვიძლია ვუწოდოთ „თანა-მკვიდრნ და თანა-ხორც და თანა-მყოფ აღთქუმისა მის ღმრთისა ქრისტეს მიერ სახარებითა მით...“(ეფ.3.6). ურთიერთნდობისა და სიყვარულის მისაღწევად გადადგმული პირველი ნაბიჯი ახალი კალენდრის შემოღება უნდა ყოფილიყო, რათა „მსოფლიო ქრისტიანული დღესასწაულები ერთდროულად ედიდებინათ“. გარდა ამისა, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ძმას, ყველა პატივცემულ ეკლესიას“ სთავაზობდნენ, დაენერგათ მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკა, სადღესასწაულო ეპისტოლეთა ურთიერთგაცვლა, ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლა, რაც მოამზადებდა ერთიან საერთო ქრისტიანულ საბჭოს, რომელიც განიხილავდა და გადაწყვეტდა ყველა საკითხს, რომლებიც საერთო ინტერესებს შეადგენდა [4].

პატრიარქი მილეტი მეტაქსაკისი

ენციკლიკა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ეკუმენიზმის მომხრეებმა. პანეგირიკები ისმოდა ყველა მხრიდან - ანგლიკანებიდან, ლუთერანებიდან, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებიდან. ამასთან ერთად მართლმადიდებელი სამყარო საგონებელში ჩავარდა: კონსტანტინეპოლის საქციელი ჭეშმარიტად უპრეცენდენტო იყო. ყველა ჯურის მოდერნისტი ზეიმობდა, ტრადიციონალიზმის მომხრეები კი, განსაკუთრებით ბერ-მონაზვნობა, სამღვდელოება, ღვთისმოსავი ერიკაცები უკიდურესად იმედგაცრუებულნი იყვნენ.

ამის შემდეგ მალევე, 1923 წელს, პარტიარქმა მელეტი მეტაკსაკისმა, რომელიც კონსტანტინეპოლის პირველი პატრიარქი იყო, რომელიც ოფიციალურად მისდევდა ეკუმენისტურ მოღვაწეობას, კონსტანტინოპოლში მოიწვია კრება [5], რომელმაც 1920 წლის ენციკლიკის ზუსტად შესაბამისი გადაწყვეტილებები გამოიტანა და ახალი კალენდრის შემოღების შესახებ განაცხადა, ამასთან არ დაელოდა ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კონსენსუსს.

იმ დროს საბერძნეთი მოდერნიზაციითა და ევროპიზაციით იყო მოცული, რაშიც აქტიურად მონაწილეობდა ოტონ მეფის კარი და ინტელიგენციის პროდასავლურად განწყობილი ახალი თაობა. ,,მათ, - წერდა მარკიანესი თავის მემუარებში, - დაღუპეს ჩვენი სამშობლო და რწმენა, ძალაუფლება უღმერთოების ხელში გადავიდა.

თურქთა ბატონობის დროს ჩვენი ძველი ეკლესიების საძირკვლის არცერთი ქვა არ დაძრულა ადგილიდან. ამ უბედურმა, მოტყუებულმა ადამიანებმა კი თავიანთი ინტერესები დაუკავშირეს უღირს ფანარიოტებს[1] , რომელთაც ეს სენი ევროპაში შეეყარათ. მათ ჩვენი ეკლესია-მონასტრები გაანადგურეს. ზოგი მათგანი შეურაცხყვეს, ზოგი კი გომურად

[1] ფანარიოტები - ფანარის (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ადგილსამყოფელი სტამბულში) წარმომადგენლები - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

აქციეს. ამ ორგულთა შორის არიან მღვდლები, ერისკაცები, სამხედროები და პოლიტიკოსები. და ეს ყველაფერი ხდება იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ქვეყნისა და რწმენის დაცვისათვის არც ისე ცოტა სისხლი დავღვარეთ...“. „გაუნათლებელმა ინტელექტუალებმა რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ჩვენი მოძღვრების ჭეშმარიტება შეერყვნათ, მართლმადიდებლობის წმინდა ხეზე სეკულარიზმი, რაციონალიზმი დაემყნოთ. რომელიც საუკუნეთა მანძილზე ხელშუხებელი რჩებოდა და სხვადასხვა მტრის, ბარბაროსთა შემოსევებს უძლებდა“ [6]. ყველაზე მეტად მონასტრები დაზარალდა: ზოგი დაიხურა, ზოგს ქონება ჩამოერთვა, ზოგიერთში კი „პროგრესული“ იღუმენები გაიგზავნა. იმ დროს ეკლესიასა და განათლებას მუდმივად აკონტროლებდა სახელმწიფო, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა იმისთვის, რათა დასავლეთისათვის მიეგბაძა, ახდენდა რა ელინო-ქრისტიანული ცივილიზაციის იდეის ფორსირებას. ბევრ საქალაქო ეკლესიაში ტრადიციული ბიზანტიური გალობა თანდათან ევროპული თეატრალიზირებული მრავალხმოვანებით შეიცვალა. სწორედ ამ დროს შეინიშნება დეგრადაცია იკონოგრაფიის სფეროში. ეკლესიებში გაიყვანეს ელექტრობა, დადგეს სკამები. თეოლოგები და ეკლესიის მომავალი მოძღვრების უმრავლესობა განათლებას პროტესტანტულ დასავლეთში იღებენ, სადაც ისინი მოდურ ეკუმენისტურ იდეებს აწყდებოდნენ. მართლმადიდებლურ და დასავლურ ეკლესიებს შორის განსხვავებას ისინი მხოლოდ დოგმატურ ფორმულირებაში ხედავენ, რომელთა ერთმნიშვლოვნობამდე დაყვანა ასე თუ ისე შესაძლებელია, ამასთან ისინი უარს ამბობენ გაიგონ, რომ თავად იესო ქრისტეს ხატება ჰუმანური ევროპელის ბუნდოვანი სახით არის შეცვლილი, და ამიტომ იქ არ არის და არც შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი ქრისტიანობა, და, შესაბამისად, შეუძლებელია რაიმე კომპრომისამდე მისვლა; უარს ამბობენ გაიგონ, რომ ერეტიკოსების მოქცევა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მხოლოდ ღრმა და გულწრფელი მონანიებით არის

შესაძლებელი. მართლმადიდებლური მოძღვრება მხოლოდ დოგმატების ნაკრები არ არის, ეს თავად ღმერთკაცობრივი ხატია იესო ქრისტესი, რომლის სახეც გამოკვეთილია სახარებით და წმინდა მამათა სწავლებებით, რომლებიც წარმოადგენენ ღვთისმოსაობის უცდომელ ორიენტირს. ამ ერთობლიობიდან სულ მცირედის ამოღებაც კი ღმრთის მთელი ხატების შებღალვას ნიშნავს [7]. ამიტომაც ამ საკითხებში კომპრომისი არ არის და არც შეიძლება იყოს. სარწმუნოების ფუნდამენტალურ საკითხებში ნებისმიერი კომპრომისი ქრისტეს ღალატის, კერპთაყვანისმცემლობის ტოლფასია, რა მიზნებსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი.

---

1. ცხადია, რომ დაფარულად აპოსტასიური პროცესები ენციკლიკის გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე მიმდინარეობდა, ასევე ცხადია ისიც, რომ ამკარად ისინი მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ შეიძლებოდა წარმოჩენილიყვნენ. ამ დროიდან განდგომილება (მათ შორის საეკლესიოც) ხარისხობრივად სხვა დონეზე ავიდა. რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

2. ადგილობრივი კრება, რომელიც 583 წელს კონსტანტინოპოლში ჩატარდა, იყო რეაქცია რომის პაპის გრიგოლ XIII-ის მოწოდებაზე მართლმადიდებელთა მიმართ რომაული კალენდარის მიიღების თაობაზე. ამ კრებას ესწრებოდნენ იერემია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, სილვესტერი ალექსანდრიის პატრიარქი, სოფრონი იერუსალიმის პატრიარქი და კიდევ მრავალი სხვა ეკლესიების მეთური. კრების დოკუმენტებში სხვასთან ერთად ნათქვამია: ,,ვინც არ მიჰყვება საეკლესიო ტრადიციებს და იმას, რასაც წმიდა შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ბრძანებს წმიდა აღდგომის და თთუენის შესახებ და გვიკანონეს კეთილად მივსდიოთ მას, არამედ სურს მიჰყვეს გრიგორიანულ პასქალიასა და თთუენს, უღმერთო ასტრონომებთან ერთად ეწინააღმდეგება საეკლესიო კრებათა ყველა განჩნინებას და სურს მათი შეცვლა და შესუსტება - ანათემა მათ, დაე, განიკვეთოს ქრისტეს ეკლესიისაგან და მორწმუნეთა კრებულისაგან. თქვენ კი, მართლმადიდებელნო და კეთილმორწმუნე ქრისტიანენო, მტკიცედ დაიცავით ის, რაც გასწავლეს, რა რწმენაშიც დაიბადეთ და აღიზარდეთ, და თუ აუცილებელი გახდება, თვით სისხლიც დაღვარეთ მამაპაპისეული რწმენისა და აღმსარებლობის დასაცავად.“ იმის

მიუხედავად, რომ ახალი კალენდარი მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ერთობას არღვევს, მისი შემოღება მთელი წლის საღვთისმსახურო ციკლში მთელ რიგ ანომალიებს იწვევს. მაგალითად, ახალი კალენდრის მიხედვით, პეტრე-პავლობის მარხვა ზოგ წელიწადს ორ დღემდე მცირდება. გარდა ამისა, ხარების დღესასწაული ზოგჯერ დიდი მარხვის პერიოდიდან ვარდება და ასე შემდეგ.

3. საპატრიარქო ტახტის თანამოსაყდრე.

4. ამ საკითხებთან დაკავშირებით თუ რა პოზიცია ჰქონდა ადრე კონსტანტინოპოლს, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ 1724 წლის კრების მიმართვიდან. კრებას, რომელსაც კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია Ш მეთაურობდა, მოწვეულ იქნა ანტიოქიის ტერიტორიაზე პაპისტების პროზელიტური მოღვაწეობის გაძლიერების გამო. კრების მიმართვაში ნათქვამია: „ისინი, ვინც დაივიწყეს ღვთისმოსაობა, განუდგნენ ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტ დოგმატებსა და საეკლესიო გარდამოცემას, შთავარდნენ და მისდევენ სხვადასხვა ახალშემოღებულ წესებსა და უცხო იდეებს, არამართლმადიდებლურ ჩვეულებებს, ისინი, ვინც ბღალავს კეთილმორწმუნეობის ჭეშმარიტებას, - ყველა ისინი აღარ შეიძლება რომ ჭეშმარიტ ქრისტიანებად იწოდებოდნენ, არამედ როგორც არამართლმადიდებლები განიკვეთებიან და განიშორებიან ქრისტიანული და საეკლესიო თემისაგან, განიდევნებიან წმიდა ფარისაგან, როგორც დასნეულებული ცხვრები, გახრწნილი ხორცი, და უკიდურეს და უსერიოზულეს საეკლესიო დასჯას ექვემდებარებიან, და საღმრთო მადლისაგან განყენებულები, ეშმაკთან ერთად საუკუნო სატანჯველში იქნებიან“ მანსი. ტ.37.209.

5. ამ კრების სხდომაზე მიმდინარეობდა დებატები კალენდრის შეცვლასთან დაკავშირებით, მსჯელობდნენ აგრეთვე ქრისტეს წმინდა აღდგომის დღესასწაულის ერთსა და იმავე რიცხვში აღნიშვნის თაობაზე (სხვათა შორის პასქალიის შეცვლა აკრძალულია პირველი მსოფლიო კრებისა და ანტიოქიის კრების მიერ, ხოლო იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ამას გაბედავენ, ხარისხის ჩამორთმევის საჯელია განჩინებული). ასევე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხები: დიაკვანისა და პრესვიტერის ხელდასმის შემდეგ ქორწინების შესაძლებლობასთან, მღვდლების მეორედ ქორწინებასთან, მარხვის შემსუბუქებასთან, დიდი წმინდანების დღესასწაულების კვირა დღეს გადატანასთან დაკავშირებით. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ეპისკოპოსი ფოტი ტრიადიცკი თავის სტატიაში

„საბედისწერო ნაბიჯი განდგომილებისაკენ.“ რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნები.
6.Against False Union, Alexnder Kalomiros, 1967.
7. წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „თუ შენ თუნდაც ოდნავ დააზიანებ რაიმეს სამეფო ფულის ბეჭდულ ნიშანზე, ის მთლიანად გამოუსადეგარი ხდება. ზუსტად ასევე, თუ ჯანსაღ სარწმუნოებაში რაიმეს თუნდ სულ მცირეს შეცვლი, ის მთლიანად შეიბღალება, უარესი ხდება, იმის მაგივრად, რომ უკეთესი გახდეს. სად არიან ახლა ისინი, რომლებიც ერეტიკოსების მიმართ ჩვენი პოზიციის გამო აგრესიულობაში გვადანაშაულებენ? სად არიან ისინი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩვენ შორის თითქოს არანაირი განსხვავება არ არის, რადგან სხვადასხვაობა მხოლდ ძალაუფლების მოყვარეობიდან მომდინარეობს? დაე, მოუსმინონ პავლეს, რომელიც ბრძანებს, რომ სახარებას ცვლიან ისინიც, რომელთაც ნებისმიერი, თუნდაც სულ მცირეოდენი სიახლე შეაქვთ“ (ტ.61, გვ.622).

სერგიანელობა რუსეთის ეკლესიაში

რუსეთში ამ დროს სიტუაცია შემდეგნაირად ყალიბდებოდა. 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, რომელიც სიონისტურ-მასონური ორგანიზაციის [1] მიერ იყო ინსპირირებული, კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებას, რომელიც რუსი ხალხის სულიერი სინდისი და მისი წმინდა ისტორიული წარსულის დამცველი იყო. მათ გადაწყვიტეს, რომ უფრო ადვილი და საიმედო იქნებოდა, თუ ეკლესიას შიგნიდან გაანადგურებდნენ. წარმოიშვა ახალი მოძრაობა, ე.წ. ,,ცოცხალი ეკლესია“, რომელიც მოწოდებული იყო, უღმერთო ხელისუფლების დახმარებით პატრიარქი ტიხონი გადაეყენებინა და მოეხდინა ეკლესიის რეფორმირება სუფთა პროტესტანტული ეკლესიის გვარად, რათა იგი უღმერთო სისტემის ეფექტურ იარაღად ექციათ. ნამდვილი განდგომილება 1927 წლის მარტში იწყება, როდესაც მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) ბოლშევიკურ ციხეში რამდენიმე თვის პატიმრობის შემდგომ თავისუფლებაზე გამოდის და მალევე, სახელდობრ იმავე წლის

24 ივლისს, გამოსცემს ავადსახსენებელ საყოველთაოდ ცნობილ „დეკლარაციას“, რომელშიც რუსეთის ეკლესია ოფიციალურად მიესალმება უღმერთო კომუნისტურ რეჟიმს. „დეკლარაციაში“ საბჭოთა კავშირი ღიად მიიჩნეოდა ახალ სამშობლოდ. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ყველა სიხარული და წარმატება ეკლესიის სიხარულად და წარმატებად ცხადდებოდა, ხოლო მისი სადარდებელი - ეკლესიის სადარდებელად . ამგვარად, მიტროპოლიტმა სერგიმ მის გამგებლობაში მყოფი საეკლესიო ორგანიზაცია კომუნისტური რეჟიმის პროპაგანდისტულ ორგანოდ აქცია.

ეს იმ დროს, როდესაც იგივე ხელისუფლება სისხლიანი ტერორის პოლიტიკას ახორციელებდა რუსეთის ეკლესიის მიმართ, რომელიც, მართლაც, რომის იმპერიის დროს ქრისტიანების დევნაზე უფრო საშინელი იყო.. უამრავი მღვდელი, მონაზონი, მართლმორწმუნე ერისკაცი მოწამეობრივ სიკვდილს ღებულობდა, იხურებოდა და ნადგურდებოდა ათასობით ეკლესია-მონასტერი. მასზე განხორციელებული ზეწოლის გავლენით მიტროპოლიტმა სერგიმ ღია განცხადება გააკეთა, რომელშიც უარყოფილი იყო რუსეთში რელიგიური რწმენის გამო დევნა. ეკლესიის იერარქებს, მართლმადიდებელ მორწმუნეებს, რომელთაც განდგომილებაში მონაწილეობა არ მიიღეს, „პოლიტიკური დამნაშავეები“ ეწოდათ, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება აპატიმრებდა და ციმბირში, სიკვდილმისჯილთა ბანაკებში ასახლებდა. ხოლო ისინი, ვინც მას იცავდნენ, ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ისინი ამით ეკლესიას სრული განადგურებისაგან იცავდნენ. „სერგიანელობა“, პრაქტიკულად, ქრისტეს ღალატის სინონიმად იქცა[2], იმისათვის, რათა საეკლესიო ორგანიზაციის გარეგნული მხარე, მისი მიწიერი კეთილდღეობა და ცრუ მშვიდობა შენარჩუნებულიყო. მორწმუნენი იძულებულნი გახდნენ

[2] ვფიქრობთ, სეგიანელობის ქრისტეს ღალატად შეფასება ზედმეტად მკაცრია, რადგან იმდროინდელ ეკლესიას არ უარუყვია ქრისტეს სწავლების დოგმატები - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

უსიტყვოდ დამოჩილებოდნენ ეკლესიის ოფიციალურ ხელმძღვანელობას, რომელიც ამ პოლიტიკას ატარებდა;. ამას არც თუ იშვიათად თვით სახელმწიფო ხელისუფლება აკონტროლებდა. როცა ამ მიმართულებამ საბოლოოდ გაიმარჯვა, მიტროპოლიტმა სერგიმ პატრიარქის ადგილი დაიკავა, ოპოზიციას პირი მოუკუმეს, და „სერგიანელობა“ რუსეთის ეკლესიის ოფიციალური პოლიტიკა გახდა, რომელიც შემდგომ ათწლეულებში მის სულიერ ცხოვრებას განსაზღვრავდა. 1969-1970 წლებში „სერგიანელობა“ დასავლეთშიც გაიტანეს: ჩამოყალიბდა ე.წ. „ამერიკის სამიტროპოლიტო“, რომელმაც ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი მიიღო და მოსკოვის პატრონაჟით არსებობდა. ეს იყო განსაკუთრებული დამსახურება ნიკოდიმოს[3] ლენინგრადელისა, რომელიც ცნობილი ეკუმენისტი და ლათინოფილი იყო. (იგი რომის პაპთან აუდიენციის დროს გულის შეტევით

[3] ნიკოდიმოს როტოვი, 1963 წლიდან ლენინგრადისა და ლადოჟის მიტროპოლიტი, 1960-1972წწ. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, ცნობილი ეკუმენისტი, ე.წ. ნიკოდიმელთა ჯგუფის დამაარსებელი, რომლის ცნობილი წევრები დღევანდელი რუსეთის ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალნი არიან. როტოვის აღსასრული საზარელი იყო. 1978წ. 10 აგვისტოს, წმ. მოციქულთა კანონების უმკაცრესი აკრძალვის მიუხედავად, მან იმსახურა რომის პაპ პავლეVI-ის კუბოსთან, 12 აგვისტოს - მის პანაშვიდზე. ხოლო 5 სექტემბერს, პაპ პავლე I-თან სტუმრობისას, მოხლმოდრეკის რევერანსის შესრულების დროს მას გული გაუსკდა და ფეხებში ჩააკვდა პაპს. ახდა ნეტარ პელაგია რიაზანელის წინასწარმეტყველება, რომელმაც ეკუმენისტს საშინელი და სამარცხვინო აღსასრული უწინასწარმეტყველა: „როგორც გოშია ჩაძაღლდები შენი პაპის ფეხებთან“. როტოვის სიკვდილის შემდეგ „რადიო ვატიკანმა“ განაცხადა, რომ იგი ფარული კათოლიკე კარდინალი იყოო. სწორედ ამ სამწუხარო აღსასრულს უძღოდა წინ განდგომილების ის ხანგრძლივი გზა, რომელზეც მღვდელმონაზონ საბას წიგნ „განდგომილების“ მიმდინარე პარაგრაფი მოგვითხრობს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

გარდაიცვალა.) „მიტროპოლიის“ იერარქები მოსკოვის კურსს ეკლესიასთან მიმართებით არა მხოლოდ ემხრობოდნენ, არამედ ხშირად თავადაც საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის აპოლოგეტები ხდებოდნენ. ამ ეკლესიის ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა რუსეთში სტუმრობისას, იმის მაგივრად, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სასტიკი დევნის, უამრავი ახალმოწამისა და აღმსარებლის მოწამეობის ფაქტი აღენიშნა, გულცივად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში „ხალხი ბედნიერი და კარგად ჩაცმულია, ხოლო თუ ვინმე უკმაყოფილოა ხელისუფლების, ასეთები ამერიკაშიც მოიძებნებიან, განა ასე არ არის?“. დღეს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც იმ სამიტროპოლიტოს საფუძველზეა აღმოცენებული, თავისი უკიდურესი ლიბერალიზმითა და საკმაოდ აქტიური ეკუმენისტური მოღვაწეობითაა ცნობილი.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსეთის ემიგრაციამ ჩამოაყალიბა საკუთარი საეკლესიო ორგანიზაცია, რუსეთის საზღვარგარეთული ეკლესიის [2] სახელწოდებით, რომელსაც მიტროპოლიტი ანტონი (ხრაპოვიტსკი) ხელმძღვანელობდა. ეს ეკლესია უდიდესი ამოცანის წინაშე იდგა, თავისუფლად, ყოველგვარი იდეოლოგიური ზეწოლის გარეშე ექდაგა მართლმადიდებლობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც რუსული დიასპორა არსებობდა, ასევე ობიექტურად გაეშუქებინა რუსული ეკლესიის მთელი ტანჯვა და დაეცვა ის მდიდარი სულიერი ტრადიციები, რაც მასში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებობდა. იმ დროისთვის სერგიანელების რეფორმებზე უარი თქვა მრავალმა მართლმკვეთელმა მართლმადიდებელმა, მათ შორის იყვნენ მიტროპოლიტი იოსებ პეტროგრადელი და კირილე ყაზანელი. ოფიციალური ეკლესიიდან გასვლის ეს მოძრაობა დროთა განმავლობაში გადაიზარდა ე.წ. ,,რუსულ კატაკომბურ ეკლესიაში“ (მისი დაარსება ჯერ კიდევ პატრიარქმა ტიხონმა აკურთხა), ამ ეკლესიის არსებობა დღემდე საიდუმლოებითაა

მოცული. მხოლოდ ბოლო წლებში ვგებულობთ სულ უფრო მეტს ამ მოწამეობრივი ეკლესიის შესახებ, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქო ოფიციალურად დღესაც არ ცნობს[4] [3].

საბჭოთა ხელისუფლება კი იმ დროისთვის აგრძელებდა მუშაობას ეკლესიის განადგურებისთვის მისი სულიერი წინამძღოლების მეშვეობით, რომლებიც ამავდროულად საბჭოთა რეჟიმის აპოლოგეტებად გვევლინებოდნენ საზღვარგარეთ და ე. წ. „კომუნისტურ ქრისტიანობას“ ქადაგებდნენ, რასაც იდეოლოგიური ნიადაგი უნდა მოემზადებინა კომუნიზმის მოსვლისათვის არა მხოლოდ უნივერსალური პოლიტიკური რეჟიმის სახით,არამედ როგორც იდეოლოგიური ფსევდორელიგიური ტირანიისაც. ეს რომ ჯეროვნად გავიგოთ, აუცილებელია თავიდანვე გავარკვიოთ, თუ რა არის კომუნიზმი. კომუნიზმი - ეს არა მხოლოდ რაღაც შეშლილი პოლიტიკური რეჟიმია, ის ასევე იდეოლოგიურ-რელიგიური სისტემაა, რომლის მიზანი ყველა სხვა სისტემის აღმოფხვრაა, პირველ რიგში კი - ქრისტიანობისა. კომუნიზმი სინამდვილეში საკმაოდ ძლიერი მწვალებლობაა [4], რომლის საფუძველი არის ხილიაზმი, იგივე მილენარიზმი[5], რომლის

---

[4] სამწუხაროდ აღნიშნული კატაკომბური ეკლესია სქიზმატური ეკლესიად ჩამოყალიბდა და მიუხედავად მისი ღვაწლისა იგი ეკლესიის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[5] ხილიაზმი (ბერძნ. Chiliasmos, chilio - ათასი), იგივე მილენარიზმი (ლათ. mille - ათასი და annus - წელი) - რელიგიურ-მისტიური სწავლება დედამიწაზე ათასწლოვანი ბედნიერი მეუფების შესახებ. ეფუძნებოდა იოანეს გამოცხადების (20,4) არასწორ გაგებას. ხილიაზმის მიხედვით ამქვეყნიური სატანჯველების კომპენსირება ამავე წუთისოფელში მოხდება ათასწლოვანი ბედნიერი ხანის სახით. ხილიაზმი დაგმობილ იქნა ეკლესიის მიერ (225წ.). შემდგომში იგი არაერთხელ „აღორძინებულა“ (იოახიმ ფლორსკის, ახალნათლულთა და გუსისტებისა და სხვა სწავლებები). პლებეური ხილიაზმი, რომელიც დამახასიათებელი იყო რიგი გვიანშუასაუკუნოებრივი ერესისათვის, თავის კულმინაციას აღწევს მიუნცერის სწავლებაში, პიეტიზმსა და

მიხედვითაც ცივილიზაციის ისტორიის კულმინაცია ამქვეყნიური ნეტარების განუსაზღვრელი მდგომარეობის მიღწევა იქნება, როცა სრულქმნილი კაცობრიობა სრულყოფილ ჰარმონიასა და მშვიდობაში იცხოვრებს. ეს „სახარება“ ბევრი მოსკოველი ხელმძღვანელისათვის „წმიდა წერილად“ იქცა, რომელნიც სახელმწიფოს მხრიდან დიდი მხარდაჭერის დახმარებით სტალინურ სოცრეალისტურ სასახლეთა უზარმაზარ დარბაზებში აქტიურად შეუდგნენ სხვადასხვა ეკუმენისტურ, ანტისაომარ, სამშვიდობო, ეკოლოგიურ, რელიგიათშორის თავყრილობათა მოწყობას. და ამაში ეკლესია ბოლშევიკების მთელ ამ ბოროტმავნებლურ, არსობრივად ანტიქრისტიანულ მოღვაწეობას მყარ ალიბს უქმნიდა. იმავდროულად, სოლოვკიდან შორეულ ციმბირამდე ჭეშმარიტი რუსული ეკლესია, რუსულ მიწაზე მცხოვრები მორწმუნე ხალხი რამდენიმე ეპისკოპოსის მეთაურობით არნახულ ტანჯვას ითმენდა, ისტორიის მატიანეში ურიცხვი აღმსარებელისა და ახალმოწამის სახელი იწერებოდა. ამის შესახებ არცერთი მოსკოველი ხელისუფალი არ საუბრობდა. ეს თემა დახურული იყო. მთელი მსოფლიოსთვის არსებობდა მხოლოდ „სიმართლე“ იმის შესახებ, რომ რუსეთში რწმენის გამო არავინ იდევნებოდა, ხოლო ისინი, ვინც ბანაკებში ისხდნენ, პოლიტიკურ პატიმრებს წარმოადგენდნენ. ამგვარად, განხეთქილება, რომელიც რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ წარმოიშვა, იყო განხეთქილება არა მხოლოდ „წითელ“ და „თეთრ“ ხელისუფალთა შორის, როგორც ამას ჩვეულებრივ წარმოაჩენენ, არამედ ეს იყო ღია შეტაკება „ამქვეყნიურ მეუფებასა“ და „მაცხოვრის ცათა სასუფეველს შორის“, დაპირისპირება ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებას შორის ამქვეყნად ეკლესიის როლსა და დანიშნულებასთან დაკავშირებით. ერთი

თეოსოფიაში. ის არსებობს სხვა თანამედროვე სექტებში (მაგ. რასელისტებთან, ანუ ე.წ. იეღოველებთან) - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მხრივ, ჩვენ გვაქვს ქრისტეს ეკლესიის თავად სულის ღალატის ხარჯზე გარეგნული ეკლესიოლოგიურობის შენარჩუნების „სერგიანული“ გზა, ხოლო მეორე მხრივ - მოწამეობრივი გზა, რომლის არჩევით ეკლესია გარეგნულად იტანჯება, მაგრამ შინაგანად ძლიერდება და სულიერად განახლდება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მადლი არ იყო იმ ეკლესიაში, რომელსაც „სერგიანელობის“ მიმდევრები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო დღეს მათი მოწაფეები მართავენ. სხვათა შორის, მათ შორის არიან ისინიც, რომლებიც ხელისუფლების დიქტატის ხელმძღვანელობით ეკლესიას ღიად აყენებდნენ ზიანს, მაგრამ ამის აღიარება დღემდე არ სურთ, - არაფრის დიდებით ქვეყანაზე. ასეა თუ ისე, ეს იგივე ქრისტეს ეკლესიაა, რომელიც შობს თავის განმანათლებებს, მოსაგრეებსა და აღმსარებლებს, მიუხედავად მისი ცალკეული ცრუ-მოძღვარის უღმერთო საქციელისა. ეკლესია არასდროს არ შეიძლება გავაიგივოთ იერარქიასა და იურისდიქციასთან. მაშინაც კი, როდესაც იერარქთა უდიდესი ნაწილი მაცხოვრის ღმერთკაცობრივ გზას სცდება, ეკლესია სიცოცხლეს აგრძელებს, თუმცა ტანჯულსა და ცრუ მოძღვართაგან განრიდებულ სამწყსოს მოგვაგონებს. ამგვარად, იურისდიქციის საზღვრებს არ ძალუძთ ღვთის მადლის შემოზღუდვა ([5].

მღვდელმთავართა ჯგუფი (ბალტიისპირეთის, დასავლეთ-უკრაინისა და დასავლეთ-ბელორუსიის ეპარქიები) მიტროპოლიტ სერგის (სტრაგოროდსკი) მეთაურობით. მოსკოვი. 30 მარტი 1043 წ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიკითხოთ ის მღვდელნი, რომელნიც თავიანთი მღვდელმთავრების ერთგულებას ინარჩუნებდნენ, მიუხედავად მათი აშკარა ეკუმენიზმისა და კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობისა. ზუსტად ასევე, კიდევ უფრო არასწორი იქნება განვიკითხოთ ისინი, ვინც რწმენის შესანარჩუნებლად განზე გადგნენ, და იმავდროულად თავის შემცდარ ძმებს განუწყვეტელი ლოცვით თანაუგრძნობდნენ.

აღსანიშნავია ის, რომ თავიდან მოსკოვის საპატრიარქო ეკუმენიზმის მიმართ გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა, რასაც 1948 წლის 8-18 ივლისს მოსკოვში გამართული ადგილობრივი ეკლესიების ეპისკოპოსთა კრება მოწმობს. იგი რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის ხუთას წლისთავს ეძღვნებოდა. მასზე წარმოდგენილმა ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, საქართველოს, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ალბანეთის ეკლესიათა წარმომადგენლებმა უარყვეს მონაწილეობა მსოფლიო ეკუმენისტურ მოძრაობასა და ემს[6]-ში [6] რომელიც სწორედ იმ დროს ყალიბდებოდა.

ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (როტოვი) ხელმძღვანელობს დელეგაციას ნიუ-დელის ასამბლეაზე (1961 წ.), როდესაც რმე იძულებული გახდა შესულიყო ემს-ში

[6] ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

თუმცა მალევე, ერთი მხრივ, კომუნისტური პარტიის, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო საპატრიარქოს ზეწოლის შედეგად, მთელი ეს ეკლესიები მაინც გახდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრები. მოსკოვი განსაკუთრებით გამოირჩა, გამოაქვეყნა რა 1969 წლის 29 დეკემბერს რომოკათოლიკებთან ერთად ერთობლივი კომუნიკე.

დაიწყო ეკუმენისტური შეხვედრები, ერეტიკოსებთან ერთობლივი მსახურებები. ამავე გზით, საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის შედეგად დაიწყო აქტიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ყველა რელიგიას შორის, რომელთაც ერთობლივად უნდა ეღვაწათ „თავიანთი დიადი სამშობლოს“ კეთილდღეობისათვის. დღეს, პოსტეკუმენისტურ ეპოქაში, როცა ოფიციალურ რუსულ ეკლესიას ყველა პირობა გააჩნია თავისუფალი მოღვაწეობისათვის, მოსკოვი ძველებურად ვერ ბედავს „სერგიანული“ წარსულისაგან განთავისუფლებას, ღიად დაგმოს ეკუმენიზმის ერესი, აღიაროს და განადიდოს ყველა ახალმოწამე და გაასწოროს გარკვეული უზუსტობანი, რომელნიც საბჭოთა ტირანიის დროს საეკლესიო წესებში დამკვიდრდა. ეს არის მთავარი მიზეზი, რომელიც დღესდღეობით ხელს უშლის ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებულ რუსული ეკლესიის ერთ იურისდიქციაში გაერთიანებას[7].

ამსტერდამი, 1948 წ.

[7] ეს წიგნი რმე-სა და რმსე-ს დაახლოებამდე კარგა ხნით ადრე გამოვიდა და, შესაბამისად, დაახლოების პროცესი მასში ვერ აისახა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

- - -

1. პირველი კომუნისტური მთავრობის 22 წევრიდან 17 ებრაელი იყო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების 554 წევრიდან 447 ებრაული წარმომავლობის გახლდათ. ცხადია, რომ რევოლუცია ძირითადად არარუსულმა ძალებმა მსოფლიოს მასონობის დახმარებით მოახდინეს. ხოლო ყველაზე დიდი მსხვერპლი რევოლუციის შედეგად მართლმადიდებელმა რუსმა ხალხმა და მისმა ეკლესიამ გაიღო.

2. დაარსებულია 1921 წელს სრემსკის კარლოვცებში პატრიარქ ტიხონის მითითების საფუძველზე.

3. რუსეთში კატაკომბური ეკლესია არასდროს მიდიოდა იქამდე, რომ ემტკიცებინა, თითქოს ოფიციალური ეკლესიის წმინდა საიდუმლოებანი ნამდვილი არ იყო. ის მთლიანად გამოეყო ოფიციალურ იერარქიას, რომელიც კომუნისტებთან თანამშრომლობის სერგიანულ კოლაბორაციონისტულ კურსს მიჰყვებოდა, მიუხედავად ამისა არ უკრძალავდა მორწმუნეებს აუცილებლობის შემთხვევაში მიეღოთ ზიარება მოსკოვის საპატრიარქოს იმ ტაძრებში, რომელთაც ენდობოდნენ.

4. კომუნიზმის ფენომენის გასაგებად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ იგი არის არა უბრალო იდეოლოგია, არამედ რელიგია, ამიტომ, როდესა საუბარია კომუნისტურ რეჟიმზე, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ არა ა-თეიზმზე, (უღმერთობაზე) არამედ ანტი-თეიზმზეც, ღმრთისმბრძოლობაზეც. კომუნიზმმა ეკლესიის გარკვეული წესები და ტრადიციები ვულგარული გახადა, ჩაანაცვლა ისინი თავისი სუროგატებით. ლიტანიობა საპირველმაისო დემონსტრაციით შეცვალა, წმინდა ხატები - დიდი ბელადების საყოველთაოდ გამოფენილი პორტრეტებით, ღვთისმსახურება -სხვადასხვა სახის ყრილობებით, წმინდა ნაწილები - პარტიული ბელადების ბალზამირებული გვამებით. ამიტომაც კომუნიზმის აღმოფხვრა დეკრეტით შეუძლებელია, როგორც ყველა სხვა მწვალებლობა ის მხოლოდ სინანულით, აზროვნების სახის ცვლილებით იკურნება.

5. მამა სერაფიმე როუზი ბოლო წლებში წერდა: „„სერგიანელობის“ არსი იმ პრობლემაში მდგომარეობს, რომელიც დღეს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არის დამახასიათებელი: მართლმადიდებლობის აღქმის დაკარგვა, ეკლესიის გაგება, როგორც რაღაც თავისთავად არსებულისა, „ორგანიზაციის“ აღქმა როგორც

ქრისტეს სხეულისა და იმის რწმენა, თითქოს მადლი და წმინდა საიდუმლოებები - ეს რაღაც ავტომატურია…"(Not of This World, Platina, 1994).

6.ჟურნალ ,,Ortodox Press Service"-ში (№ 47, 29.11.1994) გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით ,,რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ეკუმენისტური ორგანიზაციებიდან გამოსვლას განიხილავს", ჩვენ ვიგებთ, რომ მოსკოვის საპატრიარქოსთან შექმნილია საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მოწოდებულია განიხილოს რმე-ს ემს[8]-დან გამოსვლისა და მწვალებლებთან დიალოგის შეწყვეტის პირობები და შესაძლო შედეგები. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რუსეთის ტერიტორიაზე რომო-კათოლიკური და პროტესტანტული უკონტროლო პროზელიტიზმი გახდა. ვატიკანი, მიუხედავად ბალამანდში მიღწეული ხელშეკრულებისა (1993), აგრძელებს რუსეთის განხილვას თავის terra missionis-ად[9].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო

ამასთან ერთად, სრული სვლით მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული ეკუმენისტური მოძრაობის ფორმირება, რომლის გვირგვინად 1948 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს [1] შექმნა იქცა. ექვსი წლის შემდეგ, 1954 წელს კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა ათინაგორამ გამოსცა ენციკლიკა, რომელიც ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანებისკენ მოუწიდებდა.. მიზეზი მეტად ბანალური წამოსწიეს, სახელდობრ - მომწიფებული აუცილებლობა ,,ხალხთა და ერთა დაახლოებისა" „თანამედროვეობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის" მიზნით. პატრიარქმა ქებით მოიხსენია ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რადგანაც იგი „უზრუნველყოფს ეკლესიათა ერთობლივ

---

[8] რმე - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ემს - ეკლესიათა მსოფლიო საბჭო - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[9] სამოღვაწეო, სამისიონერო ქვეყანა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მოღვაწეობასა და ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას“. ერთი სიტყვით, ამ დოკუმენტს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიისათვის ჩვეულ ენას იყენებდა, სრულიად გარკვეული, სეკულარული ორიენტაცია ჰქონდა.

უკვე, 1952 წლიდან დაწყებული, ცალკეულმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანება დაიწყეს, ხოლო 1955 წელს მსოფლიო საპატრიარქო ჟენევაში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შტაბ-ბინაში თავის მუდმივ წარმომადგენლებს აგზავნის. 1959 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კომიტეტი როდოსზე ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრას აწყობს. იქ ეკუმენიზმი პრაქტიკულად მართლმადიდებელი ეკლესიის კედლებს შიგნით აღმოჩნდა [2]. 1961 წლიდან მოყოლებული მართლმადიდებელმა ეკუმენისტებმა ეკუმენისტური იდეების განხორციელების მიზნით მთელი რიგი კონფერენციები მოიწვიეს. 1964 წელს მესამე ასეთი კონფერენცია როდოსზე ჩატარდა. პაპმა, ანგლიკანელმა კენტერბერიელმა მთავარეპისკოპოსმა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა შეკრებილებს თავიანთი მისალმება გაუგზავნეს. მართლმადიდებელი ეკუმენისტები მისალმებას მადლიერებით გამოეხმაურნენ. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მწვალებლებთან „დიალოგი“ „თანაბარუფლებიანობის საფუძველზე“ წარმართულიყო. გარდა ამისა, ხაზი გაესვა იმის აუცილებლობას, რომ ყველა ადგილობრივ ეკლესიას მხარი დაეჭირა „ერეტიკულ ორგანიზაციებთან ძმური ურთიერთობისათვის“. იმავე 1964 წელს პატრიარქი ათინაგორა შეხვდა რომის პაპს იერუსალიმში, ხოლო მომდევნო წელს კონსტანტინოპოლმა მოხსნა ანათემა, რომელზეც პაპის ერესი 1054 წელს იყო გადაცემული, ეს გაკეთდა მიუხედავად იმისა, რომ რომმა თავისი ცდომილება არ მოინანია.

იმდენად, რამდენადაც ახლა ჩვენ აქტიური ეკუმენისტური კონტაქტების პერიოდში შევდივართ, აუცილებლობად მიგვაჩნია, სარწმუნოდ წარმოვაჩინოთ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ზოგიერთი განცხადება, რომლის საქმესაც უკვე არაერთი ათწლეულია ჯიუტად აგრძელებენ მისი მიმდევრები.

---

1. მამა იუსტინე პოპოვიჩი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს უწოდებს „ერეტიკულ, ჰუმანისტურ, ადამიანთა მაამებელ კრებას, შემდგარი 263 მწვალებლობისაგან, რომელთაგნ ყოველი სულიერ სიკვდილს აღნიშნავს“. მისთვის ეს ორგანიზაცია სხვა არაფერია, თუ არა გაცოცხლებული, უღმერთო, კაცთმაამებელი-კერპთაყვანისმცელობა.

2. შამბეზში (ჟენევა) სრულიად მართლმადიდებელთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „მართლმადიდებელთაშორისი კომისია, რომელიც ჟენევაში მუშაობს, გამოხატავს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ორგანული ნაწილის, საერთო თვითშეგნებას, ასევე მტკიცე განზრახვას, შემდგომში გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება და შესაძლებლობა, ღვთისმეტყველების ჩათვლით, ეკლესიათა მსოფლიოს საბჭოს წარმატებული მუშაობისათვის“ (გადაწყვეტილება N 1). ცხადია, რომ საუბარია აბსოლუტურად ანტიმართლმადიდებლურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც განაცხადებს მწვალებლობას, თითქოს ერთი წმინდა და კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესია რაღაც „ზეეკლესიური“, სინამდვილეში კი მწვალებლური ორგანიზაციის „ნაწილს“ წარმოადგენს.

პატრიარქ ათინაგორას ეკუმენიზმი: „დოგმატების დრო წავიდა“ [1]

პატრიარქი ათინაგორა თავისი პროეკუმენისტური შეხედულებითა და პოზიციით ჯერ კიდევ იმ დროიდან არის ცნობილი, როცა ის თავიდან კორფუს მიტროპოლიტად (1922 წელი), ხოლო შემდეგ ამერიკის მთვარეპისკოპოსად (1947 წელი) აირჩიეს. შედგა რა ფეხი კათედრაზე, იგი 1949 წელს საჩქაროდ აგზავნის ამერიკის მთავარეპისკოპოს იაკობს, რათა მას სიტყვიერად დაედასტურებინა პაპ იოანე XXIII-სთვის

პატივისცემა, უწოდა რა მას „მეორე წინამორბედი“ [2] (!?!). ათინაგორას კონსტანტინეპოლის ტახტზე ასვლის შემდეგ დაიწყო ეკუმენიზმის ფართოდ დანერგვა მართლმადიდებელ ეკლესიაში. „ეკლესიათა ერთობის“ შესახებ თავის ეკუმენისტურ თეოლოგიაში პატრიარქი ათინაგორა იმ დებულებას ეყრდნობა, რომ სხვადასხვა ქრისტიანულ აღმსარებლობათა შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს [3]. რომ ყველა ისინი ერთ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას შეადგენენ, მიუხედავად მათ სწავლებებს შორის არსებული ცნობილი განსხვავებებისა. „მთვარი ამოცანა, რომელიც ჩვენი დროის ქრისტიანების წინაშე დგას, არის ის, განვიმსჭვალოთ იმ ცნობიერებით, რომ ჩვენ ყველანი ვართ ძმები ქრისტეში, რომ ყველა ერთ და ჭეშმარიტ ქრისტეს ეკლესიას ვეკუთვნით“ [4]. მაშინდელმა მცდელობებმა, საღვთისმეტყველო კამათის გზით ერთობისთვის მიეღწიათ, შედეგი ვერ გამოიღო, რადგან დოგმატური განსხვავებები ერთობის მიღწევას ხელს უშლიდა. ამიტომ პატრიარქი ათინაგორა თვლიდა, რომ ახალი დრო მოვიდა, დრო „სულიწმინდისა“, სწამდა, რომ ერთობისაკენ მხოლოდ ერთი გზა არის და ეს გზა „სიყვარულის დიალოგზე“ გადის, რომელშიც თავად სულიწმინდა წარმოაჩენს ერთ და განუყოფელ ქრისტეს ეკლესიის ერთობას [5].



პატრიარქი ათინაგორა ძმური კოცნით ეამბორება პაპ პავლე მე-6-ს

სიყვარულის დიალოგის წარსამართავად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, „წარსულში დავტოვოთ თეოლოგიური პრობლემები, რომლებიც ჩვენ გვყოფს“ და ვეცადოთ, „„ყოველთვის ქრისტეს სიყვარულით ვიყოთ გაერთიანებულნი“ [6]. და თავად იგი თავის შთაგონებულ საუბარში იტყვის: „დადგა დრო, დავიცვათ სიყვარული, დავმარხოთ საუკუნო სიძულვილი, გავათავისუფლოთ დამონებული ჭეშმარიტება და ნათელი მოვფინოთ რეალობას“ [7]. ამ პატრიარქ-მოდერნისტის აზრით, ქრისტიანობას დღეს შერიგების ახალი თეოლოგია სჭირდება [8].

პატრიარქი ათინაგორა ყველა ჯურის ერეტიკოსთა კრებულში

ცხადია, ამისათვის აუცილებელია მართლმადიდებლური სწავლების სრული რევიზია მოვახდინოთ. განსაკუთრებით - ეკლესიოლოგიისა. საუკუნო სწავლება, ათი ათასობით მოწამისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელთა ღრმა რწმენა იმისა, რომ ქრისტეს ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა და მხოლოდ მასშია ცხონების შესაძლებლობა, ეკუმენისტებისათვის წარსულის გადმონაშთია. ემხრობიან რა „განშტოებათა თეორიას“ [9], ისინი თვლიან, რომ აუცილებელია, ყველა ეკლესიამ ხელახლა დააფუძნოს წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რათა თავიდან ვიპოვოთ ქრისტე [10]. მაგრამ ეს როგორ უნდა მოხდეს? „ჩვენ გაერთიანების საშუალებად წმინდა ბარძიმს

გთავაზობთ...'' - თქვა ერთ-ერთ გამოსვლაში პატრიარქმა ათინაგორამ. სწორედ communion inter sacris [10] წარმოადგენს „სიყვარულის დიალოგის“ ძირითად მიზანს [11]. ამგვარად, კავშირი უნდა განხორციელდეს დოგმატური მინიმალიზმის საფუძველზე, ხოლო ყველა განსხვავება დავიწყებას მიეცეს როგორც ადგილობრივი ღვთისმეტყველური გადმოცემები, რომლებიც სრულიად არ არის აუცილებელი ყველასთვის შესასრულებლად. .

ამ მიმართულებით მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად აუცილებელი იყო 1054 წლის ანათემის მოხსნა, რაც გაკეთდა კიდეც მთელი ზარზეიმით 1965 წლის 7 დეკემბერს. კალმის ერთი უბრალო მოსმით გაუქმდა ანათემა პაპიზმის წინააღმდეგ და რომის „ეკლესია“ გამოცხადდა „და ეკლესიად“ [12]. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლის პატიარქისა და მისი მიტროპოლიტების პაპისადმი მიმართვაში ცოტა დაბნეულობა შეიმჩნევა. ისინი იყენებენ მთელ ტიტულებსა და გამოთქმებს, რომლებიც ჩვეულებრივ მიღებულია ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობისას [13]. მეტიც, პაპის სახელი შეიტანეს კონსტანტინეპოლის ეკლესიის დიპტიხში, რაც არის ერთ-ერთი ძირითადიი მაჩვენებელი იმისა, რომ მართლმადიდებლებად მიიჩნევიან ისინი, ვინც ქადაგებს ერესს, დაგმობილს წმინდა მამათა და საეკლესიო კრებათა მიერ. [14].

ყველა ქრისტიანული და არაქრისტიანული კონფესიის გაერთიანების იდეა, არსობრივად, პირველი ნაბიჯია მთელი კაცობრიობის გაერთიანების გზაზე, რაც, პატრიარქ ათინაგორასა და პავლე VI-ის აზრით [15], მათი უპირველესი ამოცანაა. ასე რომ, ქრისტიანული სამყაროს გაერთიანება - ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. პატრიარქ ათინაგორას შეხედულება არაქრისტიანულ მოძღვრებათა შესახებ აბსოლუტურად დაუშვებელია მართლმადიდებელი ეპისკოპოსისათვის. ის

[10] სიწმინდეში გაერთიანება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ღვთისა და სარწმუნოების ერეტიკულ გაგებას ასახავს [16] და მართლმადიდებლობას სხვადასხვა უღმერთო და მწვალებლურ მოძღვრებებთან ერთ დონეზე აყენებს.

პატრიარქი ათინაგორა და პაპი პავლე 6-ე სამღვდელოებასთან ერთად იერუსალიმში

პატრიარქ ათინაგორას პორტრეტს ავსებსს მისი დაუფარავი ღვწა მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი საეკლესიო წესებისა და ტრადიციების რეფორმირებისა და მოდერნიზირებისათვის. ამასთან დაკავშირებით პატრიარქის განცხადებების ანალიზისას, ნათლად ჩანს, რომ მას სავსებით არ ესმის სწორად წმინდა მამათა გადმოცემები და მათი მნიშვნელობა მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდის დაცვის საქმეში. ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, საუბარია არაკანონიკურ და მწვალებლურ აზრებზე.

ამ განცხადებათაგან ბევრმა მეტად მწვავე რეაქცია გამოიწვია [17]. ჩვენ პატრიარქ ათინაგორას გამოსვლებიდან ყველაზე რადიკალური ადგილები მოგვყავს, რომლებიც სავსებით ასახავენ მსოფლიო საპატრიარქოს განმაახლებლურ სულს. ბევრი შეიძლება ვისაუბროთ პაპისტებთან მისი ეკუმენისტური შეხვედრების შესახებ კონსტანტინოპოლსა და რომში, იერუსალიმში რომის პაპათან შეხვედრასა და მასთან ერთად ერთობლივ ლოცვაზე,ანათემის ცნობილ მოხსნაზე 1965 წლის 12 ივლისს, სომეხ მონოფიზიტებთან ლოცვით შეკრებებზე, 1967 წლის ოქტომბერში რომში ვიზიტზე , სადაც მან რომის პაპთან,

პავლე VI-სთან ერთად იმსახურა, და შემდეგ, მქუხარე აპლოდისმენტებისა და ფოტოაპარატთა ელვა-ნათების ფონზე, შეკრებილ ხალხს ლოცავდა.

უკეთ რომ გავიგოთ ეკუმენიზმის ჭეშმარიტი სახე, მოვიყვანოთ მოკლე ნაწყვეტები წიგნიდან „მშვიდობისმყოფელნი“, რომელიც დაწვრილებით ასახავს პატრიარქ ათინაგორას ოდისეას. მსგავს შემთხვევებში მსგავსვე რეჟისურას მისდევდნენ მისი მიმდევრები და თანამოაზრეები.

---

1. პატრიარქ ათინაგორას განცხადებიდან 29. 06. 63.

2.„თქვენო უწმინდესობავ, ჩემმა პატრიარქმა დამავალა თქვენთვის მეცნობებინა, რომ იოანეს სახარების პირველი თავის მეექვსე მუხლი თქვენთვის არის დაწერილი, და რომ მას სწამს, რომ სწორედ თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც ღმერთმა გამოგზავნა და რომლის სახელიც არის იოანე, და ამავე თავის მეშვიდე მუხლი თქვენს მისიას ეხება. ისევე, როგორც „ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს“ (იოან. 1, 6-8)“. მისასალმებელი სიტყვიდან.

3. „ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ დაბრკოლებას რომისა და აღმოსავლური ეკლესიების გაერთიანების გზაზე. ამ დაბრკოლებებს ვერ ვხედავთ, რადგანაც ისინი უბრალოდ არ არსებობს („ორთოდოქსოს ტიპოს“)[11].

4. „ჩვენ, მართლმადიდებლები და კათოლიკები, ძმები ვართ. პეტრე და ანდრია ძმები იყვნენ, ოღონდ ერთი რომში ცხოვრობდა, მეორე კი - საბერძნეთში. ჩვენც ასე უნდა ვიყოთ: კათოლიკები და მართლმადიდებლები ახლობლები და ძმები ვართ. ღია ჭიშკარი გველოდება, მხოლოდ შესვლაა საჭირო.“ („კათოლიკი“, 24.1. 62).

5. ,,თანამედროვე „სიყვარულის დიალოგი“, რომელიც შიშველი სენტიმენტალიზმის ფორმით მიმდინარეობდა, სინამდვილეში მაცხოვნებელ სულიწმინდასა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე უარის თქმაა. სიყვარულის არსი ჭეშმარიტებაა, და სიყვარული ჭეშმარიტებაში ცოცხლობს. . . სიყვარულისა და ჭეშმარიტების

---

[11] ორთოდოქსოს ტიპოს - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ოფიციალური გაზეთი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მწვალებლური და ჰუმანისტური განყოფა ოდენ ნიშანია ღმერთ-კაცობრივი რწმენის უკმარობისა და სულიერი წონასწორობისა და საღი აზროვნების დაკარგვისა. ყოველ შემთხვევაში ეს არცერთ შემთხვევაში წმინდა მამათა გზა არ არის". მამა იუსტინე (პოპოვიჩი).

6. მელქიტელი უნიატელი პატრიარქის მაქსიმე IV-სადმი მისასალმებელ სიტყვაში წერია (Καθολικη, 22, 1964): ,,ჩვენ ახალ დროებაში ვცხოვრობთ. დაუტეოთ წარსული, თეოლოგიური პრობლემები, რომლებიც ჩვენ გვყოფს, დავუტოვოთ ისინი მათ, ვისაც ისინი სჭირდებათ, ჩვენ კი ამ წუთიდან ვეცადოთ, მუდამ ერთად ვიყოთ ქრისტესმიერ სიყვარულში."

7. „ჩვენ დავიწყებთ ეკლესიის მესამე პერიოდს, სიყვარულის, შერიგებისა და ერთობის პერიოდს. . . დადგა დრო, დავიცვათ სიყვარული, დავმარხოთ საუკუნო სიძულვილი, გავათავისუფლოთ დამონებული ჭეშმარიტება და ნათელი მოვფინოთ რეალობას."

8. „მოგიწოდებთ (ყველას), დაუტეოთ თეოლოგიაში პოლემიკისა და დაპირისპირების ტონი და ამიერიდან დავეფუძნოთ სიყვარულსა და მოთმინებაში ჭეშმარიტების ძიებისა და შესწავლის სულს. ქრისტიანობას ყოველთვის სჭირდება შერიგების თეოლოგია" (ნაწყვეტი ბელგრადის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე გამოსვლისას წარმოთქმული სიტყვიდან, Εθνοφ, *13. 10. 67).*

9. განშტოების თეორია, რომელსაც წმინდამამებისეული მართლმადიდებლობის მოშურნენი სამართლიანად აკრიტიკებდნენ, ბოლო დროს შეცვალა არანაკლებ მწვალებლურმა თეორიამ „ეკლესიათა ოჯახების" შესახებ,, რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ერესის ნათესაობას ამტკიცებს.. ეს ორივე თეორია არავითარ შემთხვევაში რელიგიური ცნობიერების გამოვლინებას არ წარმოადგენს, რადგანაც პლურალიზმის ფილოსოფიას ეფუძნება, რომელიც აბსოლუტის არსებობას უარყოფს,ან, უკიდურეს შემთხვევაში, - მისი მიღწევის შესაძლებლობას. ყოველი პოზიტიური რელიგია საკუთარ თავს სწორედ აბსოლუტთან დაკარგული კავშირის აღდგენის საშუალებად აცხადებს. ეკუმენიზმი, ამგვარად, არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც პროფანებისათვის (და არა გათვითცნობიერებულთათვის) მათთვის ახალი, ანტიქრისტეს რელიგიის თავს მოხვევის საშუალებაა. მისი შესაბამისი ანტიეკლესია, როცა იგი სრულად აღშენდება და აღზეიმდება, გამოუცხადებს მთელ მსოფლიოს თავის მაქსიმალურად შესაძლებელ ტოტალიტარიზმს, რომელსაც ამჟამად საგულდაგულოდ მალავს.. იმ დროისთვის მისი

ამჟამინდელი სენტიმენტალიზმისა და სიტკბოების კვალიც არ დარჩება. რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

10. იერუსალიმში პაპთან შეხვედრისას პატრიარქმა განაცხადა: ,,ეს არ არის უბრალოდ ორი პასუხისმგებელი პირის შეხვედრა. მას დიადი მიზანი აქვს - თავიდან ვიპოვოთ ქრისტე (ναπανευρωαμεν τον Χριστον), რომელიც მხოლოდ იმათთან არის, ვინც ერთადაა, და არა მათთან, ვინც განყოფილია (წიგნიდან Ειρηνοποι, გვ. 135).

11. ,,ამ დიალოგს იმ მიზნით წარვმართავთ, რომ მივაღწიოთ ჩვენს ძირითად მიზანს - საერთო ბარძიმს, რომელიც ჩვენ ათასწლეულის მანძილზე, 1054 წლამდე გვქონდა. ჩვენ მაშინაც გვქონდა აზრთა სხვადასხვაობა, რადგან მაშინაც იყვნენ თეოლოგები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წმინდა საიდუმლოებრივი ერთობა გვქონდა"(ლონდონში გამოსვლიდან 13.11.67წ.).

12. არცერთმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გამოხატა პროტესტი ამ არაკანონიკური და არამართლმადიდებლური აქტის წინააღმდეგ. პროტესტები გაგზავნეს მხოლოდ ცალკეულმა პირებმა, ასევე რუსულმა საზღვარგარეთულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ძველი სტილის მომხრეებმა. რამდენადაც საუბარია არაკანონიკურ და წმინდა გადმოცემის საწინააღმდეგო აქტზე, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ იგი არ ავალდებულებს მართლმადიდებლებს, მიიღონ იგი.

13. უამრავ მაგალითს შორის ერთ-ერთია პატრიარქ ათინაგორას მისალმება პავლე VI-ისადმი, წარმოთქმული 1967 წელს რომში მისი ვიზიტისას. „ჩვენ განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდით რომში, ღირსეულ ეპისკოპოსთან ჩამოსვლის გამო, რომელიც მოციქულებრივი მადლის მატარებელია და მიმდევარია წმინდა და ბრძენ კაცთა მთელი პლეადისა, რომელთაც პატივი ერგოთ დაეკავებინათ მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიათა მთელი ერთობის უპირველესი ტახტი".(Κατηολικη, 7. 12. 67).

14. „თქვენ გვერდით ყოფნისას, თქვენო უწმინდესობავ, მე განსაკუთრებული გრძნობით გიხსენიებთ თქვენ და თქვენს წმინდა რომო-კათოლიკურ ეკლესიას ლოცვაში, ყოვლადპატიოსან საპატრიარქო ტაძარში წმინდა ლიტურგიის დროს"(Κατηολικη, 4.11. 69.).

15.,,ვიმედოვნოთ, რომ მალე განხორციელდება ყველა დროის ქრისტიანთა ოცნება ეკლესიათა გაერთიანების შესახებ... ეს დიალოგი ქრისტიანულ ეკლესიათა გაერთიანებამდე მიგვიყვანს, რაც

საყოველთაო გაერთიანების გზაზე პირველი ნაბიჯი გახდება "(Κατηολικη, 18.8.63). *„ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როდესაც რომის პაპი ყველა ჩვენთაგანზე წინ მიდის. ჩემს საყვარელ ძმას პავლე VI-ს ჩვენ მეორეს ვუწოდებთ და არა მეექვსეს, რადგან იგი პავლე მოციქულის შემდგომვე უნდა დაბადებულიყო - მან იმდენად დიდი შორსმჭვრეტელობა და გამბედაობა გამოიჩინა, რომ შეგვიძლია მას ისტორიაში უდიდესი პაპი ვუწოდოთ"* (Κατηολικη, 24.5.67).

16. ,,ჩვენ ძალიან ვცდებით, თუ ვფიქრობთ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ციდან ჩამოვიდა, ხოლო სხვა კონფესიები კი არაფრად არ ღირს. სამასმა მილიონმა ადამიანმა აირჩია ისლამი და ისწრაფვიან თავიანთი ღმერთისკენ. არსებობს ასეული მილიონი პროტესტანტი, კათოლიკი, ბუდისტი. ნებისმიერ რელიგიის მიზანია - განამდიდროს ადამიანი.(„ორთოდოქსოს ტიპოსი",1968).

17. მაგალითის სახით მოვიყვანთ ამონარიდებს პატრიარქ ათინაგორას ინტერვიუდან გაზეთისადმი... 20 3.1970. ამ სკანდალური განცხადებების შედეგი გახდა ის, რომ საბერძნეთის ეკლესიის ოთხმა მიტროპოლიტმა ავგუსტინე ფლორინელის მეთაურობით შეწყვიტა პატრიარქის მოხსენიება. „დღესღეობით ანაფორა უკვე არაფერს აღარ ნიშნავს. . . ანაფორა მღვდლად არ აქცევს, მღვდელმა საკუთარი თავი მანტიის გარეშეც უნდა წარმოაჩინოს. ეს არის მთელი საქმე. რასაკვირველია, რეალისტები უნდა ვიყოთ და, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების არ უნდა გვეშინოდეს. ხშირად ვამბობთ: ეს ტრადიციაა, დაე, ასე იყოს. ეს შეცდომაა, უზარმაზარი შეცდომა. რამდენია ეკლესიაში უმართებულო, არც ისე ძველი ტრადიცია, ამიტომაც უნდა ვიბრძოლოთ, მათგან გავთავისუფლდეთ. . . ჩვენ ასევე აბსოლუტურად ვეთანხმებით სასულიერო პირთა ქორწინებას მათი ხელდასხმის შემდეგ. ხელდასხმა არ არის ქორწინების დამაბრკოლებელი. . . ჩვენ *გვადანაშაულებენ კურსის სიმცდარეში. ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვიქნებოდით, თუკი ეკლესიათა გაერთიანების საკუთარ ვარიანტს შემოგვთავაზებდნენ. . . ჩვენ ამის საშუალებად წმინდა გარძიმს გთავაზობთ. ჩვენ საერთო ბარძიმი მაშინაც გვქონდა, როდესაც 1054 წლამდე განყოფილი ვიყავით დასავლეთისაგან.. შემდეგ საქმე განხეთქილებამდე, ორი, დასავლეთისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიის მხრიდან ანათემამდე მივიდა. მაშ, სად არის დაბრკოლება? ამბობენ, რომ ჩვენ მრავალი განსხვავება გვაქვს. რომლები? პრიმატი და უცდომელობა? ეს რა ჩვენი საქმეა? დაე, ყველა ეკლესიამ თავის ჩვეულებებს მიხედოს. თუ კათოლიკურ ეკლესიას სურს, დაე, ამას*

მისდიოს. მაგრამ მე თქვენ გეკითხებით: სად არის დღეს ეს უცდომელობა, როცა პაპს ჰყავს საბჭო, რომელიც თხუთმეტი წევრისაგან შედგება? ამას გარდა, ჩვენ ყველანი საკუთარ თავს უცდომელად მივიჩნევთ. ჩვენს საქმეში, ყველაფერში განა გკითხავს შენი ცოლი, წვნიანს რა ოდენობის მარილი უყოს? რა თქმა უნდა, არა. მას თავისი უცდომელობა გააჩნია. ჰქონდეს ეს პაპსაც, თუკი ასე სურს. ჩვენ ამას არ ვეძიებთ. თეოლოგიური დიალოგი შედეგს არ მოგვცემს. ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ და ამისთვის კიდევ ასი წელი დაგვჭირდება. მხოლოდ ერთი დიალოგია შესაძლებელი - დიალოგი სიყვარულისა".

ჩვენ წინაშე პლურალიზმის ნამდვილი აპოთეოზია: არ არის ეკლესიოლოგია, არ არის წმინდა მამათა სწავლებანი, არ არის საეკლესიო გარდამოცემა, არ არის, დასასრულ, თვით ეკლესიის ისტორია! ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ერთ რამემდე მიდის: არ არსებობს ჭეშმარიტება - არ არსებობს ქრისტე!

შეხვედრა იერუსალიმში

პაპ პავლე VI-ისა და პატრიარქ ათინაგორას იერუსალიმში შეხვედრა, ბოლო 526 წლის მანძილზე, პირველი შეხვედრა იყო რომისა და კონსტანტინეპოლის მეთაურებს შორის, თუ არ ჩავთვლით პატრიარქ იოსებ II-ისა და პაპ ევგენი IV-ის შეხვედრას ფერარაში. პაპთან ერთად „მამაო ჩვენოს" წაკითხვის, მშვიდობის კოცნის ურთიერთგაცვლისა და შეკრებილთა დალოცვის შემდეგ პატრიარქმა პაპს მიართვა მღვდელმთავრის ძვირფასი პანაღია მაცხოვრის გამოსახულებით - მართლმადიდებელ იერარქთა სამღვდელმთავრო ძალაუფლების სიმბოლო. იქ მყოფმა ბერძნებმა შესძახეს: „უწმინდესო, გულზე დაკიდეთ მას!" ეს სიტყვები პაპს გადაუთარგმნეს, და მან ცრემლიანმა მოიხსნა ოლარის მსგავსი შესამოსელი, ხოლო პატრიარქმა მღელვარებისაგან აკანკალებული ხელებით მას პანაღია ჩამოკიდა კისერზე. მაშინ კი ყველამ დაიძახა: „აქსიოს!" [1] - პაპის ამალის წევრები გაოცდნენ, სავარაუდოდ, პირველად გაიგონეს რა

მართლმადიდებლური ხელდასხმის ხმამაღალი დასტური. ეს წამოძახილი იყო ყველაზე მჭევრმეტყველური აღიარება მსოფლიოს ეკლესიათა სამღვდელოების ერთობისა[12].

პაპი პავლე VI პირველმოსაყდრე კლერიკოსებისა და საეკლესიო ერის წარმომადგენელთა მიერ მათ თანამოძმე-მღვდელმთავრად იქნა აღიარებული. ნაჩუქარ პანაღიას პაპი რომში დაბრუნების შემდეგაც არ იხსნიდა, ასევე ის მას პატრიარქთან შემდგომი შეხვედრების დროსაც იკეთებდა. ამის შემდეგ, კიდევ, პატრიარქმა წმინდა მთის 1000 წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავად მას ულამაზესი ნახელავი ოქროს ჯვარი აჩუქა, ხოლო მის ამალას - სხვა საჩუქარები. ურთიერთ სამადლობელი სიტყვების გაცვლის შემდეგ ისინი საპატრიარქო სასახლის აივანზე გავიდნენ და იქიდან დალოცეს შეკრებილები. შემდგომ ლოცვა-კურთხევა გამეორდა, მას მოჰყვა მშვიდობის კოცნით ურთიერთამბორი, ამის შემდეგ პირველიერარქები ერთმანეთს დაშორდნენ.

პატრიარქი ათინაგორა ხელს აწერს ქარტიას ანათემის მოხსნის შესახებ

[12] ეს სიტყვა არ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტი ერთობის მნიშვნელობით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

---

1. ღირსია (ბერძ.). ერეტიკოსი-ლათინები.

ანათემის მოხსნა

პატრიარქ ათინაგორას სინოდის რვა წევრიდან ანათემის მოხსნის დოკუმენტზე ხელი ექვსმა მოაწერა. ხელის მოწერაზე უარი იაკობ დერკისკელმა და მაქსიმე სარდსკელმა განაცხადეს. 1965 წლის 7 დეკემბერს ცერემონია რომსა და ფანარაში ერთდროულად მიმდინარეობდა. მართლმადიდებელთა დელეგაციაში შედიოდნენ მიტროპოლიტი მელიტონ ილიუპოლელი, არქიეპისკოპოსი იაკობ ამერიკელი, მიტროპოლიტი ათინაგორა ფიატირელი და ქრიზოსტომ ავსტრიელი, რომელსაც თან ახლდნენ არქიმანდრიტი მაქსიმე აგიორგუსია და დიაკონი ბართლომეოს არხონდონისე (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი). ვნახოთ, ამის შესახებ რას მოგვითხრობს ეკუმენისტური წიგნი „მშვიდობისმყოფელნი“: „11სთ. და 10წთ-ზე საპატრიარქო ტაძარში მობრძანდა დელეგაცია კარდინალ ლაურენცია სეხანის მეთაურობით. სადღესასწაულო შესამოსლით შემოსილი სტუმრები ამბიონზე მიაცილეს. პატრიარქი თავისი ტახტიდან წამოდგა, მოეხვია და ეამბორა კარდინალს, გადაკოცნა მთავარეპისკოპოსი და დელეგაციის სხვა წევრები. კარდინალი იქვე ახლოს, მისთვის გამზადებულ ტახტზე დაბრძანდა. როდესაც სახარების წაკითხვის დრო დადგა, წმიდა სინოდის მდივანმა, გაბრიელმა ამბიონიდან პაპისა და პატრიარქის ერთობლივი განცხადება წაიკითხა“. ამ ცერემონიამ თავის აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც არქიმანდრიტმა შემდეგი სიტყვები წაიკითხა: „ეკლესიის მეხსიერებიდან იშლება ასევე ადრინდელი ანათემებიც, რადგანაც მათი გახსენება ხელს უშლის ურთიერთდაახლოებასა და სიყვარულის დამკვიდრებას... გამოვხატავთ სინანულს სამწუხარო მოვლენების გამო, რომლებიც წინ უძღოდნენ ანათემას და რაც მას მოჰყვნენ; ისინი

სხავადასხვა ფაქტორთა მოქმედებების შედეგს წარმოადგენდნენ, რომელთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის უკმარობა იყო, რამაც საბოლოოდ ეკლესიური ერთობის შეწყვეტამდე მიგვიყვანა...“. ამის შემდგომ პატრიარქმა საზეიმოდ წაიკითხა აქტი ანათემის მოხსნის შესახებ. იმავე დღის 19 საათზე კონსტანტინოპოლში, სულიწმიდის სახელობის ტაძარში პონტიფიკალური[13] საზეიმო მესა აღესრულა, რომლის დროსაც ჟღერდა საზეიმო სადიდებელი TE DEUM („შენ გიგალობთ, უფალო“).

და რა ხდებოდა იმ დღეს ვატიკანში? „7 დეკემბერს, 16 საათზე რომში პატრიარქის დელეგაციის მეთაური მიტროპოლიტი მელიტონი ჩავიდა. აეროდრომზე მას სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები დახვდნენ. 20 საათსა და 30 წუთზე დელეგაცია წმინდა პეტრეს ტაძარში მიაცილეს, რომელიც პირთამდე გადავსებული იყო სასულიერო პირებისა და ხალხის მიერ. შესვლისას მიტროპოლიტი მანტიით შეიმოსა. მიტროპოლიტი და დელეგაციის სხვა წევრები კარდინალ იოჰან ვილებრანდსის თანხლებით, რომელიც სრული საეპისკოპოსი შესამოსლით იყო შემოსილი, შევიდნენ ტაძარში და საკურთხევლის მარჯვნივ, სამეფო გვარების წარმომადგენელთა შემდეგ დაეწყვნენ. ღვთისმსახურება ამაღელვებელი საზეიმო ატმოსფეროში დაიწყო. დაიწყო ჯვრით მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობდა ვატიკანის მეორე კრების 2399 წევრი, ლიტურგიკულ შესამოსელში გამოწყობილი პატრიარქები, კარდინალები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და, ბოლოს, თვით პაპი პავლე VI, რომელიც შემობრძანდა (აქამდე პაპი სპეციალური სატარით შემოჰყავდათ), ასევე თეთრი სამღვდელმთავრო სამოსლით შემოსილი, მოოქროვილი მიტრითა და ხელში სამღვდელმთავრო კვერთხით. მან ხალხი აკურთხა და თავის ტახტზე აბრძანდა“. ბოლო ოთხი კრების გადაწყვეტილებათა წაკითხვის შემდეგ პაპის მდივანმა,

[13] პონტიფიკი - რომის პაპი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მთავარეპისკოპოსმა პერიკლო ფელიჩიმ სიტყვა გადასცა კარდინალ ვილებრანდსს, რომელმაც პატრიარქისა და პაპის ფრანგულ ენაზე დაწერილი ერთობლივი განცხადება წაიკითხა. მალევე დაიწყო პონტიფიკალური მესა, რომელშიც 24 იერარქი მონაწილეობდა. შემდეგ მიტროპოლიტი მელიტონი კარდინალის თანხლებით მიიყვანეს პაპის ტახტთან, სადაც კარდინალ ბეამ ლათინურად წაიკითხა პაპის ბრძანება ანათემის მოხსნის შესახებ („Ambulate in Dilection“-,,იარეთ სიყვარულით“), რომელშიც გამოხატული იყო სინანული წარსულში მომხდარი უამრავი გაუგებრობის გამო და გამოთქმული იყო იმედი, რომ ანათემის მოხსნა შესაძლებელს გახდიდა სრული ერთობის დამყარებას. შემდგომ, მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე, პაპმა ეს ბრძანება მელიტონს საზეიმოდ გადასცა, რის შემდეგაც ისინი მშვიდობის კოცნით ერთმანეთს ეამბორნენ. ამ ყველაფერს პაპის რადიოსადგური მთელ მსოფლიოში გადასცემდა. მესის დასრულების შემდეგ პაპმა კონსტანტინეპოლის დელეგაცია თავის რეზიდენციაში მიიღო. მიტროპოლიტმა მელიტონმა ისარგებლა შემთხვევით და განაცხადა: „დღეს ორი პირველი ტახტისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთში ოფიციალურად ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც მათ საშუალებას მისცემს თანდათანობით დაძლიონ განსხვავებები... შენ, როგორც საქრისტიანოს პირველ ეპისკოპოსს და რიგით მეორეს, შენს ძმას, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს, დღევანდელი მოვლენების შემდეგ შეგიძლიათ მრავალი საუკუნის შემდეგ, ერთითა გულითა და ერთითა პირითა პირველად მიმართოთ ხალხს, რომლებიც ეკლესიასა და მის გარეთ მღელვარებით ელიან დალოცვასა და მშვიდობას“.

პაპი პავლე VI კონსტანტინოპოლში

„პაპი, პატრიარქის მიერ იერუსალიმში ნაჩუქარი პანაღიით, საპატრიარქო ტაძრის შესასვლელთან მივიდა. ზარები რეკენ, გაისმის მისალმების შეძახილები და აპლოდისმენტები. მას

ხვდებიან ქალკედონელი მტროპოლიტი მელიტონი და იაკობ დერკიელი. პაპს მიუახლოვდა საზეიმო პროცესია, - მასში არიან დიაკვნები და არქიმანდრიტები, შემოსილნი ოქრომკედით ნაქსოვ შესამოსელში, ისინი მას მიაცილებენ წმინდა გიორგის საპატრიარქო ტაძრის შესასვლელკენ. იქ მას მოელის პატრიარქი. ცრემლიანნი ისინი მშვიდობის კოცნით ეამბორებიან ერთმანეთს და ერთად შედიან ტაძარში, სადაც 35 მგალობლისაგან შემდგარი გუნდი გალობს: „აჰა, ესერა, რაჲმე კეთილ, ანუ რაჲმე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ ძმათა ერთად?“ (ფს. 132,1). პირველიერარქები ადიან შემაღლებულ ადგილას, სადაც აღსავლის კარების წინ ორი ერთნაირი ტახტი დგას. აქ ისინი ლოცულობენ. პაპის მარჯვნივ უწმინდესი სინოდი და სტუმრად ჩამოსული იერარქები არიან. პატრიარქის მარცხნივ - კარდინალები და მთავარეპისკოპოსები პაპის ამალიდან. სულიწმიდის, პეტრესა და პავლეს და ღვთისმშობლის ტროპარებს მოჰყვება სადიდებელი და კვერექსი, რომელთაც დიაკვნები კითხულობენ. პირველად ხუთასი წლის შემდეგ მართლმადიდებელთა ბაგეთაგან ისმის: „უწმინდესისა რომის პაპისა და მთავარეპისკოპოსისა და პატრიარქისა ჩუენისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ ეს იყო ამაღელვებელი [14] ერთობლივი ლოცვა, პირველად აღვლენილი საკურთხევლის ტრაპეზისა და ხალხის წინაშე. ღვთისმსახურება პატრიარქის ლოცვითა და „მამაო ჩუენოს“ ერთობლივი წაკითხვით დამთავრდა. ამას მოჰყვა იერარქთა მისალმებები დიალოგის ფორმით.

პაპი: ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! სამ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ უფალმა თავისი უსაზღვრო წყალობით მოგვამდლა ჩვენ შესაძლებლობა შეგხვედროდით წმინდა მიწაზე, იქ, სადაც ქრისტემ დააფუძნა თავისი ეკლესია, სადაც მისთვის დაღვარა თავისი სისხლი... დღეს კი თავისი ეკლესიის მიმართ ქრისტეს

[14] ეს სიტყვა აღწერს ატმოსფეროს და არა ავტორის პოზიტიურ დამოკიდებულებასა და შეფასებას მომხადისადმი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

სიყვარულმა ჩვენ მშვიდობის ურთიერთამბორსა და ძმურ სიყვარულთან მიგვიყვანა, აქ, სადაც ჩვენი განსვენებული მამები ერთითა გულითა აღიარებდნენ წმინდა სამებას, განუყოფელსა და ერთარსებას.

პატრიარქი: უწმინდესო და ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო! დიდება უფალს, რომელი იქმს სასწაულებს, რომელმაც თავისი უსაზღვრო სიყვარულითა და უმაღლესი პატივით ღირსგვყო მიგვეღო თქვენი ღრმადპატივცემული და უძვირფასესი უწმინდესობა, მოსული ჩვენთან უძველესი რომიდან და ამბორისმყოფელი თავისი უმცროსი დისა. (იგულისხმება ახალი რომის - კონსტანტინეპოლის ეკლესია.)

პაპი: ქრისტესადმი ჩვენი სიყვარულისა და ერთმანეთის მიმართ ძმური სიყვარულის ნათელ ფონზე ჩვენ აღმოვაჩენთ ღრმა მსგავსებას ჩვენს მოძღვრებათა შორის, ხოლო იმან, რაც განგვასხვავებს, ხელი არ უნდა შეგვიშალოს, ვიგრძნოთ ეს ერთობა.

პატრიარქი: უფალს ჩვენ თანდათან მივყავდით და ბოლოს ჩვენი ისტორიის მტკივნეულ წერტილამდე მიგვიყვანა. და მან გვაკურთხა, აგვეხადა ის ფარდა, რომელიც ჩვენ გვყოფდა... მისი ნების მორჩილნი, ჩვენ მოგიხმობთ ყველას ქრისტეს საერთო ბარძიმთან სიყვარულსა და რწმენაში ერთობისაკენ ...

პაპი: სიყვარული საშუალებას გვაძლევს ჩვენ დავინახოთ, თუ როგორ ძლიერდება ჩვენი ერთობა ერთობლივი ღვთისმსახურებისას და წარმართავს მთელ ძალისხმევას უფლის იმ დღის მოსაახლოებლად. . . ვაღიაროთ ერთმანეთი და პატივი ვცეთ ერთურთს. . . ვიზრუნოთ ერთობის შესანარჩუნებლად და საღვთო ერის გასამრავლებლად და გავურბოდეთ ყველაფერს, რასაც შეუძლია ერთმანეთისაგან გაგვყოს. სიყვარული - ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილია, რომელიც აუცილებელია რწმენის განსამტკიცებლად, ხოლო ჭეშმარიტებაში ერთობა არის პირობა სიყვარულის მთელი სისრულით გამოვლენისა, რომელიც ერთობლივი ღვთისმსახურებით გამოიხატება.

პატრიარქი: აღვაშენოთ სხეული ქრისტესი, შევაგროვოთ ის, რაც გაიბნა ჩვენი საეკლესიო არეულობების გამო... წარვმართოთ თეოლოგიური დიალოგი სრული ერთგვაროვნების პრინციპების გასათავისებლად, ერთსახოვნებისა, დაფუძნებული ჭეშმარიტებასა და თავისუფლებაზე.
პაპი: გეამბორებით პირუთვნელი სიყვარულითა და წმინდა ამბორით.
პატრიარქი: კურთხეულ ხარ შენ, ძმაო, უფლის სახელით მოსულო“.

ამ საუბრის შემდეგ მათ საჩუქრები გაცვალეს. პატრიარქმა პაპს ოქრომკერდით ნაქსოვი მე-16 საუკუნის ოლარი აჩუქა. მასზე მიძღვნის წარწერა იყო, რომელიც ამბობდა: ,,საერთო მადლი - მღვდლობა - ეს ნიშანია, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ მოციქულების დროიდან გვაქვს“. როცა პატრიარქი პაპს ოლარის გაკეთებაში მიეხმარა, ხალხმა დაიწყო ყვირილი „აქსიოს!“. სანაცვლოდ პაპმა პატრიარქს აჩუქა მხატვარ ტრენტ ლოგარეტის მიერ შესრულებული ხატი, რომელსაც პატრიარქი მიემთხვია. ღვთისმსახურება ერთობლივი დალოცვით დასრულდა. პაპმა კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს ბოლო მუხლი წაიკითხა ლათინურად, ხოლო პატრიარქმა ლიტურგია ჩამოლოცვით დაასრულა. ამის შემდეგ გუნდმა პაპსა და პატრიარქს მრავალჟამიერი უგალობა. „უწმინდესსა და უნეტარესს რომის პაპ პავლე VI-ს მრავალჟამიერ!“. ამას მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. ამის შემდეგ უმაღლესი იერარქები ეკლესიიდან გამოვიდნენ და დალოცეს ხალხი. საპატრიარქოს ეზოში შემდგარ საუბარში პაპმა პატრიარქს სთხოვა, მართლმადიდებელი პატრიარქებისათვის ძმური სიყვარულის მოკითხვა გადაეცა და დაჰპირდა, რომ თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებდა, რათა გაერთიანების დღე მოეახლოებინა.

21 საათსა და 10 წუთზე პაპი სულიწმიდის სახელობის ლათინურ ეკლესიაში მივიდა. მას ზარების ხმამაღალი რეკვით დახვდნენ და ძლივს შეძლო მან თავისი ამალით შეკრებილი ხალხის რიგებში გარღვევა. შერეული გუნდი ორღანის

თანხლებით გალობდა ,,Christus vincit”. სტიქოლოგიის შემდეგ, რომელიც პაპისათვის ლოცვას შეიცავდა, გუნდმა იგალობა: ,,ATHENAGORAS ARCHIEPISKOPO COSTANTINOPOLITANO ET OECUMENICO PATRIARCHA VITA, PAX ET FELICITAS PERPETUA[15] [1]”. ამის შემდეგ ორივე პირველმოსაყდრე საკურთხევლის წინ გამზადებულ სადღესასწაულო ტახტრევანზე დაბრძანდა. პაპს იერუსალიმში ნაჩუქარი პანაღია და ოქრომკედით ნაქარგი ოლარი ეკეთა, ხოლო პატრიარქს - პაპ იოანე XXIII-ის ოქროს ჯვარი. ღვთისმსახურება სულიწმიდის ჰიმნით „Veni creator spiritus” დაიწყო. შემდეგ პაპმა წაიკითხა ლოცვა, რასაც სამოციქულოს (ეფ. 3. 8-12) და სახარების (იოან. 14, 23-30) წაკითხვა მოჰყვა. გუნდმა კვლავ ჰიმნი ,,Ubi caritas“ იგალობა. შემდეგ დაიწყო მრავალჟამიერი ორივე უმაღლესი იერარქისათვის. წირვა დამთავრდა ჩამოლოცვითა და ორივე ენაზე „მამაო ჩვენოს“ წაკითხვით, რის შემდეგაც პაპი და პატრიარქი მშვიდობის კიცნით ერთმანეთს ეამბორნენ და ერთად დალოცეს სამღვდელოება და ხალხი, ხოლო შემდეგ დატოვეს ტაძარი იმ დროს, როცა გუნდი გალობდა „Magificat anima mea dominum“ („აკურთხევს სული ჩემი უფალსა“).

პატრიარქი ათინაგორა ვატიკანში

1967 წლის 26 ოქტომბერს, პარასკევს, პაპი პავლე VI და პატრიარქი ათინაგორა რომში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. აცრემლებული თვალებით, სიყვარულის გამოხატვითა და ძმური კოცნით ეამბორნენ ერთმანეთს, რასაც ევროვიზიის არხით მილიონობით მაყურებელი ადევნებდა თვალყურს. ეს იყო ყველაზე არსებითი დამტკიცება სარწმუნოებაში

[15] კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქ ათინაგორას სოცოცხლე, ხოლო ჩვენ მშვიდობა და განუწყვეტელი ბედნიერება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ერთობისა[16]. ხალხის დალოცვის შემდეგ პირველიერარქები გადაჭედილ ტაძარში შევიდნენ, სადაც ადგილები უკვე დაეკავებინათ კარდინალებს, ეპისკოპალური სინოდის ორასზე მეტ წევრს, სამღვდელოებისა და ბერმონაზვნობის წარმომადგენლებს, დიპლომატიური კორპუსის წევრებსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

წმინდა საიდუმლოთა და ღვთისმშობლის სამლოცველოების თაყვანისცემის შემდეგ პირველიერარქები პეტრე მოციქულის საფლავისკენ გაემართნენ და იქ ჩუმად ილოცეს. ამ დროს სიქსტის კაპელის გუნდი სხვადასხვა საგალობელს ასრულებდა.

პატრიარქი ათინაგორა პაპ პავლე VI-ს თანამსახური რომის წმ. პავლეს ტაძარში

შემდეგ პატრიარქმა პაპს ბიზანტიური საცეცხლური აჩუქა, რომელიც თვითონვე აანთო. ამის შემდეგ პაპი და პატრიარქი ამბიონზე ავიდნენ. პაპიზმის მთელი ისტორიის მანძილზე მისი ტახტის გვერდით იქ პირველად კიდევ ერთი ტახტი იყო დადგმული. ღვთისმსახურება, რომელშიც პაპი და პატრიარქი მონაწილეობდნენ, არსობრივად იყო შემოკლებული ლიტურგია

[16] ეს სიტყვები არ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტი ერთობის თვალსაზრისით, არამედ ისე, რომ პაპი და ათინაგორა ერთმანეთს „ერთობას“ ეფიცებიან - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

პროსკომიდიის[17], ძღვენის კურთხევისა და ზიარების გარეშე, - რაღაც მსგავსი პირველშეწირულის წირვისა, თუმცა ევქარისტიული ნაწილის გარეშე, რომელიც მაშინ დაემატებოდა, როცა ყველაფერი მზად იქნებოდა, როდესაც „სულიწმიდის მადლი ამის განხორციელებისათვის დახმარებას მოავლენდა“[18]. მსახურება ლათინურ ენაზე 118-ე ფსალმუნის, დასაწყისი ლოცვებისა და სამოციქულოს (ფილ. 2.1-11) კითხვით დაიწყო. ამას მოჰყვა ჰიმნი „UBI CARITAS”. ამის მერე დიდმა არქიდიაკონმა ბერძნულად, ბიზანტიური კილოთი სახარება (იოან.13, 1-15) წაიკითხა. ამას მოჰყვა მართალთა კვერექსის ექვს ენაზე კითხვა, რომლის ყოველ თხოვნაზე ხალხი ხმამაღლა პასუხობდა: „Κυριεελεησον“[19], რის შემდეგაც პაპმა წაიკითხა ლოცვა ეკლესიის ერთობისათვის, ხოლო გუნდმა იგალობა: „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ“. „მამაო ჩვენო“ ყველამ ერთად წაიკითხა, შემდგომ დაიწყო მისალმება. მსახურების დასრულების მერე პირველიერარქები პაპ იოანე XIII-ის საფლავთან ჩავიდნენ, სადაც შესამჩნევად აღელვებულმა პატრიარქმა აანთო სანთელი, აკმია, ხოლო შემდეგ პანაშვიდის რამდენიმე საგალობელი იგალობა. საფლავზე სამი თავთავი დადო და სახარების სიტყვები წარმოთქვა: „...უკუეთუ არა მარცვალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“ (იოან. 12, 24). შემდეგ პაპმა თქვა: „თქვენ წარმოადგენთ პონტოს, გალატიის, კაბადოკიის, აზიის, ბითვინიის ეკლესიათა გარდამოცემას“. პატრიარქმა უპასუხა: „ხოლო თქვენ ხართ მოციქულებრივი მადლის მატარებელი და წმინდა ადამიანთა მთელი პლეადის მემკვიდრე, რომლებიც

---

[17] კვეთის - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[18] ეს წინადადება არ უნდ გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ისე, რომ ასეთ მოსაზრებას პაპი და პათრიარქი გამოთქვამდნენ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[19] კირიეელეისონ - უფალო შეგვიწყალენ (ბერძნ) - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მსოფლიო ეკლესიის წესით პირველი ტახტისათვის იყვნენ მოწოდებულნი“. ღვთისმსახურება პატრიარქის ეკლესიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ლოცვითა და ორივე პირველმოსაყდრის მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევით დასრულდა.

ასეთ „თეატრალურ მოქმედებას“ ჩვენ კვლავ ვიხილავთ 1979 წელს, როცა რომს კონსტანტინეპოლის პატრიარქი დიმიტრი ეწვევა. მთელი ეს უმაგალითო მოღვაწეობა და მსუყე ბერძნული რიტორიკით გაჯერებული სენტიმენტალურ-წინასწარმეტყველური განცხადებები ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანის აღშფოთებას იწვევდა. 1969 წ. ფლორინელმა მიტროპოლიტმა ავგუსტინემ წერილობითი განცხადებით მიმართა სინოდს „პატრიარქის არაკანონიკური და არამართლმადიდებლური მოღვაწეობის“ გამო. წმინდა მთამ პროტესტი უფრო ადრე, 1964 წელს გამოხატა, როცა ათონელმა ბერებმა „მსოფლიო პატრიარქისა და მისი დამქაშების ეს პროუნიატური მოღვაწეობა და პოზიცია“ დაგმეს. მათ პატრიარქს მიმართეს თხოვნით, რომ შეეწყვიტა ეკუმენისტური მოღვაწეობა, ხოლო უარის შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ მასთან ყველანაირ ურთირთობას შეწყვეტდნენ. პროტესტი ყველა მხრიდან ისმოდა. რუსული საზღვარგარეთული ეკლესიის მეთაური ფილარეტი ათინაგორასადმი მიმართულ წერილში, რომელიც ანათემის მოხსნის ფაქტს ეძღვნებოდა, ხაზს უსვამდა, რომ არავის აქვს უფლება მთელი ეკლესიის სახელით ისეთი ქმედებები განახორციელოს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სარწმუნოებრივ მოძღვრებასა და საეკლესიო კანონებს. ის იმოწმებს 861 წლის კონსტანტინეპოლის ორგზისი ადგილობრივი კრების მე-15 კანონს, რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსები და მღვდლები, რომლებმაც პატრიარქთან ურთიერთობა იმ შემთხვევაში გაწყვიტეს, როდესაც ეს უკანასკნელი იწყებდა მწვალებლობის ღიად ქადაგებას, „პატივის ღირსად“ იწოდებიან. ყოველი მხრიდან საერთო აზრი ისმოდა: „მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხებში

კომპრომისი დაუშვებელია“. და რა რეაქცია ჰქონდა კონსტანტინოპოლს ამ ყველაფერზე? სრული იგნორირება. მსოფლიო საპატრიარქოს დღემდე არ გამოუქვეყნებია არანაირი დოკუმენტი, რომელიც უარყოფდა ან ახსნიდა თავის ერეტიკულ პოზიციასა და მოღვაწეობას, რომელიც დღემდე გრძელდება. სხვა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა არა მხოლოდ წყნარად აუარეს გვერდი მიმდინარე პროცესებს ეკლესიაში ცრუ მშვიდობის შესანარჩუნებლად, რითაც მდუმარედ მოიწონეს ახალი მწვალებლობის აღმოცენება, არამედ უფრო მეტიც - მათი იერარქიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა თავად აქტიურად დაიწყო ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება, ისე, რომ ისინი ხშირად თავიანთი გულმოდგინებით „ფანარის კარდინალებსაც“ აჭარბებდნენ.

ეკუმენისტურ წრეებში პატრიარქ ათინაგორას „ახალი დროის წინასწარმეტყველად“, „მართლმადიდებლური რენესანსის სულიერ მამად“ (მთავარეპისკოპოსი იაკობ ამერიკელი) მიიჩნევდნენ [2]. ყველაზე მეტად აქებდა ჟურნალი „Εκκλησια“, რომელმაც მას განმანათლებელი უწოდა (Εκκλησια, 15.01.1972). ათენელმა მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც კათოლიკებისა და ეკუმენისტების დიდი მეგობარი, 1972 წელს ათინაგორას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც, სხვასთან ერთად, ნათქვამი იყო: „ბუმბერაზები არ კვდებიან, ათინაგორა კი ჭეშმარიტად ბუმბერაზი იყო. და ამას მოწმობს არა მხოლოდ მისი ცხოვრება, არამედ მისი სიკვდილიც. იმდენად, რამდენადაც აქამდე მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში მისი ერთ-ერთი მწყემსმთავრის სიკვდილს ასეთი სრულიად-ქრისტიანული მწუხარება არ გამოუწვევია მთელ მსოფლიოში“. ათონის წმინდა კინოტმაც კი გააგზავნა დეპეშა, რომელიც ლოცვით იმედს გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ „განსვენებული პატრიარქის სული იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ფოტი დიდის სულების

გვერდით დაემკვიდრებოდა“. ძნელი გასაგები და წარმოსადგენია, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს სულმოკლე პირმოთნეობამ ქრისტიანული სინდისი.

ხშირად იხსენებენ ერთი ათენელი დიაკვანის მაგალითს, რომელმაც პატრიარქ ათინაგორასათვის პანაშვიდის გადახდაზე უარი თქვა, რადგანაც, მისი აზრით, იგი ერეტიკოსი იყო... საწუხაროდ, ასეთ განწყობილებას ეკლესიის ოფიციალურ წარმომადგენელთა შორის ხშირად არ ვხვდებით. და მაინც, პროტესტის ხმები ისმოდა ისეთ დიდ მოძღვართაგან, როგორებიც იყვნენ მამა თეოფანე თეოდოროპულოსი [3], მამა ფილოთეოსი (ზერვაკოსი), პიროსზე ლონგობარდის მონასტრის იღუმენი, რომელმაც, - ეპისკოპოს ნექტარიოს ეგინელის ამ ერთგულმა სულიერმა შვილმა, - დროულად იგრძნო ეკუმენისტური ერესის მთელი საშიშროება [4]. ე. წ. „წუხილიან ეპისტოლეებში“ გამოხატა თავისი პროტესტი ნიუ-იორკიდან მიტროპოლიტმა ფილარეტმა, ხოლო შემდეგ ასევე მთელი მსოფლიოს მრავალრიცხოვანმა თეოლოგმა და სინდისარდაკარგულმა ქრისტიანმა.

პატრიარქ ათინაგორას საფლავი - მთელი ქვეყნის ეკუმენისტების თაყვანისცემის ადგილი

ოფიციალური ეკლესიები ამ ყველაფერთან ერთად დუმილს ინარჩუნებდნენ. გაისმოდა მხოლოდ არქიმანდრიტ იუსტინეს (პოპოვიჩი) ხმა, რომელიც საყოველთო განდგომილებისა და

უღმერთო ხელისუფლებასთან კოლაბორაციონიზმის ომის შემდგომ პერიოდში მართლმადიდებელი სერბი ხალხის „სულიერ პატრიარქად“ რჩებოდა. ღრმად გრძნობდა და ლიტურგიულად განიცდიდა რა მოციქულებრივ სულსა და წმინდა მამებისეულ ჭეშმარიტებას, იგი ასე წერდა პატრიარქ ათინაგორას შესახებ: „და კონსტანტინეპოლის პატრიარქი? თავისი ნეოპაპისტური მოქმედებით, თავისი სიტყვითა და საქციელით ის უკვე არაერთი ათწლეულია საცდურს უქმნის მართლმადიდებურ სინდისს, უარყოფს რა მართლმადიდებელი ეკლესიისა და სარწმუნოების ერთადერთ მაცხოვნებელ ჭეშმარიტებას, აღიარებს რა რომის უმაღლეს მღვდელმთავარს მისი დემონური ამპარტავნებით...“

ეს სიტყვები ნათლად გამოხატავენ ჩამოყალიბებულ, წმინდა მამებისეულ გულწრფელ პოზიციას ერეტიკოს-პატრიარქის შესახებ და ზუსტ დიაგნოზს სვამენ კონსტანტინეპოლის ძირითად ზრახვებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელებასაც, ეკლესიის ოფიციალურ ფუნქციონერთა ჩუმი თანხმობით, დღემდე ღიად ცდილობენ პატრიარქ ათინაგორას მიმდევრები.

ყველა ეს მოვლენა, ასევე კონსტანტინეპოლის ეკლესიის უმაღლესი იერარქისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა მთელ მსოფლიოში, კარგად ასახავენ მე-20 საუკუნის ფილოსოფიის ძირეულ სულს, რომელიც, რა მიმართულებებადაც არ უნდა იყოფოდეს, მთლიანობაში ერთ საერთო მნიშვნელამდე შეგვიძლია დავიყვანოთ. შესაძლოა უფრო მკაფიოდ ეს ფილოსოფია ივანე კარამაზოვის სიტყვებშია გამოხატული: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“. ამ აზრში გამოსჭვივის თანამედროვე ნიჰილიზმის, ანარქიზმისა და ეკუმენიზმის არსი. ეკუმენისტები ჯიუტად იხსენებენ „ახალი ეპოქის“ კონცეფციას. ამ იდეის საფუძველში დევს ხილიაზმის უძველესი ერესი, რადგან სხვას არაფერს არ შეეძლო გაემართლებინა მართლმადიდებლობის ასეთი რადიკალური ცვლილებები და შემაძრწუნებელი

დამახინჯებები, როგორც იმ ფაქტს[20], რომ ჩვენ ახალ ისტორიულ რეალობასა და ახლებურ დროში შევდივართ, როცა წარსულის იდეები თავის მნიშვნელოვნებას კარგავენ და მთელ ამ ცვლილებათა ძირითად წარმმართველად თავად ეპოქის სული ხდება. რომო-კათოლიკური ეკლესია საუკუნეთა მანძილზე იბრძვის ქრისტიანობის ჰუმანიზად გარდასაქმნელად. ვატიკანის მეორე კრებაზე წამოაყენეს საკითხი საეკლესიო ცხოვრების ყველა მიმართულების გათანამედროვეობის - aggiornamento [21] (მოდერნიზაციის) - აუცილებლობის შესახებ. პაპი პავლე VI წინასწარმეტყველურად აცხადებს: „VOX TEMPI - VOX DEI“ (ხმა დროისა - ხმა ღვთისა), რაც სრულიად ეწინააღმდეგება დიდი მართლმადიდებელი აღმსარებლის, წმინდა ათანასე დიდის წმინდამამებისეული აზროვნების წესს, რომელიც ამბობდა: „იცოდეთ, ჩვენ (ამ) დროს კი არ უნდა ვემსახუროთ, არამედ ღმერთს“.

ამგვარად, აღმოსავლეთშიც გაჩნდა რეფორმების გატარების აუცილებლობა[22]. პატრიარქი ათინაგორა ჯიუტად იღვწის ეკლესიაში ახალი სულის დასამკვიდრებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამით იგი ათობით კანონსა და მთელ წმინდა საეკლესიო ტრადიციას არღვევდა. თუმცა, მის თანამოაზრეებს არასდროს უცდიათ მისი გამართლება, არ უწოდებიათ მისთვის ღვთისმეტყველი და ტრადიციონალიზმის მიმდევარი. მათთვის

---

[20] უფრო სწორედ, მოდერნისტთა მიერ იმ ფაქტის არგუმენტად მოყვანას, რომ ეხლა სხვა დროა - ქართქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[21] Aggiornamento - განახლება, მოდერნიზაცია. ასეთი მიზანი დაისახა ვატიკანის მეორე კრებამ, -„კათოლიკური“ სარწმუნოების განვითარების მიზნით მოეხდინა „ქრისტიანული“ ცხოვრების განახლება-მოდერნიზაცია, საეკლესიო დისციპლინის თანამედროვეობის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოეყვანა და ა.შ. - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[22] ეკუმენისტების თვალსაზრისით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

იგი იყო „ახალი დროის წინასწარმეტყველი“, რომლის იდეებიც არ შეგვიძლია განვსაჯოთ, რადგან ის ამ „ახალ დროში“ ცხოვრობს, მისი სახისა და მთელი თაობის წინაშე. თავად პატრიარქი ხშირად საუბრობდა „სულიწმიდის მესამე ეპოქის“ შესახებ. საუბარი სულაც არ არის ქილიაზმის ახალი იდეის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ბერდიაევი ქადაგებდა და რომლის აღმოცენებაც პირდაპირ იოაკიმე ფიორელს, ხოლო ირიბად - მონტანისტებს[23] უკავშირდება. ახალი ეპოქის იდეა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მთელ ევროპულ აზროვნებას მსჭვალავს. ეს იდეები განსაკუთრებით აქტუალურია ბევრი თანამედროვე მოძრაობის იდეოლოგიისთვის, რომელთაც ერთი სახელი Neu Age (ახალი ეპოქა) ან The Age of Aquaris (მერწყულის ერა) აერთიანებთ, რაც ახალი ასტროლოგიური ციკლის დაწყებასა და ცივილიზაციის იმ გარკვეული პერიოდის დასასრულს ნიშნავს, როდესაც დომინირებდა ქრისტიანობა. ამ იდეების მთავარი ინსპირატორები, რომელთაც დედამიწაზე ათასწლოვანი მშვიდობისა და ნეტარების მეუფების კარიბჭის შეღება განუზრახავთ, მუდმივად მიმართავენ ისეთ ცნებას, როგორიცაა „პროგრესი“, რაც ყველა ევროპული რევოლუციის ისტორიაში საკვანძო ცნებას წარმოადგენს. მუდმივად საუბრობენ ახალ მორალზე, რელიგიის ახალ გაგებაზე, ყველა ხალხისა და სარწმუნოების ძმობაზე, ტოლერანტობასა და კომპრომისზე, ქრისტიანობის გაზაფხულზე და ეკლესიის თვით ცნების რეინტერპრეტირების აუცილებლობაზე. ყველა ეს ახალი იდეა, ასევე მისი მოსაზღვრე პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხები ახალი მსოფლიო წესრიგის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, რომლის მიზანიც ღვთის მიერ დაწესებული წესრიგის გარდაქმნა და ადამიანის მიწიერი, უღმერთო მეუფების მშენებლობაა. სამწუხაროდ, ზოგიერთი გულუბრყვილო ეკუმენისტის იმ გულწრფელი სურვილის

[23] ერეტიკოს მონტანუსის მიმდევრები - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მიუხედავად, რომ რაღაც პოზიტიურ მიზნებს მიაღწიოს, მთლიანობაში ეს მოძრაობა ეკლესიისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების განადგურებისა და ამქვეყნად ანტიქრისტეს მეფობის დამკვიდრების მიზანს ემსახურება.

პაპი იოანე პავლე II და პარიარქი დიმიტრი

---

1. „ათინაგორას, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს - დღეგრძელობა მშვიდობა და კეთილდღეობა“. რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

2. არქიეპისკოპოსმა იაკობმა განკარგა, რომ ბოსტონის საღვთისმეტყველო სკოლის პარკში პატრიარქ ათინაგორას დიდი ბიუსტი დაედგათ. ბიუსტი პატრიარქ ათინაგორას ბარძიმით ხელში გამოსახავს, თითქოს იგი ქრისტიანებს ერთ საერთო ბარძიმში გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. ასე, რომ გასაკვირი არ იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ეკუმენისტები პატრიარქ ათინაგორას კანონიზაციის პროცესს დაიწყებენ. ეს იქნებოდა ერთადერთი „განმანათლებელი“, რომელიც ეკუმენისტურ პოზიციებს უჭერდა მხარს[24].

3. არქიმანდრიტმა თეოფანე თეოდოროპულოსმა პატრიარქ ათინაგორას წმინდამამებისეული მკაცრი ღია წერილი მისწერა,

---

[24] სამწუხაროდ, ეკუმენისტის კანონიზირების ფაქტი უკვე გვაქვს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

რომელშიც მას მართლმადიდებელი სარწმუნოების ღალატში ამხელდა. ეს წერილი ჟურნალ „სამ პატრიარქში“ (N 1228, 1965 წ) გამოქვეყნდა.

4. მამა ფილოთეოსმა (ზერვაკოსი) პატრიარქ ათინაგორას მისწერა ღია წერილი, რომელშიც იგი წმინდამამობრივად მკაცრად მოძღვრავდა და მოუწოდებდა მორჩილებისკენ და ურჩევდა: „თუ შენ ნამდვილად გიყვარს პაპი, მიდი და უთხარი მას მთელი სიმართლე: - ძვირფასო პაპო, რადგან მიყვარხარ, სრულ სიმართლეს გეტყვი. მისმინე, თუკი გასხენ ყურნი სმენად. შენ პირველი ხარ ამპარტავნებით, ხოლო მე - შემდეგი ვარ. შენ - იმიტომ, რომ საკუთარ თავს უცდომელს უწოდებ, ხოლო მე - იმიტომ, რომ უუწმინდესად ვიწოდები. ჩვენ ორივე მატყუარები ვართ. არც შენ ხარ უცდომელი და არც მე - უუწმინდესი[25]. და თუ ხალხს პირფერობა სურს და ჩვენ უცდომელსა და უუწმინდესს გვიწოდებს, მას სიმართლე ვუთხრათ: ჩვენ ისეთები არ ვართ, როგორებიც თქვენ გგონივართ. ჩვენ ცოდვილები ვართ. უთხარით ის, რაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ერთ მდიდარ ჭაბუკს უთხრა: „რაᲲსა მტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოᲲ“ (მარკ. 10, 18). ნაწყენმა პატრიარქმა წერილი მამა ფილოთეოსს უკან დაუბრუნა, თავისთან არ დაიტოვა, რათა საპატრიარქოს არქივში არ მოხვედრილიყო („ორთოდოქსოს ტიპოსი“, ათენი, 1979).

პატრიარქი დიმიტრი - მისი წინამორბედის არასწორი გზის გამგრძელებელი

1972 წელს კონსტანტინეპოლის ტახტზე პატრიარქი ათინაგორა პატრიარქმა დიმიტრიმ შეცვალა. ბევრს სჯეროდა, რომ ათინაგორას მემკვიდრე სხვა გზას აირჩევდა, რადგანაც საუბარი იყო ადამიანზე, რომელიც სხვა შესაძლო კანდიდატთა შორის (მაგალითად ისეთებისა, როგორიც იყო თავისი ეკუმენისტური შეხედულებებით საყოველთაოდ ცნობილი ამერიკის მთავარეპისკოპოსი იაკობი) მკვეთრად გამოხატული ეკუმენისტური განწყობით არ გამოირჩეოდა. თუმცა მისი

[25] „უწმიდესის“ აღმატებითი ფორმა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

სიტყვიდან, რომელიც აღსაყდრების დროს წარმოთქვა, ცხადი გახდა, რომ მას თავისი წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელება ჰქონდა განზრახული. მოგვყავს მისი სიტყვები: „ამ ადგილიდან, როგორც წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიის თანასწორთა შორის პირველი, მივესალმები უწმინდესსა და უნეტარეს რომის პაპ პავლე VI-ს, - მთელ ქრისტეს ეკლესიაში პირველს თანასწორთა შორის, პატივცემულ უფროს ძმას, ძველი რომის ეპისკოპოსსა და დასავლეთის პატრიარქს, ასევე ძველი სამოციქულო ეკლესიების უნეტარეს მეთაურებს, მაღალყოვლადუსამღვდელოესობას კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს, ძველკათოლიკური ეკლესიის პატივცემულ მეთაურსა და ყველა ქრისტიანულ ეკლესიათა აღმსარებლობათა მეთაურებს, და მათთან ერთად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს... გამოვხატავ ჩემს მტკიცე განზრახვას, ვუერთგულო მსოფლიო პატრიარქის საქმეს, მივყვე ჩემი წინამორბედის, განსვენებული პატრიარქ ათინაგორა I-ის დიადსა და წმინდა გზას, რომელსაც ქრისტიანთა შორის თანხმობისა და ერთობისაკენ მივყავართ. ჩვენ გავაგრძელებთ დიალოგს ისლამთან, ასევე სხვა მონოთეისტურ რელიგიებთან...“.

პატრიარქი დიმიტრი თანამსხურობს რომის პაპ იოანე პავლე II-სთან

ყურადღება მივაქციოთ პატრიარქის პირველ სიტყვებს. ისინი აშკარად გამოხატავენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მართლმადიდებელი ეკლესია არ წარმოადგენს ერთადერთ ქრისტეს ეკლესიას და კონსტანტინეპოლის პატრიარქი, როგორც

პირველი თანასწორთა შორის მართლმადიდებელ ეკლესიაში ამასთან უკვე აღარ არის პირველი თანასწორთა შორის ქრისტეს ეკლესიაში, რადგან ეს ადგილი რომის პაპს ეკუთვნის. და კიდევ ერთი აღსანიშნავი მომენტი: ფანარა ისე იქცევა, თითქოს არანაირი განხეთქილება არ არსებობდეს, თითქოს რომის „ეკლესია“ ათი საუკუნის წინ არ განუდგა ღვთის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას.

პატრიარქ დიმიტრის არჩევის წინა დღეს, სახელდობრ 15 ივლისს, ლიტურგიის დროს წმინდა გრიგოლის საპატრიარქო ტაძარში მღვდელმა პანაიოტის ხინარასმა კონსტანტინეპოლის საყდრის რამდენიმე მიტროპოლიტის თანდასწრებით აზიარა რომო-კათოლიკეთა ტურისტების ჯგუფი ბელგიიდან. ამ სკანდალურ მოვლენას მალე პირველი რეაქცია მოჰყვა. „ორთოდოქსოს ტიპოსი“ [26] აღნიშნავდა, რომ თუ მისი უწმინდესობა დუმს ამ ფაქტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ „ახალ პატრიარქ დიმიტრის განზრახული აქვს, გაჰყვეს თავისი წინამორბედის ერეტიკულ გზას, რომელიც დამღუპველია ქრისტეს დიდი ეკლესიისათვის“ [1].

სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიებისა და არაქრისტიანულ რელიგიათა მიმართ თავისი პოზიციის დასაცავად პატრიარქი ჩვეულებრივ ეკუმენისტურ ლექსიკონს იყენებს. მისთვის ერეტიკოს-მონოფიზიტი კოპტები და მართლმადიდებლები „ერთმანეთისათვის უცხონი არ არიან, უბრალოდ განყოფილნი არიან ერთმანეთისაგან“. პაპისტები, მისი აზრით, არიან ქრისტესმიერი ძმები, რომელთაც ლიტურგიის ჟამს საკურთხეველში ყოფნა არ ეკრძალებათ (როგორც ეს პაპისტი მღვდლის, ედმონდ ვუტსინის შემთხვევაში იყო, რომელიც, ბერძნული რომო-კათოლიკურ ჟურნალ „Καθολικη“-ის მიხედვით, ქალკედონელი მიტროპოლიტის ხელდასხმისას უშუალოდ წმინდა გიორგის ტაძრის პატიოსანი ტახტის სიახლოვეს იდგა).

---

[26] ბერძნული მართლმადიდებლური ჟურნალი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

პატრიარქი დიმიტრი ბაირამობის დღესთან დაკავშირებით მუსულმანებისადმი მიმართულ ეპისტოლეში წერს: „ერთ დიად ღმერთს, რომელთა შვილებიც ჩვენ ვართ, ვისიც გვწამს და რომელსაც თაყვანს ვცემთ, სურს, რომ ჩვენ ყველანი ძმები გავხდეთ და ყველანი ვცხონდეთ“. მართალია, ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება ღვთის შვილები იყვნენ ისინი, რომლებიც არ იღებენ მის მხოლოდშობილ ძეს, და რა ძმობასა და ერთობაზე შეიძლება იყოს სიცრუით საუბარი? [2] ღმერთს ნამდვილად სურს ყველა ჩვენგანის ცხონება, მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი სახელი, რომლითაც ჩვენ ვცხონდებით - იესო ქრისტეს სახელი. რა თქმა უნდა, ეკუმენისტები თვლიან, რომ ჩვენი მოვალეობაა, მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებით განვანათლოთ შემცდარნი და რომ აუცილებელია, ვუქადაგოთ იგი მუსულმანებს, ბუდისტებსა და სხვებს. მაგრამ განა ჩვენ შევძლებთ, მოვაქციოთ ისინი მათთვის ბაირამობის დღესასწაულის მილოცვითა და შემრიგებლური სიტყვების წარმოთქმით, რომ ჩვენ ყველანი ძმები ვართ და სიკეთე უნდა ვაკეთოთ, ამასთან არაფერი ვთქვათ იმ ჭეშმარიტებაზე, რომ მათი სარწმუნოება „სიცრუის მამისგანაა“. განა წმინდა ახალმოწამენი ულოცავდნენ თურქებს მათ უღმერთო დღესასწაულებს? განა ამას აკეთებდა წმინდა კოსმა ეტოლიელი და ქრისტეს ეკლესის რომელიმე სხვა წმიდანი? განა წმინდა მამები ულოცავდნენ ერეტიკოსებს მათ დღესასწაულებს და ესწრებოდნენ მათ ხელდასხმებს, რათა მისალმებოდნენ სიხარულის შემახილით „აქსიოს“? ბოლოს და ბოლოს, განა წმინდა მამები ცდებოდნენ ან ღვთის სიყვარული აკლდათ, როცა ამოწმებდნენ ღვთის ჭეშმარიტებას, აღიარებდნენ რა მას ცხონების ერთადერთ შესაძლებლობად?

იმის მტკიცება, რომ ეკუმენისტურ მოძრაობაში ჩვენი მონაწილეობით ვეხმარებით არამართლმადიდებლებს მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების შეცნობაში, - მხოლოდ ცარიელი საბაბია ან უკეთეს შემთხვევაში აშკარა ნიშანია უკიდურესი გულუბრყვილობისა და დიდი დაბნეულობისა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე რამდენჯერ შევძელით „განგვენათლებინა“ ანგლიკანები, ლუთერანები და სხვა პროტესტანტები, რომლებიც ახლა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა თანდასწრებით კადნიერდებიან და ხელს ასხამენ ქალ მღვდლებს, ღიად იცავენ ჰომოსექსუალიზმს, ხელს უწყობენ სარწმუნოების საკითხებში სინკრეტიზმის განვითარებას? რამდენი პაპისტი მოვაქციეთ, რომლებიც დაუფარავად უჭერენ მხარს უნიატების ავაზაკურ მოღვაწეობას უკრაინასა და რუმინეთში, და რომლებიც იოტისოდენადაც არ დაუტევებენ ღვთისმგმობ სწავლებებს „პაპის საღვთო უზენაესობის დამყარების“, წმინდა სამების ერთობის არასწორი გაგებისა და სხვა ერეტიკული მტკიცებების შესახებ? როგორ მოხდა, რომ ჩვენ, სიყვარულის დიალოგის თანამონაწილენი, ასეთ „შთამბეჭდავ“ შედეგებამდე მივედით? ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ ცრუ სიყვარულს ვქადაგებდით, სიყვარულს, რომელიც ჭეშმარიტებას არ ეფუძნება. ჩვენ პირმოთნე სენტიმენტალიზმი ავირჩიეთ. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი პირდაპირ ამბობს: „გირჩევთ, ერეტიკოსებს არ დაეხმაროთ, - მხარი არ დაუჭიროთ მათ უგნურ რწმენაში, რადგანაც სიყვარულს არ ვუწოდებ, არამედ ვუწოდებ კაცთმოძულეობას, როდესაც ვინმე მწვალებლურ ცდომილებას უწყობს ხელს, რითაც კიდევ უფრო უცილობელი წარწყმედისაკენ მიჰყავს ისინი, რომლებიც შემცდარნი არიან“. ვიღაცას შეუძლია თქვას, რომ ეკუმენისტები მხარს არ უჭერენ მწვალებლობას, არამედ მართლმადიდებლობის ერთადერთ ჭეშმარიტებულობას ამოწმებენ. უდავოდ, ბევრი მართლმადიდებელი ეკუმენისტი მონაწილეობს ამ მოძრაობაში მეტად კეთილი, გულწრფელი ზრახვებით, მაგრამ მოდით დავსვათ კითხვა: როგორ შეიძლება რომელიმე პაპისტი ან პროტესტანტი დარწმუნდეს იმაში, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთადერთი და განუყოფელი, ხოლო ყველა სხვა საეკლესიო ორგანიზაციები - მწვალებლური, თუკი მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ყველანაირ პატივისცემას გამოხატავენ მიმდინარე მოვლენების

მიმართ, ესწრებიან მწვალებელთა ღვთისმსახურებას, მათ ეპისკოპოსებთან ერთად ლოცავენ ხალხს, მონაწილეობას იღებენ მათ „ღვთისმსახურებების“ ცალკეულ მომენტებში, არაფერს ვამბობთ ისეთ უკიდურეს შემთხვევებზე, როგორიცაა მწვალებელთა გადანათლვის აკრძალვა, მათი „წმინდა საიდუმლოებების“ აღიარება, ერთობლივი ზიარება. ყველა ეს ნაბიჯი განამტკიცებს ერეტიკოსებს იმ რწმენაში, რომ ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და არ არის საჭირო რომო-კათოლიკების მართლმადიდებლობაში გადმოსვლა, რომ შეიძლება შეინარჩუნონ თავიანთი „ადგილობრივი საეკლესიო გადმოცემა“ და ასე ცხონდნენ.

ამ კონტექსტში არ არის ძნელი გავიგოთ, რატომ არის უნიატებისათვის ასე მნიშვნელოვანი დასავლური კალენდრის შემოღების საკითხი. არ არის მარტივი დაარწმუნო უბრალო ხალხი, რომელიც იცავს თავის რწმენასა და აღნიშნავს თავის დღესასწაულებს, რომ ისინი ისეთივენი არიან, როგორც ლათინები; მაგრამ თუ ჩვენ ერეტიკოსებთან ერთად ვიდღესასწაულებთ საეკლესიო დღესასწაულებს, არგუმენტები უფრო წონადი გახდება. საერთოდ კი დასავლეთი მართლმადიდებლობით უფრო არქეოლოგიური და ესთეტური კუთხით ინტერესდება, ჰპოვებს რა მასში უზარმაზარი სულიერი სიმდიდრის გამოხატულებას, და არა ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტების არსით. ალბათ ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც თავიანთი პოზიციის დაცვისას დაიწყებენ მტკიცებას: არ იქნებოდნენ მართლმადიდებლობაზე მოქცეული პაპისტები, რომ არა ჩვენი ეკლესიის ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ პროტესტანტებისა და პაპისტების მართლმადიდებლობაზე მოქცევაზე გავლენა დასავლეთში მოღვაწე ეკუმენისტებმა კი არ მოახდინეს, არამედ უპირველესად მათ, რომლებიც მართლმადიდებლურად, წმინდა მამათა სწავლების მიხედვით ცხოვრობენ და აზროვნებენ (ხოლო ამ დიდ სულიერ მოძღვართა შორის არცერთი ეკუმენიზმის დამცველი არ არის). მოქცეულთა

დიდმა ნაწილმა მართლმადიდებლობაზე გადმოსვლის გადაწყვეტილება წმინდა მთაზე მიიღო, რომელიც მართლმადიდებლური ტრადიციონალიზმის ყველაზე მძლავრი ბასტიონია. თუმცა ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ მათგანს არც თუ მცირე შრომა დასჭირდა იმისათვის, რათა ეპოვა ეპისკოპოსი, რომელიც დათანხმდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიაში მიეღო ისინი, რადგან მრავალს არ უნდოდა რომთან ურთიერთობის გაფუჭება. და დღესაც ათონელი მამები საიდუმლოდ ნათლავენ ერეტიკოსებს, რადგანაც კონსტანტინეპოლის მიერ ეს ოფიციალურად აკრძალულია. სწორედ ეს არის ნამდვილი სახე ეკუმენიზმისა.
მოდით ახლა ვნახოთ, თუ როგორ ულოცავს პატრიარქი დიმიტრი პაპს მისი აღსაყდრების მორიგ წლისთავს: „სიყვარულში ღრმა ერთობით ჩვენ წმინდა რომის ეკლესიასთან ერთად ვდღესასწაულობთ, ღვთის წყალობით, პეტრე მოციქულის მემკვიდრის ტახტზე თქვენი არჩევისა და აღსაყდრების ათი წლისთავს.. ეს იუბილე აღვნიშნოთ თქვენთვის, უწმინდესო უფროსო ძმაო, წმინდა რომის ეკლესიისათვის, ქრისტიანული ერთობისათვის ლოცვით...“[3].

მრავალი ეკუმენისტი თავის დასაცავად ამბობს, რომ მსგავსი განცხადებები - მხოლოდ საეკლესიო მიმოწერის დადგენილი ტრადიციებით არის განპირობებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფრაზები აბსოლუტურად ნორმალური იქნებოდა რომელიმე ადგილობრივი მართლმადიდებელი და-ეკლესიისათავის მიმართა, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ერეტიკოსთა მიმართ. სინამდვილეში საუბარია კონსტანტინეპოლის უმაღლესი იერარქების რწმუნებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ პაპისტური „ეკლესია“ ერეტიკული ორგანიზაცია კი არ არის, არამედ „ღვთის ეკლესიაა“, რომ პაპისტები ასევე ფლობენ წმინდა საიდუმლოებებს, რომ განხეთქილება რომის ერეტიკული გადაცდომების შედეგი კი არ არის, არამედ ისტორიულად შექმნილი არახელსაყრელი გარემოებებისა, რომელიც შეიძლება გამოვასწოროთ კეთილი

ნებით, სიყვარულის დიალოგითა და იმის მზადყოფნით, რომ ბევრი რამე მიეცეს დავიწყებას, რადგანაც უმეტესწილად მოძღვრებათა შორის განსხვავება - ეს მხოლოდ ერთი და იმავე საღვთისმეტყველო ტრადიციის სხვადასხვაგვარი გამოხატულებაა. მართალია, რომ ჯერ არცერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს თვალსაზრისი ოფიციალურად არ აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეკუმენისტი თავის ნაშრომებში ამ აზრს იცავს.

ვნახოთ, როგორია პატრიარქ დიმიტრის შეხედულება პაპის პირველობისა და პაპისტურ „წმინდა საიდუმლოთა“ ფასეულობის შესახებ: „თქვენი ვიზიტი, ძმებო, სხვა ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ამ წლის ყველაზე დიდ მოვლენას - სრულდება 10 წელი იმ დღიდან, როცა უფალმა მოუწოდა ჩვენს უფროს ძმას, საქრისტიანოს პირველ ეპისკოპოსს..., ჩვენ გვაქვს საერთო წმინდა საიდუმლოებები, სახელდობრ - ნათლობა, ზიარება და მღვდლობის უწყვეტი მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა. ამ წუთებში ჩემს გონებაში ვეხვევი ქრისტეს მიერ საყვარელ ძმას, რომის მღვდელმთავარს, პაპ პავლე VI-სა და მის ეკლესიას“ [4].



ფიატირელი მიტროპოლიტი ათინაგორა (კოკინკი) ვატიკანში

მსგავსი პოზიცია ეხმიანება ფიატირელი მიტროპოლიტის ათინაგორას ავადსახსენებელ „ფიატირისტულ აღმსარებლობას“, რომელშიც ნათქვამია: „ქრისტიანებს სწამთ, რომ ჭეშმარიტ ხელდასხმასა და მღვდლობას გადასცემენ მართლმადიდებელი

ეპისკოპოსები, სომეხი-კოპტები, ეთიოპელი ეპისკოპოსები, ანგლიკანი ეპისკოპოსები... და ამიტომ ანგლიკანებისა და რომო-კათოლიკების წმინდა საიდუმლოებები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთი წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის საიდუმლოებები“ [5].

ამ ერეტიკულ მოსაზრებას პრაქტიკულად მხარი დაუჭირა მოსკოვის საპატრიარქომ, რომელმაც 1969 წლის 29 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, დაემყარებინა კონტაქტები რომო-კათოლიკებთან. მამა იუსტინემ (პოპოვიჩმა) ამ ნაბიჯს იუდასეული და „მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა წესისა და დოგმატის საწინააღმდეგო“ ნაბიჯი უწოდა. და შემდგომ ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ამ გადაწყვეტილებით, რომელიც ერთადერთია მთელი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი დოგმატურ და კანონიკურ გადმოცემათა ისტორიის მანძილზე და რომელიც ხელს უწყობს ერეტიკოსებთან ღია ურთიერთობას, მართლმადიდებლობის მთელ ღმერთკაცობრივ სხეულს ღრმა ჭრილობა მიადგა, ყველა მამები და სინოდები დამცირებულნი არიან, საეკლესიო დოგმატები და წესები - შეურაცხყოფილნი, ხოლო ქრისტეს ეკლესია, უმწიკვლო სძალი, ერეტიკოსთა მყრალ ნაგავსაყრელზეა გადაგდებული“.

მიტროპოლიტი ნიკოდიმი (როტოვი) დელეგაციასთან ერთად პაპ პავლე VI-სთან მიღებაზე 1975წ.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლათინთა ევქარისტიულ საიდუმლოებაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ეკლესიას უშუალოდ მიტროპოლიტმა ნიკოდომოსმა (როტოვმა) მოახვია თავს, მისი სიკვდილის შემდეგ რამდენიმე ხანში გაუქმდა.

დღევანდელ დღეს, როდესაც მონოფიზიტებთან დასაახლოვებლად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, მეტად საყურადრებოა ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლი აგრძელებს თავისი გამორჩეული თვალსაზრისი დაცვას. კოპტ პატრიარქისადმი მიმართვისას პატრიარქი დიმიტრი აცხადებს: „უნეტარესო ძმაო... უწმინდესი კოპტური ეკლესიისა, სამწუხაროდ, მრავალი საუკუნე ვიცხოვრეთ ურთიერთმტრობით... მიუხედავად ურთიერთბრალდებებისა, უნდა ვაღიაროთ, რომ კოპტებისთვის განხეთქილება უფრო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საშუალება იყო, ხოლო რაღაც დოგმატური განსხვავებანი მხოლოდ გამოხატვის განსხვავებულობას წარმოადგენდა“ [6].

იგივე პრინციპი დომინირებს ანგლიკანებთან ურთიერთობაში. მთავარეპისკოპოს კოგანისადმი მიმართვაში პატრიარქი გაბედულად ამტკიცებს: „...ჩვენ აღმოსავლეთში გვწამს, რომ აღმდგარი ქრისტე სოფლის აღსასრულამდე მყოფობს იმ ეკლესიაში, რომელიც წარმოდგენილია ეპისკოპოსთა მოციქულებრივი უწყვეტობითა და ევქარისტიის წმინდა საიდუმლოთი. ამის რწმენით ჩვენი მართლმადიდებელი აღმოსავლეთი ღებულობს თქვენს მოწყალებას მართლმადიდებლობის ამ წმინდა ცენტრში...“ [7].

ცნობილია, რომ ეკუმენიზმის მსოფლიო მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ერთიან კალენდარზე გადასვლა იყო. ნაწილობრივ იგი გადაწყდა, როდესაც მთელმა რიგმა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისა გრიგორიანული კალენდარი მიიღო. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ამ დაუფიქრებელმა ნაბიჯმა სერიოზული კონფლიქტები და უთანხმოება გამოიწვია. ამასთან, ქრისტეს

აღდგომის ერთდროულად აღნიშვნის საკითხი არც ისე ადვილი გადასაწყვეტი იყო, რადგან პასქალიის შეცვლა, რომელიც ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იქნა მიღებული, აკრძალულია [8]. 1963 წ. 4 დეკემბრის ვატიკანის მეორე კრებაზე დადგინდა პასექის დღესასწაულობის კვირა. ვატიკანის მეორე კრების ამ ინიციატივას დიდი შთაგონებით მიესალმა პატრიარქი ათინაგორა, რომელიც თავის 1966 წლის ეპისტოლეში ასევე ემხრობა იმ აზრს, რომ ქრისტეს აღდგომის დღესასწაული მთელ ქრისტიანულ სამყაროში ერთ კონკრეტულ დღეს აღინიშნოს. პატრიარქ ათინაგორას მემკვიდრე თავის 1974 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ასევე მხარს უჭერს ამ იდეას. დღეისათვის ეს ცვლილებები ჯერ არ შემოღებულა, თუმცა ფინეთის ეკლესიამ თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტა, ქრისტეს აღდგომის დღესასწაული ლუთერანებთან ერთად (კათოლიკური კალენდრის შესაბამისად) აღენიშნა. ისევე როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, ამას არანაირი პროტესტი არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ უხეშ კანონიკურ დარღვევაზეა საუბარი. როგორც ჩანს, ჩვენი ეკლესიის სინდისს ღრმად სძინავს.

ყველა სხვა ქრისტიანულ გაერთიანებათა ჭეშმარიტ ღვთის ეკლესიებად აღიარება ეკუმენისტებისათვის მხოლოდ უბრალო რიტორიკული თავაზიანობა კი არ არის, არამედ არის ღრმა რწმენა იმისა, რომ ამ ეკლესიებშიც შესაძლებელია ცხონება. კარდინალი ვილებრანდსი პატრიარქ დიმიტრისადმი თავის მისასალმებელ წერილში ამბობს: „ჩვენი ეკლესიები, როგორც ხსნის ორგანოები, აგრძელებენ თავიანთ მაცხოვნებელ მისიას, ქადაგებენ რა ღვთის სიტყვას, რომელიც მოციქულთა მოძღვრებიდან გადმოგვეცა, მიჰყავთ ახალი მოწაფეები ქრისტესთან, აღასრულებენ დიდ საიდუმლოს - საღვთო ევქარისტიას“. პატრიარქი ასე პასუხობს: „ჩვენ ერთად აღვიარებთ იმას, რასაც თქვენი უწმინდესობა ბრძანებდა თავის მიმართვაში. . . დღეს ჩვენ გღებულობთ თქვენ როგორც თანამოაზრეებს იესო ქრისტესადმი ერთგულების მოწმობაში და

გვინდა ამ ერთობის დემონსტრირება მთელი ქრისტიანული და არაქრისტიანული მსოფლიოს წინაშე“ [9]. რამდენიმე წლის შემდეგ პატრიარქი იმავე კარდინალს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „გღებულობთ თქვენ და საერთო ლიტურგიკულ ლოცვაში ვერთიანდებით თქვენთან ამ წმინდა ტაძარში, სადაც ასევე სულიერად იგრძნობა მყოფობა იმისა (პაპისა), ვინც თქვენ გამოგგზავნათ“ [10].

1979 წელს იოანე პავლე II-ის კონსტანტინოპოლში ჩამოსვლას მიეძღვნა ერთობლივი ეკუმენისტური ღვთისმსახურება, რომელიც მეტად ჰგავდა ჩვენ მიერ ზემოთხსენებულ პატრიარქ ათინაგორას დროინდელ წარმოდგენებს. პატრიარქი, სადღესასწაულო სამოსელით შემოსილი, პაპს საპატრიარქო ტაძრის შესასვლელში ელოდებოდა. შემდეგ, გუნდის გალობის თანხლებით, ისინი ერთად შევიდნენ ტაძარში. დაიწყო ღვთისმსახურება, ერთობლივად წაიკითხეს „მამაო ჩვენო“, გაისმა მრავალჟამიერი, ხოლო დასასრულს - მისასალმებელი სიტყვები და მათ მოყოლილი მხურვალე აპლოდისმენტები. შემდეგ პირველიერარქები, სადღესასწაულო ჯვართმსვლელობის თანხლებით, გამოვიდნენ ტაძრიდან და საპატრიარქოს შენობისკენ გაემართნენ. იმავე დღის საღამოს პაპმა სულიწმინდის სახელობის ლათინურ ტაძარში მესა აღავლინა. მისი დაწყების წინ გამოჩნდა პატრიარქი მიტროპოლიტების თანხლებით და დაუსრულებელი მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე მშვიდობის კოცნით ეამბორა პაპს კანკელის წინ. ამ დროს გუნდმა პატრიარქის პატივსაცემად სპეციალური ჰიმნი შეასრულა ლათინურ ენაზე. შემდგომ კი მოეწყო მიღება ნუნციატში. რამდენიმე დღის შემდეგ, წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღესასწაულზე, პატრიარქმა დიმიტრიმ მრავალ მიტროპოლიტთან ერთად საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ლიტურგია აღასრულა. ღვთისმსახურების დაწყების წინ პაპ იოანე პავლე II-ს თავად პატრიარქი დახვდა, შემოსილი საზეიმო, სამღვდელმთავრო შესამოსელით. აღელვებულმა პატრიარქმა მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე

პაპი საპატიო ადგილას მიიყვანა, საიდანაც იგი მთელი ღვთისმსახურების მსვლელობას ადევნებდა თვალყურს. შემდეგ პატრიარქი სამეუფო კარიდან გამოვიდა და მივიდა პაპთან, რათა მშვიდობის ნიშნად ერთმანეთისთვის ამბორეყოთ. „მამაო ჩვენო“ თავად პაპმა წაიკითხა ლათინურ ენაზე. ლიტურგიის დასრულების შემდეგ მათ საჩუქრები, მისასალმებელი სიტყვები გაცვალეს, და როგორც ასეთ შემთხვევებში უცილობლად ხდება, მრავალჟამიერები შეასრულეს, რის შემდეგაც უმაღლესი იერარქები მშვიდობის ნიშნად კვლავ ეამბორნენ ერთმანეთს და ერთად დალოცეს ხალხი. ტაძრიდან გამოსვლისას პატრიარქმა და პაპმა კვლავ დალოცეს ყველა შეკრებილი. პატრიარქმა პაპისადმი მიმართულ თავის სიტყვაში თქვა: „ჩვენ გვწამს, რომ ამ მომენტში ჩვენთან თავად უფალი მყოფობს, ხოლო ჩვენზედა - სული ნუგეშინისმცემელი, ჩვენთან ერთად ხარობენ ძმები - პეტრე და ანდრია, ზეიმობენ სულნი ჩვენი მამებისა და მოწამეებისა, რომლებიც შეგვახსენებენ, რომ ჩვენ წინაშეა, ჩვენს პასუხისმგებლობაზეა მოუთმენელი მოლოდინი განყოფილი ქრისტიანებისა, ტკივილი ადამიანისა, რომელიც ღვთისა და ქრისტეს გარეშე ცხოვრობს...“[11].

იგივე სცენარი გათამაშდა პატრიარქის ვიზიტისას რომში 1986 წელს, როცა ერთი ერთში გამეორდა ყველა ის სკანდალური სცენა, რომლებიც წინ უძღოდნენ პატრიარქ ათინაგორას რომში ვიზიტს. რეჟისურა ისეთივე იყო, როგორიც კონსტანტინოპოლში. საზეიმო სამოსით შემოსილი პატრიარქი ავიდა საკურთხევლის ამაღლებულ ადგილას ხალხით გადაჭედილ წმინდა პეტრეს ტაძარში, სადაც ორი ტახტი იდგა. მესის მსვლელობისას პატრიარქის არქიდიაკონმა მონაწილეობა მიიღო რაღაც მცირე გამოსვლისდაგვარ ქმედებაში, შემდეგ წაიკითხა სახარება ბერძნულად, ხოლო კითხვის დამთავრების შემდეგ სახარება პაპს მიუტანა ამბორისა და კურთხევისათვის. პაპმა და პატრიარქმა წაიკითხეს მრწამსი ბერძნულად, Filioque-ს დაუმატებლად [12]. ამას კვლავ მოჰყვა უცვლელი „მშვიდობის კოცნა“, რომელიც გახდა მთელი ეკუმენისტური წარმოდგენის

კულმინაცია. საოცარი თანალმობით, ტაძარში მყოფთა მქუხარე აპლოდისმენტების ქუხილის ქვეშ უმაღლესი იერარქები ერთმანეთს ეამბორნენ. ღვთისმსახურების დარჩენილი ნაწილი პატრიარქმა საპატიო ლოჟაში გაატარა. „ძღვნის კურთხევის“ დროს კონსტანტინეპოლის დელეგაციის ყველა წევრმა ღრმა მოწიწებით დახარა თავი. მსახურების დამთვრებას მოჰყვა შეკრებილთა ერთობლივი დალოცვა, გულში ჩამწვდომი სიტყვები და ბოლოს - ლიტანიობა. მთელი ეს მოვლენა ტელევიზიით გადაიცა. ამგვარად, მილიონობით მაყურებლის წინაშე შეგინებულ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიის საუკუნოვანი გარდამოცემა და კანონები. შემდეგ პატრიარქი თავისი ამალით, რომელშიც თვალსაჩნო ადგილი ეკავა ეხლანდელ მსოფლიო პატრიარქს, მაშინდელ ქალკედონის მიტროპოლიტ ბართლომეოსს, გააგრძელა თავისი „მშვიდობის გზა“ და გაემართა ინგლისისაკენ, სადაც მსგავსი მსახურება აღესრულა კენტერბერიელ მთავარეპისკოპოსთან ერთად. და ბოლოს - ჟენევა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო; ერთობლივი ღვთისმსახურების შემდეგ მოეწყო საჩუქრების გაცვლა. ამ შემთხვევის გამო პატრიარქმა ეკლესიათა მსოფილო საბჭოს შენობას „ჩვენი სახლი“ უწოდა. ნამდვილად გსურს წინასწარმეტყველ დავითის სიტყვების შეძახება: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელთა უსჯულოთასა არა დაჯდა“ [13]...

აგრძელებს რა თავისი წინამორბედის პოლიტიკას, პატრიარქი დიმიტრი თითქმის ღიად უარყოფს იმ ფაქტს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ერთიანი და ერთადერთი განუყოფელი ღვთის ეკლესიაა, და მხარს უჭერს ერეტიკულ იდეას, თითქოსდა, განყოფილი ეკლესიის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. 1978 წლის თავის საშობაო ეპისტოლეში ის ამბობს: „ამ უწმინდესი მსოფლიო ტახტიდან მივესალმები და მოვუწოდებ მთელ მსოფლიოს: ეკლესიათა და მოძღვრებათა შორის განსხვავებულობიდან მივიდეთ ერთიან

და ერთადერთ ქრისტეს ეკლესიაში და, ბოლოს და ბოლოს, მრავალფეროვნებიდან და დანაწევრებიდან მთელი კაცობრიობის ძმურ ერთობაზე გადავიდეთ. გაერთიანებული ეკლესია გაერთიანებულ საზოგადოებაში“ [14].

ამგვარად, იმის მაგივრად, რომ მოუწოდოს მსოფლიოს, მიიღოს მაცხოვნებელი ჭეშმარიტება, რომელიც მართლმადიდებლობაში მყოფობს, და ჭეშმარიტებისა და სიყვარულის სულის მომხვეჭელთა ერთიანობისაკენ, კონსტანტინეპოლი ჯიუტად ქადაგებს „ახალ ჰუმანისტურ სახარებას“, რომლის არსიც „ეკლესიათა“ გაერთიანებაა, დაფუძნებული ურთიერთსიყვარულით ნაკარნახევ კომპრომისზე, ხოლო შემდეგ - მთელი კაცობრიობის გაერთიანება. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პატრიარქს კავშირი აქვს მასონურ მოძრაობასთან, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბევრი მისი იდეა, როგორც მის წინამორბედ-ორეულთა იდეები, გაცილებით მეტადაა გამსჭვალული მსოფლიოს გაერთიანების შესახებ მასონური თეორიების სულით, ვიდრე ქრისტიანული სახარების სულით.

ყველა მსგავსი ეკუმენისტური განცხადება პრაქტიკაში მხარდაჭერილია კონსტანტინოპოლელი იერარქების მოქმედებებით. ასე, მაგალითად, 05.02.1975 წლის გაზეთ „ორთოდოქსოს ტიპოსის [27] “ მოწმობით, ჟენევაში მათლმადიდებლებისა და პროტესტანტების შეხვედრის დროს ტრანუპოლელმა მიტროპოლიტმა დამასკინმა მართლმადიდებლური ტაძარი დაუთმო გერმანელ მთავარეპისკოპოს კუნცს პროტესტანტული მესის აღსავლენად. და პროტესტანტებმაც იმსახურეს წმინდა მართლმადიდებლური ტრაპეზის წინ და მართლმადიდებლების წმინდა ჭურჭლებიც კი გამოიყენეს! აი, ნამდვილად უპრეცენდენტო „სტუმართმოყვარეობა“! [15]

---

[27] Ορθοδοξος τυπος - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ოფიციალური გაზეთი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვანა.

მთელი ეს მოღვაწეობა, ღრმად გამსჭვალული იმ რწმენით, რომ დადგა ეკლესიათა გაერთიანების აუცილებლობა, - თითქოს ეკლესიას აკლდეს ერთიანობა, და, აქედან გამომდინარე, აკლდეს სისავსე, - არსებითად არის „დიდი მსოფლიო კრებისათვის“ მზადება, რომელსაც უკვე არაერთი ათწლეულია ჯიუტად ამზადებს კონსტანტინეპოლი. არ არის ძნელი გავიგოთ, რომ საუბარია უნიატურ კრებაზე, რომელზეც ასეულობით ქრისტიანული ერესები კრებსითად შეუერთდება მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას[28]. ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ადვილად წარმოვიდგინოთ ამ კრების შესაძლო სცენარი, ასევე მოქმედ პირთა სენტიმენტალური რიტორიკა. ეს ხასიათი განსჭვრიტა არქიმანდრიტმა იუსტინემ, რომელმაც სერბული ეკლესიის სინოდს მიწერა მიმართვა, რომელშიც იგი აფრთხილებს მას თანამედროვე ისტორიულ პირობებში ამგვარი კრების ჩატარების საშიშროების შესახებ.

კონსტანტინეპოლის პირველიერარქთა გვერდით, რომელთა ეკუმენისტურ განცხადებებს უზარმაზარი წონა აქვს, რადგან მეტად მაღალ დონეზე კეთდება, არსებობს ეკუმენიზმის ბევრი სხვა მიმდევარიც, რომლებიც თავიანთი კადნიერებით ზემოთხსენებულ მოღვაწეებს ბევრად აჭარბებენ.

---

1. Ορθοδοξος τυπος N 167-168.

2. მუსულმანებთან ძმობის პრობლემასთან დაკავშირებით ვიმეორებთ სერბი განმანათლებლის, მეუფე ნიკოლოზის (ველემიროვიჩის) სიტყვებს: „ღმერთი - ყველა ადამინის შემოქმედია. მაგრამ ღმერთი მამაა მხოლოდ მათთვის, ვისაც სწამს ძე ღვთისა და ღვთის შვილობა. „ყოველმან, რომელმან უარ-ყოს ძე, არცა მამაჲ არს მის თანა; და რომელი აღიარებს ძესა, მამაცა მის თანა არს“ (1 იოან. 2, 23). ყველა ადამიანი - ღვთის ქმნილებაა და პოტენციურად ღვთის შვილია. მაგრამ ღვთის ჭეშმარიტი შვილები არიან ისინი, „რაოდენთა იგი შეიწყნარეს,

---

[28] საუბარია არა სინანულითა და ცდომილების უარყოფით დაბრუნებაზე, არამედ ეკუმენისტურ გაერთიანებაზე - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვანა.

მოსცა მათ ხელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს" (იოან.1, 12-13). სწორედ ამ განსხვავებას ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს შორის, შობილთა და შექმნილთა შორის, დღეს განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი, ჩვენი ჟამის ვულგარული პროპაგანდის დროს იმის შესახებ, რომ ყველა მოძღვრება ერთნაირია, როცა მთები დაბლობებამდე დაბლდებიან, და არა დაბლობები მაღლდებიან მთებამდე".

3. Εκκλεησια, 80&26, 1973.

4. პატრიარქ დიმიტრის 1977 წლის 30 ნოემბრის მიმართვა კარდინალ იოჰან ვილებრანდსის მიმართ.

5. რაკი მიტროპოლიტი ათინაგორა (კოკინაკი) ვახსენეთ, მოვიყვანოთ მისი ნაკლებად ცნობილი განცხადება, რომელიც ჟურნალ „წმინდა გრიგოლ პალამაში" (N 658 მარტი-აპრილი 1977) გამოქვეყნდა: „საყოველთადოდაა ცნობილი, რომ ევროპასა და ამერიკაში ბევრი ჩვენი ეპისკოპოსი ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მოსკოვის სინოდი მიიღებდა პოზიტიურ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ რუსეთში მცხოვრები რომო-კათოლიკების ზიარება დაეშვათ მართლმადიდებელ ეკლესიებში, აზიარებდნენ და აზიარებენ რომ-კათოლიკებსა და სხვა ქრისტიანებს. ეს არ არის მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილება, არამედ არის ცალკეულ ეპისკოპოსთა ინიციატივა, რომელთაც სინდისი არ აძლევთ უფლებას, ღვთისმორწმუნე ქრისტიანებს წმინდა ბარძიმთან მიახლოება აუკრძალონ. მსოფლიოს საპატრიარქოს საპატრიარქო ცენტრში ჟენევაში (1976 წლის თებერვალში) ეპისკოპოსთა ბოლო სხდომაზე ეს საკითხი სპეციალურად იქნა განხილული, რადგანაც ხშირად მასთან შეხება აქვს ყველა ეპისკოპოსს და თითოეული მათგანი ისე იქცევა, როგორც სინდისი უკარნახებს. ამასთან ერთად, ასევე აუცილებელია პატიოსნად და გულწრფელად შევაფასოთ: მზად არიან კი მართლმადიდებელი ქრისტიანები ზიარებისათვის, რომლებიც წმინდა ბარძიმს მიეახლებიან? სხვებზე მეტად არიან კი ისინი მომზადებულნი? დრო ითხოვს, რომ ამ კითხვებზე აუცილებლად გავცეთ პასუხი, დაუტეოთ პირფერობა და ამპარტავნული აზრები მართლმადიდებელთა უცოდველობასა და მზადყოფნაზე და რომაელ კათოლიკეთა, ანგლიკანებისა და სხვა ქრისტიანთა ცოდვილობასა და მოუმზადებლობაზე".

6. Επισκεψις N 169, 15. 5. 1977 წ.

7. Επισκεψις N 64., 1.10.1982 წ.

8. „ყოველთა, რომელთა იკადრონ დაჴსნად საზღვარი წმიდისა და დიდისა ნიკეას შეკრებულისა კრებისაჲ მუნ ყოფასა კეთილად მსახურისა და ღმრთისმოყუარისა მეფისა კონსტანტინესსა წმიდისათჳს დღესასწულისა საცხოვნებელისა აღვსებისა[29], უზიარებელ და განჴდილ იყვნენ ეკლესიით, უკუეთუ ეგნენ წინააღმდგომობითსა ზედა მაცილობელობასა კეთილად განსაზღვრებულთა საქმეთასა“. ანტიოქიის ადგილობრივი კრების I კანონი.

9. Επισκεψις N 90. 11. 12. 1973.

10. Επισκεψις N 30. 1980 წლის ნოემბერი.

11. ავსტრიული მიტროპოლიის გაზეთების მასალების საფუძველზე NN52-67.

12. ამან განსაკუთრებით აღაფრთოვანა ბევრი ეკუმენისტი, თუმცა კარგად ვიცით, რომ პაპი რეგულარულად კითხულობს მესაზე მრწამსს ამ დამატებით. რომო-კათოლიკები ნიკეის სიმბოლოს თავდაპირველ ტექსტს ქრისტიანული დოგმის ევოლუციის ერთ-ერთ სტადიად თვლიან (ეს განსაკუთრებით სამების დოგმატს ეხება). ეს მათთვის ოდენ საინტერესო ისტორიული იშვიათობაა იმათ რიცხვიდან, რომლებითაც ისინი დროდადრო სარგებლობენ. რომი თვლის, რომ მართლმადიდებლური თეოლოგია გაიყინა განვითრების გარკვეულ საფეხურზე და არ ფლობს ჭეშმარიტების იმ სისავსეს, რომელიც სულიწმინდამ რომო-კათოლიკებს „გამოუცხადა“ საუკუნის დიდ კრებათა შემდგომ. სწავლება ეგრეთ წოდებულ „დოგმატური სწავლების ევოლუციის შესახებ“ პაპისტებს საშუალებას აძლევს, შემოიტანონ და ჩამოაყალიბონ ახალი დოგმატური სწავლებები, რომელთაც სინამდვილეში არცერთი წმინდა მამა არ აღიარებდა.

13. ფს..1.1.

14. პატრიარქ დიმიტრის საშობაო ეპისტოლე (1978 წ.).

15. მართლმადიდებელი ეკლესიის წესების შესაბამისად, ტაძარი, რომლის წმინდა ტრაპეზზეც ერეტიკოსებმა თავიანთი ღვთივსაძულველი „საიდუმლოებანი“ აღასრულეს, საჭიროა თავიდან იკურთხოს. ეს კანონი სრულიად უგულებელყოფილია. დღესდღეობით დიასპორაში ხშირია „ტაძრის თხოვების“ შემთხვევები,

---

[29] პასექის დღესასწაული - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვანა.

თუმცა წმინდა მამები ბრძანებდნენ, რომ უმჯობესია აღასრულო წირვა ხის ქვეშ ღია ჰაერზე, ვიდრე ერეტიკოსთა ტაძარში. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არქიმანდრიტმა იუსტინემ (პოპოვიჩმა), როდესაც გაიგო, რომ ბელგრადელი ანგლიკანი მთავარეპისკოპოსი საკურთხეველში შეიყვანეს და მან შესვლისას მწირველი მღვდელმონაზონი „აკურთხა“, განაცხადა, რომ ტაძარი აუცილებლად თავიდან უნდა იკურთხოსო).

ეკუმენიზმის მოციქულები

ეკუმენისტური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, ეჭვს გარეშეა, არის ამერიკის მთავარეპისკოპოსი იაკობი, რომელიც ჯერ კიდევ პატრიარქ ათინაგორას დროიდან მოყოლებული რეგულარულად მონაწილეობს ყველა ეკუმენისტურ აქციაში. საეკლესიო წრეებში ის საყოველთაოდ ცნობილია თავისი პროვოკაციული მოდერნიზმით, რისი კლასიკური მაგალითიც არის 1967 წელს მის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც გამოთქმულია მოსაზრება „ახალი ქრისტიანობის“ შემოღების აუცილებლობის შესახებ, დაფუძენებული სრულიად განსხვავებულ ცნებებსა და განსაზღვრებებზე [1].

მთავარეპისკოპოსი იაკობი და რომის პაპი პავლე II

მთავარეპისკოპოსი იაკობი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა რელიგიურ მოძრაობაში და რეგულარულად მონაწილეობს ეკუმენისტურ „ღვთისმსახურებებში“ არა მხოლოდ ქრისტიანული ორიენტაციის მქონე კონფესიებთან ერთად, არამედ ბუდისტებთან, მუსულმანებთან და იუდაისტებთან ერთადაც.

ბევრს ალბათ ახსოვს პატრიარქ დიმიტრის ვიზიტი ამერიკაში, როდესაც ლინკოლნის მემორიალში მოეწყო გრანდიოზული ეკუმენისტური წარმოდგენა (ერთგვარი სინკრეტული სპეკტაკლი) სახელწოდებით „Ecumenical Doxology of Peace” (მსოფლიოს ეკუმენისტური მადიდებლობა), რომელშიც პატრიარქ დიმიტრისა და ქალკედონის მიტროპოლიტის ბართლომეს (ახლანდელი პატრიარქი) გარდა მონაწილეობდნენ: ზეიმის მასპინძელი მთავარეპისკოპოსი იაკობი, კარდინალი ხიკი, მთავარეპისკოპოსი ვილიამ კილერი, ეპისკოპალური „ეკლესიის“ ერთი ეპისკოპოსთაგანი, ლუთერანელი ეპისკოპოსი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლები, აშშ-ს უმაღლესი რაბინი, ისლამური ცენტრის დირექტორი იმამ ფეიზილ ხანი, სომხური ეკლესიის წამომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

მთავარეპისკოპოსი სტილიანი სუპერეკუმენისტურ „ღვთისმსახურებზე“, რომელში არა მხოლოდ კათოლიკები და პროტესტანტები, არამედ წარმართებიც მონაწილეობდნენ

რომო-კათოლიკი კარდინალი კითხულობდა სახარებას, ხოლო ბერძნული მართლმადიდებლური გუნდი გალობდა „ალილუიას“, შემდეგ ლოცვებს პროტესტანტები კითხულობდნენ, გუნდი გალობდა ტროპარს „მეუფეო ზეცათაო“ და ბოლოს, რაბინმა წაიკითხა ერთი ფსალმუნი, მუსულმანმა იმამმა კი, დიდი შთაგონებით, წაიკითხა ნაწყვეტი ყურანიდან. ეს „დღესასწაული“ დასრულდა გალობის „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისადმდე“ შესრულებით. ერთობლივი ლოცვები, სახარების, ფსალმუნებისა და ყურანის კითხვა მიმდინარეობდა შერეული გუნდის მრავალხმიანობის თანხლებით, ასევე ინსტრუმენტალური ორკესტრის, და აუცილებლად ორღანის, თანხლებით, რომელიც ამერიკაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ბერძნულ ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს სულ უფრო ხშირად ხდება საეკლესიო დეკორის ელემენტი. არქიეპისკოპოსმა იაკობმა სახელი გაითქვა მსგავსი წარმოდგენებით, რომლებიც ამერიკაში რეგულარულად ეწყობოდა. ცნობილია აგრეთვე მისი ღრმა რწმენა იმისა, რომ ეკლესია არ უნდა მიეჯაჭვოს წარსულის ტრადიციებს, ისევე როგორც არ უნდა ცხოვრობდეს რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული ცხოვრებით. არქიეპისკოპოს იაკობის აზრით, ეს ნაკარნახევია დროის სულით. იგი თავის შეხედულებებს მართლმადიდებლობასთან შეუთავსებლად მიიჩნევს, და ამგვარად მართლმადიდებელი ეკლესია ერეტიკული სექტის დონემდე დაჰყავს. თავისი ავანგარდული ჰიპერმოდერნიზმით შეპყრობილი, ამერიკის კონტინენტის ბერძენმა პირველიერარქმა წამოაყენა იდეა, შეექმნათ ტაძრები, რომლებსაც მან არადოგმატური უწოდა, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს შეეძლოთ თაყვანი ეცათ უხილავი ღმრთისათვის, „რომელიც განისაზღვრება არა დოგმატებით, არამედ სიყვარულით“. ცხადია, რომ საუბარია ცრუ ღმერთზე, ანტიქრისტიანული ერესის საყვარელ „აღაპიზმზე“ [2].

კოსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეორე პირია ავსტრალიის საეპისკოპოსოს მეთაური, მთავარეპისკოპოსი სტილიან ხარკიანაკისი. ამერიკის მთავარეპისკოპოსის იაკობის მსგავსად ეს იერარქიც ცნობილია მთელი რიგი პრეტენზიული თეოლოგიური განცხადებებისა, რომლებიც უკვე არაერთი წელია აცდუნებენ ავსტრალიის მორწმუნე ხალხს და კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმს შორის სერიოზულ კონფლიქტებს იწვევენ. ამ ავადსახსენებელ ცნობილ განცხადებათა შორის არის 1988 წლის საშობაო ეპისტოლე, სადაც ღიად არის ნათქვამი იესო ქრისტეს ადამიანური ბუნების ცოდვილობის შესახებ [3]. მსგავსი ერეტიკული მტკიცება დაიგმო მეხუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე. უფრო ადრე, სახელდობრ იმავე წლის 9 ოქტომბერს, ავსტრალიის ტელევიზიის მეორე არხზე გამოსვლისას, მთავარეპისკოპოსმა სტილიანმა იგივე მკრეხელური აზრი გამოთქვა.

გადაცემა, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები იღებდნენ, ეძღვნებოდა სკორცეზეს ღვთისმგმობ ფილმს „ქრისტეს უკანასკნელი ვნებანი“. იმ დროს, როდესაც ტელედებატების ბევრმა მონაწილემ დაგმო სკანდალური ფილმი, მთავარეპისკოპოსმა ღიად განაცხადა, რომ არაფერს ღვთისმგმობს ამ ნაწარმოებში ის პირადად ვერ ხედავს [4]. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი, მაგრამ როდესაც ამგვარ აზრს მილიონობით მართლმადიდებელი ქრისტიანის სულიერი წინამძღვარი გამოხატავს, - იქნება ეს ეპისტოლე თუ ტელეეკრანებიდან, საქმე გაცილებით სერიოზულადაა.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, მსგავსი ფაქტების მიმართ ყოველგვარი პროტესტი კონსტანტინეპოლის ჩუმი მხარდაჭერის გამო ჩახშულია [5]. ასეთი მდგომარეობის შედეგი, რომელიც აშკარა ეკუმენიზმისა და ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ წარმომადგენელთა მხრიდან ადმინისტრაციული ტირანიის შედეგად შეიქმნა, არის ის, რომ

ბოლო წლებში, სულ უფრო მეტი ბერძნული წარმომავლობის ახალგაზრდა ავსტრალიელი სხვა იურისდიქციის ქვეშ მყოფ ეკლესიებში ეძიებს გადარჩენას. ავსტრალიაში არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბერძნული დიასპორა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენს, ამიტომაც კონსტანტინეპოლი აქტიურად ესწრაფვის ამ შორეულ კონტინენტზე მცხოვრები ბერძნების სულიერ ცხოვრებაზე სრული კონტროლის დამყარებას. იერუსალიმის საპატრიარქოს მცდელობამ, შესთავაზოს ბერძნებს კანონიკური ბერძნული იურისდიქციის ქვეშ დაუბრკოლებელი გადასვლის შესაძლებლობა, გამოიწვია სერიოზული უთანხმოება კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმს შორის, რის შესახებაც ჩვენ შემდგომში კიდევ ვისაუბრებთ.

---

1. საინტერესოა ფრაგმენტი ამ იერარქის „შთაგონებული“ ქადაგებიდან: „ჩვენ აუცილებლად უნდა გავთავისუფლდეთ ელინისტური იდეებისაგან, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ბატონობდა ქრისტიანულ რელიგიაში და არაფერს ნიშნავს თანამედროვე ადამიანისათვის,და ისინი სხვა იდეებით უნდა შევცვალოთ. ჩვენთვის აუცილებელია სრულიად ახალი ქრისტიანობა, დაფუძნებული სხვა ცნებებსა და განსაზღვრებებზე (we are in need of a New Christianity, based on entirely new perceptions and definitions), რადგან, როდესაც ღმერთზე უზენაეს არსებას ვამბობთ, ახალგაზრდობას ჩვენი არ ესმის. მოძღვრებას ლოგოსზე, ღმერთი ლოგოსის იესო ქრისტეში განხორციელების შესახებ, განსაკუთრებით კი წმიდა სამების დოგმატის, მისი თვისებებისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ დღეს ყავლი გაუვიდა, რადგან ახალმა მიღწევებმა ძველ ელინისტურ იდეებს წინ გაუსწრეს. ჩვენ ხალხს ვერ დავმოძღვრავთ იმ ქრისტიანობით, რომელსაც ჩვენ თვითონ ოდესღაც გავეცანით...“ (New Yotk Times 25. 9.67)

2 . 1993 წლის 8 ივლისის გაზეთის ,,The Hellenic Chronicle“ მასალების თანახმად, აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტებმა, ბატონმა

კარტერმა და ბატონმა რეიგანმა, მთავარეპისკოპოს იაკობის მიმართ თავისი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, დაიწყეს კამპანია ათი მილიონი დოლარის მოსაგროვებლად, რათა „მთავარეპისკოპოს იაკობის ფონდი“ დაეფუძნებინათ. ეს ფული გადაეცემათ ამერიკის ქრისტიანული ეკლესიების ეროვნულ საბჭოსა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და იგი მიმართულია ეკუმენისტური მოღვაწეობის განვითარებისათვის. ფონდი დააფინანსებს თეოლოგებისა და სხვადასხვა იურისდიქციის მეთაურთა შეხვედრებს, რომელთა მიზანია ეკლესიათა გაერთიანება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ღვთისმეტყველებისა და ეკლესიის ახალგაზრდა წარგზავნილთა დაფინანსებას, რომლებსაც მომავალში სერიოზული როლი ექნებათ ეკუმენისტურ მოძრაობაში. ასე გახდა მთავარეპისკოპოსი იაკობი ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღირსი, „ჰქონოდა პატივი“ და მოწმე ყოფილიყო მისი სახელობის ფონდის დაარსებისა.

3. მთავარეპისკოპოსი სტილიანი თავის ეპისტოლეში ღიად აცხადებს, რომ თავისი გზის დასაწყისში ქრისტე, თითქოს, ცოდვილი იყო და ვნებათაგან განთავისუფლებას თანდათან მიაღწია, მასში მიდიოდა ბრძოლა ორ ბუნებასა და ორ ნებას შორის (იხილე „Voice of Orthodoxy” - ავსტრალიის საეპისკოპოსოს გაზეთის 1988 წლის დეკემბრის გამოცემა)

4. ჯერ კიდევ იმავე წლის სექტემბერში რადიოსადგურ 2AE-სთან ინტერვიუში მან თქვა: „წიგნი სახელწოდებით „უკანასკნელი ცდუნება“ დიდი ხნის წინ წავიკითხე... მახსოვს ის დიდი შთაბეჭდილება, რაც მან ჩემზე მოახდინა, როგორც ცოცხალმა, საოცარმა გატაცებითმა საკითხავმა... მე ამ ტექსტმა არ მაცდუნა. მან მე არანაირად არ მაცდუნა, თუმცა მაშინ თეოლოგიის სტუდენტი ვიყავი, რადგან ვხედავდი, რომ კაზანაკისი[30] ცდილობდა აბსოლუტურად ქრისტეს ადამიანური ბუნება წარმოეჩინა (24. 9. 1988).

---

[30] წიგნის ავტორის გვარი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

5. მთავარეპისკოპოსის გარდა უკვე მოყვანილი გამონათქვამებისა, ასევე ცნობილია, რომ იგი ღიად აღიარებს ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობას (Voice of Orthodoxy, იანვ.-თებ. 1987). ყველა ამ განცხადებათა წინააღმდეგ ფლორინის მიტროპოლიტმა ავგუსტინემ ღია პროტესტი გამოხატა კონსტანტინოპოლში. თუმცა ამასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სპექტაკლები

ბოლო დროს სულ უფრო ხშირია მცდელობები სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით ეკუმენისტური ღვთისმსახურების ჩატარების ორგანიზებისა. 1983 წლის 24 ივლისიდან 10 აგვისტომდე ვანკუვერში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყრილობა გაიმართა. პროგრამის სხვადასხვა პუნქტებს შორის იყო პროტესტანტული მესა, რომელზეც, ჟურნალ ,,Newsweek"-ის მოწმობით, ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული, დაახლოებით, 3500 ქრისტიანი. იქ იყვნენ რომო-კათოლიკი მღვდლებიც, მართლმადიდებელი ეპისკოპოსებიც, რომლებიც, ამავე ჟურნალის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოლო დრომდე „გაურბოდნენ მსგავს ღონისძიებებს". მსახურებას ატარებდა კენტერბერიელი მთვარეპისკოპოსი რობერტ რანსი ორ „მღვდელთან" ერთად, კვერექსებს რიგრიგობით ამბობდნენ მართლმადიდებლები, რომო-კათოლიკები და მონოფიზიტები. რომო-კათოლიკმა მღვდელმა, პაულ ვერნერმა წაიკითხა ნაწყვეტი სახარებიდან, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მთვარეპისკოპოსმა კირილემ ილოცა იმისთვის, რათა „ჩვენ მოვიპოვოთ ხილული ერთობა, გავერთიანდეთ ქრისტეს სხეულში, ერთ ტრაპეზზე პურის განტეხისა და ბარძიმის კურთხევით".

ვიბორგის ახალგაზრდა მთავარეპისკოპოსი კირილე (გუნდიაევი) კონფერენციაზე აშშ-ში (1979წ. ივლისი); მის გვერდით - დოქტორ ფ. პოტერი, ემს-ს მაშინდელი გენ. მდივანი

ფერისცვალების იმავე დღეს ბერძენმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა აღავლინა განსაკუთრებული წირვა, რომლის დროსაც არა მხოლოდ მართლმადიდებლები ეზიარნენ, არამედ ეზიარა ყველა, ვინც ბარძიმთან მივიდა. ვანკუვერის ყრილობაზე გამომსვლისას ფემინისტური ორიენტაციის პროტესტანტები ჩიოდნენ იმ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რომელიც წმინდა წერილის ტექსტებიდან მომდინარეობდა [1]. გარდა ამისა, ამ უკანონო ყრილობის პროგრამაში იყო ინდიელთა კერპის აღმართვაში მონაწილეობის მიღება, რომელიც კანადელმა ინდიელებმა „ქრისტიან“ ეკუმენისტებს გამოუგზავნეს საჩუქრად.

---

1. მათ შესთავაზეს, „მამა ღმერთის“ ცნება „დედა ღმერთის“ ცნებით შეეცვალათ. იმისათვის, რათა „ღვთის სიტყვა სექსუალობისაგან განეწმინდათ“, ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ საღმრთო წერილის ახალი თანამედროვე თარგმანის გამოცემა მოიფიქრა. ის 1983 წელს გამოიცა, ე.წ. „Inclusive Language Lectionary”, სადაც ფიგურირებს „ღმერთი მამა-დედა“, „ძე კაცისა“-„შვილი კაცისა“, „სასუფეველი ღვთისა“-„სფერო

ღვთისა“ (ინგლისური სიტყვები „მეფე“ და „დედოფალი“ ერთი ძირისაგან არ მომდინარეობს) და ასე შემდეგ. თვით ისეთი გამოცემებიც, როგორებიცაა „New-York Times“, ,,Newsweek“, და ,,Time“, ამ ფაქტს მეტად კრიტიკულად გამოეხმაურნენ.

ისლამთან და სხვა რელიგიებთან ლაქუცი

საგულისხმოა, რომ „ქრისტიანულ ეკლესიებში“ გააქტიურებული ეკუმენისტური მოძრაობა სულ მეტად ცდილობს, გააფართოვოს თავისი გავლენა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან ღიად ითანამშრომლოს. ტაიფში (საუდის არაბეთი) ანტიოქიის პატრიარქი ეგნატე პანისლამისტურ კონფერენციაზე გამოსვლის წყალობით ისტორიაში შევიდა, რადგან მან ზუსტად შემდეგი განაცხადა: „ისევე როგორც თქვენ, ჩვენც, აღმოსავლელი ქრისტიანები, მუდმივად ღვთის ხატების ძიებაში ვართ. . . ისევე როგორც თქვენ, ჩვენც ცისა და მიწის შემოქმედს ცოდვათა მიტევებას ვევედრებით, იერუსალიმში ერთი ღვთის მიმართ ყველა მლოცველი აღავლენს თავის ლოცვას ღმრთისადმი“. თავისი გამოსვლის დასასრულს პატრიარქმა გამოთქვა სურვილი, რომ „ღმერთმა ყველას მისცეს თავისი დიდი წყალობა“. „დაე, ღმერთი ყველა თქვენგანთან იყოს!“ - დაასრულა მან.
ამასთან, ისლამთან რელიგიური კონტაქტის დამყარების ნებისმიერ მცდელობას მეტად დელიკატური ხასიათი აქვს, რადგან მოცემულ შემთხვევაში საუბარია რელიგიის შესახებ, რომელიც საუკუნეების მანძილზე მართლმადიდებლობის მიმართ უკიდურეს შეუწყნარებლობასა და აგრესიას ავლენდა. იმის შესახებ, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდნენ მართლმადიდებელი ეკუმენისტები ისლამთან ლაქუცში, მოწმობს ალექსანდრიის პატრიარქ პართენის სტატია, რომელიც ცნობილია თავისი ფრიად აქტიური მცდელობებით, დიალოგი დაამყაროს ისლამის წარმომადგენლებთან. ჟურნალ „ილისიოსში“ (1982 წლის მაის-ივნისი) გამოქვეყნდა პატრიარქის

სტატია, რომელშიც ისლამს, არც მეტი, არც ნაკლები, „დიდი ღმერთისა და მისი მოციქულ მუჰამედის“ რელიგია ეწოდა (ερησεια του Μεγαλου Θεου και του Αποστολου του Μοηαμεδ) [1]. იქვე ალექსანდრიის პატრიარქი ისლამთან მჭიდრო დიალოგის აუცილებელობას მოითხოვს.

მიტროპოლოტი ანასტასი, ალბანეთის ეკლესიის თავი, ემს-ს ამჟამინდელი ხელმძღვანელი[31], ალბანელ მუსულმან-ფუნდამენტალისტების სულიერ ლიდერებთან ერთად

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება, მოვიყვანოთ სიტყვები გარდაცვლილ პატრიარქ პიმენისა, რომელმაც მაშინდელი სსრკ-ს ევროპული ნაწილის უმაღლეს მუფტს რუსი ხალხის ერთი ნაწილის „გათურქების“ 1100 წლის იუბილე ასე მიულოცა: „გულითადად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ძმაო, და თქვენს ყველა სულიერ შვილს ვოლგისპირეთსა და ურალში ისლამის გაჩენის 1100 წლის იუბილეს. . . დიდი კმაყოფილების გრძნობით ვადასტურებ ჩვენი ტრადიციული ძმური მშვიდობისმყოფელი თანამშრომლობისა და ჩვენი პატრიოტული მსახურების შესახებ.

[31] საუბარია 2002 წელზე - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენ შორის არსებული რელიგიური კავშირები მომავალშიც ემსახურება ჩვენი ძლევამოსილი სახელმწიფოს კეთილდღეობას, ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხს შორის სამართლიანობის განმტკიცებას. დაე, ღმერთმა აკურთხოს თქვენი მსახურება ღვთის ერისადმი. ძმური სიყვარულით, პატრიარქი პიმენი“ [2].

ჩვენ კიდევ მრავალი ფურცელი დაგვჭირდებოდა, თუკი გადავწყვეტდით, რომ რუსი ეკუმენისტების ყველა ეკუმენისტური ხასიათის გამონათქვამი მოგვეყვანა, რომლებიც პაპისტებთან, ლუთერანებთან, მუსულმანებთან, იუდაისტებთან და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან თავიანთი შეხვედრებით ფეხქვეშ თელავენ რუსეთის ეკლესიის სიწმინდეს, ბილწავენ ისეთი წმინდანების ხსოვნას, როგორებიც არიან: ალექსანდრე ნეველი, იობ პოჩაეველი, სერგი რადონეჟელი და კიდევ სხვა მრავალნი, რომლებიც ერესისა და მაჰმადიანობის უწმინდურობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

გაეროს დაარსების 20 წლისთავთნ დაკავშირებით სან-ფრანცისკოში ჩატარდა „ყველა რელიგიათა კრება მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის“. 10 ათასობით დამსწრეთა წინაშე რელიგიურად განპირობებულ მშვიდობაზე ისაუბრეს ინდუსმა, ბუდისტმა, იუდაისტმა, პროტესტანტმა, რომო-კათოლიკმა და მართლმადიდებლობის წარმომადგენელმა, ამ დროს მგალობელთა შერეული, „რელიგიათაშორისი“ გუნდი ყველა ამ რელიგიის საგალობლებს ასრულებდა.

ამ დროს ამერიკაში გაიხსნა ე. წ. „ურთიერთგაგების ტაძარი“, ასევე შეიქმნა „გართიანებულ რელიგიათა კავშირი“, რომლის მიზანიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ზოგადსაკაცობრიო სიმბოლური ტაძრების შექმნაა. ამ კავშირის პირველ შეხვედრაზე კალკუტაში რომო-კათოლიკმა ბერმა თომას მერტონმა [3] განაცხადა: „ჩვენ ახალ ერთობას წარმოვადგენთ. მაგრამ ნამდვილ ერთობას ჯერ კიდევ უნდა მივაღწიოთ“. მეორე შეხვედრაზე ჟენევაში მსოფლიოს ძირითადი რელიგიების 80-მა

წარმომადგენელმა განიხილა „რელიგიათა მსოფლიო კავშირის შექმნის პროექტი“. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, იუჯილ ბლეიკმა ძირითადი აღმსარებლობის მეთაურ-წარმომადგენლებს დაუგზავნა მიმართვა, რომელშიც გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ჟენევაში, წმინდა პეტრეს სახელობის პროტესტანტულ კათედრალურ ტაძარში, გაიმართა აქამდე არნახული ზეკონფესიური ღვთისმსახურება ლოზუნგით: „ყველა რელიგიის მორწმუნეები მოწოდებულნი არიან, ერთი ღმერთის აღმსარებლობით იცხოვრონ“. ყოველი წარმომადგენელი თავის მშობლიურ ენაზე ლოცულობდა, მისი რელიგიისთვის დამახასიათებელი წესების დაცვით. (იგივე ხდებოდა ასიზში რამდენიმე წლით გვიან). ამგვარად, ყოველი რელიგიის მორწმუნე „ერთი ღმრთის“ სადიდებლად ლოცულობდა. ეს რიტუალი „მამაო ჩვენოს“ ლოცვით დასრულდა. „ურთიერთგაგების ტაძარმა“ ფართო საზოგადოებას აცნობა, რომ 1971 წელს აშშ-ში შემდგარ ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო მიტროპოლიტმა ემელიანე ტიმიადისმა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან. ამ „მეთაურთა კონფერენციის“ მიმდინარეობისას მართლმადიდებელ დელეგატებს შესთავაზეს, თავიანთი წვლილი შეეტანათ „რელიგიათა მსოფლიო კავშირის“ ორგანიზაციაში და ამით აღესრულებინათ კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნება მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და ვივეკანანდას, რამაკრიშნას, განდის, ალბერტ შვაიცერისა და სხვადასხვა მოძღვრების დამაარსებელთა ფილოსოფიებთან თანხმობის მიღწევის გზაზე... ბოლოს ყველა დელეგატი მიიწვიეს ზეკონფესიურ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დროსაც თითოეული მათგანი თავისი ჩვეულების შესაბამისად ლოცულობდა.

გიორგი კოდრი, ანტიოქიის საპატრიარქოს ლიბანის მიტროპოლიტი, ერთ-ერთია მართლმადიდებელ თეოლოგთა და ეპისკოპოსთა შორის, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია არაქრისტიანულ რელიგიებთან „დიალოგის“ სფეროში. ჯერ

კიდევ 1970 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას ადის-აბებაში (პრაქტიკულად სწორედ მაშინ დაიწყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს არაქრისტიანულ რელიგიებთან დიალოგი), მან ბევრი პროტესტანტიც კი დააბრკოლა თავისი მოხსენებით თემაზე: „ქრისტიანობა პლურალისტურ მსოფლიოში - სულიწმინდის იკონომია“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ჩვენ ვალდებულები ვართ არაქრისტიანულ რელიგიებთან არა მხოლოდ „დიალოგი“ წარვმართოთ, არამედ მოუნათლავთა სულიერი ცხოვრების საწყისებიც უნდა „შევისწავლოთ“, რათა ჩვენი საკუთარი გამოცდილება უნივერსალური რელიგიური ერთობის „მარგალიტებით“ გავამდიდროთ, რადგან, ამ მიტოპოლიტის მიუღებელი სწავლების თანახმად, როცა ბუდისტი ან მუსულმანი თავის წმინდა წიგნებს კითხულობს, იგი, მადლმოსილი შთაგონებით გასხივოსნებული, თავად ქრისტეს ჭვრეტს [4]. გარდა ამისა, ლიბანის მიტროპოლიტი ამბობს შემდეგს: „სული თავისი ენერგიით საკუთარი იკონომიის შესაბამისად მოქმედებს, და ეს გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მისი მადლი არაქრისტიანულ რელიგიებშიც არსებობს. ხოლო ყველა ის, ვისაც სული წმიდა ეწვევა, ღვთის ერად იწოდება“ [5]. ეს აზრები არის საკვანძო „ახალი ეპოქის“, „სულიწმინდის დროის“ „ეკლესიის ეკლესიოლოგიის“ გასაგებად. შესაძლებელია, რომ ამ „მოწინავე“ მიტროპოლიტის ერეტიკული თვალსაზრისი შეიცვალოს? სავარაუდოდ კი, მაგრამ მხოლოდ უარესობისკენ. რადგან, თუ წავიკითხავთ მის მოხსენებას, რომელიც მან გააკეთა „მეხუთე მსოფლიო კონფერენციაზე, მიძღვნილს სარწმუნოებისა და თანამშრომლობისადმი“, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით 1993 წელს 13-14 აგვისტოს ესპანეთში, სანტა დე კომპოსტელოში გაიმართა, და რომელზეც მართლმადიდებელთა მნიშნელოვანი (46 წევრიანი) დელეგაცია იმყოფებოდა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საუბარია გიგანტური მასშტაბების

გადაცდომებზე [6]. დავსვათ კითხვა: „Quo Vadite Oecumenisti Orthodoxi?” [7].



ასიზი, 24.01.02. კათედრაზეა ვოლოკოლამისა და იურევსკის მიტროპოლიტი პატერიმი

1986 წლის 27 ოქტომბერს ასიზში[32] ყველა მსოფლიო რელიგიათა წარმომადგენელთა პირველი ერთობლივი ლოცვა გაიმართა. ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში. რომის პაპის გარდა, რომელიც ამ შეკრების მთავარ ფიგურას წარმოადგენდა, იქ მსოფლიო რელიგიათა 150 წარმომადგენელი იმყოფებოდა, რომელთა შორის იყვნენ დალაი-ლამა, აფრიკელი მაგები, ინდოელი გურუები, ტიბეტელი შამანები, პროტესტანტები, მართლმადიდებელი მიტროპოლიტები, ინდიელი ჯადოქრები, რომლებიც მშვიდობის ყალიონს აბოლებდნენ. ეს ზეკონფენსიური არეულობა ჭეშმარიტად უპრეცედენტო იყო. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაციას მთავარეპისკოპოსი, მეთოდი ფიატირელი მეთაურობდა. რუსეთის ეკლესიას მეთაურობდა მაშინ ჯერ კიდევ მიტროპოლიტი, ამჟამად კი განკვეთილი ფილარეტი

[32] ASSISI - ქალაქი იტალიაში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

(დენისენკო). რიტუალი დაიწყო ორსაათიანი ერთობლივი ლოცვით, რომელიც რომო-კათოლიკურ ტაძარში აღესრულებოდა, შემდეგ კი მლოცველებმა ფრანცისკო ასიზელის სახელობის ქალაქის მოედანზე გადაინაცვლეს [8].

ეკუმენიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის სინკრეტიზმისკენ [33] და სხვადასხვა რელიგიების „სულიერი ტრადიციების“ გაერთიანებისკენ სწრაფვა. მსოფლიო სულიერების ინსტიტუტი (The Institute for World Spirituality) ყოველ წელს აწყობს აშშ-ში საზაფხულო სემინარს ჩიკაგოს შემოგარენში ოთხ სასულიერო წარმომადგენლობათაგან ერთ-ერთში. მიჩიგანის ვივეკანანდას მონასტერთან, წმ. პროკოფის ბენედექტულ სააბატოსთან, ორეგონის ტიბეტურ ბუდისტურ მონასტერთან ერთად ზაფხულის ინტერკონფესიური სემინარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ლიბერტვილის წმინდა საბას სახელობის სერბეთის მართლმადიდებლური მონასტერი. სემინარი თავისი მონაწილეებისათვის აწყობს მთელ რიგ ლექციებს, ასევე მათ მონასტერსა და მის შემოგარენში მედიტირების შესაძლებლობას აძლევს. ამ სემინარის ანგარიშში, რომელიც ეპარქიალური მართლმადიდებელი სერბი მთავარეპისკოპოსის კურთხევით ჩატარდა [9], განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფოტოსურათმა, რომელზეც სემინარიის მონაწილეები მონასტერში, ღვთისმშობლის ხატის წინ, ლოტოსის პოზაში [34] მყოფნი მედიტირებენ. ახლა

---

[33] სინკრეტიზმი - ბერძნული synkretismos-სგან, რომლითაც აღინიშნება სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოძღვრებების (რელიგიურის, ფილოსოფიურის და ა.შ.) მექანიკური, ხელოვნური, ეკლექტური გაერთიანება ერთ მოძღვრებაში. სიტყვა წარმომავლობს კუნძულ კრეტას სახელისგან, რომელსაც ასევე უკავშირდება სიტყვა „კრეტინი“ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[34] ლოტოსის პოზა - აღმოსავლური მიმდინარეობის, მ.შ. ხატხა იოგას ერთ-ერთი ჯდომითი პოზაა, რომელიც, ძირითადად, მედიტირებისათვის გამოიყენება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

გადავიდეთ მსოფლიო რელიგიების პარლამენტის მსგავსი მოღვაწეობის დაწვრილებიოთ ანალიზზე.

---

1. იმისათვის, რომ ჩვენმა მკითხველებმა შეძლონ შეადარონ ეკუმენისტების მსგავსი განცხადებები წმინდა მამათა პოზიციას ისლამთან მიმართებაში, მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი დიდი კურთხევანიდან იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ახასიათებს საღვთისმსახურებო ტექსტები ისლამს. „სარაცინული, ანუ თურქული (ისლამური) ,მტრული უღმერთობისაგან" განდგომის წესში მართლმადიდებლობაზე გადმოსვლის მსურველს მოეთხოვება, რომ მან უარყოს ღვთივმბრძოლი თურქული სარწმუნოება და მისი ყოველგვარი უწმინდური აზროვნება, უარყოს მუჰამედი, როგორც ცრუმოციქული, ეშმაკის მსახური, და არა ღმერთი, უარყოს მისი ყველა მიმდევარი, როგორც ცრუ მასწავლებელი და გადასცეს ისინი ანათემას, როგორც ეშმაკის ღვთივსაძულველი მსახურები. განსაკუთრებით კი უნდა უარყოს წყეული მუჰამედის მთელი მკრეხელური წერილი, რომელსაც ეწოდება ალ-ყურანი, ასევე ყველა სწავლება, კანონგანწესებანი, გადმოცემები". წესის ბოლოს ნათქვამია, რომ მან უნდა დაუტევოს ყოველგვარი მუსულმანური ლოცვის განწესება, მექას მოლოცვა, სამლოცველო სახლები და ყოველგვარი თურქული მლოცველობითი ჩვეულებანი. ამის საფუძველზე ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რაოდენ განსხვავებულ სულისკვეთებას წარმოაჩენს თანამედროვე ეკუმენიზმი. პატრიარქი ათინაგორა მეჩეთში სალოცავად ფეხშიშველი შედიოდა, ბოსნიაში სერბმა ეპისკოპოსებმა ომამდე ხოჯებთან უკანონო ლოცვითი შეკრებები მოაწყვეს. რა დიალოგია შესაძლებელი ისლამთან? თუ ეს სიგიჟე არ არის, მაშინ, ალბათ, პირმოთნეობაა. იმავე დიდ კურთხევანში არის მოზრდილ ებრაელთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის წესი, რომელშიც იუდაიზმის აღმსარებელს ეწოდება ადამიანი, რომელიც ხსნის გზიდან გადაცდა და ებრაული ურწმუნოებით ბნელმოცულ

იქმნა. რამდენად ეწინააღმდეგება ამგვარი პოზიცია ზოგიერთი დღევანდელი ეპისკოპოსის პოზიციას, რომლებიც საზეიმო შესამოსელში გამოწყობილნი რაბინებთნ ერთად ფაშიზმის მსხვერპლთათვის ლოცულობენ[35]. სამწუხაროდ, ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როდესაც კაცთმაამებლობა ღვთისმოყვარეობას ანაცვლებს.

2. მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალი, 1990, N 3.

3. *ცნობილი რომო-კათოლიკი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი „ახალი ქრისტიანობისა“, რომლის ქადაგებაც პაპმა იოანე XXIII ღიად დაიწყო. „პაპ იოანეს ოპტიმიზმი, - წერდა მერტონი, - სინამდვილეში რაღაც ახალია ქრისტიანულ აზროვნებაში, რადგანაც იგი გამოხატავს იმის არაორაზროვან იმედს, რომ ჩვეულებრივ ადამიანთა საზოგადოება, რომლის ბევრი წევრი ქრისტიანი არ არის და, მეტიც, არც კი სწამს ღმერთი, შეიძლება მშვიდობისა და თანხმობის საზოგადოება იყოს, თუკი მათ ერთმანეთთან ექნებათ ურთიერთობა, დამყარებული ღმრთის მიერ ბოძებულ გონიერებასა და ერთმანეთის უფლებების სრულ პატივისცემაზე. . . ომები უნდა შეწყდეს. უნდა ჩამოყალიბდეს მსოფლიო მთავრობა. . . ერთიანი ნამდვილი საერთშორისო ხელისუფლება - აი, ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ყველა ადამიანური პრობლემისა“. მერტონი იმ ჰუმანისტური იდეის მომხრედ ითვლება, რომლის თანახმადაც დღეს ქრისტიანობის ამოცანაა „ააშენოს ქვეყნიერება, რომელიც ერთიანობით და თანხმობით იცხოვრებს“. ეს აზრები წარმოაჩენს არსს იმ იდეისა, რომელმაც ეკუმენიზმის განავითარებამდე, ვატიკანის მეორე კრების მოწვევამდე მიგვიყვანა და მეტად მოგვაგონებს პატრიარქ ათინაგორას განცხადებებს. არსობრივად, ეს საქმე სოციალური იდეალიზმისა და პოლიტიკური უტოპიის ცრუ სახარებაა. ესაა ეკუმენისტური სახარება ჟენევისა, რომისა და*

---

[35] საუბარია არა მსხვარპლთათვის ლოცვის მიუღებლობაზე, არამედ რაბინებთან ერთად ლოცვის მიუღებლობაზე - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

კონსტანტინეპოლისა - ეს სოფელი მარადიულად მიგაჩნდეს და გიყვარდეს, როგორც ასეთი. პაპმა პავლე VI-მ ოდესღაც თქვა: „ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ეპოქა, ჩვენი ცივილიზაცია, ჩვენი ტექნიკური მეცნიერება, ჩვენი ხელოვნება, სპორტი, ჩვენი ქვეყნიერება. . .“. ეს უკვე არ არის ქრისტიანობა, არამედ აშკარა ჰუმანისტური იდეალიზმია, ხოლო არსობრივად - ხილიაზმის ერესი.

4. Christian Century, 10 თებერვალი, 1971 წ.

5. George Khodr, Metropolitan of Mout Liman: „Christianity in a Pluralistic World - The World of the Holy Spirit“.

6. ლიბანის მიტროპოლიტი ამბობს: „...თუმცა სული მყოფობს იქ, სადაც სურს, და სიწმინდე, გაგებული როგორც გასხივოსნება და დიდებით შემოსვა, შეუძლია ჰქონდეს ყველა ადმიანს ყველგან... ჭეშმარიტების გზაზე დიალოგი უნდა გავაგრძელოთ. ქრისტიანები, მოწოდებულნი ქრისტესკენ, როგორც ჭეშმარიტებისაკენ, არ შეუქმნიან წინააღმდეგობებს ჭეშმარიტებებს, რომლებიც მის გარშემო განშტოებულ ტრადიციებში ცხოვრობენ, რამეთუ ყველა ეს ჭეშმარიტება ერთი ღვთაებრივი საწყისიდან მომდინარეობს. ქრისტიანებმა ყოველგვარი სულიერი საზრდო უნდა მიიღონ, არა როგორც ადამიანის სიტყვა, არამედ როგორც ზეციური პური. ნებისმიერი ქადაგება სხვა ქადაგებას ეწინააღმდეგება, და ყოველი დოკუმენტი მეორე დოკუმენტს ეწინააღმდეგება. ამიტომ დიალოგის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მივაღწიოთ შედეგებს არარელიგიურ გადმოცემებში, ვიპოვოთ ღვთაებრივი ჭეშმარიტება, დაფარული სხვადასხვა ნიშნებსა და სიმბოლოებში. ეს არ იქნება სინკრეტიზმი, ეს თავად ქრისტეა, რომელსაც ჩვენ თაყვანსა ვცემთ, რომელიც სხვა რელიგიათა უსაზღვრო სივრცეებში მსვლელობს.. დიალოგში ეკლესია ცოცხლობს, წინ მიდის და საკუთარ თავს შეიცნობს...“. (იხ.Thomas Best - Gunther Gassmannn. «On the way to Fuller Koinonia». Official Report of the Fifth World Conference on Faith and Order? Santiago de Compostela, 1993. «Faith and Order», paper № 166. WCC Publications, Geneva, 1994)

7. საით მიდიხართ მართლმადიდებელო ეკუმენისტებო?
8. ასიზში სუპერეკუმენისტების შეხვედრათა ტრადიცია, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.
9. დასავლეთისა და ამერიკის მიტროპოლიტ ქრისტეფორესი.

მსოფლიოს რელიგიათა პარლამენტი

1993 წლის 28 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩიკაგოში მიმდინარეობდა „რელიგიურ მეთაურთა საბჭოს“ ისტორიაში ყველაზე დიდი სხდომა სახელწოდებით „მსოფლიო რელიგიათა მეორე პარლამენტი“. მსოფლიო რელიგიათა პირველი პარლამენტი 1893 წელს შედგა. ბაროუსის სიტყვებით, რადგან „რელიგია, ზეციური თეთრი შუქის მსგავსად, სხვადასხვა სარწმუნოებათა პრიზმაში გარდატეხისას იშლება მრავალ შემადგენელ ნაწილად, რელიგიათა პარლამენტის ერთ-ერთი მიზანი იყო ეს ნაწილები ზეციური ჭეშმარიტების ერთიან თეთრ შუქად შეეერთებინა[36]“.

ჩიკაგო, 1893 წ.

მაშინდელი ყრილობის ვარსკვლავი იყო სვამი ვივეკანანდა, ინდუისტი, რომელიც დამსწრეთა მახსოვრობაში დარჩა თავისი

[36] აქ ხატოვნად აღნიშნულია აზრი, რომ თეთრი სხივის სპექტრალური დაშლის უკუპროცესი, ანუ სპექტრალური დაშლის ელემენტების ისევ ერთ თეთრ სახივად შეერთების პროცესი უნდა განვითარდესო - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

დამოძღვრით იმასთან დაკავშირებით, რომ „არ უნდა ვიზრუნოთ დოგმატებზე, სექტებზე, ეკლესიებსა თუ ტაძრებზე. ეს ყველაფერი არაფერია იმ სულიერებასთან შედარებით, რომელიც ადამიანური არსებობის არსს წარმოადგენს“. ასე რომ, საუბარია ზეკონფესიური ორგანიზაციის შექმნაზე.

მეორე მოწვევის პარლამენტი პირველის ასი წლისთავის იუბილეს დაამთხვიეს. ორგანიზატორების მიზანი იყო, დამსწრე საზოგადოებისთვის რელიგიურ რიტუალებში, ლიტურგიასა და მედიტაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ. ექვსნახევარი ათასი მონაწილე მსოფლიოს 120 რელიგიას წარმოადგენდა. აქ ესწრებოდნენ ბუდისტები, მართლმადიდებლები, ინდუისტები, მუსულმანები, იუდაისტები, ამერიკელი ინდიელები, პროტესტანტები, რომო-კათოლიკები, ზოროასტრისტები და სხვები. ტრადიციული აღმსარებლობის წარმომადგენელთა გარდა სხდომას ესწრებოდნენ მეტად ეგზოტიკური ჯგუფის წარმომადგენლები: მეტაფიზიკები, ჰუმანისტები, ქალღმერთ იზიდას, ვენერასა და ა.შ. ნეოწარმართი მიმდევრები. ყოველდღე ტარდებოდა ლოცვები, მედიტაციები, პლენარული სხდომები. ძირითადი ნაწილი სრულდებოდა საზეიმო ცერემონიით, რომლის მსვლელობის დროსაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები XXI საუკუნისთვის კურთხევას ითხოვდნენ. შეხვედრებისა და სხდომების გამოცოცხლება სხვადასხვა დისკუსიებით, ინდური ცეკვებითა და სხვადასხვა რიტუალებით ხდებოდა. ჩრდილოეთ ამერიკის ბერძნული მთავარსაეპისკოპოსოს წარმომადგენლებმა შეხვედრა დატოვეს, რადგან ნეოწარმართების გვერდით თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. (საინტერესოა, სხვებმა თუ გამოთქვეს პროტესტი ნეოწარმართების იქ ყოფნის გამო?) იმავდროულად, მართლმადიდებლობის სხვა წარმომადგენლებმა, რომელთა შორის ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, მთავარეპისკოპოსი ანასტასიც იყო, ამ თავყრილობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი არ თქვეს. დამსწრეთა მქუხარე

აპლოდისმენტები გამოიწვია ერთი ლუთერანი პასტორის სიტყვებმა, რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ ქრისტიანობა საკმარისი არ არის, მომავალი საუკუნის ყველა მოთხოვნას რომ ვუპასუხოთო. ყრილობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა სიტყვა ღმერთის ხსენება იყო, რომლის წარმოთქმასაც ბევრი გაურბოდა იმის გამო, რომ ამ სიტყვაში სხვადასხვა აღმსარებლობა განსახვავებულ გაგებას ცნობს.

რელიგიათა პარლამენტის დასკვნით დოკუმენტში ახალი, „გლობალური ეთიკის“ (Global Ethic), ახალი მორალური კრიტერიუმების შექმნის აუცილებლობაა წინ წამოწეული, რომლებიც არცერთი არსებული რელიგიის მიერ არ იქნებოდა აბსოლიტიზირებული. ამ „გლობალური ეთიკის გამოხატულება ძალადობის არარსებობა, სოციალური სამართლიანობა, ეკუმენიზმი, პლურალიზმი, ფემინიზმი, ადამიანის უფლებების დაცვა, ყოველგვარი დისკრიმინაციის (სოციალურის, ეკონომიკურის და ა.შ.) აღმოფხვრა, ასევე „სინდისის ტრანსფორმაცია“იქნებოდა. ამ იდეის ერთ-ერთი შემქმნელი აწ განსვენებული რომო-კათოლიკი თეოლოგი ჰანს კიუნგი იყო [1]. თვით ამჟამინდელი ცნება რელიგიისა დაახასიათეს როგორც ახალი დროის სინთეზისთვის შეუსაბამო, რადგან იგი ხელს უწყობს კონფრონტაციის, აგრესიული ფანატიზმისა და სიძულვილის გაღვივებას [37] . წამოყენებულ იქნა იდეა ქრისტიანულ აღმსარებლობათა საფუძველზე „გლობალური ქრისტიანობის“ სინთეზის აუცილებლობის შესახებ. მსოფლიო პარლამენტის იდეოლოგთა აზრით, „ქრისტიანულ ოჯახში“ ყველა განშტოება შედეგია ქრისტიანობის ოთხი კომპონენტიდან (საღმრთო წერილი, წმიდა გადმოცემა, გონება და გამოცდილება) ერთ-ერთის მოჭარბებისა. სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების კლასიფიკაციის სისტემაში მართლმადიდებლობა ადვენტისტების, მუნისტების, იეღოველთა სექტებისა და სხვა დაჯგუფებების რიგში იქნა დაყენებული. ეს ყველაფერი

[37] მსოფლიო პარლამენტის იდეოლოგთა აზრით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ნათლად წარმოაჩენს, თუ საით მივყავართ ეკუმენიზმს და რა არის მისი ჭეშმარიტი მიზნები.

ეკუმენიზმის ძირითადი პროგრამა, რომელიც 1993 წელს მსოფლიო პარლამენტის სხდომაზე მიიღეს, აცხადებს ერთგულებას სინკრეტიზმის პრინციპებისადმი, რომელიც ყველა რელიგიას მოიცავს, მაგრამ არა კლასიკური უნიის თვალსაზრისით, ანუ ერთი რელიგის შექმნით, ერთი რიტუალითა და ერთი მეთაურით, არამედ ტოლერანტულობის ატმოსფეროს განვითარებითა და იმის საერთო რწმენით, რომ ყველა რელიგიას ასე თუ ისე ღმერთთან მივყავართ და ყოველი მათგანი ღვთაებრივი წარმოშობისაა [2]. როცა ყველა რელიგიის წარმომადგენელი ამ თვალსაზრისს მიიღებს - უნია უკვე შექმნილი იქნება. ამ იდეას უკვე დიდი ხანია ქადაგებენ თეოსოფები, რომლებიც რელიგიათა პირველი პარლამენტის მოწვევის ძირითადი სულისჩამდგმელები გახდნენ. ბოლო ყრილობაზე ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ, რადგან მათი თეორია ოფიციალურ ეკუმენისტურ დოგმად ღიად გამოცხადდა. თეოსოფია მიიჩნევს, რომ ყველა რელიგია გამოხატავს ადამიანის უცილობელ საჭიროებას შეიცნოს საკუთარი თავი, გარესამყარო და ამქვეყნად მისი არსებობის საბოლოო მიზანი. ამ თეორიის თანახმად, რელიგიები განსხვავდებიან იქიდან გამომდინარე, რომ ამ მისწრაფებას განსაზღვრული დროის, ადგილისა და კულტურის შესაბამისად გამოხატავენ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეკუმენიზმი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამართლება მოძრაობისა „ახალი ეპოქა“ (New Age).

---

1. მისი პოზიციის შესახებ უფრო სრული წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას, თუ წავიკითხავთ მის წიგნს: „საერთო პასუხისმგებლობა - ახალი მსოფლიო ეთიკის ძიებაში (Global Responsibility: In Search of a New World Ethic).

2. ამ სტრატეგიის მიღმა ახალი მსოფლიო რელიგიის შემქმნელთა მზაკვრობა იმალება. ერთი მეთაურით ახალი უნიფიცირებული რიტუალის შექმნამ ქრისტიანთა მხრიდან შესაძლოა კატეგორიული

წინააღმდეგობა გამოიწვიოს. ახალი რელიგიის არსი ახალი რელიგიური სინდისის ფორმირებაშია, რომელიც სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლებს საშუალებას მისცემს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეასრულონ თავიანთი ტრადიციები და რიტუალები იმ პირობით, რომ უარს იტყვიან სხვათა მიმართ არაშემწყნარებლურ ურთიერთობებზე და გაითავისებენ იმ იდეას, რომლის მიხედვითაც ყველა რელიგია მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული ასახვაა (კულტურის, ტერიტორიისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე) ერთი სულიერი არსისა და, საბოლოო ჯამში, ერთი და იგივეა.

სინკრეტული დომხალი - კანბერა-1991

კანბერაში (ავსტრალია), 7-დან 20 თებერვლამდე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მე-7 კონფერენცია მიმდინარეობდა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მრავალრიცხოვანი პროტესტანტული სექტები, არამედ ყველა მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენლები (გარდა იერუსალიმის საპატრიარქოსა, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გავიდა), ასევე მონაწილეობდა ვატიკანის წარმომადგენლობითი დელეგაცია კარდინალ ედუარდ კასიდის მეთაურობით. წინა ყრილობისაგან განსხვავებით, რომელიც 1983 წელს ვანკუვერში გაიმართა, ამ კონფერენციის მუშაობაში არაქრისტიანულ რელიგიათა მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამგვარად, ეს არსობრივად ერეტიკული ყრილობა იყო, რომელსაც, სამწუხაროდ, მართლმადიდებელი მღვდლები ესწრებოდნენ. გაიმართა მრავალრიცხოვანი სხდომები, ცალკეული „ეკლესიების“ წარმომადგენელთა რიტუალები და თვით „დოქტორ“ ჩანგის მაგიური რიტუალიც კი, კორეელი სპირიტი ქალისა, რომელმაც მრავალრიცხოვან მაყურებელთა წინაშე გამოიძახა წინაპართა სულები, მათ შორის ჰეროდე მეფის ბრძანებით დახოცილი ბავშვებისა და ბოლოს გაკადნიერდა,

იესო ნაზარეველის სულიც გამოეძახა[38]. (მოგვიანებით, იმავე სცენაზე მართლმადიდებლებმა ლიტურგია აღასრულეს).

უცნაური იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა პროტესტანტი მღვდლების, სპირიტების, პასტორების, ფემინისტებისა და აშკარა ჰომოსექსუალისტების საზოგადოებაში ხილვა. ამ ყრილობამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით მართლმადიდებელმა ეკლესიამ არამართლმადიდებლები მოციქულებრივი სარწმუნოების აღმსარებლობის ჭეშმარიტ გზაზე არამცთუ დააყენა, არამედ თავად გაიხლართა სხვადასხვა ეკუმენისტურ თეორიებში, ხოლო მათ შეკრებებზე დასწრებით ასეულობით ერესსა და სიახლეებს საიმედო ალიბი შეუქმნა. სხვაგვარად როგორ გავიგოთ და ავხსნათ ის, რომ მართლმადიდებელი მიტროპოლიტი, ამჟამინდელი კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ამ უკანონო კრების თავმჯდომარის მოადგილეობაზე დათანხმდა?

როგორ ავხსნათ მართლმადიდებელ წარმომადგენელთა დასწრება უხმოდ, ყოველგვარი პროტესტის გარეშე, სხვადასხვა სახის „მესებზე“, რომლის დროსაც ქალი-„მღვდლები“ ხალხს

[38] რა თქმა უნდა, ეს იყო ილუზორული სეანსი ბოროტი ძალების მონაწილეობით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშნა.

აზიარებენ? როგორ გავიგოთ ის, რომ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები დღემდე რჩებიან იმ ორგანიზაციის წევრად, რომელიც იბრძვის მღვდელ-ჰომოსექსუალისტების უფლებებისათვის და მათ ნებას რთავს, აღასრულონ განსაკუთრებული მსახურება სექსუალურ უმცირესობათათვის და მომხრეა ერთსქესიანთა ჯვრისწერის დაკანონებისა და შემდგომში ასეთი ოჯახების მიერ ბავშვთა აღსაზრდელად აყვანისა? დღევანდელ სპექტაკლებთან შედარებით რამდენიმე წლის წინანდელი მსგავსი შეხვედრები გაცილებით უცოდველი ჩანდა. რაზე მეტყველებს ეს? მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები პრაქტიკულად არჩევანის წინაშე დგანან: მონაწილეობა გააგრძელონ იმ უგნურებაში, რომელმაც არანაირი დადებითი შედეგი არ მოიტანა, ან გაერიდონ ამ „უსჯულოთა კრებას“ და ღიად, პირმოთნეობის გარეშე აღიარონ ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა და მხოლოდ მასში, როგორც ცხონების ერთადერთ მადლმოსილ ნავსაყუდელში, შეგვიძლია ვპოვოთ ქრისტე; ხოლო ამის დასამოწმებლად აუცილებელია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლა [1].

კანბერის შემდეგ ეკუმენისტური მოძრაობის გაგრძელება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ეკუმენიზმი თავის

დამასრულებელ ფაზაში შედის. უკვე სერიოზულად მიდის საუბარი ეკლესიის ცნების რეინტერპრეტაციისა და რელიგიათშორისი ურთიერთობის შესაძლებლობის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ევქარისტიული სტუმართმოყვარეობის (Eucharistic hospitality) ღვთისმეტყველური ახსნისა. მართლმადიდებლური თვალსაზრისით, ერთობლივი ზიარება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარეგნული ერთობის მიღწევის საშუალება, რადგან ერთობა, რომელიც წმინდა ზიარების მიღებით აღესრულება, უკვე არის გამოხატულება შინაგანი ერთობისა ერთი კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის ფარგლებში. წმინდა ირინეოს ლიონელი ჯერ კიდევ II საუკუნეში წერდა: „ჩვენი სარწმუნოება ევქარისტიას ეთანადება, ხოლო ევქარისტია ჩვენს სარწმუნოებას ადასტურებს“. ერთობლივი ზიარება - ძირითადი მაჩვენებელია იმისა, რომ ისინი, რომლებიც მასში მონაწილეობენ, ქრისტეს ერთ სხეულს, ერთ ეკლესიას შეადგენენ. სამწუხაროდ, ეკუმენისტურ წრეებში სულ უფრო დაჟინებით საუბრობენ ერთი ბარძიმიდან ზიარების შესახებ, რასაც Eucharistic sharing-ს უწოდებენ, რომელიც ერთობის მიღწევის საშუალებად განიხილება, ერთობისა, რომელიც შესაძლებელია სწავლებებში მრავალრიცხოვანი განსხვავების მიუხედავად. ეს განსხვავებები სულ უფრო ხშირად, თურმე, ადგილობრივი საღვთისმეტყველო გადმოცემის განსხვავებულ გამოხატვამდე დაიყვანება. ასე წარმოიშვება მცდელობები მართლმადიდებლობის წარმომადგენელთა ერეტიკოსებთან ერთად ერთობლივი მსახურების გამართვაში ჩართვისა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, ემილიო კასტრომ უკმაყოფილება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთობლივ ზიარებაში ყრილობის ყველა დელეგატმა არ მიიღო მონაწილეობა (მათლმადიდებლები და რომო-კათოლიკები მაინც ცალ-ცალკე აღავლენდნენ ღვთისმსახურებას), რის გამოც მან ყველა მონაწილეს მოუწოდა, რომ ამიერიდან მსგავს ღონისძიებებზე მხოლოდ ერთობლივი ზიარების პრაქტიკა

დაემკვიდრებინათ, და დაუმატა, რომ მისი აზრით, ქრისტიანები პირფერობენ ღვთის წინაშე, როცა განეშორებიან და განცალკევებით ლოცულობენ და სხვებთან ერთად არ იზიარებენ ზიარებას. აღსანიშნავია, რომ რომო-კათოლიკეთა დელეგაციის პოზიცია ამ საკითხში ბევრად უფრო ტრადიციული იყო, ვიდრე მართლმადიდებელთა გაუბედავი პოზიცია. კარდინალმა კასიდიმ განაცხადა, რომ ევქარისტიული თანაზიარება ეკლესიური ერთობის უმაღლესი ნიშანი და ბეჭედია. „ჩვენ შევცდებოდით, თუკი ერთობლივი ზიარების პრაქტიკას მანამდე შემოვიღებდით, ვიდრე არ გადაწყდება მრავალი სადავო საკითხი“, - აღნიშნა მან. განსაკუთრებულ მოუთმენლობას, მრავლის მიხედვით, პროტესტანტები იჩენენ. ეს მათ მისიონერულ მოღვაწეობას უკავშირდება, აქედან გამომდინარე ისინი ისწრაფვიან ნებისმიერი გზით მიაღწიონ გარეგნულ ერთობას, რომელიც სამი წმინდა საიდუმლოს ერთობით გამოვლინდება. ეს საიდუმლობებია: ნათლისღება, მღვდლობა და ზიარება.

კანბერის ყრილობაზე ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი მიიღეს. მხედველობაშია „ეკლესიათა“ ერთობის პრობლემის შესახებ ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბება, რომელმაც მიიღო სახელწოდება: „ეკლესიის ერთობა, როგორც თანაზიარება: წმინდა ნაწილები და მოწოდება“. ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ამ დოკუმენტით ყველა „ეკლესიას“ მიმართა, რათა მათ ეხელმძღვანელათ შვიდი ძირითადი თეზისით, რომლებიც მოწოდებულია „სრული ერთობის“ მისაღწევად. მოგვყავს მათი მოკლე გადმოცემა:

1. ნათლობის ურთიერთაღიარება.
2. ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსის აღიარება როგორც მოციქულებრივი სარწმუნოების ერთადერთი გამოხატულებისა.
3. ევქარისტიული თანაზიარება.
4. მღვდლობის ურთიერთაღიარება.
5. სახარების ერთობლივი დამოწმება.

6. ერთობლივი მოღვაწეობა მსოფლიოში მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად.
7. ეკლესიის მრევლისა და თემებისათვის შესაძლებლობის მიცემა, შესაბამისი ფორმით გამოხატონ არსებული ურთიერთობა.

არსებითად, ამ დოკუმენტის მთავარი მიზანია, ყველა ქრისტიანულ „ეკლესიას“ მოუწოდოს, აღიარონ ერთმანეთი როგორც წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია მთელი თავისი სისავსით. გაუგებარია, როგორ შეეძლო ამჟამინდელ პატრიარქ ბართლომეს, რომელიც იმ დროს იყო ამ საკითხების შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე, ასეთი დოკუმენტის მიღება?! რას ნიშნავს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ზემოთმოყვანილ პუნქტთაგან თუნდაც ერთის აღიარება? სხვა არაფერს, თუ არა წმინდა მოციქულებისა და წმინდა მამების სარწმუნოების ღალატს. ერეტიკული ნათლობის აღიარება (მირონცხების გარეშე აღსრულებულისაც), როგორც აბსოლუტურად სწორისა - ეს დე-ფაქტო ნიშნავს ერეტიკოსებს უღიარო ევქარისტიისა და მღვდლობის წმინდა საიდუმლოებებიც. სახარებისეული ჭეშმარიტების ერთობლივი დამოწმება იმის აღმნიშვნელი იქნებოდა, რომ ჩვენ მართლმადიდებლური სარწმუნოება გვესმის რაღაც საერთო ღვთისმეტყველების ჩარჩოებში, რომელიც კომპრომისის მიღწევას ეფუძნება, ღვთისმეტყველებისა, რომელიც რაციონალიზმისა და დაცემული ადამიანის ბუნების საზომებსაა მორგებული.

---

1. *ჩვენ ვსვამთ საკითხს: როდემდე უნდა მონაწილეობდეს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ისეთი საერო ორგანიზაციის მუშაობაში, როგორიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭო გახლავთ. მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ამგვარ ორგანიზაციაში არის მართლმადიდებლობის ეკლესიოლოგიური განსაკუთრებულობის უარყოფა და de facto სხვადასხვა ერესის ეკლესიურობის აღიარება. მამა იუსტინე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, ამ უსჯულოთა კრებულში, მონაწილეობას გაუგონარ ღალატსა და საშინელ*

შეურაცხყოფას უწოდებს. და კიდევ ვიკითხოთ: ნუთუ ეს საშინელი გოლგოთის გზა, რომელსაც რუსი მართლმადიდებელი ერი გადის, სხვა მრავალრიცხოვან ცოდვებთან ერთად არის შედეგი ერეტიკული ეკუმენისტური კურსისა, რომელსაც უკვე ორმოცი წელია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მიჰყვება? ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის გამოსვლა და მთელი ეკუმენისტური კონტაქტების გაწყვეტა განგანდა მთელი რუსი მართლმადიდებელი ხალხის სახე-ხატებას, თუნდაც ჩვენი მოდგმისა და სარწმუნოების მტრებმა ეს გამოიყენონ იმისათვის, რათა ჩვენი ეკლესია „იზოლაციონიზმში“ დაადანაშაულონ. რუსი რედაქტორის შენიშვნა.

ხმა სინდისისა და მასთან ანგარიშსწორება

მოჰყვა კი ამ სკანდალურ მოვლენებს რაიმე წინააღდეგობა მართლმადიდებელ სამყაროში? რა თქმა უნდა. არ უნდა გამოგვრჩეს წმინდა მთის პროტესტი პატრიარქის რომში მოგზაურობასთან დაკავშირებით [1], საბერძნეთის ცალკეულ სინდისარდაკარგულ ქრისტიანთა მრავალრიცხოვანი პროტესტები. ამასთან, რაც განსაკუთრებულად ამაღელვებელია, არის ის ფაქტი, რომ არცერთმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც კონსტანტინოპოლთან კანონიკურ კავშირშია, ღიად არ გამოხატა თავის პროტესტი კანონთა აშკარა დარღვევის გამო, უფრო მეტიც, ბევრი მათგანი ხშირად თავის წარმომადგენლებს აგზავნიდა ამ უკანონო შეკრებებზე. გამონაკლისს, რასაკვირველია, წმინდა მთა, რუსული საზღვარგარეთული ეკლესია და ცალკეული საზოგადოებები წარმოადგენენ, რომლებიც რეგულარულად აგზავნიდნენ საპროტესტო წერილებს კონსტანტინეპოლის, ჟენევისა და მართლმადიდებლური ეკუმენიზმი სხვა ცენტრების ერეტიკული მოღვაწეობის წინააღმდეგ [2]. კონსტანტინეპოლიდან არანაირი პასუხი არ ისმოდა გარდა ბრალდებებისა რუსული საზღვარგარეთული ეკლესიისა და

ასევე ძველი კალენდრის მქონე ეკლესიათა მიმართ, რომლებიც, თითქოსდა, მადლის გარეშე არიან და არ იმყოფებიან მართლმადიდებელ ეკლესიაში, რის გამოც მათ კრიტიკის უფლება არა აქვთ.

ცნობილი ტრანსფარანტი ესფიგმენის ფასადზე: მართლმადიდებლობა ან სიკვდილი!

კონსტანტინოპოლმა მეტად ეფექტური ზომები მიიღო, რათა გაენეიტრალებინა იმათი ხმები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მართლმადიდებლური სინდისი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, წმინდა მთიდან გაეძევებინათ ესფიგმენის მონასტრის იღუმენი, არქიმანდრიტი ათანასე (რომელიც კონსტანტინეპოლის ეკუმენისტურ კურსს თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა) და კიდევ სამი ბერი ესფიგმენის ძმობიდან. 1974 წელს ამას მოჰყვა გადაწყვეტილება, ხარისხი აეყარათ ამ არქიმანდრიტისათვის, რასაც წმინდა მთის ბერთა დიდი აღშფოთება მოჰყვა. ოთხასამდე ბერმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც ამგვარი ქმედებების წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა. წმინდა მთიდან ასევე გააძევეს ქსენოფონტის მონასტრის იღუმენი, არქიმანდრიტი ევდოკიმე, რომელიც ამ მონასტერში 49 წელი მოღვაწეობდა, ხოლო ბოლო 22 წელი მისი იღუმენი იყო. ასევე შეცვალეს წმინდა პავლეს მონასტრის იღუმენი, არქიმანდრიტი ანდრია. კონსტანტინოპოლმა მკაფიოდ გასაგები გახადა, რომ ყველა წინამძღვარს, რომელიც წირვისას მსოფლიო პატრიარქს არ მოიხსენიებს, სერიოზული უსიამოვნებები ელოდა. ზემოხსენებული მღვდლების გარდა,

წმინდა მთიდან კიდევ ერთი მღვდელმონაზონი და ორი ბერი გააძევეს, ბერებში ანტიეკუმენისტური განწყობის გავრცელების გამო. ამას გარდა, პატრიარქმა სპეციალური აქტით წმინდა მთის ბერებს ბერ-ზილოტებისათვის კელიების გადაცემა აუკრძალა.

---

1. *წმინდა მთის 20 მონასტრის კრებამ ჯერ კიდევ 1984 წელს შემდეგი განცხადება გააკეთა: „უკვე რამდენიმე წელია ჩვენ არ გვტოვებს დიდი შეშფოთების გრძნობა ერთგვარი ღალატის გამო, რომელსაც ჩვენ რამდენიმე ავტოკეფალური ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ვამჩნევთ, ისევე, როგორც ცალკეულ იერარქთა მხრიდან... თუკი ისინი, რომელთაც ჭეშმარიტების გზას გადაუხვიეს, არ გამოსწორდებიან, იძულებულნი გავხდებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური გადაწყვეტილება მივიღოთ (Ορθοδοξοφ τυποξ, N 595, 24.02. 1984). პატრიარქ დიმიტრის რომში სტუმრობის შემდეგ წმინდა მთამ დაუყოვნებლივ თავის წარმომადგენლებად კონსტანტინოპოლში სამი იღუმენი გააგზავნა (ხრისტოდულოს კუტლუმუშელი, ბასილი ივერონელი და გიორგი გრიგორიატელი), რათა პროტესტი გამოეხატა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რომში. იღუმენები თავიანთ ანგარიშში წმინდა კინოტისადმი წერენ: „ჩვენ განვაცხადეთ, რომ ის, რაც განსაკუთრებით გვაღელვებს, - ეს არის მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიისაგან განდგომა, კერძოდ, მტკიცებულებები, თითქოს სხვა „ეკლესიებიც“ ასევე ერთ წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლსიას შეადგენენ და რომო-კათოლიკები ერეტიკოსები არ არიან. აქედან მომდინერეობს მათი საიდუმლოებების არაპირდაპირი აღიარება... გარდა ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ყურადღება უნდა მიექცეს პაპისადმი და სხვა არამართლმადიდებლური აღმსარებლობის წარმომადგენლობისადმი მიმართვის ფორმას, რადგანაც არსებული განსხვავებულობების იგნორირება არ შეიძლება: წირვის დროს მოწოდებას „იყვარებოდეთ ურთიერთარსს“ არ შეიძლება მოჰყვეს მშვიდობის ამბორი არამართლმადიდებელ სასულიერო პირებთან, ისევე, როგორც არ შეიძლება აღვასრულოთ ერთობლივი ლოცვები, ერთად დავლოცოთ ხალხი და მართლმადიდებლურ ტაძარში არამართლმადიდებელმა მღვდლებმა იქადაგონ“. Ορθοδοξοφ τυποξ, N 800, 1988 წლის აგვისტო).*

2. რუსეთის საზღვარგარეთულმა ეკლესიამ თავის მღვდელმთავართა კრებაზე ეკუმენიზმი ანათემას გადასცა, დაგმო რა შემდეგი სიტყვებით: „მათ, ვინც თავს ესხმის ქრისტეს ეკლესიას, მსჯელობს რა, რომ იგი, თითქოს, განყოფილია ე.წ. განშტოებებად, რომლებიც ერთმანეთისაგან სწავლებითა და ცხოვრების წესით განსხვავდებიან, და მათ, ვინც ამტკიცებს, რომ, თითქოს, ეკლესია დღესდღეობით ხილულად არ არსებობს, მაგრამ გამოვლინდება მომავალში, მაშინ, როდესაც ყველა სექტა და თვით ყველა რელიგია ერთ ერთობლიობაში გაერთიანდება, და მათაც, ვინც არ განასხვავებს ჭეშმარიტ მღვდლობასა და საეკლესიო საიდუმლოებებს მწვალებლურისაგან და ამბობს, რომ მწვალებელთა ნათლობა და ზიარება საკმარისია მათი ცხონებისათვის, და მათ, ვინც ურთიერთობს ზემოხსენებულ მღვდლებთან, ეხმარება ან იცავს მათ ახალ ეკუმენისტურ მწვალებლობას ძმური სიყვარულისა და ცალკეულ ქრისტიანთა ერთობისაკენ სწრაფვის საბაბით - ანათემა!“ (Orthodox Life, 1983). სასარგებლოა, ასევე, წავიკითხოთ ჟენეველი მთავარეპისკოპოს ანტონის მიერ ანათემის განმარტება, რომელიც, სხვასთან ერთად, მორწმუნეებს ურჩევს: „უფრთხილდით მათ (ეკუმენისტებს). თუნდაც ისინი ოდესმე ჩვენთან ერთად ყოფილიყვნენ, მაგრამ დაგვტოვეს ჩვენ, ისინი უკვე ჩვენი ნაწილი აღარ არიან. ეკლესია - სვეტი და ბურჯი ჭეშმარიტებისა - გადასცემს მათ უზენაეს სამსჯავროს -ღმრთის სამსჯავროს... ქრისტიანები ნამდვილად უნდა ცხოვრობდნენ ურთიერთსიყვარულით, მაგრამ ამას ჭეშმარიტება არ უნდა შესწირონ“ (ჟენევა, 1984 წლის მაისი). რუსული საზღვარგარეთული მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქი, მიტროპოლიტი ვიტალი თავის სტატიაში ანათემასთან დაკავშირებით წერდა: „ანათემაზე გადაცემით ჩვენ ჩვენი მრევლი ამ აპოკალიფსური საცდურისაგან დავიცავით და ამავე დროს უნებლიედ დავსვით სხვა ადგილობრივ ეკლესიათა სინდისის საკითხი, რაზეც მათ ადრე თუ გვიან პასუხი უნდა გასცენ. მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში მათი სულიერი მომავალი ამ პასუხზეა დამოკიდებული. მართალია, საეკლესიო წესის მიხედვით ეს ანათემა წმინდა ლოკალურ ხასიათს ატარებს და რუსული, ანუ დიასპორის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეა, მაგრამ მას მაინც de facto დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის, ისტორიისათვის და ეკლესიისათვის, რადგან თავად ეკუმენიზმი მსოფლიო მასშტაბის ერესს წარმოადგენს. ჩვენთვის ეს დიდი ჯვარია, რომელიც უფალმა მოგვცა, მაგრამ ჩვენ მეტი გაჩუმება არ შეგვიძლია, რადგან დუმილი

ჭეშმარიტების ღალატის ტოლფასია, რომლისგანაც თავად უფალი გვიცავს ჩვენ". (Orthodox Life, 1984, N 4; Christian Witness, Sept. 1984).

განდგომილების გაგრძელება

1991 წლის 20 აპრილს კონსტანტინოპოლმა, ისევე როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, თავისი დელეგაცია გააგზავნა ზეიმზე, რომელიც ანგლიკანურ ეკლესიაში ახალი პრიმასის[39], მთავარეპისკოპოსს კენტერბერიელის ხელისუფლებაში [40] მოსვლას ეძღვნებოდა. მოწვეულთა შორის მრავალი ოფიციალური პირი იყო, ესწრებოდნენ ასვე ანგლიკანი ქალი-„მღვდლები"და ქალი-ეპისკოპოსები.

კენტერბერიელი მთავარეპისკოპოსი მის ხელქვეით მღვდლებთან ერთად

მსოფლიო ტახტს[41] წარმოადგენდნენ ბართლომე (მაშინ ჯერ კიდევ მიტროპოლიტი) ქალკედონელი, იოანე ზიზიულას პერგამელი და მთავარეპისკოპოსი გრიგოლ ფიატირელი. მიტროპოლიტმა ბართლომემ [1] ახალგამომცხვარ ბრიტანელ პრიმასს ოქროს ჯვარი აჩუქა, ხოლო თავისი მისასალმებელი სიტყვა მართლმადიდებლობისთვის დამახასიათებელი

[39] პირველი პირის - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[40] იგულისხმება ანგლიკანთა საკრებულოს ხელისუფლება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[41] კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

სურვილით დაასრულა: „ისპოლა ეტი დესპოტა“ (მრავალჟამიერ, მეუფევ). ორი თვის შემდეგ მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლები იმავე მიტროპოლიტ ბართლომეს მეთაურობით რომში, წმინდა პეტრეს ტაძრის დღესასწაულში მონაწილეობდნენ. წინა დღეს, 28 ივნისს, პაპმა მრავალრიცხოვანი სტუმრებისა და დაახლოებით 7000-მდე შეკრებილის თანდასწრებით 23 მღვდელი კარდინალის ხარისხში აიყვანა. ამ მსახურების დროს აშკარად გამოჩნდა პაპის პრიმატის ერესი, როცა ახალგამომცხვარმა კარდინალებმა დაამოწმეს, რომ ისინი აღიარებენ სამპიროვან ღმერთს, კათოლიკე ეკლესიას, და ასევე „წმინდა მამისადმი“ ერთგულება დაიფიცეს. ამ დროს გუნდი საზეიმოდ გალობდა: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“. საზეიმო ცერემონიალის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი ყველაზე უფროსი კარდინალის, ედუარდ კასიდის მილოცვა იყო, რომელმაც შემდეგ ძმურად გადაკოცნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები; ხალხი ამ დროს სასიხარულო ტაშს უკრავდა [2]. (ისმის კითხვა: იქნებ ამ ზეიმის მსვლელობისას პაპის კარდინალის ხარისხში თავად მიტროპოლიტი ბართლომე აიყვანეს, თუ ეს ყველაფერი მასპინძლის თავაზიანობას გამოხატავდა?!). მომდევნო დღეს, როდესაც პაპი კარდინალებთან ერთად წმინდა პეტრეს მოედანზე მსახურობდა, იგი მშვიდობის კოცნით არა მხოლოდ მას, არამედ იქ დამსწრე კონსტანტინოპოლელ მიტროპოლიტებსაც ეამბორა. იმავე დღეს მიტროპოლიტმა ბართლომემ პაპს პატრიარქ დიმიტრის მისასალმებელი წერილი წაუკითხა.

პატრიარქ დიმიტრის დაკრძალვაც ეკუმენისტურ ყაიდაზე იყო რეჟისირებული. მართლმადიდებელი მიტროპოლიტების, წმინდა მთის მონასტრების, - ხილანდარის, დოხიარის, დიონისიატისა და ლავრის, - იღუმენების გარდა წესის აგებისას საპატრიარქო ტაძარში საპატიო ადგილები ეკავათ ვატიკანის წარმომადგენლებს ედვარდ კასიდის, უნიატი მიტროპოლიტის

პეტრე დიპრეს, პაპის ნუნციისა და კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის მეთაურობით (ისინი წითელი ფერის შესამოსლით იყვნენ შემოსილნი). ლათინთა დელეგაციის მოპირდაპირედ იდგნენ კოპტების, სომხების, ანტიქალკედონელთა წარმომადგენლები, არქიეპისკოპოსი კენტერბერიელი (ასევე საეკლესიო შესამოსელში შემოსილი) და კონსტანტინეპოლის მთავარი რაბინი. მიცვალებულ პატრიარქთან გამოთხოვების შემდეგ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სინოდისა და „წმინდა ტახტის“ წარმომდგენლები ეამბორნენ ერთმანეთს [3]. სამწუხაროდ, ამას ესწრებოდნენ წმინდა მთის ბერები, რომლებიც კიდევ ერთხელ იძულებულნი იყვნენ სინდისის ხმა დაედუმებინათ.

---

1. *მიტროპოლიტმა ბართლომემ ახალი არქიეპისკოპოსისათვის ჯვრის გადაცემისას, სხვასთან ერთად, თქვა: „ამ საზეიმო წამს კონსტანტინეპოლის ეკლესია იხსენებს ანგლიკანურ თემთან პოზიტიური ურთიერთობების ხანგრძლივ ისტორიასა და დიდად აფასებს იმ ფაქტს, რომ ანგლიკანური და მართლმადიდებელი ეკლესიები ძმური სიყვარულითა და პატივისცემით აგრძელებენ საღვთისმეტყველო დიალოგს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ღვთივშთაგონებული წინამძღვრობა კიდევ უფრო მეტად გაამყარებს ჩვენს ეკლესიებს შორის ძმურ კავშირებს. ამ რწმენის, იმედისა და სიყვარულის აღსანიშნავად, ნება მიბოძეთ, თქვენო მოწყალებავ, მისი უწმინდესობის, პატრიარქის სახელით ძმური სიყვარულის ნიშნად გიძღვნათ ეს ჯვარი. ჩვენი პატრიარქი, მისი წმინდა სინოდი და ჩვენი დელეგაცია ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. მრავალჟამიერ, მეუფევ!“ (Επισκεψιφ, N465 15.07.1992).*

2. Καθολικη, 16.7.1991.

3. სხვასთან ერთად, ამის დეტალური აღწერა მოცემულია 1991 წლის 15 ოქტომბრის Καθολικη-ში.

ახალი მსოფლიო პატრიარქი ბართლომე

მსგავსი შეხვედრა გაიმართა სხვა მოვლენასთან დაკავშირებით, სახელდობრ კონსტანტინეპოლის ტახტზე ახალი პატრიარქის, ბართლომე არხონდონისის აღსაყდრებასთან დაკავშირებით, რომელიც მანამდე ქალკედონელი მიტროპოლიტი და პატრიარქ დიმიტრის უახლოესი მოკავშირე იყო. ახალი პატრიარქი სულიერად მწიფდებოდა ეკუმენისტური იდეების ატმოსფეროში, მიტროპოლიტ მელიტონის ხელმძღვანელობით (პატრიარქ ათინაგორას უახლოესი მრჩეველი), რომელმაც 1961 წელს ბერად აღკვეცა იგი და დიაკვნად დაასხა ხელი. 1963-დან 1968 წლებამდე იგი, როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სტიპენდიანტი, სწავლობდა რომში, აღმოსავლეთის ინსტიტუტში, რომელიც ვატიკანის უნივერსიტეტის Gregorianum-ის ფარგლებში არსებობდა, ხოლო შემდეგ სწავლა შვეიცარიაში, „ეკუმენისტურ ინსტიტუტში“ გააგრძელა.

პატრ. ბართლომეს სულიერი მოძღვარი - მიტრ. მელიტონი - პაპ პავლე VI-ის წინაშე

რომში მომავალმა პატრიარქმა დოქტორის ხარისხი მიიღო, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „წმინდა კანონების კოდიფიკაციისა და კანონიკური დებულებების შესახებ მართლმადიდებელ ეკლესიაში“. მან ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული, თურქული, იტალიური, ლათინური, ინგლისური და გერმანული ენები, და 1968 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული თავდაპირველად მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ წელს კი პრესვიტერად დაასხეს ხელი და არქიმანდრიტის ხარისხი მიიღო. კონსტანტინეპოლის ტახტზე პატრიარქ დიმიტრის მოსვლის შემდეგ არქიმანდრიტმა ბართლომემ საპატრიარქო კაბინეტის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. 1973 წელს იგი ფილადელფიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა, ხოლო 1974 წლიდან ის საპატრიარქოს სინოდის მუდმივი წევრია. მონაწილეობდა „აღმოსავლეთის ეკლესიათა საზოგადოების“ დაფუძნებაში, რომლის თავჯდომარის მოადგილეც თავად იყო; 1975 წლიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კომისიის „სარწმუნოება და მოწყობა“ წევრი, ხოლო მთელი რვა წლის განმავლობაში ამ კომისის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლის რანგში მან მიიღო მონაწილეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყველა დიდ ყრილობაში, რომელიც 1968 წელს უფსალში, 1983 წელს ვანკუვერში, 1991 წელს კანბერაში გაიმართა. ამ უკანასკნელ ყრილობაზე იგი აღმასრულებელი კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. ჯერ კიდევ დიაკვანად ყოფნისას, იგი სტუმრობდა რომს იმ მართლმადიდებლური დელეგაციის წევრის რანგში, რომელიც 1965 წელს ანათემის მოხსნაში მონაწილეობდა.

კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომე და პაპი იოანე პავლე II

პატრიარქ დიმიტრისთან ერთად იგი მონაწილეობდა ყველა ზემოხსენებულ ეკუმენისტურ შეხვედრებსა და ერთბლივ ლოცვებში ვატიკანში, ლონდონში, ვაშინგტონში და ა.შ. იგი არის

რომო-კათოლიკური ორგანიზაციის „PRO ORIENTE”-ის წევრი, რომლის შტაბბინაც ვენაშია განთავსებული [1].

კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომე და პაპი იოანე პავლე II

ამ მოკლე ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე არც ისე ძნელია დავასკვნათ, რომ საუბარია არა მხოლოდ ეკუმენისტური იდეებისთვის მებრძოლზე, არამედ ბოლო ათწლეულის განმავლობაში კონსტანტინეპოლის ეკუმენისტური მოღვაწეობის მთავარ ფიგურაზე. ჯერ კიდევ 1969 წლის 30 ნოემბერს ფანარაში, საპატრიარქო ლიტურგიაზე, რომის პაპის დელეგაციის თანდასწრებით, რომელსაც კარდინალი იოჰან ვილებრანდსი ხელმძღვანელობდა, ახლანდელმა პატრიარქმა ბართლომემ, მაშინდელმა არქიმანდრიტმა, წარმოთქვა მეტად „შთაგონებული“ სიტყვა, რომელშიც ნათლად აისახა მისი ეკუმენისტური მისწრაფებანი და აზრები, მაგალითად, რწმენა იმისა, რომ რომთან განხეთქილება მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობის შედეგია, და არა შედეგი წმინდა მამათა სწავლებისა და წმინდა საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებების უხეში დამახინჯებისა [2]. საინტერესოა, რომ ეკუმენისტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია

ერეტიკოსთა მიმართ რაღაც ავადმყოფური სენტიმენტალიზმი, რომელიც ხელს უშლის საღ ღვთისმეტყველურ განსჯას. იმავდროულად იგივე „მშვიდობისა და სიყვარულის“ მიმდევრები ეკუმენიზმის მოწინააღმდეგეთა მიმართ უკიდურეს შეურიგებლობას ღიად გამოხატავენ [3].

ბევრს ახსოვს მისი ვიზიტი რომში 29.06. 1989 წელს, სადაც იგი მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციის მეთაურის რანგში ჩავიდა. მაშინ თავის მისასალმებელ სიტყვაში, რომელიც პაპ იოანე პავლე II-ისადმი იყო მიძღვნილი, მიტროპოლიტმა ბართლომემ გაამართლა კონსტანტინეპოლის ორი პატრიარქის ეკუმენისტური გადაცდომა და დოგმატურ განსხვავებებს, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიას პაპიზმისაგან ყოფს, სამარცხვინო კედელი უწოდა [4]. ახალი პატრიარქის ეკუმენისტური მოღვაწეობის შესახებ მთელი 1991 წლის განმავლობაში ჩვენ უკვე ვახსენეთ.

კარდინალ კასიდისთან ხვევნა-კოცნა

1991 წლის 2 ნოემბერს ფანარაში შედგა პატრიარქის ტახტზე ბართლომეს საზეიმო აღსაყდრება [5]. ამ ცერემონიას ესწრებოდნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის

წარმომადგენლები, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მრავალი მიტროპოლიტი, წმინდა მთის მთელი კინოტი პროტის მეთაურობით (თუმცა მას აკრძალული აქვს წლიური მანდატის მოქმედების განმავლობაში წმინდა მთის დატოვება). დამსწრეთა შორის ასევე იყვნენ საბერძნეთის მთავრობის მაშინდელი მეთაური ბატონი მოცოტაკისი, მინისტრები და სახელმწიფოს მრავალი თვალსაჩინო პირი. აქ იყვნენ ყველანაირი ერესის წარმომადგენლებიც. წმინდა გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურებას ესწრებოდა ვატიკანის დელეგაცია კარდინალ ედუარდ კასიდის მეთაურობით, რომელიც, სხვათა შორის, ახალი პატრიარქის პირადი მეგობარი იყო; ასევე ესწრებოდნენ კენტერბერიელი მთავარეპისკოპოსი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლები, „ანტიქაკელდონელი მართლმადიდებლები“ (მონოფიზიტები) და მრავალი სხვები. თავის საზეიმო სიტყვაში პატრიარქმა არცერთხელ არ ახსენა მართლმადიდებლობის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი მოძღვრების შესახებ, ის საუბრობდა უფრო „ახალი ეპოქის“ სტილში, ვიდრე წმიდა პატრიარქებისა და კონსტანტინეპოლის ტახტის აღმსარებლების მსგავსად. პატრიარქმა ბართლომემ ისაუბრა დიალოგის დამყარების აუცილებლობაზე [6] არა მარტო ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებს შორის, არამედ არაქრისტიანულ მოძღვრებათა წარმომადგენლებთანაც [7]. უფრო მეტიც, პატრიარქმა პირობა დადო, რომ თავისი წინამორბედების, ათინაგორასა და დიმიტრის პოლიტიკას გააგრძელებდა. პაპისტებს მან „დასავლეთში ჩვენი ძმების ეკლესია“ უწოდა და მოუწოდა, ყოველი ღონე ეხმარათ ორი ეკლესიის გასაერთიანებლად [8]. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან კონტაქტების მნიშვნელობას, რადგანაც მათი მიზანია „გაიხსენონ და განახორციელონ ქრისტიანული ერთობის მიღწევის უპირველესი ამოცანა“ [9]. ცერემონიის მიმდინარეობისას წაიკითხეს რომის პაპის მისასალმებელი წერილი, რომელიც „და ეკლესიათა“ თეოლოგიის სულისკვეთებით იყო დაწერილი. ამის

შემდეგ ახალმა პატრიარქმა და კარდინალმა კასიდიმ ყველა დამსწრე ერთად დალოცეს. მართლაც რომ, არც ისე ადვილია, მსგავს ქმედებებს რაიმე კანონიკური, თეოლოგიური ან ეკლესიოლოგიური ახსნა მოვუძებნოთ. როგორც ჩანს, უცვლელ „სამშვიდობო ამბორთან“ ერთად, პაპისტებისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ ერთობლივი დალოცვა ყველა ეკუმენისტური ტრაგიკომედიის აუცილებელ პუნქტად იქცა.

პირველი საეკლესიო კრების პირველი კანონის შესაბამისად, ყოველი ეპისკოპოსი ვალდებულია ერესი ანათემას გადასცეს. ახლანდელმა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, ისევე როგორც ორმა მისმა წინამორბედმა, დღემდე არც ერთხელ არ განაცხადა, რომ ნებისმიერი აღმსარებლობა, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ არსებობს, ერესს წარმოადგენს, პირიქით, ისინი ამ მოძღვრებათა წარმომადგენლებს ჯიუტად უწოდებენ „ქრისტესმიერ ძმებს“. მეტიც, თავიანთი პოზიციით ისინი მდუმარედ უჭერენ მხარს ქრისტიანული სარწმუნოების არასწორ აღმსარებლობას. ახალი პატრიარქის აღსაყდრებიდან მალევე, სახელდობრ 1991 წლის 30 ნოემბერს, მსოფლიო საპატრიარქო წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავდა. ისევე, როგორც წინა წლებში, ესწრებოდნენ სტუმრები - „წმინდა ტახტის“ წარმომადგენლები. როგორც ჩანს, საპატრიარქოს დღესასწაულებში არამართლმადიდებელი ერეტიკოსების მონაწილეობა, რომლებიც მართლმადიდებლებთან ერთად მრავალჟამიერს გალობენ, ჩვეულ პრაქტიკად იქცა. კონსტანტინეპოლის „და-ეკლესიათა“ თეოლოგიის მიმდევრობას სხვა მაგალითებიც მოწმობენ.

- - -

1. პაპის ეს ფონდი 1964 წელს ვენაში მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობების განსამტკიცებლად დაარსდა. იგი სხვადასხვა ლექციების, სიმპოზიუმებისა და მართლმადიდებლებთან სხვა შეხვედრების ორგანიზებას ახდენს. მრავალი წლის მანძილზე მისი უცვლელი თავჯდომარე,

ამჟამად პენსიაზე გასული, ვენელი კარდინალი კენიგი იყო. ეს კარდინალი წმინდა პავლე მოციქულის გზის გავლისას, 1984 წელს საბერძნეთს ეწვია და კონსტანტინოპოლელი მიტროპოლიტების თანხლებით საიდუმლოდ ესტუმრა წმინდა მთასაც, სადაც სიმონ-პეტრას მონასტერში დაესწრო ლიტურგიას და ღვთისმსახურების შემდეგ ანტიდორიც კი აიღო. შემდეგ მან მონასტრის ბერებთან ერთად იტრაპეზა. როდესაც ამ ამბის შესახებ ცნობა წმინდა მთას მოედო, მას მეტად მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

2. „გაერთიანება (ეკლესიებისა) არ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საქმე, ამიტომ ჩვენ არანაირ სიძნელეს არ შევეჯახებით. გაერთიანება იქნება ქრისტეს წყალობა, მისი ნებისა და ლოცვების შედეგი (რათა ყველანი ერთად ვიყოთ)... თუმცა პირველწოდებულ მოწაფეს, კონსტანტინეპოლის უწმინდეს ეკლესიას სწამს, რომ მასწავლებელს შეუძლია სასწაული მოახდინოს და მილიონობით თავისი მშიერი შვილი დააპუროს. და ის ნოსტალგიურად ელოდება ამ სასწაულს. და მასთან ერთად ლოცვითა და სასოებით სასწაულს ელოდება მისი კორიფე ძმა, უწმინდესი ეკლესია ძველი რომისა. ამიტომაც ეს ორი ეკლესია ერთად მოქმედებს, ერთმანეთს ასწავლის, ერთმანეთისთვის ლოცულობს, რათა მოაახლოვოს ეს სასწაული, რომელსაც ჩვენი საერთო უფალი და მოძღვარი მოახდენს - ყველას გაერთიანების სასწაული. ამიტომაც დღეს ამ ყოვლადპატიოსან საპატრიარქო ტაძარში რომო-კათოლიკები და მართლმადიდებლები ერთად ლოცულობენ. თქვენ, რომლებიც აქ მოხვედით და თქვენი თავით ანდრიასეული ბადე შეავსეთ, განა არ ელით ამ სასწაულს? და არა მარტო თქვენ, არამედ ათასობით მომლოცველი, რომლებიც ყოველდღიურად ჩამოდიან დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან რომის წმინდა პეტრეს დიდებულ ტაძარში, ამ სასწაულზე ოცნებობენ და მისთვის ლოცულობენ. ისინი ელიან უფალს, რომელიც მალე მოვა და განაძღებს მათ თავისი ერთიანი და განუყოფელი სხეულით, „რომელიც ყოველთვის განიტეხება, მაგრამ არასოდეს

განიყოფა, ყოველთვის იჭმება, მაგრამ არასდროს არ გამოილევა და განსწმენდს მათ, ვინც მას ეზიარება“ (ფრანცისკანელი გრიგორი გაროს წიგნიდან „გაერთიანების გზაზე“).

3. ამას ყველაზე უკეთ გვიჩენებს ისეთი ქმედებანი, როგორიცაა წმინდა მთის ილინის სკიტიდან ბერების გაძევება, კრების გადაწყვეტილება, რომელიც პატრიარქ დიოდორეს წინააღმდეგ იყო მიმართული, აკრძალვები იერუსალიმელი ეპისკოპოსებისათვის, წმინდა მთაზე საპატრიარქოს ეგზარქიის საქციელი 1994 წლის დასაწყისში და ასე შემდეგ (იხილეთ ქვევით).

4. Επισκεψιφ, 15.7. 1989.

5. 21.1. 1992 წლის Καθολικη-მ ვრცელი მასალა განათავსა ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ავტორი აღფრთოვანებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ცერემონიის მსვლელობისას წარმოჩნდა „ქრისტიანობის ეკუმენურობა, ამასთან დოგმატების საზღვრებს მიღმა“. ერთი რომო-კათოლიკი სასულიერო პირი, რომელიც ამ ცერემონიას ესწრებოდა, ასე აღწერს საზეიმო მომენტს: „აქსიოს, აქსიოს, აქსიოს - ამ სიტყვას ყველანი ერთად, ერთი აღმაფრენით ვყვიროდით: კაცები, ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები, მღვდლები და ბერები, მართლმადიდებლები და არამართლმადიდებლები, ჩვენ ყველანი ჩვენს სიხარულსა და პატივისცემას გამოვხატავდით. აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!“

6. „ჩვენ ისევ ვთვლით, რომ დიალოგი - ესაა საუკეთესო საშუალება, განსაკუთრებით ჩვენს დროში, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს განსხვავებების დაძლევაში, განსაკუთრებით ძმებს შორის არსებული განსხვავებებისა, რომელთაც ერთი უფალი და მაცხოვარი სწამთ“ (Εθνοφ, 4.11.1991).

7. „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ დიდ არაქრისტიანულ რელიგიათა შორის შეფერხდეს კარგი ურთიერთობების განვითარება“.

8. თუ რამდენად ეწინააღმდეგება ასეთი პოზიცია წმინდა მამათა პოზიციას, ამის შესახებ შეგვიძლია არქიმანდრიტი იუსტინე (პოპოვიჩის) გამონათქვამების მიხედვით ვიმსჯელოთ: „. . .

პაპისტურ-პროტესტანტულ ეკუმენიზმს, თავისი ფსევდოეკლესიურობითა და ფსევდოქრისტიანულობით, უფლის იესო ქრისტესა და მისი მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე გულმოდგინე სინანულის გარეშე სიკვდილისა და ტანჯვისაგან ხსნა არ გააჩნია. სინანულისა და ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში შესვლის გარეშე აზრი არ აქვს საუბარს „ეკლესიათა“ რაღაც გაერთიანების, სიყვარულის დიალოგისა და intercommunion[42]-ის შესახებ”.

9. აი, მისი სიტყვიდან ცალკეული ამონარიდები: „გიგზავნით მშვიდობისა და სიყვარულის ამბორს ყველას, სომხური, კოპტური, ეთიოპიური და სირიული ეკლესიების მეთაურებს დამასკოსა და მალაბარში. დღეს აღმსარებლობათა სიახლოვე გვიბიძგებს, აქტიურად ვეძიოთ საერთო აღმსარებლობა და (რწმენის) გამოხატულება საერთო ბარძიმში... ამ წმინდა ბაღიდან ჩენ მოვიკითხავთ აგრეთვე მის უწმინდესობას, უძველეს ქალაქ რომის პაპს, იოანე პავლე II-ს, რომელთანაც ღრმა სიყვარული გვაკავშირებს. ჩვენ ვჩქარობთ დავარწმუნოთ იგი, რომ დღევანდელ დღეს ჩვენს უპირველეს ამოცანად მივიჩნევთ იმას, რომ გავაგრძელოთ ჩვენი ნეტარგანსვენებული წინამორბედების, ათინაგორასა და დიმიტრის დაწყებული საქმეები, რათა დედამიწაზე რაც შეიძლება მალე აღსრულდეს უფლის ნება, რომ გაერთიანდეს ყველა, ვისაც მისი სწამს და ჭეშმარიტების გზას მისდევდეს. ჩვენ ამ მიმართულებით გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძმა დასავლეთში ყველა თავის ღონესა და შესაძლებლობებს გამოიყენებს, რათა ერთად ვიაროთ სანუკვარი, წმინდა მიზნისაკენ... ჩვენ მივესალმებით ანგლიკანური ეკლესიისა და მთელი ანგლიკანური თემის პატივცემულ პირველიერარქს, კენტერბერიელ მთავარეპისკოპოსს, გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ მისწრაფებას ანგლიკანურ ეკლესიასთან ძმური კავშირის

---

[42] მჭიდრო ურთიერთობის - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

გამყარებისაკენ და განზრახული გვაქვს, გავაგრძელოთ ჩვენი დიალოგი, სანამ სარწმუნოებრივ ერთობას არ მივაღწევთ“. ამას მოსდევს მისასალმებელი სიტყვები, მიმართული ძველ-კათოლიკეთა მიმართ, ლუთერანებისადმი, მეთოდისტებისადმი, რეფორმატორული „ეკლესიისადმი“ და „ყველა ქრისტიანისადმი, რომლებსაც სწამთ ჯვარცმული ქრისტე და წმინდა წერილის შესაბამისად ქადაგებენ...“. შემდეგ პატრიარქი მისალმებას მიმართავს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსადმი, რომელიც „ქრისტიანული ურთიერთობებისა და კაცობრიობის დღევანდელი პრობლემების წინაშე უზარმაზარ როლს თამაშობს ქრისტიანული ერთობის ძიებასა და აღმშენებლობაში“. . მისი უწმინდესობა თავის სიტყვას ასრულებს ციტატით კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლედან: „...ვაჲ არს ჩემდა, არათუ ვახარებდე“ (1 კორ. 9,16). დავსვათ კითხვა: რას დაემსგავსებოდა ჩვენი ეკლესია, თუ წმინდა მოციქულები სახარებას აღმსარებლობითა და მოწამეობრივი ღვაწლით კი არ იქადაგებდნენ, არამედ პოლითეიზმთან და მწვალებლობებთან ღვთისმეტყველური დიალოგის გზით? მსოფლიო კრებათა მთელმა ისტორიამ არ იცის ტერმინი „დიალოგი“ (ყოველ შემთხვევაში იმ მნიშვნელობით, როგორითაც მას დღეს ეკუმენისტები მოიაზრებენ). წმინდა მამებისათვის მხოლოდ სინანული და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა არსებობდა. განა წმინდა ათანასეს არიანესთან „სიყვარულის დიალოგი“ ჰქონდა გამართული? ან შეიძლება მას აღდგომის დღეს ულოცავდა? განა ასე იქცეოდა წმინდა კირილე ალექსანდრიელი ნესტორთან, ან წმინდა ფლავიანე დიოსკორესთან? დღევანდელი ეკუმენისტები, ეჭვს გარეშეა, წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედს მებრძოლ ფანატიკოსად ჩათვლიდნენ, რომ დაენახათ, თუ როგორ აწნავს იგი სილას პირდაპირ კრების მიმდინარეობის დროს ვიღაც კარდინალს.

ეკუმენისტური ტრაგიკომედია უფსალაში

რომო-კათოლიკებთან ეკუმენისტური ურთიერთობის განვითარება საკმაოდ უწყინარი ჩანს სხვადასხვა პროტესტანტულ „ეკლესიებთან“ მსგავსი კავშირების ხელშეწყობასთან შედარებით, რომლებიც თავიანთი მწვალებლობებითა და განმაახლებლობებით უკვე ძალიან შორს წავიდნენ იმისათვის, რომ რაიმეს შეეძლოს მათი დაკავშირება მართლმადიდებლურ ტრადიციასთან. ამასთან ამას არანაირად ხელი არ შეუშლია პატრიარქ ბართლომესთვის, 1993 წლის 20-დან 31 აგვისტომდე პერიოდში თავისი დელეგაციით სწვეოდა შვედურ ლუთერანულ ეკლესიას, რომელიც თავის იუბილეს, უფსალაში პირველი ლუთერანული ეკლესიის დაარსების 400 წლისთავს აღნიშნავდა.

გადაღებულია ტელევიზორიდან

1593 წელს შვედებმა მარტინ ლუთერის მოძღვრება აღიარეს და რომო-კათოლიკური სარწმუნოების ნაცვლად მათთან პროტესტანტიზმი შემოვიდა. ეს პროტესტანტული „ეკლესია“ თავისი ავანგარდული და ლიბერალური პოზიციით საყოველთაოდ არის ცნობილი. ყველა საეკლესიო კანონის, წმიდა წერილისა და გადმოცემის საპირისპიროდ, მათ ევროპაში

პირველებმა დაიწყეს ქალების ხელდასხმა. ამგვარად, 1993 წლის 22 აგვისტოს უფსალაში გოტიკური სტილის კათედრალურ ტაძარში საზეიმო მესა აღევლინა, რომელიც უფრო თეატრალურ წარმოდგენას ან დისკოტეკას წააგავდა, ვიდრე ღვთისმსახურებას. სამწუხაროდ, ამ „ევქარისტიულ ფესტივალს“ ესწრებოდნენ მართლმადიდებელი იერარქები მსოფლიო პატრიარქის მეთაურობით. ისინი პროტესტანტების, ანტიქალკედონელთა და სხვა ერეტიკოსების გვერდით საკურთხეველთან ახლოს საზეიმო „ლოჟაში“ მოეწყვნენ. ღვთისმსახურების ცალკეულ ნაწილებს თან ახლდა ავანგარდული ხასიათის მუსიკა სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, რომელსაც პროტესტანტი სასულიერო პირი მეტად ექსპრესიულად დირიჟორობდა. კარდინალ კასიდისა და შვედი მთავარეპისკოპოსის, გუნარ ვემანის სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოთვა პატრიარქმა ბართლომემ. თავის მიმართვაში, რომელიც ინგლისურ ენაზე იყო წარმოთქმული, ის საუბრობდა ეკლესიის ერთიანობის აუცილებლობაზე, რომელიც სამპიროვანი ღმრთის ხატებაა, ამასთან აღნიშნა, რომ „ერთობის არქონა არის არა მხოლოდ საცდური, არამედ ის ეკლესიის ძირითადი დანიშნულების საწინააღმდეგოა [1]. კარდინალმა კასიდიმ თავის მხრივ ნათლად გამოხატა რომის პოზიცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ერთობა განსხვავებულობებთან ერთად, თუ ეს განსხვავებები მოციქულთა გადმოცემის ჩარჩოებში იმყოფება. მისი აზრით, წმინდა სამოციქულო სარწმუნოება შეუთავსებელია მხოლოდ იმასთან, რაც აბსოლუტურად უცხოა გადმოცემისათვის.

ღვთისმსახურების მსვლელობისას პატრიარქმა მონაწილეობა მიიღო ერთგვარ სახარებით შესვლაში. შემდეგ ყველა დამსწრე იერარქმა ერთად წაიკითხა ნიკეის სარწმუნოების სიმბოლო და „მშვიდობის კოცნით“ ერთმანეთს ეამბორა. მსოფლიო საპატრიარქოს სახელით პატრიარქმა მთავარეპისკოპოს ვემანს აჩუქა ვერცხლის ბარძიმი, რომელსაც შერიგების ბარძიმი

უწოდა. შვედმა პრიმასმა [43] იგი მაშინვე გამოიყენა ზიარებისათვის და პატრიარქს აღელვებით შეპირდა, რომ ამიერიდან მუდამ მოიხსენიებდა მას „უფლის პურისა და ღვინის“ წინაშე [2]. ეკლესიის სხვადასხვა კუთხეში ხალხს აზიარებდა მრავალრიცხოვანი ლუთერანი მღვდელი და ლუთერანი მღვდელი ქალი. ამ დროს ახალგაზრდა ზანგების (?!) რომელიღაც ვოკალურმა ანსამბლმა ჯაზურ რიტმში დაიწყო „განიცადენის“ შესრულება. ეკლესიაში რაღაც წვეულების ატმოსფერო სუფევდა: თავიანთი რიგის მომლოდინე მაზიარებლები გამაყრუებელი მუსიკის ფონზე რიტმულად წაიცეკვებდნენ ხოლმე. ეს ნამდვილად გახლდათ „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“. მართლმადიდებელი წარმომადგენლები პატრიარქის მეთაურობით მშვიდად, „ადგილობრივი საეკლესიო ტარადიციებისადმი“ შესამჩნევი პატივისცემით ადევნებდნენ თვალყურს ამ კომედიას. საბოლოოდ მთელი ეს უკანონო შეკრება პატრიარქმა ბართლომემ აკურთხა საღმრთო ლიტურგიის სიტყვებით: „კურთხევა უფლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. გვერდით იდგნენ და ასევე აკურთხებდნენ კარდინალი კასიდი, მთავარეპისკოპოსი ვემანი და ფინეთის მთვარეპისკოპოსი ვიკსტრი. ამით, სავარაუდოდ, ისინი ცდილობდნენ ქრისტეს ეკლესიის ერთადერთობისა და ერთიანობის დემონსტრირიებას [3].

- - -

1. ამგვარად, პატრიარქი ქრისტეს ეკლესიის წევრებად არამართლმადიდებელ ქრისტიანებსაც მიიჩნევს, რაც სრულად შეესაბამება ეგრეთ წოდებულ ნათლისღების თეოლოგიას, რომელსაც პერგამელი იოანე ზიზიულასი წარმოგვიდგენს (თეორია, რომლის თანახმადაც ყველა ქრისტიანი, ფართო გაგებით, წმინდა სამების სახელით არის მონათლულნი). მოგვიანებით, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში პატრიარქი დაამატებს: „ჩვენ ყველანი, როგორც ადამიანური არსებები და ეკლესიის წევრები მოწოდებულნი ვართ,

[43] პირველიერარქი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

მონაწილეობა მივიღოთ...“. მთელ გამოსვლაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ლუთერანული აღმსარებლობის დამღუპველობის შესახებ. დაწვრილებითი კომენტარები და გამოსვლის ტექსტი შეიძლება ვნახოთ გაზეთ Επισκεψιφ-ში N 496 30. 9. 1993 წ. მთელი ეს „კომედია უფსალაში“ ასევე ვიდეოკასეტაზეა ჩაწერილი.

2. რა უნდა იყოს უფრო ნათელი მაგალითი წმინდა ჭურჭლის გამოყენების პროფანაციისა, ვიდრე მისი საჩუქრად გადაცემა მათთვის, ვინც არ აღიარებს ევქარისტიული ძღვენის ჭეშმარიტ გარდაქცევას, რადგან ბ-ი ვემანს არ სწამს, რომ ევქარისტიაში ქრისტეს სისხლი და ხორცია, არამედ თვლის, რომ ოდენ ქრისტესმიერი ჰური და ღვინოა.

3. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ანგლიკანელმა ეპისკოპოსმა ხინტმა შეადგინა შესაბამისი ეკუმენისტური ლოცვა, რომელიც შესთავაზეს ყველა მონაწილეს, რათა მისი წაკითხვით ყველას ერთად ელოცა. მასში ნათქვამია: „ყოვლადწმიდა ღმერთო, მამა, ძეო და წმინდაო სულო, განამტკიცე ჩენი რწმენა, გააძლიერე ჩვენი სასოება და დაგვიცევ ჩვენ სიყვარულში, დაე, აღსრულდეს ნება შენი და დამყარდეს ერთობა ჩვენი, დაე, განიკურნოს ყოველი ქმნილება და თავისუფლად და ღირსებით იცხოვროს ყოველმა კაცმა და ყველა ქალმა. ვლოცულობთ შენდამი ლოცვებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა. ამინ!“ ეკუმენისტური ლოცვების უმეტესობა, რომლებსაც ეკუმენისტურ შეხვედრებზე მართლმადიდებელი წარმომადგენლებიც კითხულობენ, ამ ლოცვას ჰგავს. ამ ლოცვებში არ არის ნახსენები არც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, არც წმინდანები, ღმერთს არ თხოვენ არც ცხონებას, არც სასუფეველის დამკვიდრებას, არამედ, უმთავრესად, - პოლიტიკურ მშვიდობასა და მთელი მსოფლიოს კეთილდღეობას. თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს მართლმადიდებელთა კოპრომისი, ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი, როცა 1972 წელს ნიუ-იორკში ბერძენმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა ებრაელებთან ოფიციალური თეოლოგიური დიალოგი გამართა. ამ შეხვედრის მსვლელობისას ბერძენი თეოლოგები დათანხმდნენ, რომ ძველი საღვთისმსახურო ტექსტები „გაეწმინდათ“ იმ გამონათქვამებისაგან, რომლებიც ებრაელებისა და მთლიანად იუდაიზმისთვის არის შეურაცხმყოფელი. ცხადად ჩანს მართლმადიდებლობის რეფორმირების სურვილი, მისი ერთადერთობის საკამათოდ გახდომის სურვილი და მის დაყვანა სხვა რელიგიების დონემდე.

მონოფიზიტებთან კავშირი

უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიო საპატრიარქო მხარს უჭერს ეგრეთ წოდებულ ანტიქალკედონელ[44] (მონოფიზიტურ) „ეკლესიებთან“ არსებული განსხვავებების დაძლევას. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ პატრიარქ დიმიტრის თვალსაზრისი, სხვათა შორის - მეტად გავრცელებული, რომლის მიხედვითაც ანტიქალკედონელებთან კამათი არსობრივად ოდენ „ერთი და იგივე საღვთისმეტყველო ჭეშმარიტებისა და გამოცდილების სხვადასხვაგვარად გამოხატვაა“. აი, ასე მარტივად წყდება პრობლემა, რომელმაც მეხუთე საუკუნეში სერიოზულად შეძრა კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესია და რომელიც ქალკედონის კრებაზე წყდებოდა. ეკუმენისტები ჯიუტად უსვამენ ხაზს იმას, რომ განსხვავებათა წარმოშობა ნაკარნახევი იყო ცალკეული ხალხების სურვილით, ბიზანტიური ბატონობისაგან გათავისუფლებულიყვნენ. ჯერ კიდევ 1989 წელს კონფერენციაზე, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ორგანიზაციის ეგიდით ეგვიპტურ ამბა ბიშის მონასტერში მიმდინარეობდა [1], მონოფიზიტებმა და მართლმადიდებლებმა მოილაპარაკეს, რომ „მხოლოდ ქრისტოლოგიით არ შემოიფარგლებოდნენ“ და „პირველი საუკუნეების განუყოფელი ეკლესიის სრული სისავსე მოეცვათ“. მაშინ მონოფიზიტებმა უარი თქვეს, მიეღოთ შვიდი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები, რადგან მათ მართლმადიდებელთა „კერძო

[44] ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების განჩინებათა მოწინააღმდეგეები. ქალკედონის კრება გაიმართა 451 წელს. მან დაგმო მონოფიზიტობა, რომელიც ქრისტეს ადამიანურ ბუნებას უარყოფს და მასში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებს. ქალკედონის კრებამ აღიარა ქრისტეში ღვთაებრივისა და ადამიანური ბუნების განუყოფლობა – დიოფიზიტობა. - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

გადაწყვეტილებებად“ თვლიდნენ. „ერთობა“ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს უნდა დაფუძნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყდა, არ გამართულიყო კამათი მონოფიზიტური ერესის არსის შესახებ, არამედ „უმტკივნეულოდ“, კოპრომისული გადაწყვეტილებების მოძიების საფუძველზე, იგი მართლმადიდებელ ეკლესიათა წრეში შემოეყვანათ. ეს გადაწყვეტილება მომდევნო წელს შამბეზში დამტკიცდა. 1991 წლის 21-30 ნოემბერს შვეიცარიაში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ცენტრში „ეკუმენისტური დიალოგის“ გასამართად ერთმანეთს მართლმადიდებელთა და ეგრეთ წოდებულ ანტიქალკედონელთა ეკლესიების წარმომადგენლები შეხვდენენ; ამ შეხვედრის მიზანი „ეკლესიების ორი ოჯახის“ გაერთიანება იყო. საუბარში მონაწილეობას თითქმის ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგატები და ანტიქალკედონელთა დელეგატები სომხეთიდან, სირიიდან, ეთიოპიიდან და ინდოეთიდან იღებდნენ. ამ შეხვედრის ოფიციალურ დოკუმენტებში ანტიქალკედონელი მონოფიზიტები „აღმოსავლელ მართლმადიდებლებად“ [2] იწოდებიან, თუმცა მათ მაინც არ სურთ, აღიარონ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებათა მსოფლიო მნიშვნელობა. (ამასთან, ისინი მართლმადიდებლების მხრიდან ამ კრებათა ამგვარი აღქმის წინააღმდეგნი არ არიან). მათ მიმართ აღიარებულ იქნა მათი მოციქულებრივი მემკვიდრეობა, ასევე გამოითქვა მათ მიმართ ქება მოციქულების გადმოცემის დაცვისათვის. დოკუმენტებში ასეა ნათქვამი: „ორივე ოჯახმა აბსოლუტური ლოიალობით დაიცვა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტოლოგიური მოძღვრება და მოციქულებრივი გადმოცემის უწყვეტობა“. ამ შეხვედრაზე ქალკედონებამდელებმა [45] მხარი დაუჭირეს ექსტრემისტი

[45] იგივე ანტიქალკედონელები - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

მონოფიზიტი ევტიქის გაკიცხვას, მაგრამ უარი თქვეს უფრო ზომიერი მონოფიზიტების, სევირისა და დიოსკორეს გაკიცხვაზე, რომელსაც ისინი, ამასთან, წმინდანად თვლიან. რადგანაც მონოფიზიტური მოძღვრება მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ანათემაზე იყო გადაცემული, დაისვა საკითხი ანათემის მოხსნის შესახებ. არსობრივად უპირატესად ორი თვალსაზრისი არსებობს, რომლის მიხედვითაც ანტიქალკედონელებთან დიალოგში ორი ძირითადი მიმართულება უნდა გამოიკვეთოს, რომლებიც ასევე რომო-კათოლიკეებთან „დიალოგისთვისაც“ არის დამახასიათებელი. სახელდობრ:

1. კიდევ ერთი ერეტიკული აეკლესიის აღიარება „და ეკლესიად“ ან თანასწორ ოჯახად; იმ მტკიცების უარყოფა, რომ ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია მხოლოდ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიაა.
2. სწრაფვა სწრაფი გაერთიანებისაკენ განსხვავებათა იგნორირების, მათი მიჩქმალვის ან მინიმალიზაციის გზით [3].

კომისიამ, რომელიც „სრული ერთობის მისაღწევად აუცილებელი საეკლესიო პროცედურების“ დეტალებს შეიმუშავებდა, დაავალა „თითოეულ ადგილობრივ ეკლესიას, ამ საკითხებთან დაკავშირებით ინიციატივა გამოეჩინა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ კანონიკურ პრინციპებთან თანხმობაში იქნებოდა“. კომისიის მეორე დავალება იყო, შეესწავლათ საღვთისმსახურო ცვლილებები, რომლებიც გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება წარმოქმნილიყო, ერთობლივი ღვთისმსახურებისა და სასულიერო მეთაურთა დიპტიხის ქონის აუცილებლობის ჩათვლით, საღმრთო ლიტურგიისას ურთიერთმოხსენიებისათვის; გარდა ამისა, მოეხდინათ კომიტეტის ორგანიზება, რომელიც გამოსცემდა „სპეციალურ ლიტერატურას“, რომელიც ახსნიდა სარწმუნოებრივი საკითხების ჩვენეულ განსხვავებულ გაგებას, რამაც წარსულში განხეთქილებისაკენ მიგვიყვანა“. გარდა ამისა,

ორივე ოჯახს შესთავაზეს, „შერიგებულიყვნენ და მოეხსნათ ეკლესიების მიერ ადრე დადებული ანათემა“.

შამბეზში ჩატარებულმა ამ ყრილობამ მეტად მძაფრი რეაქცია გამოიწვია მართლმადიდებელ ქრისტიანთა მხრიდან, რომლებიც მის გადაწყვეტილებებში ხედავდნენ მცდელობას, გადაეხედათ მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებები და გართიანებულიყვნენ ანტიქალკედონელებთან, ამასთან არ დალოდებოდნენ მათი მხრიდან სინანულს, როგორც მართლმადიდებლურ წიაღში დაბრუნების ერთადერთი საშუალებას. მიტროპოლიტი მილეტი ჟურნალ „ორთოდოქსოს ტიპოსში“ გამოქვეყნებულ სტატიებში დაჟინებით ცდილობდა აეხსნა, რომ არანიაირი კონკრეტული გადაწყვეტილებები არ იყო მიღებული, რომ საუბარი მხოლოდ ფუძემდებლურ პრინციპებს შეეხებოდა. ამასთან, ეს განცხადებები არანაირად არ ეთანხმებოდა პატრიარქ ბართლომეს ამასწინანდელ პოზიციას, რომელიც სწორედ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისაკენ მოუწოდებდა.

მარჯვნიდან მარცხნივ: პატრიარქი ალექსი II, კოპტელი „პატრიარქი“ შენუდა III, ალექსანდრიელი პატრიარქი პართენი III და მიტროპოლიტი კირილე (გუნდიაევი) კოპტურ საპატრიარქოში კვიპროსზე

თავის 1992 წლის 12 აგვისტოს წერილში კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერუსალიმის პატრიარქ დიოდორეს მოუწოდა, მონაწილეობა მიეღო ანტიქალკედონელებთან ურთიერთობის განვითარებაში, რაზეც მან, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, უარი თქვა. მაგრამ მონოფიზიტებთან გაერთიანების საკითხში ყველაზე მეტ წარმატებას ანტიოქიის საპატრიარქომ მიაღწია. ანტიოქიის პატრიარქმა ეგნატე IV-მ გამოაქვეყნა ენციკლიკა, რომელშიც, პრაქტიკულად, ცხადდება კავშირი სირიელ ანტიქალკედონელებთან.

ჩვენ მოგვყავს 1991 წლის 12 ნოემბრის ენციკლიკის თითქმის მთლიანი ტექსტი, რომელშიც პატრიარქი სამწყსოს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ალბათ გსმენიათ იმ ხანგრძლივი ძალისხმევის შესახებ, რომელსაც უკვე არაერთი ათწლეულია მიმართავს ჩვენი სამოციქულო ტახტი და სირიის მოძმე მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენს ეკლესიათა შორის ურთიერთგაგების გაღრმავების მიზნით დოგმატურ და სამწყსო დონეზე. ეს მისწრაფებები - სხვა არაფერია, თუ არა ბუნებრივი გამოხატულება სურვილისა, რომ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, გამსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ანტიოქიის წმინდა მთავარსაეპისკოპოსოს მიეკუთვნებიან, მიჰყვნენ უფლის მცნებებს და ყველა იყვნენ ერთად, გაერთიანებულნი, როგორც ძე და ზეციური მამა არიან ერთნი. ჩვენი მოვალეობაა, ისევე როგორც ჩვენი ძმებისა სირიული ეკლესიდან, დავამოწმოთ ქრისტე აღმოსავლეთში, იქ, სადაც იგი დაიბადა, სწავლობდა, ეწამა, დაიმარხა, მკვდრეთით აღდგა და თავის წმინდა მოციქულებს სულიწმინდა მოუვლინა. ყველა ჩვენი შეხვედრა, განცხადებები, კომუნიკე ამოწმებენ იმას, რომ ჩვენ ერთ სარწმუნოებას ვაღიარებთ, თუმცა ისტორიული განვითარების გზაზე განცალკევების სული უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სული ერთობისა. ყველაფერმა ამან განაპირობა აუცილებლობა იმისა, რომ ანტიოქიის უწმინდეს სინოდს ღიად გამოეხატა ანტიოქიის მთავარსაეპისკოპოსოს ეკლესიის სწრაფვა გაერთიანებისაკენ, რომელსაც შეუძლია სიკეთე მოუტანოს ყველა მხარეს.

ნებისმიერი სწრაფვა და მცდელობა ეკლესიათა გასაერთიანებლად ეფუძნება იმ რწმენას, რომ ყოველივე ამას მართავს სულიწმიდა და სწორედ იგი აღავსებს აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიას ნათლითა და მადლით, რასაც ჩვენ მრავალი საუკუნის მანძილზე მოკლებულნი ვიყავით. ზემოთქმულიდან გამომდინარე ანტიოქიის წმინდა სინოდი განაჩინებს:

1. ორ ეკლესიას შორის სრულ ურთიერთპატივისცემას, რაც ეხება ღვთისმსახურებას, სულიერ სფეროს, წმინდა მამათა მემკვიდრეობას, ასევე ანტიოქიისა და სირიის ლიტურგიკული პრაქტიკის დაცვას.

2. ორივე ეკლესიის წმინდა მამების სწავლებათა გამოყენებას ქრისტიანული საგანმანათლებლო და თეოლოგიის შემსწავლელ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების პრაქტიკაში.

3. ერთი ეკლესიის წევრების მეორე ეკლესიაში გადასვლის არ დაშვებას, მიუხედავად მიზეზებისა.

4. აუცილებლობის შემთხვევაში ორივე სინოდის ყრილობების ორგანიზებას.

5. ქორწინების, განქორწინებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით თითოეულ ეკლესიის მიერ საკუთარი შეხედულების შენარჩუნების უფლებას.

6. ღვთისმსახურებაზე ორი ეპისკოპოსის შეხვედრისას უპირატესი იქნება ის, რომლის სამწყსოც მოცემული მომენტისათვის უფრო მეტია. . . თუკი საუბარია ქორწინების საიდუმლოზე, მთავარი იმ ეკლესიის ეპისკოპოსი იქნება, რომლის წევრიც საქმროა.

7. ის, რაც წინა პუნქტში იყო ნათქვამი, არ მოქმედებს საღმრთო ლიტურგიაზე ეპისკოპოსების ერთობლივი წირვისას.

8. ის, რაც მე-6 პუნქტშია ნათქვამი, აუცილებელია შესასრულებლად ორივე ეკლესიის სასულიერო პირების მიერ.

9. თუ რომელიმე მღვდელი თავისი ეპარქიის საზღვრების გარეთ, სხვა ქვეყანაში იმყოფება, მას შეუძლია

მღვდელმსახურება, საღმრთო ლიტურგიისა და ჯვრისწერის ჩათვლით, ორივე ეკლესიის წევრთათვის აღასრულოს.
10. თუ ორივე ეკლესიის მღვდლები აღმოჩნდებიან იმ ადგილას, სადაც მხოლოდ ერთი ტაძარია, მათ მღვდელმსახურება რიგრიგობით უნდა აღასრულონ. ერთობლივი მსახურების შემთხვევაში უპირატესია ის, ვისი მრევლიც რიცხობრივად უფრო მეტია.
11. თუ მსახურებაზე ერთი ეკლესიის ეპისკოპოსი და მეორე ეკლესიის მღვდელი ერთად აღმოჩნდება, უპირატესი, რასაკვირველია, ეპისკოპოსი იქნება.
12. მღვდლად ხელდასხმის კანდიდატებს ყოველი ეკლესიის საეკლესიო ხელისუფლება ირჩევს, სასურველია, რომ ამ დროს და-ეკლესიისდანაც იყვნენ ძმები.
13. ჯვრისწერაზე მოწმეები და ნათლიები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები. ყველა ერთობლივ დღესასწაულზე უპირატესია ის მღვდელი, ვინც ხარისხით მაღლა დგას.
14. ორივე ეკლესიის ყველა ორგანომ უნდა ითანამშრომლოს იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება სწავლებას, განათლებას, იმ მიზნით, რომ ძმობის სული მოიმუშაკონ.
15. ვსარგებლობთ რა შემთხვევით, გპირდებით, გავაგრძელებთ ჩვენი ურთიერთობების განვითარებას და-ეკლესიებთან და ყველა სხვა ეკლესიასთან, რათა ერთი მწყემსის ერთი სამწყსო გავხდეთ...“.

ტექსტი აღებულია „Courrier Oecuminique du Moyen Orient”-დან (16. 1. 1992). ეს დოკუმენტი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორია მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირი ერეტიკულ თემთან. არსებითად ერეტიკული საეკლესიო ორგანიზაცია ამ შემთხვევაში უცვლელი რჩება, არ განუდგება არც თავის წესებსა და არც მოძღვრებას, მას, უბრალოდ, ეძლევა უფლება, ქონდეს ერთობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ერთობა, რომელიც ამ გზით მიიღწევა, აბსოლუტურად ფარისევლურია.

---

1. *მხედველობაში გვაქვს ღირსი ფსოი დიდის სახელობის მონასტერი, რომელიც ოდესღაც მართლმადიდებლური იყო. რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.*

2. *მათ, ვინც დაახლოებით 20 წლის წინ მონოფიზიტებთან კავშირის დასაცავად გამოდიოდნენ, დაიწყეს მათი „ქალკედონელამდელ მართლმადიდებელ ქრისტიანებად“ მოხსენიება, ხოლო ბოლო დროს - „აღმოსავლელ მართლმადიდებლებად“. ამ სახელწოდებების გაჩენით გაქრა სიტყვა „ერესი“. ახლა უკვე აღარ საუბრობენ დოგმატურ სხვაობებზე, ახლა საუბარია „ტერმინოლოგიურ კამათზე“, „თეოლოგიურ შეხედულებებზე“. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება თანდათან ჩვენი საეკლესიო სინდისის ეკუმენიზირება. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ: ის, ვინც მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებას განუდგება, მწვალებლობაში ვარდება და ერეტიკოსი ეწოდება. დღეს აქტიურად ვითარდება ახალი „ეკუმენისტური თეოლოგია“, რომლის მიხედვითაც ყველა, ვისაც „განსხვავებული თეოლოგიური შეხედულებები“ გააჩნია, შეიძლება ქრისტეს ეკლესიის წევრად ჩაითვალოს. კანბერაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყრილობის მაგალითი ადასტურებს, რომ ეს იდეა რელიგიური სინკრეტიზაციისა და რელატივიზმის სულით არის გაჯერებული..*

3. *მოყვანილია წმინდა მთის წმინდა კინოტის კომისიის განცხადების ტექსტზე დაყრდნობით, რომელიც გამოქვეყნდა სერბულ ჟურნალში „წმინდა თავადი ლაზარე“ N3 (7), „საეკლესიო სიახლენი“ N 6 (93) და ,,The Ecumenical Press Servise”.*

პატრიარქი დიოდორე მართლმადიდებლობის დაცვის სადარაჯოზე

იერუსალიმის პატრიარქი დიოდორე მოცემულ მომენტში [1] არის ოფიციალური მართლმადიდებლური ადგილობრივი ეკლესიის ერთადერთი მეთაური, რომელიც მონაწილეობას არ იღებს „სიყვარულის დიალოგში“. ამიტომ დღეს იერუსალიმის საპატრიარქო წარმოადგენს ყველაზე ძლიერ საყრდენს, რომელიც „ოფიციალური“ ეკლესიის ჩარჩოებში წინააღმდეგობას უწევს ეკუმენისტურ განდგომილებას. 1989 წლის 9 მაისს იერუსალიმის საპატრიარქომ წმინდა სინოდის

კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეწყვიტა საღვთისმეტყველო დიალოგი ანგლიკანელებთან და საერთოდ ყველა არამართლმადიდებელთან. დასახელდა რა ამის ძირითად მიზეზად ის, რომ დიალოგს ბოროტად იყენებენ [2], სინოდი გაბედულად აღმსარებლობს, რასაც სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები ვერ ბედავენ[46].

წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარესი პატრიარქი დიოდორე

პატრიარქ დიოდორეს წერილში მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მიმართ ნათქვამია: „ჩვენ ამ

[46] არქიმანდრიტ საბა იანიჩის წიგნი „განდგომილება“ იმ დროს გამოიცა, როდესაც საქართველოს ადგილობრივი ეკლესია ჯერ კიდევ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი იყო, თუმცა 1997 წ. 20 მაისს მან დატოვა ეკუმენისტური საბჭო, რითაც მსოფლიოს მართლმკვეთელობის მაგალითი უჩვენა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ნაბიჯისაკენ, უპირველეს ყოვლისა, გვიბიძგა მთელი ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენამ, რომ სწორედ ის ფლობს ჭეშმარიტების მთელ სისავსეს, წარმოადგენს ერთადერთ წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა და ჩვენი უმწიკვლო სარწმუნოებისა და წმიდა გადმოცემის დოგმატების საიმედო საგანძურს, და რომ მისი თავი თავად იესო ქრისტეა. ამიტომ ჩვენ მართლმადიდებელ ეკლესიას, სრულიად დარწმუნებულს თავისი გზის სიმართლესა და ამქვეყნად თავის მაცხოვნებელ მოციქულებრივ მისიაში, არავითარი საჭიროება არ გააჩინია ჰქონდეს საღვთისმეტყველო დიალოგი არამართლმადიდებლებთან, რომელთაც, უნდა ითქვას, თავად შეუძლიათ შეისწავლონ ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება და, თუკი მოისურვებენ, იცხოვრონ ამ სარწმუნოებით. ჩვენი იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არამართლმადიდებლებთან ნებისმიერი მომდევნო დიალოგი სახიფათო ხდება, რადგან ისინი ამ დიალოგს იყენებენ, რათა გაატარონ ზემოთ ხსენებული პროზელიტიზმის პოლიტიკა და გააგრძელონ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დაუშვებელი სხვა საქმიანობა...“

მოვიყვანოთ ნაწყვეტი მისი სიტყვიდან, რომელიც მან 1989 წლის 2 ოქტომბერს წმინდა მოწამეთა კვიპრიანესა და იუსტინეს სახელობის ძველმესტილეთა მონასტერში წარმოთქვა: „აი, უკვე ორი ათასი წელია, იერუსალიმის ეკლესია იბრძვის მართლმადიდებლური სწავლებისა და გადმოცემის წმინდად შენარჩუნებისათვის, ეკლესიის კანონების პატივისცემისა და იმ მოძღვრების დაცვისათვის, რომელიც ჩვენ ქრისტესაგან და მოციქულებისგან მივიღეთ... ეკუმენისტურ მოძრაობას თავისი დიალოგებით, რომელთა ერთადერთი მიზანი ეკლესიისათვის ზიანის მიყენებაა, დღეს სურს მართლმადიდებლობა პაპიზმსა და ეკუმენიზმს დაუმორჩილოს. უკვე არაერთი წელია, მიდის მუშაობა წმინდა მიწაზე მართლმადიდებლობის გასანადგურებლად. მაგრამ უფალი, რომელიც უკვე მრავალი

საუკუნეა, იცავს იერუსალიმის ეკლესიას, მუდამ გადაარჩენდა ხოლმე მართლმადიდებლობას ყოველგვარი საფრთხისაგან. ვერასდროს, მთელი თავისი ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, იერუსალიმი ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ დაიპყრო. ერთმანეთს ცვლიდნენ სატრაპები[47], მეფეები, გუბერნატორები, მაგრამ ყველა ისინი წარსულს ჩაბარდნენ, ხოლო დარჩა ასამდე ბერძენი მართლმადიდებელი ბერი, ჩვენი წმინდა მემკვიდრეობის ფხიზელი მცველი. სამწუხაროდ, უკვე ათწლეულების მანძილზე იერუსალიმი, არ სურს რა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა დაარღვიოს, სხვა ეკლესიების კვალდაკვალ ნომინალურად მონაწილეობს ეკუმენისტურ დიალოგებში, თუმცა ეკუმენიზმს არასდროს ჩვენზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. მიუხედავად ამისა, ამ დიალოგებში იერუსალიმის მონაწილეობამ საბაბი მისცა მტკიცებას, რომ იერუსალიმის პატრიარქიც მონაწილეობდა ეკუმენისტურ მოძრაობაში. ჩვენ გულისტკივილით შევნიშნავთ, რომ ერეტიკოსები ამ დიალოგებს ბოროტად იყენებენ. ისინი თავგზას უბნევენ ჩვენს მორწმუნეებს და ყველანაირად ცდილობენ ისინი თავიანთ სარწმუნოებაზე მოაქციონ. ისინი მათ აჩვენებენ ფოტოსურათებს, სადაც პაპი და ჩვენი პატრიარქები, ეპისკოპოსები ერთად არიან გამოსახულნი და ამასთან ეუბნებიან, რომ უნია უკვე მიღწეულია: „ნუ უსმენთ თქვენს ეპისკოპოსებს, უნია უკვე არსებობს, მართლმადიდებელი ეკლესია რომის კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდა“. სიტყვა „უნია“, როგორც ჩანს, აქ იმ მნიშვნელობით არის გამოყენებული, რომლითაც მას ეკუმენისტები იყენებენ, კერძოდ - დაქვემდებარებას გულისხმობს. ამიტომ, გავიაზრეთ რა ჩვენი პასუხისმგებლობა უფლის, ეკლესიის, თავად ისტორიის წინაშე, ღვთისგან განათლებულებმა გადავწყვიტეთ, შევწყვიტოთ საპატრიარქოს ნებისმიერი დიალოგი არამართლმადიდებელ

---

[47] თვითნება, დესპოტი მმართველი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიჩვნა

ეკლესიებთან, რადგან მათთან მრავალი წლის კონტაქტის შემდეგ არანაირი პოზიტიური შედეგი არ იქნა მიღწეული. ჩვენი გადაწყვეტილება ყველა და-ეკლესიას განვუცხადეთ და მას დავიცავთ იქამდე, სადამდეც ეს შესაძლებელი იქნება. თქვენ იცით, რომ იერუსალიმის საპატრიარქო ძველ კალენდარს მისდევს. მას არასდროს შეუცვლია და არ შეცვლის ჩვენი ეკლესიის სწავლებას, კანონებსა და დოგმატებს. ჩვენ მზად ვართ, შემდგომშიც ვიშრომოთ და თუ საჭირო იქნება - მათი დაცვისათვის ვევნოთ კიდეც. მუქარა, რომელსაც ყოველდღიურად ვღებულობთ, და ჩვენი მოწინააღმდეგეების ქმედებანი არ გვაშინებს ჩვენ. ვრჩებით ურყევ მცველებად, ერთგულნი ჩვენი ეკლესიის სწავლებისა...“ [3].

თავისთავად ცხადია, პატრიარქი დიოდორე ამგვარი პოზიციის წყალობით მართლმადიდებელი ეკუმენისტებისა და აგრესიულად განწყობილი ებრაული ხელისუფლების მხრიდან დაუსრულებელი თავდასხმის ობიექტი გახდა.

თავის პასუხში [4] პატრიარქ ბართლომეს ზემოხსენებულ წერილთან დაკავშირებით, რომელიც მონოფიზიტებთან შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებულ დიალოგებში მონაწილეობის მიღებისაკენ მოუწოდებს, იერუსალიმის პატრიარქი პასუხობს, რომ იერუსალიმის ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა ყველა ადამიანის შერიგებასა და ერთობას, განსაკუთრებით კი „არამართლმადიდებელთა მოქცევას, რომელთაც ჩვენ, ვუჩვენებთ რა ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა სულიერ სიმდიდრეს, მოვუწოდებთ მიიღონ მისი ჭეშმარიტი და უცვლელი სწავლება, რათა ყველამ მივაღწიოთ სარწმუნოებრივ ერთობასა და აღვასრულოთ უფლის მცნება, ვიყვნეთ სრული ერთობითა“. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ „წმინდა დედა ეკლესია ყოველთვის სიხარულით იწყნარებდა არამართლმადიდებელ მონანულებს თავის წიაღში“... სრულიად ნათელია, რომ იერუსალიმის პატრიარქი წინ წამოსწევს გაერთიანების იმ იდესა და საშუალებას, რომელთაც წმინდა მამები ქადაგებდნენ -

არ არის და არც შეიძლება მიღწეულ იქნას კომპრომისი მწვალებლობასა და საღმრთო ჭეშმარიტებას შორის, ერთადერთი გზა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაერთიანებისა - ეს არის **გზა სინანულისა**. შემდეგ პატრიარქი თავის წერილში ხაზს უსვამს, თუ რამდენად უფრო გონივრული იქნებოდა დრო, რომელიც ეკუმენისტურ დიალოგებში ტყუილუბრალოდ იხრჯება, მართლმადიდებელ და-ეკლესიებთან კონტაქტებისათვის გამოგვეყენებინა და მართლმადიდებელთაშორისი პრობლემები და უთანხმოებანი დაგვეძლია, რადგან არამართლმადიდებლებთან დიალოგს არანაირი შედეგი არ მოაქვს. „რა დადებითი შედეგი მოგვიტანა ანგლიკანებთან დიალოგმა, როდესაც ისინი ამ მომენტში ქალების ხელდასხმით კიდევ უფრო მეტად აღრმავებენ უფსკრულს მართლმადიდებელ და ანგლიკანურ ეკლესიებს შორის, ასევე რომო-კათოლიკებთან, რომლებიც ფართოდ იყენებენ პროზელიტიზმს და მართლმადიდებელი ეკლესიის საზიანოდ ძალ-ღონეს არ იშურებენ“. დასასრულ იგი გაბედულად ამტკიცებს, რომ „არამართლმადიდებლებთან დიალოგი არა მხოლოდ ვერ გაამყარებს ჩვენს კავშირებს, არამედ პირიქით, **უფრო მეტად განაშორებს მათ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებისაგან**“.

პატრიარქი დიოდორე მოსკოვში

იერუსალიმის ეკლესიამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ვალდებული მონაწილეობა მიიღოს არამართლმადიდებლებთან დიალოგში, მსგავსი პოზიცია ჯერ კიდევ 1992 წლის მაისში მართლმადიდებელ პატრიარქთა ყრილობაზე გამოხატა. თავისი წერილის გაგრძელებაში პატრიარქი ხაზს უსვამს, რომ ზემოხსენებულ მიზეზთა გამო მას არ სურს ანტიქალკედონიტებთან დიალოგში მონაწილეობის მიღება, რომელიც იმ ანათემის მოხსნის გზით მიემართება, რომლითაც მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებებმა გადასცა მონოფიზიტები დიოსკორე, ანთიმოზ ტრაპეზუნდელი, ევტიქი, სევირი, პეტრე აპამეიელი და მრავალი სხვა, რომლებსაც დღეს ანტიქალკედონელები „დიდ მამებად“ და „განმანათლებლებად“ მიიჩნევენ, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებს, მართლმადიდებელ მამებსა და განმანათლებლებს, - მწვალებლებად თვლიან. „დავსვათ საკითხი, - აგრძელებს პატრიარქი, - როგორ შეიძლება მივსულიყავით შეთანხმებამდე ჩვენს წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიასა და ანტიქალკედონიტებს შორის? „რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა?“ (2. კორ.6,14). როგორ შეიძლება ვუწოდოთ „პატივცემული ეკლესიები“ მწვალებლურ ორგანიზაციებს, რომლებიც დაგმობილ იქნენ წმიდა მსოფლიო კრებებისა და ჩვენი ეკლესიის მამების მიერ? ანტიქალკედონელთა მიღება მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში კრებათა განჩინებების გადახედვა და საღმრთო მადლის ეჭვქვეშ დაყენება იქნებოდა, მადლისას, რომლითაც ნაკარნახევი იყო ეს განჩინებები, რომელთა თანახმადაც მონოფიზიტები დაგმობილ იყვნენ როგორც „მართლმადიდებლური ჭეშმარიტებისაგან განდგომილები“ და მილიონობით ქრისტიანთა შემაცდენელნი. ანათემის მოხსნა, - მეშვიდე კრების განჩინების თანახმად, რომლის მიხედვითაც ანათემას გადაეცემა ყველა, ვინც მსგავს რაიმეს ჩაიდენს, - ეს ნიშნავს, რომ თავად ხდები კანონიკური გაკიცხვის ობიექტი. ჩვენი ეკლესიის წევრები რომ გახდნენ, თვლის პატრიარქი დიოდორე,

მწვალებლებისათვის აუცილებელია სინანული და ის, რომ მიიღონ სრულად, და არა ნაწილობრივ, ყველა მსოფლიო და ადგილობრივი კრების განჩინებანი. ამ მომენტამდე, - განაგრძობს პატრიარქი - ,,დედა ეკლესია ამ დიალოგის მიღმა დარჩება და არ აღიარებს არცერთ გადაწყვეტილებას, რომელიც წმინდა მსოფლიო კრებების განჩინებებსა და წმინდა მართლმადიდებლურ გადმოცემას ეწინააღმდეგება...“ (ხელმოწერილია 1992 წლის 22 სექტემბერს, ქალაქ იერუსალიმში).

---

1. *უნეტარესი პატრიარქი წმინდა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა დიოდორე 2000 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა. იერუსალიმის ახლანდელი ტახტი უნეტარეს პატრიარქს ირინეოსს[48] უჭირავს.*

2. *ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იყენებენ პაპისტები თავიანთი მიზნებისათვის ვატიკანში მართლმადიდებელ მღვდელმთავართა სტუმრობას, არის კათოლიკური ჟურნალის The Tablet (1993 წლის აპრილი, გვ, 488) სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ სერბი მიტროპოლიტი ამფილოქე და ეპისკოპოსი ირინეოსი ეწვივნენ რომის პაპს და მესის დროს მასთან ერთად თანამსახურებდნენ (on Palm Sunday they assisted at the mess). როგორც ჩვენთვის ცნობილია, სინამდვილეში ისინი მხოლოდ ტაძარში იმყოფებოდნენ. ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობენ რომო-კათოლიკები ფაქტების გაზვიადებას, რათა შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს რომსა და*

---

[48] პატრიარქმა ირინეოსმა პატრიარქ დიოდორეს მართლმკვეთელური, ანტიეკუმენისტური გზა გააგრძელა. სწორედ ამიტომ იგი პატრიარქ ბართლომესა და ისრაელის სპეცსამსახურების შეთქმულების მსხვერპლი გახდა. 2005 წელს იგი უკანანონოდ გადააყენეს და ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება. იგი სრულიად კანონიკურად თავს ისევ კანონიერ პატრიარქად მიიჩნევს და არ ტოვებს თავის სატუსაღო ოთახს, რომელიც საპატრიარქოს ტერიტორიაზეა განლაგებული. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს ადგილობრივმა ეკლესიამ ამ საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე სწორი, საეკლესიო სამართლის შესაბამისად კანონიკურად სამართლიანი პოზიცია დაიკავა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მართლმადიდებლობას შორის ოფიციალური და კანონიკური კავშირი არსებობს. აქედან გამომდინარეობს, რომ ერეტიკოსებთნ ვიზიტსაც კი, რომელსაც შესაძლოა კეთილი მიზნები ჰქონდეს, შეიძლება უკიდურესად ნეგატიური შედეგები მოჰყვეს და ეკლესიის წევრები დააბრკოლოს.

3. სპეციალური გამოცემა გაზეთისა «Αγιοζ Κυπριανοζ».

4. პასუხის ტექსტი გამოქვეყნებულია «Ορθοδοξη μαρτυρια»-ში, N79, 1992.

1993 წლის კონსტანტინეპოლის კრება პატრიარქ დიოდორეს წინააღმდეგ

პატრიარქ დიოდორეს ამ შეურიგებელმა, მაგრამ წმინდა მამათა სწავლების სულით განმსჭვალულმა და სწორმა პოზიციამ ორი უძველესი საპატრიარქო მტრობამდე მიიყვანა. კონსტანტინეპოლი მანამდეც უკმაყოფილოდ ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ხდებოდა იერუსალიმის საპატრიარქო ძირითადი სულიერი ცენტრი, რომლისკენაც მიიზიდებოდნენ ანტიეკუმენისტური ძალები. განსაკუთრებულ პრობლემად იქცა იერუსალიმის უფრო ხშირი კონტაქტები ძველმესტილეების ცნობილ მიმდევრებთან [1], ასევე იერუსალიმის მხრიდან ღია მხარდაჭერა ავსტრალიის იმ საეკლესიო სამრევლოებისა, რომლებიც თავის მთავარეპისკოპოს სტილიანესთან კონფლიქტში იყვნენ.

ათენის ძველმესტილე მთავარეპისკოპოსი ხრიზოსტომ II

ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს ეგრეთ წოდებული „მათეელები“, რადიკალი ზილოტები მთავარეპისკოპოს ანდრიას მეთაურობით და კიდევ ერთი, მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს II-ის უფრო ზომიერი და უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფია, რომელიც საკუთარი ეკლესიის გარდა სხვა ნებისმიერ ეკლესიაში მადლის არსებობას სრულიად გამორიცხავს. საინტერესოა, რომ საბერძნეთიდან ეკუმენისტურად განწყობილი ახალი სტილის მიმდევრები განსაკუთრებით იბრძვიან მიტროპოლიტ კიპრიანეს სინოდის წინააღმდეგ, გამოდიან მისი ზომიერი „წინააღმდეგობის ეკლესიოლოგიის“ წინააღმდეგ, ხოლო დანარჩენ ძველი სტილის მიმდევრებს ირონიულად უყურებენ. ამ ექსტრემისტული ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომლებმაც კალენდრული პრობლემა აბსოლუტამდე აიყვანეს, მიტროპოლიტი კიპრიანე და მისი თემი ამტკიცებენ, რომ ეს საკითხი სწორედაც რომ მთავარი არ არის, გაცილებით სერიოზული და საშიშია ნოვატორობა და ეკუმენისტური კომპრომისი, რომელიც არის ჭეშმარიტი საფუძველი სტილი შეცვლისა და მიმყვანებელია სრულ განდგომილებამდე.

ორი საპატრიარქოს დაპირისპირების კულმინაციად იქცა კრება, რომელიც 1993 წლის 30-31 ივლისს კონსტანტინეპოლში გაიმართა. მას მეთაურობდა პატრიარქი ბართლომე, ესწრებოდნენ ალექსანდრიის პატრიარქი პართენი, ბერძენი მთავარეპისკოპოსი სერაფიმე და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსთა დიდი ნაწილი (მათ შორის იაკობ ამერიკელი და სტილიანე ავსტრალიელი), ასევე მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები. არსებითად კრება პატრიარქ დიოდორესა და მისი იმ მოღვაწეობის გასაკიცხად იყო მოწვეული, რომელსაც კონსტანტინეპოლი არაკანონიკურად მიიჩნევდა. თავად იერუსალიმის პატრიარქი მოწვევას არ გამოეხმაურა, ამასთან განაცხადა, რომ ადგილობრივი ეკლესიის პატრიარქი მხოლოდ

მსოფლიო კრებამ შეიძლება განსაჯოს [2]. პატრიარქი დიოდორე მრავალი პუნქტის მიხედვით განსაჯეს, რომელთა შორის იყო: სხვისი იურისდიქციის საქმეებში ჩარევა, „ფრაქციონისტული მოღვაწეობა“, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ შეთქმულება და განხეთქილებაში მყოფებთან და მწვალებლებთან ევქარისტიული კავშირი, რაც აკრძალული იყო 1992 წლის ზემოხსენებულ პატრიარქთა ყრილობაზე. კრებამ გადაწყვეტილება მიიღო, პატრიარქ დიოდორესთვის და მისი ორი მღვდელმთავრისთვის ხარისხი ჩამოერთმია [3], თუმცა შეიტანეს შესწორება, „წყალობითა და კაცთმოყვარეობით“ ნაკარნახევი, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო - პატრიარქს დრო მიეცა იმავე წლის შობამდე, რათა მოენანიებინა და თავისი პოზიცია შეეცვალა. ამ მომენტამდე „ის აკრძალვის ქვეშ იმყოფებოდა“ და ყველა ადგილობრივი ეკლესიის მეთაურს მოუწოდებდნენ, მორიდებოდნენ მასთან ურთიერთობას. კრების დამთავრებისთანავე პატრიარქ დიოდორეს სახელი კონსტანტინეპოლის ეკლესიის დიპტიხიდან ამოშალეს (რათა რამდენიმე თვის შემდეგ გარკვეული კომპრომისის მიღწევის შემდეგ კვლავ ჩაეწერათ). ასევე „აღადგინეს“ თავიანთ ხარისხში იერუსალიმელი მეუფეები.

ამ კრების გადაწყვეტილება ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ეცნობა და ფრიად მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მიუხედავად ამისა, არცერთმა საპატრიარქომ არ გამოხატა თავისი აღშფოთება ოფიციალურად, ჩათვალეს, რომ ეს პრობლემა იყო საბერძნეთის შიდა საქმე [4], რომელშიც არ უნდა ჩარეულიყვნენ. ამას წმინდა მთის პროტესტი მოჰყვა, თუმცა სხვა დიდი მონასტრები დუმდნენ. ერთნი ამ გადაწყვეტილებებში კონსტანტინეპოლის პატრიარქის პაპისტური ტენდენციების აშკარა გამოხატულებას ხედავდნენ. სხვანი კი - ეკუმენისტების მცდელობას, ანგარიში გაესწორებინათ ანტიეკუმენისტურად განწყობილ პატრიარქ დიოდორესათვის, რომელმაც ანტიქალკედონელებთან და

რომო-კათოლიკებთან გაერთიანების პროცესის დამუხრუჭება და ნელნელა კონსტანტინეპოლის ეკუმენისტური კურსის საწინააღმდეგოდ ტრადიციონალისტების კოალიციის შექმნის პროცესის მოახლოება დაიწყო. და მართლაც, ამ კრებამ, რომელსაც პატრიარქ დიოდორეს მომხრეები „ავაზაკურად“ და არაკანონიკურად მიიჩნევენ, მართლმადიდებლური ეკუმენიზმის ყველა ვარსკვლავი შეკრიბა, ისინი, რომლებიც უკვე დიდი ხანია მთელი რიგი იმ კანონების მიხედვით დასჯას ექვემდებარებიან, რომლებიც კრძალავენ ერეტიკოსებთან ერთობლივ ლოცვას, მათი საიდუმლოებების აღიარებას, მათ დღესასწაულებსა და მსახურებებში მონაწილეობის მიღებასა და ასე შემდეგ. გარდა ამისა, კრების დოკუმენტში ნათლადაა დაგმობილი პატრიარქ დიოდორეს ჩარევა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში ავსტრალიაში, რაშიც ცხადად ჩანს კონსტანტინეპოლის სურვილი, რომ თავისი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს ბერძნული დიასპორაცა და სხვა მართლმადიდებელ ხალხთა დიასპორებიც.

პატრიარქ დიოდორეს იმაში დადანაშაულება, რომ „ერეტიკოსებთან და სქიზმატებთან“ იჭერს კავშირს (მხედველობაშია მიტროპოლიტ კიპრიანეს ძველი სტილის მომხრეები) წარმოაჩენს, თუ რამდენად თვითნებურია კონსტანტინეპოლის საზომები. ისინი რომო-კათოლიკებს, ანგლიკანებსა და მონოფიზიტებს „და-ეკლესიებს“, „ქრისტესმიერ ძმებს“ უწოდებენ და იმავდროულად ერთმორწმუნე ძმებს, რომლებიც რთული გარემოებების გამო დედა-ეკლესიისაგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ, ერეტიკოსებსა და სქიზმატებს არქმევენ. ეს სიტყვები პატრიარქ ბართლომეს დღემდე არასდროს გამოუყენებია ერეტიკული ჯგუფების მისამართით, რომლებიც ჯერ კიდევ მსოფლიო კრებების მიერ იყვნენ გაკიცხულნი. მოდით გავიხსენოთ კონსტანტინეპოლის განუხრელი განზრახვა, რუსული საზღვარგარეთული ეკლესია მადლგარეშედ და არაკანონიკურად გამოეცხადებინა, მაშინ, როდესაც იგი დედამიწის ყველა კუთხეში ქადაგებდა სახარებასა

და ბრწყინავდა მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებლებით, დიდი მღვდელმთავრებითა და სასწაულმოქმედი განმანათლებლებით [5]. ისმის კითხვა, არის კი მწვალებლობის მაჩვენებელი მეუფე ბართლომეს ნეოპაპიზმის მიუღებლობის ფაქტი, თუ ეს, ისევე როგორც მრავალი საუკუნის წინათ იყო, მართლმადიდებლური სწავლების არასწორი განმარტების, მოციქულებრივი სარწმუნოებისა და წმინდა კანონების დამახინჯების შედეგია? ძველი კალენდრული განხეთქილება [6] მტკივნეულ იარად დააჩნდა ბერძნული ეკლესიის სხეულსა და მთელ ბერძენ ხალხს და იყო ახალი სტილის ძალადობრივად შემოღების შედეგი, რომელიც თავისთავად ერესი არ არის, და ისინი, ვინც ახალ სტილს მორჩილებით მიჰყვებიან, ბრალეულნი არ არიან, იმათგან განსხვავებით, რომლებმაც თვითნებურად შემოიღეს ახალი კალენდარი და ამით სერიოზული უთანხმოება გამოიწვიეს.

კონსტანტინეპოლსა და მთელ ბერძნულ ეკლესიას ასეთივე გულმოდგინება რომ გამოეჩინათ ძველი სტილის მიმდევრებთან კონფლიქტის გადაჭრის საკითხში, როგორსაც ისინი რომო-კათოლიკებთან და მონოფიზიტებთან დიალოგში იჩენენ, ეს პრობლემა, რომელიც ყველა მართლმადიდებელს აღელვებს, დიდი ხნის მოგვარებული იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს განხეთქილება იმდენად შორს წავიდა, რომ ექსტრემისტ-ზილოტების ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ხშირად ღია ეკუმენიზმით არიან პროვოცირებულნი, დასაშვებ ზღვარს სცილდებიან. განა მხოლოდ ისინი არიან ამაში დამნაშავენი? თუმცა დავუბრუნდეთ მეფის ქალაქის[49] კრებას, რომელიც, de facto, პაპიზმის ეკლესიოლოგიურ ერესს აღმსარებლობდა და

[49] კონსტანტინოპოლის ძველი წოდება, რომლისგანაც, სტამბულად ქცეული ქალაქისათვის, რეალურად და არსობრივად, აღარაფერი დარჩა საღირსებო, დარჩა მხოლოდ პატრიარქ ბართლომეს უსაფუძვლო და არაკანონიკური ამბიციები - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვან

რომელსაც, თანდათანობით, ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას თავს ახვევდა.

---

1. *საუბარია მეძველსტილეებზე, რომლებიც მიტროპოლიტ კიპრიანესა და მისი საეპისკოპოსო სინოდის გარშემო შემოიკრიბნენ, რომლთაც თავიანთ ცენტრად ჰქონდათ წმინდა კიპრიანესა და იუსტინეს მონასტერი, რომელსაც პატრიარქი დიოდორე 1989 წლის 2 ოქტომბერს ეწვია და იქ ზემოთ მოყვანილი სიტყვა წარმოთქვა. მიტროპოლიტ კიპრიანეს სინოდი საკუთარ თავს რაიმე განსაკუთრებულ ეკლესიად არ მიიჩნევს, ისინი მადლმოსილად ახალი კალენდარული სტილის მიმდევარ ეკლესიებსაც აღიარებენ, თუმცა ეკუმენიზმისა და განმაახლებლობის მიმართ პროტესტის ნიშნად მათთან ურთიერთობისაგან თავს იკავებენ. ეკლესიოლოგიურად ასეთი პოზიცია ახლოსაა რუსული საზღვარგარეთული ეკლესიის პოზიციასთან. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ამ ჯგუფის გარდა, რომელიც, უნდა ითქვას, რომ რუსულ საზღვარგარეთულ ეკლესიასთან კანონიკურ კავშირშია, არსებობს კიდევ ორი ჯგუფი, რომელთაც არცერთ კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირი არ აქვთ, ასევე ერთმანეთთანაც არ ურთიერთობენ[50].*
2. *ნებისმიერ პატრიარქს კანონების შესაბამისად შეუძლია მოიწვიოს ადგილობრივი კრება, თუმცა მას ამ კრებაზე მხოლოდ ამ საპატრიარქოსთან დაკავშირებული პრობლემები შეუძლია გადაწყვიტოს და არა სხვა ავტოკეფალური ეკლესიის საკითხები.*
3. *საბოლოო დოკუმენტში სიტყვასიტყვით შემდეგი რამ არის ნათქვამი: „ამასთან დაკავშირებით დიდმა კრებამ, რომლის მიზანიც არის ეკლესიაში ერთობა და მშვიდობა დაიცვას, ასევე, აღადგინოს წმინდა კანონების ავტორიტეტი, რომლებიც ღვთისმგმობელურად დაირღვა, ერთსულოვნად გადაწყვიტა, განაყენოს დაკავებული თანამდებობიდან იერუსალიმის პატრიარქი დიოდორე იერუსალიმელი, ასევე მასთან დაახლოებული მთავარეპისკოპოსები ტიმოთე ლიდიელი და ისიქი კაპიტოლიელი, რომლთაც არა აქვთ სინანული და აგრძელებენ*

---

[50] სამწუხაროდ კიპრიანე და მისი მიმდევრები საბოლოოდ სქიზმისკენ გადაიხარენ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვან

ბერძენი ხალხის ცდუნებასა და დაყოფას საბერძნეთის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც“. (ტექსტი აღებულია მსოფლიოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი ფიატირის საეპიკოპოსოს გაზეთიდან „Orthodox Outlook” N49. 1993 წ.)

4. *სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ხშირად ვხდებით მოწმე, თუ რაოდენ ვიწრონაციონალისტური შეხედულებები აქვთ ეკლესიაში არსებულ სერიოზულ და მნიშვნელოვან პრობლემებზე. ეკლესიაში ბერძნული, სერბული, რუსული საეკლესიო პრობლემები და ინტერესები არ უნდა იყოს. ნებისმიერი პრობლემა, განსაკუთრებით კი ორი საპატრიარქოს დაპირისპირება, მთელი ეკლესიის პრობლემაა. პასიური დაუინტერესებლობა და პოლიტიკური ჩაურევლობა - ეკლესიური ცნობიერების კრიზისის სერიოზული ნიშანია.*

5. *1994 წლის 11 ივლისს შედგა რუსეთის საზღვარგარეთული ეკლესიის დიდი იერარქის, წმინდა იოანე მაქსიმოვიჩის ახლადგამოვლენილი უხრწნელი წმინდა ნაწილების საზეიმო განდიდება.*

6. *თავიდან ძველმესტილეების მოძრაობა სპონტანური იყო (1924-1935 წლები). ახალი კალენდრის შემოღების შემდეგ მორწმუნეთა რიცხვი, რომლებიც იულიუსის კალენდრის ერთგულნი დარჩნენ, საკმაოდ უმნიშვნელო იყო. მართალია, მათ შორის იყო რამდენიმე ცნობილი ეკლესიის ისტორიკოსი, რომლებიც მაშინდელი ალექსანდრიის პატრიარქის, ფოტის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. პირველი ექვსი თვის განმავლობაში მოძრაობაში არცერთი მღვდელი არ მონაწილეობდა, შემდეგ გამოჩდნენ ორნი. ცნობილმა ფაქტმა, 1925 წლის 14-15 სექტემბერს, სწორედ ჯვართამაღლების დღესასწაულზე (იულიუსის კალენდრის მიხედვით), ათენში, ძველმესტილეთა ეკლესიის თავზე ცაში პატიოსანი ჯვრის გამოჩენამ მნიშვნელოვნად გაზარდა ძველი სტილის მომხრეთა რიცხვი. ცაზე ჯვარი დაახლოებით შუაღამისას გამოჩნდა და მთელი საათის განმავლობაში მისი ცქერა შეეძლოთ მორწმუნეებსაც და პოლიციელებსაც, რომლებიც იქ მომლოცველთა კრებულის დასაშლელად იყვნენ გაგზავნილნი. ამასთან, ამ მოძრაობის წლიდან წლამდე შესამჩნევ გაძლიერებაში ყველაზე დიდი დამსახურება წმინდა მთის ბერებს, ზილოტებს აქვთ, რომელთაც მოიარეს საბერძნეთის მიწა და კატაკომბური ეკლესიები და მონასტრები დააარსეს. ოფიციალური ეკლესია ამას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა, მრავალი მღვდელმონაზონი წმინდა მთაზე იძულებით დააბრუნეს. ეკლესიები იხურებოდა, ბერები და*

მონაზვნები იდევნებოდნენ მონასტრებიდან, რომლებიც ოფიციალური ეკლესიის ხელში გადადიოდა. და მაინც, 1934 წლამდე დაახლოებით 800-მდე თემი ჩამოყალიბდა, დაიწყო პირველი პერიოდული გამოცემის გამოშვებაც. მაგრამ მოძრაობა თავისი იერარქების გარეშე რჩებოდა. კულმინაციამ 1935 წელს მიაღწია, როცა თერთმეტმა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ძველ სტილზე გადადიოდა. ზეწოლის შემდეგ, რომელსაც მათზე ოფიციალური ეკლესია ახდენდა, თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ სამმა განახორციელა. მათ შორის იყო მიტროპოლიტი ქრიზოსტომოს ფლორინელი, რომელიც მოძრაობის მეთაური გახდა. დაიწყეს სხვა ეპისკოპოსთა ხელდასხმა. მოძრაობის მიზანი თავისი ეკლესიის ჩამოყალიბება არ იყო. მის მონაწილეებს მხოლოდ სურდათ, ზეგავლენა მოეხდინათ როგორც ოფიციალურ ეკლესიაზე, ასევე ჭეშმარიტად მორწმუნე ხალხის ცნობიერებაზე, რათა უარი ეთქვათ ახალ სტილზე და მთელ რიგ სხვა სიახლეებზე. თავიდან ისინი ახალ მესტილეთა საიდუმლოებებსაც აღიარებდნენ. თუმცა ძალიან მალე ამ მოძრაობაში გამოიკვეთა ექსტრემისტთა ჯგუფი ეპისკოპოს მათეს ხელმძღვანელობით, რომელიც 1937 წელს გამოეყო მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის სინოდს, დამოუკიდებლად ახდენს თავის ეპისკოპოსების ქიროტონიასა და იწყებს ოფიციალურ ეკლესიაში მადლის არსებობის უარყოფას.

მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი სიცოცხლის ბოლო წლებში სასტიკად იდევნებოდა, ისევე, როგორც მისი მოძრაობის სხვა მიმდევრებიც. მღვდლებს ციხეებში სვამდნენ, ეკლესიებს ხურავდნენ, ართმევდნენ წმინდა ჭურჭელს, მონაზონთა გაუპატიურების შემთხვევებიც იყო, ერთი მღვდელი კი ცემით მოკლეს. ამ დევნის ინიციატორი ათენის მაშინდელი მთავარეპისკოპოსი სპირიდონი გახლდათ. თავად მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი ლესბოსზე წმინდა იოანეს მონასტერში დაატუსაღეს, თუმცა პრემიერ-მინისტრის ჩარევის შემდეგ იქიდან მალევე დაბრუნდა ათენში. 1955 წელს მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის გარდაცვალების შემდეგ ბერძნული ეკლესიის ძველმეკალენდრელთა ეს შტო ეპისკოპოსის გარეშე დარჩა. მაშინ მას დახმარება რუსეთის საზღვარგარეთულმა ეკლესიამ გაუწია, რომელიც არ დაელოდა სინოდის ნებართვასა და ახალი ეპიკოპოსების ხელდასხმის ორგანიზება მოახდინა. ამ ხელდასხმას რუსული საზღვარგარეთული ეკლესია მხოლოდ 1969 წელს აღიარებს და ძველი სტილის მიმდევრებთან ლიტურგიკული კავშირის შესახებ განაცხადებს. ორი წლის შემდეგ რუსეთის საზღვარგარეთული

ეკლესიის სინოდი გაასწორებს ეპისკოპოსის არაკანონიკურ სტატუსს, რომელიც ეპისკოპოს მათეს მიერ ერთპიროვნულად იქნა ხელდასხმული.

80-90-იან წლების პერიოდში ძველმესტილეთა ბერძნული ეკლესია შიდა დაპირისპირებების, უთანხმოებების, განხეთქილებების, ახალ სინოდთა წარმოქმნის მეტად მძიმე პერიოდს განიცდის. ამ დროს, სამწუხაროდ, წამყვანი როლის შესრულებას იწყებს რადიკალური ფრთა, „მათეელების“ თაოსნობით, რომლებიც სრულიად უარყოფენ ოფიციალურ ეკლესიაში მადლის არსებობას და უფრო მეტიც, მადლის გარეშე მიიჩნევენ რუსულ საზღვარგარეთულ ეკლესიას, რომლისგანაც თავად მიიღეს კანონიკური მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა.რამდენადმე უფრო ზომიერი, მაგრამ ასევე ნეგატიური პოზიცია ოფიციალურ ეკლესიაში მადლის არსებობასთან დაკავშირებით აქვს მთავარეპისკოპოს ავქსენტის სინოდს, რომელიც მემკვიდროებით მიიღო არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომოს II-მ და აგრძელებს მას. 1985 წელს მიტროპოლიტებმა ოროპოსელმა და ფილიელმა კიპრიანემ და სარდინიელმა იოანე მესამემ ჯგუფი ჩამოაყალიბეს. ისინი თვლიან, რომ ოფიციალურ ბერძნულ ეკლესიაში, რა თქმა უნდა, მადლი არსებობს, მაგრამ მისი სხეული ღრმად არის დასერილი ეკუმენიზმის მწვალებლობისა და მოდერნიზმის იარებით.. ამიტომაც ისინი უარყოფენ რაიმე ურთიერთობას ოფიციალურ ეკლესიასთან, მაგრამ ამასთან არ ამტკიცებენ იმასაც, რომ თავად წარმოადგენენ ერთადერთ ჭეშმარიტ ბერძნულ ეკლესიას, განსხვავებით ორი რადიკალური ჯგუფებისაგან, რომელთაც ქრიზოსტომოს II და ანდრია ხელმძღვანელობდნენ და რომლებიც ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსის ორივე ტიტულს ატარებდნენ. ამ პოზიციის გამო მხურვალე ძველმესტილეები მათ ეკუმენისტებსა და მოღალატებს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში ეკლესიოლოგიური პოზიცია ეგრეთ წოდებული „წინააღმდეგობის სინოდისა“, რომელსაც მიტროპოლიტი კიპრიანე მეთაურობდა, საკმაოდ ახლოსაა რუსული საზღვარგარეთული ეკლესიის პოზიციასთან, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ოფიციალურად არასდროს არ უარყოფდა მოსკოვის საპატრიარქოში მადლის არსებობას. ამ დროს მიტროპოლიტმა კიპრიანემ ხელი დაასხა კიდევ რამდენიმე ეპისკოპოსს აფრიკაში, საბერძნეთში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1992 წელს რუმინეთის ძველმესტილეთა ეკლესიამ, რომელიც ორ მილიონამდე მორწმუნეს

ითვლიდა მიტროპოლიტ ვლასის მეთაურობით, რომელიც კიპრიანესთან ურთიერთობაში იმყოფებოდა, კავშირი დაამყარა რუსულ საზღვარგარეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და მის სინოდს არწმუნებდა, მიტროპოლიტ კიპრიანეს ძველმესტილეებთან ურთიერთობა დაემყარებინა. პირველი საზეიმო ერთობლივი ღვთისმსახურება მიეძღვნა წმინდა იოანეს (მაქსიმოვიჩის) განდიდების დღეს, 1994 წლის 11 ივლისს. .

ამგვარად, ასეთი სიტუაცია იქმნება. კონსტანტინეპოლისა და ზოგიერთი სხვა მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიების სულ უფრო მზარდ ეკუმენისტურ აქტივობას ეწინააღმდეგება საერთაშორისო ფრონტი ტრადიციონალისტებისა, რომლებსაც შეადგენენ: რუსული საზღვარგარეთული ეკლესია, მიტროპოლიტ კიპრიანეს ძველმესტილე ეკლესია [51] , რუმინული ძველმესტილე ეკლესია და ბულგარული ძველმესტილე ეკლესია ეპისკოპოს ფოტის მეთაურობით, ყველა ისინი ლიტურგიკულ კავშირში არიან და ერთი ეკლესიოლოგიური პოზიცია გააჩნიათ. გარდა ამისა, მათთან მუდმივი კავშირი აქვთ ეკუმენიზმის სხვა მოწინააღმდეგეებს სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, რომელთა შორისაც, მაგალითად, დიოდორე იერუსალიმელია. მრავალი რომო-კათოლიკი და პროტესტანტი, განსაკუთრებით მათი კლერიკალური წრეები სწორედ ამ თემების საშუალებით პოულობენ ერთადერთ სწორ გზას მართლმადიდებელ ეკლესიაში, მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლი ღიად კრძალავს პაპისტების მონათვლას, მით უმეტეს თუ საუბარია მათ „მღვდლებსა“ და „ეპისკოპოსებზე“. ამ ეკლესიებს (რუსული საზღვარგარეთული ეკლესიისაგან განსხვავებით, რომელიც არაფორმალურად ურთიერთობს სერბულ ეკლესიასთან) არა აქვთ ლიტურგიკული კავშირი არც ერთ სხვა კანონიკურ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რაც მათ კანონიკურ სტატუსს ართულებს. ამგვარად, ახლა ცხადი ხდება, რომ ეს ეკლესიები - ერთგვარ ძვალს წარმოადგენენ მართლმადიდებელ ეკუმენისტების ყელში, რომლებიც მათ ერეტიკოს სქიზმატებს უწოდებენ (შევნიშნოთ, რომ ამ გამოთქმებს ისინი არ იყენებენ „ქრისტესმიერი ძმების“

---

[51] სამწუხაროდ მიტროპოლიტი კიპრიანე და მისი მიმდევრები, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ძველმესტილეთა დაჯგუფება, სქიზმისკენ გადაიხარნენ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მისამართით პაპისტების, პროტესტანტებისა და მონოფიზიტების საკრებულოებიდან). რადგან ეს ეკლესიები არ არიან დამოკიდებულნი ოფიციალურ ეკლესიაზე, ამიტომ მათ თავიანთი რადიკალური ბრძოლისთვის დიდი თავისუფლება და ასპარეზი გააჩნიათ. სწორედ აქედან მოდის კონსტანტინეპოლის სწრაფვა, მიიტაცოს კონტროლი მართლმადიდებელ დიასპორაზე, სადაც ამ ეკლესიების განსაკუთრებული ზეგავლენა შეიმჩნევა. სამწუხაროდ, ბერძნულ ძველმესტილეთა ორი სხვა ჯგუფის უკიდურესად რადიკალური და ღვთისმგმობელური პოზიციის გამო, მთელი მოძრაობა მთლიანობაში კომპრომენტირებულია და ეკუმენისტებისათვის სეროზულ საფრთხეს არ წარმოადგენს, მეტიც, პირიქით, თავიანთი უგუნური მოშურნეობით ისინი მათ ეკუმენიზმის ყველა მოწინააღმდეგის დამცირების საშუალებას აძლევენ. შედგენილია მასალების მიხედვით: ,,The Old Calendar orthodox church of Greece". ეპისკოპოსები ქრიზოსტომოსი, ავქსენტი და ამბროსი, Etna, California, 1994 წ).

კონსტანტინეპოლის პაპისტური ეკლესიოლოგია

ეს ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევია ტიტულის, - „მსოფლიო პატრიარქი" - განსაკუთრებულად ხასგასმით, რომელიც კეთდება უფრო ძლიერი ადმინისტრაციული გავლენის მოპოვებისკენ სწრაფვის კონტექსტში. ეს ტიტული ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში გამოჩნდა და იმპერიის მთავარი ქალაქის ეპისკოპოსის ტიტულს დაემატა. მსგავსად, ალექსანდრიის პატრიარქი არც თუ მოკრძალებულ სახელს ატარებს „მსოფლიო მსაჯულისა" და „მეცამეტე მოციქულისა". კონსტანტინეპოლელი პატრიარქები თავიდან ფრიად იშვიათად იყენებდნენ თავიანთ ტიტულს, და მხოლოდ 1204 წელს ლათინების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ მისი გამოყენება სულ უფრო ხშირად დაიწყეს. ეს საპატიო სახელწოდებები მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებენ და მათ არანაირი ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, რადგანაც ქრისტეს ეკლესიის ყველა ეპისკოპოსი თანაბარ ძალაუფლებას ფლობს და არცერთი მათგანი არ ფლობს მღვდლობის მადლმოსილ ნიჭს უფრო მეტად, ვიდრე

დანარჩენები. საჭეთმპყრობელები განირჩევიან მხოლოდ იმ პატივით, რომლითაც ესა თუ ის ეკლესია ისტორიული გარემოებების შედეგად სარგებლობს. მსგავსი მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიური პოზიციისგან განსხვავებით, პაპის პრიმატის პატივისცემა, მოწიწება, თავისთავად ისტორიულად ჩამოყალიბდა და საღმრთო წარმომავლობასთან კავშირი არა აქვს. მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიური პოზიციისაგან განსხვავებით, რომო-კათოლიკებმა, როგორც ცნობილია, პაპის პრიმატი პატივისა და პატივისცემისა, რაც, თავისთავად, არის ისტორიული გარემოება, და არა ღვთაებრივი, თვითნებურად გაავრცელეს საღმრთო პრიმატის ძალაუფლებაზე „უმაღლესი მღვდელმთავრისა“, რომელიც ყველა სხვა ეპისკოპოსზე მაღლა დგას, რადგანაც იგი პეტრე მოციქულის მემკვიდრედ ითვლება, რომელზეც უფალმა ეკლესია დააფუძნა[52].

კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომე

[52] პაპისტური სწავლება პეტრე მოციქულის მემკვიდრეობითობაზე და, აქედან გამომდინარე, პაპის პრიმატზე, ყოველგვარ ეკლესიოლოგიურ საფუძველსაა მოკლებული. ჯერ ერთი, პეტრე პოციქულმა რომის ეპისკოპოსობის მიღებამდე დაარსა ანტიოქიის ეკლესია და მისი პირველიერარქი იყო; მეორეც ის, რომ რომის ეკლესია მწვალებლობაში შთავარდნის შემდეგ ანათემირებულია და განგდებული ქრისტეს ეკლესიისგან სწორედაც რომ მოციქულებრივი სწავლების დამახინჯების გამო, და, მაშ, რომელ მემკვიდრეობითობაზეა საუბარი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ამგვარად, პაპის კულტი ლათინური ეკლესიოლოგიისა და კაცთმოთნეობის ფუნდამენტი გახდა. ცნობილია, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებლები ამ ერესს, რომელმაც დასავლეთში მთელი რიგი საღვთისმეტყველო ანომალიები გამოიწვია, რითაც დასავლეთი სარწმუნოებაში წმინდად მყოფი აღმოსავლეთისაგან განაშორა.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისა, თუ როგორ ჩნდება ეს ტენდენცია მართლმადიდებელ სამყაროში. ახლა ზოგიერთები კონსტანტინეპოლის პატრიარქს „მართლმადიდებლობის კორიფეს“, „მართლმადიდებლობის პირველმოსაყდრეს“, „300 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანის სულიერ ბელადს“ უწოდებენ. არც პატრიარქ ბართლომეოსს, არც მის წინამორბედებს არცერთხელ არ გამოუთქვამთ თავიანთი უთანხმოება იმ ეპითეტების გამო, რომლებსაც მათთან დაკავშირებით იყენებენ. რასაკვირველია, პატრიარქზე არ არის დამოკიდებული, თუ რას უწოდებენ მას, მაგრამ მისი უფლებაა უარყოს ეს ხმამაღალი ტიტულები, განაცხადოს, რომ ის მთელ მართლმადიდებელ სამყაროს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ თავის საპატრიარქოს. ამასთან, თუკი პატრიარქ ბართლომეს განცხადებებს მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი თვითნებურად მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გამოდის, რისი უფლებამოსილებაც მას არ გააჩნია[53].

---

[53] ორიოდე წლის წინ პატრიარქმა ბართლობემ მის მიერ მოწვეულ კრებაზე კონსტანტინეპოლში განაცხადა, რომ ეკლესიის კანონიკური სამართლის თანახმად იგი არის მსოფლიო მართლმადიდებლობის ადგილობრივი ეკლესიების კოორდინატორი და ამიტომ იგი იქნება მსოფლიო კრების მოწვევის ინიციატორი. უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართალმა „კორდინატორის“ ცნება არ იცის და პატრარქის მოყვანილი განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურიებს მის პაპისტურ მისწრაფებასა და თვითმარქვიობას - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ამასვე ადასტურებს დოქტორ ვლასი ფიდასის სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთში Επισκεψιφ (N 497, 1993 წლის 31 ოქტომბერი) სახელწოდებით „მსოფლიო საპატრიარქოს სტავროპიგიალური და აპელაციური უფლება“. დოქტორ ფიდასი წარმოგვიდგენს სწავლებას, რომლის თანახმადაც ცნობილ „ძველ ტრადიციაზე“ დაყრდნობით, მსოფლიო საპატრიარქოს უფლება აქვს დააარსოს სტავროპიგიალური მონასტრები სხვა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ ტერიტორიებზე და, როგორც საბოლოო ინსტანციას, განიხილოს სხვა ნებისმიერი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა საჩივრები. ამგვარად, კონსტანტინეპოლის პატრიარქს ეძლევა აპელაციური უფლება, რაც ავტომატურად მას ეკლესიის დანარჩენ პატრიარქებსა და ეპიკოპოსებზე მაღლა აყენებს. ასეთსავე მისწრაფებას ავლენდნენ რომის პაპები პაპის ძალაუფლების პრიმატის დამკვიდრების პროცესში.

სწრაფვა დიასპორის რეორგანიზაციისკენ

იმავე გაზეთმა ასევე გამოაქვეყნა მართლმადიდებელთა-შორისი მოსამზადებელი კომისიის ორი პროექტი სათაურებით: 1. „მართლმადიდებელთა დიასპორის შესახებ“; 2. „ავტოკეფალია და მისი მიღწევის საშუალება“. ამ პროექტებში ყველაზე ხშირად ნახსენებია და ფრიად ტენდენციურად არის განმარტებული 451 წლის IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-9 და მე-17 კანონები, სადაც საუბარია სამეფო ქალაქის საპატრიარქოს უფლებებზე სამეფო ქალაქის ეკლესიის ფარგლებს გარეთ. ამასთან დაკავშირებით ზონარა, XII საუკუნის კანონთა ცნობილი განმმარტებელი, წერს, რომ სამეფო ქალაქის პატრიარქი ყველა მიტროპოლიტის მსაჯული კი არ არის, არამედ მათი, რომლებიც მას უშუალოდ ექვემდებარებიან; თავის თვალსაზრისს იგი იმ ფაქტებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ სირიის მიტროპოლიტების ზევით ანტიოქიის

პატრიარქი დგას, პალესტინისა - იერუსალიმის პატრიარქი, ეგვიპტისა - ალექსანდრიის პატრიარქი, ესე იგი ის პატრიარქები, რომლებიც ხიროტონიაში[54] მონაწილეობდნენ და ვისაც მიტროპოლიტები ემორჩილებიან (სინტაგმა, II, 260) [1]. ამ წესების უხეში დარღვევის მაგალითია 1993 წლის კონსტანტინეპოლის კრება, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, ერთ-ერთი პატრიარქთაგანი განსაჯა[55].

თუმცა, დავუბრუნდეთ იმ დოკუმენტს, რომელიც დიასპორებს ეხება. კონკრეტულად რა სურს კონსტანტინეპოლს? ის ისწრაფვის, რაც შეიძლება სწრაფად შეცვალოს მართლმადიდებელ დიასპორაში საეკლესიო ორგანიზაციის „არაკანონიკური“ მოწყობა[56]. დიასპორაში დღევანდელი სიტუაცია, ასე ვთქვათ, მთლად მოწესრიგებული არ არის, მაგრამ იგი ყალიბდებოდა და ასე არსებობს უკვე მრავალი წელია, და, გარდა უარყოფითი მხარეებისა, დადებითი მხარეებიც გააჩნია. მსოფლიო საპატრიარქომ გადაწყვეტილება მიიღო, სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან ერთად დიასპორის რეორგანიზაცია ჩაატაროს, გეოგრაფიული ნიშნით ჩამოაყალობოს რვა ეგრეთ წოდებული ეპისკოპალური სინოდი (ჩრდილოეთ და

---

[54] ხელდასხმა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[55] ყოვლად უსაფუძვლოა ახლანდელი კონსტანტინოპოლის პატრიარქის პრეტენზიები იმ რეგალიებსა და პატივზე, რაც სამეფო ქალაქის პატრიარქს ჰქონდა. დაცემამდელი პატივი კონსტანტინოპოლის ეკლესიას სამეფო ქალაქის, როგორც პოლიტიკური და რელიგიური ცენტრის გამო ჰქონდა. იმ დიდებიდან დღევანდელ კონსტანტინოპოლს, სტამბულად ქცეულს, არამც თუ რაიმე შენარჩუნებული აქვს, მის მიტროპოლიტებსა და სამღვდელოებას ეკლესიის შენობის გარეთ შემოსილებს გასვლაც კი აკრძალული აქვთ, ხოლო საკუთრივ ადგილობრივი ეკლესიის მრევლი მეჩეთად ქცეული აია-სოფიას ტაძრის მეოთხედსაც ვერ შეავსებს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[56] საუბარია კონსტანტინოპოლის თვალსაზრისით არაკანონიკურობაზე, ამიტომ ჩასვა ავტორმა სიტყვა არაკანონიკური ბრჭყალებში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია და ჰოლანდია, ავსტრია და იტალია, გერმანია). მათ შემადგენლობაში უნდა შევიდნენ მართლმადიდებელი ეკლესიების ეპარქიები, რომლებიც ამ ტერიტორიებზე უკვე არსებობენ. ამ ეპისკოპალურ კრებებს უხელმძღვანელებენ თავმჯდომარეები, რომლებიც თავიანთი ოლქის ეპისკოპოსებს მოიწვევენ ლიტურგიკული, სამწყსო და ადმინისტრაციული საკითხების გადასწყვეტად [2]. „რაც შეეხება საერთო საკითხებს, რომლებიც ყოვლადმართლმადიდებლურ შესწავლასა და განხილვას მოითხოვს, თავმჯდომარე მათ შესახებ მსოფლიო პატრიარქს აცნობებს, რომელიც უკვე გადაწყვეტილებას იმის შესაბამისად მიიღებს, თუ კონკრეტულად რა საკითხზეა საუბარი“ (დოკუმენტის მე-4 პუნქტიდან). შემდეგ პუნქტში დაზუსტებულია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიები ვალდებულნი არიან არ გადადგან რაიმე ნაბიჯი, რომელიც ზიანს მიაყენებს ზემოხსენებული გზით დიასპორის საკითხების კანონიკურ გადაწყვეტას. დედა-ეკლესიებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ სინოდების მოღვაწეობას და ამით - დიასპორაში კანონიკური წესრიგის დამყარებას.

მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტურად ახალია იმ საკითხების გადაწყვეტის პრინციპი, რომლებიც საყოველთაო ინტერესს წარმოადგენს: დედა-ეკლესია იგნორირებულია და პრობლემების გადაწყვეტა კონსტანტინეპოლს წარედგინება. მსგავსი ფორმულირება იმის დაუძლეველ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ საეპისკოპოსო სინოდთა დახმარებით მართლმადიდებელი დიასპორის იურისდიქცია თანდათანობით კონსტანტინეპოლის იურისდიქციით შეიცვლება.

როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ პროექტს, რომელსაც, შევნიშნოთ, ხელი ამ საქმეში სრულიად არაკომპეტენტურმა სერბული ეკლესიის ორმა წარმომადგენელმა მოაწერა [3], რაც, სხვათა შორის, ამ ქვეყნის მღვდელმთავართა კრებამ არ მოიწონა. ხელის მომწერებს არ ჰქონდათ სათანადო უფლებამოსილება,

ამიტომ მათი ხელმოწერები, არსებითად, არამოქმედად შეგვიძლია ვცნოთ [4]. ზემოთ მოყვანილი ანგარიშიდან ასევე ვგებულობთ, რომ საფრანგეთში საფუძველი ჩაეყარა ეპისკოპალურ სინოდის ორგანიზაციას, ბუნებრივია, კონსტანტინეპოლელი მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით. დაისახა სინოდის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რეგისტრირების ამოცანა. ამ შემთხვევაში არც ერთი ქრისტიანი საფრანგეთის ტერიტორიაზე, და თუ საქმე საქმეზე მიდგა, - თვით მთელ ევროპულ კავშირში, არ შეიძლება კანონიერად მართლმადიდებლად იწოდებოდეს და არსებული კანონის ფარგლებში მოქმედებდეს, თუ ეს ფაქტი შესაბამისი საეპისკოპოსო სინოდის მიერ არ იქნა დამოწმებული. გავიხსენოთ, რომ რომმა მსგავსად ჯერ კიდევ ადრე დაიცვა თავისი უფლებები და მთელ ევროპაში რომო-კათოლიკურ ორგანიზაციებს მკაცრად აკონტროლებს. რა თქმა უნდა, ამ ტერიტორიებზე ავტოკეფალიისა და ავტონომიის საკითხები მხოლოდ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს გამგებლობაში იქნება.

მსგავსადვე შეიძლება ზოგიერთი იმ ურჩი ადგილობრივი ეკლესიების საკითხიც გადაწყდეს, რომლებიც კონსტანტინეპოლის ეკუმენისტურ მისწრაფებებს არ იზიარებენ. ამ საქმეში გასაკუთრებული ადგილი უჭირავს ჟენევის მიტროპოლიტ დამასკინს, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკუმენისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტია. ყველანარი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ თუკი მსგავსი ორგანიზაციები ჩამოყალიბდება, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო შეეცდება ამ კრებების მეშვეობით გარკვეული ეკუმენისტური და უნიატურ გადაწყვეტილებები თავს მოახვიოს დიასპორას, რომელსაც, შევნიშნოთ, აქვს რა მნიშვნელოვანი ფინანსური ძალის კონცენტრაცია, არც თუ პატარა გავლენა აქვს ეკლესიაზე. დღესდღეობით სულ უფრო მეტს ესმის ის, რომ „ძველი რომის და-ეკლესიასთან“ კავშირის მიღწევისათვის, რასაც

კონსტანტინეპოლი ჯიუტად ესწრაფვის, აუცილებელია ჯერ მართლმადიდებელი სამყაროს ფართო ჰომოგენიზაცია ერთი ძლიერი და უპირობო ავტორიტეტის ქვეშ.

იმასთან ერთად, რომ ფანარა ჯიუტად ცდილობს კონსტანტინეპოლის იურისდიქციის გაფართოებას, „დამარწმუნებლად“ ამტკიცებს, რომ საუბარია სერიოზულ საფრთხეზე, რომელიც შავი საავდრო ღრუბელივით თავს დაადგა მართლმადიდებელ ეკლესიას. განსვენებულმა მამამ, გაბრიელო პატაჩიმ, მართლმადიდებლობაზე მოქცეულმა ყოფილმა იეზუიტმა, ერთხელ ახსნა, რომ ძირითადი სტრატეგია რომისა, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაზე გამარჯვებას ცდილობს, საიდუმლო პროზელიტიზმში მდგომარეობს. პაპისტები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ თავიანთ მხარეზე გადაიბირონ ახალგაზრდა პერსპექტიული თეოლოგები, რომლებიც მოგვიანებით, როცა ეპისკოპოსები და პატრიარქები გახდებიან, თავიანთ სამწყსოს პაპიზმთან მიიყვანენ. განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლის ახლანდელი პატრიარქი - ერთ-ერთი იეზუიტური სკოლის კურსდამთავრებულია? ამ კითხვას დრო გასცემს პასუხს.

---

1. იხ. მილოდრაგ მ. პეტროვიჩი. „მართლმადიდებელი დიასპორა“, Христианская Мысль, N 4-6, ბელგრადი, 1994 წ.

2. მსგავსი, სრულიად არაკანონიკური დაწესებულებები უკვე დიდი ხანია არსებობს კათოლიკებთან - ეგრეთ წოდებული ეპისკოპოსების კონფერენციები. კონცეფცია, რომელიც ასეთ ორგანოებს საფუძვლად უდევს, სავსებით შესაძლებელს ხდის ისეთ კოლეგიალური ზეკონფესიური წარმონაქმნები შექმნას, რომლებიც აღჭურვილნი არიან ცნობილი ძალაუფლებითი უფლებამოსილებით, ამასთან არა აქვთ პასუხისმგებლობა იმ ეკლესიების წინაშე, რომლებმაც ისინი შექმნეს.. ასე რომ, შეგვიძლია ანტიქრისტეს ცრუ-ეკლესიების აღმშენებლობისაკენ

გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯზე ვისაუბროთ. რუსი რედაქტორის შენიშვნა.
3. ვენის ეპისკოპოსი ირინეოსი და მაშინ მღვდელმონაზონი, ხოლო ეხლა ბრანიჩეველი ეპისკოპოსი ეგნატე (მიდიჩი).
4. „ეპისკოპოსთა კომიტეტის“ სხდომის ანგარიში. გაიმართა პარიზში, 1994 წლის 11 ოქტომბერს («Святигора», 1994 წ. დეკემბერი).

უნია ბალამანდეში - ვატიკანის დიპლომატიის გამარჯვება

1993 წელს 17-24 ივლისს ბალამანდის თეოლოგიურ სკოლაში ტრიპოლთან ახლოს (ჩრდილოეთ ლიბანი), გაიმართა მართლმადიდებლებსა და რომო-კათოლიკებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგის შერეული საერთაშორისო კომისიის მეშვიდე პლენარული სხდომა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რომო-კათოლიკური „ეკლესიის“ 24 წარმომადგენელი და 13 მართლმადიდებელი დელეგატი, რომლებიც 15 მართლმადიდებელი ეკლესიიდან 9-ს წამოადგენდნენ [1]. თანათავმჯდომარეები იყვნენ მთავარეპისკოპოსი სტილიანე და კარდინალი ედუარდ კასიდი. ერთობლივი კომისია მუშაობდა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც ბოლო დროს ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში გააქტიურებული უნიატური ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგად წარმოიშვა. მუშაობის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი, რომლის პროექტიც ჯერ კიდევ 1991 წელს კოორდინაციულმა კომისიამ შეიმუშავა, - „უნია, გაერთიანების ძველი მეთოდი და სრული ერთობის ამჟამინდელი ძიება.“ ამ დოკუმენტში აისახა რომის შემდეგი ძირითადი მიზნები: მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის სრული რეინტერპრეტაცია და ეგრეთ წოდებული უნიატური „ეკლესიების“ როლის პაპისეული განმარტებების მიღება, - მიუხედავად იმისა, რომ უნია უარყოფილია, როგორც წარსულს

ჩაბარებული გაერთიანების მეთოდი; მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან რომო-კათოლიკური „ეკლესიის“ სრული აღიარება „და-ეკლესიად“, ასევე მისი ყველა „წმინდა საიდუმლოებების“ აღიარება; მართლმადიდებელთა მხრიდან უნიატური გაერთიანებების შემდგომი არსებობის უფლების აღიარება. ამგვარად, მართლმადიდებელი მხარე პრაქტიკულად დაეთანხმა ვატიკანის მეორე კრების დეკლარაციის პრინციპებს ე.წ. „აღმოსავლეთის ეკლესიების“ შესახებ, და ამასთან კიდევ უფრო მეტ დათმობაზე წავიდა. ბალამანდის დოკუმენტის კიდევ ერთი მთავარი დებულებაა მართლმადიდებელი და რომო-კათოლიკურ ეკლესიების და-ეკლესიებად აღიარება. ტექსტში ეს ასეა ჩამოყალიბებული [2]:

1. „კათოლიკები და მართლმადიდებლები ისევ ღიად აღიარებენ ერთმანეთს და-ეკლესიებად“ (პუნქტ 14).

აქ ტერმინი „და-ეკლესიები“ - ეს უკვე აღარ არის უბრალოდ დიპლომატიის ზრდილობიანი ფორმა, არამედ უკვე მკაფიოდ განსაზღვრული, ფუნდამენტური ეკუმენისტური ეკლესიოლო-გიური კატეგორიაა [3]. „და-ეკლესიების“ თეოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია ასევე ე.წ. „ორი ფილტვის“, „ორმაგი გარდამოცემის“ (აღმოსავლური და რომაული, ანუ ლათინური) თეოლოგიები, რომელთა საფუძველზეც პაპისტები თამამად იცავენ მომავალში უნიატური „ეკლესიების“ არსებობას [4].

დაუჯერებელია, რამდენად სწრაფად იცვლება ცალკეული ეკუმენისტების შეხედულებები. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, 1985 და 1987 წლებში ბალამანდში შერეული კომისიის თანათავმჯდომარე მიტროპოლიტი სტილიანე ავსტრალიელი ღიად ამტკიცებდა, რომ რომი „წავიდა სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი პუნქტების შეცვლაზე“ „რომ ეკლესია დაყოფილია აღმოსავლურად და დასავლურად და ამ გაყოფილ ქრისტიანობაში პაპი სულაც არ არის უპირატესი თანასწორთა შორის და საერთოდაც არ არის თანასწორი უპირატესთა შორის,

რადგან ახლანდელი პაპი ღრმად ცდება და ერესის პროპაგანდას ეწევა“. ის ამბობდა, რომ პაპიზმმა რომო-კათოლიკურ ეკლესიაში გაუგონარი მწვალებლობები შეიტანა, და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი სტატუსი რომელიმე ავტოკეფალური ან ადგილობრივი ეკლესიის სტატუსის თანასწორად ჩავთვალოთ, რომელშიც შეიძლება სულიწმიდის მადლი მივიღოთ და ცხონებას მივაღწიოთ [5]. და აი, სულ რამდენიმე წლის შემდეგ იგი თავმჯდომარეობს კრებას, რომელიც ამავე საკითხებზე აბსოლუტურად საპირისპირო მოსაზრებებს გამოთქვამს. O tempora, o mores![57]

2. „ორივე მხარის მიერ აღიარება იმისა, რომ რაც ქრისტემ მისცა თავის ეკლესიას -სამოციქულო რწმენის აღმსარებლობა, წმინდა საიდუმლოებებთან მიახლება, ასევე მღვდლობა, ეპისკოპოსთა მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა - ეს ყველაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ეკლესიის ექსკლუზიურ საკუთრებად“ (პუნქტი 13).

ამგვარად, მართლმადიდებელ ეკუმენისტებს უკვე აღარ სჯერათ მართლმადიდებლობის ეკლესიოლოგიური განსაკუთრებულობისა, რაზეც ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1990 წელს ვენაში მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი რომო-კათოლიკეთა განცხადებას, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, შეიძლება უპრეცედენტო ეწოდოს [6].

3. **„...ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვა აღმსარებლობაზე გადასვლა ხელმეორედ მონათვლის გზით დაუშვებელია“** (13-ე პუნქტის გაგრძელება).

„დაბრუნების თეოლოგია“ სრულიად უარყოფილია (მხედველობაში გვაქვს არამართლმადიდებელ ქრისტიანთა

---

[57] „ო, დროებავ, ო, ზნე-ჩვეულებანო!“ (ლათ. ციცერონის წამოძახილი კატილინას პროცესზე) - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნება ერთი და ერთადერთი ნათლისღების გზით). „ურთიერთობის ახალი ეკლესიოლოგიური საფუძველი, რომელიც ორივე ეკლესიამ მიიღო, „დაბრუნების თეორიას“ გამორიცხავს“ [7]. ამით მართლმადიდებელმა ეკუმენისტებმა უარყვეს ის, რასაც წმინდა მამებისეული და სინოდალური ტრადიციით ათეული საუკუნის მანძილზე აღასრულებდა მართლმადიდებელი ეკლესია, სახელდობრ, ის, რომ ლათინები ერეტიკოსები და მოუნათლავები არიან, რომ მათთვის, აუცილებელია ნათლობა, რომ ისინი, ვინც ლათინთა სარწმუნოებიდან ჭეშმარიტ, მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ბრუნდებიან, უსიტყვოდ უნდა მოინათლონ“.

ამ ზემოხსენებული სამი პრინციპის მიღებამ ბალამანდის შეთანხმების არსი შეადგინა, რადგან, ეკუმენისტების მტკიცებით, „ორივე ეკლესიის სამოციქულო ტრადიციის, ეკლესიოლოგიური და წმინდამამებისეული სტრუქტურის ურთიერთაღიარება ხდის მათ „და-ეკლესიებად“, მიუხედავად არსებული დოგმატური განსხვავებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს და ხელს უშლის სრულფასოვან კანონიკურ ერთობას“ [8]. მსგავსი პოზიცია ხდება ერთგვარი ეკლესიოლოგიური შიზოფრენიისა და დოგმატური სინკრეტიზმის მიზეზი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მართლმადიდებელ ეკუმენისტებს დავუჯერებთ, ორ ქრისტიანულ თემს შორის შეიძლება არსებობდეს განსხვავება დოგმატურ სწავლებაში, ანუ სწავლებაში წმინდა სამების, ეკლესიისა და ცხონების შესახებ, რის გამოც შეუძლებელია სრულფასოვანი ერთობა, მაგრამ ეს, თითქოს, ხელს არ უშლის მათ, რომ იყვნენ „და-ეკლესიები“, რომლებიც თავიანთი ერთგული სამწყსოთათვის ცხონებას უზრუნველყოფენ, აქვთ რა წმინდა საიდუმლოებები, რომლებიც უფალმა ღმერთმა თავის ეკლესიას უბოძა [9].

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ მართლმადიდებელ წარმომადგენელთა მხრიდან „და-ეკლესიათა“ შესახებ ასეთი თეოლოგიის მიღება, ისევე, როგორც მათ მიერ

მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიოლოგიურ განსაკუთრებულობაზე უარის თქმა, მოწმობს იმას, რომ ისინი, არსებითად, პროტესტანტულ „განშტოებათა თეორიას“ უჭერენ მხარს [10].

4. „რაც შეეხება აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს, შერეული კომისია თანმიმდევრულად გაურბის მეტად პრობლემატურ ტერმინს „უნიატური ეკლესიები“. მათ, წარმოადგენენ რა კათოლიკური ერთობის ნაწილს, გააჩნიათ არსებობის უფლება და უნდა იმოქმედონ მრევლის სულიერ მოთხოვნილებათა შესაბამისად“.

ამ დეკლარაციით მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკურ ეკლესიას და-ეკლესიად აღიარებს და ამით არაპირდაპირ აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებსაც აღიარებს [11], ხოლო ამ აღიარების საფუძველზე ე.წ. უნიატური „ეკლესიები“ ასევე განიხილება „და-ეკლესიებად“. პრაქტიკულად, ბალამანდის შემდეგ უნიატები უფრო მეტი უფლებებით აღიჭურვენ არსებობისა და მოღვაწეობისათვის, ვიდრე ეს მათთვის განსაზღვრული იყო ვატიკანის მეორე კრების მიერ, რადგან მართლმადიდებლები არა მხოლოდ არ აპროტესტებენ მათ არსებობას, არამედ de facto და-ეკლესიებად აღიარებენ. მსგავსი დოკუმენტის ხელმოწერა, გარკვეულწილად, წინააღმდეგობრივია, რადგან თუ უნია, როგორც გაერთიანების საშუალება, დაგმობილია, ხოლო მასთან ერთად დაგმობილია ნებისმიერი სახის პროზელიტიზმი, მაშინ რა აზრი აქვს იმის არსებობას, რაც მათი მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენს და, არის რა ასეთი, მუდმივად ხდება პროზელიტიზმის გაგრძელების საბაბი მართლმადიდებელი ეკლესიის საზიანოდ. ამ თვალსაზრისით მეტად სახიფათოა უნიატური გაერთიანებები, რომლებიც იყენებენ იმავე ლიტურგიკულ, იკონოგრაფიულ ნიმუშებს, წინდანთა დღესასწაულებს, ისეთივე

გალობას, ისეთივე შესამოსელს, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია, და ამით გაუნათლებელი მასები შეცდომაში შეჰყავთ.

აშკარაა, ფანარას დასჭირდა მოეძებნა უნიატური „ეკლესიებისთვის“ ერთგვარი „მოდუს ვივენდი“[58], მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაძევებულ იქნენ სრულიადმართლმადიდებლური ერთობიდან. ევროპის კათოლიკი ეპისკოპოსების კრებაზე, რომელიც 1991 წლის 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე რომში გაიმართა, კონსტანტინეპოლის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა სპირიდონმა უნიატური გაერთიანებების არსებობის უფლება დაადასტურა. იგივე დაადასტურა ფრანგ კათოლიკ ჟურნალისტთან ინტერვიუში თავად პატრიარქმა ბართლომემ [12]. ამ ზეპირ განცხადებებს პრაქტიკული დადასტურება მოჰყვა, როდესაც 1992 წლის მაისში კონსტანტინეპოლმა თავისი წარმომადგენელი უკრაინის უნიატ ეპისკოპოსთა კრებაზე გააგზავნა [13].

პატრიარქი ბართლომე ვატიკანში

[58] modus vivendi (ლათ. არსებობის, ცხოვრების წესი) - 1) პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ რომელიმე დაპირისპირებული მხარეების თანაარსებობის შესაძლებლობას - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

5. ეგრეთ წოდებული აღმოსავლური ეკლესიები (ანუ უნიატები) „უნდა ჩაერთონ სიყვარულის დიალოგში... რათა შემდგომ საღვთისმეტყველო დიალოგსაც შეუერთდნენ, მისგან გამომდინარე ყველა პრაქტიკულ ვალდებულებებთან ერთად“ (პუქტები 16 და 34).

ეს დებულება, რომელსაც მხარი დაუჭირეს ბალამანდში ჩასულმა მართლმადიდებელთა წარმომადგენლებმა, სრულიად გამორიცხავს ე. წ სრულიადმართლმადიდებელთა მე-3 კონფერენციის დებულებებს (როდოსი,1-15ნოემბერი, 1964წ.), რომელმაც შეიმუშავა საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილებები „აღმოსავლური ეკლესიების“ იმ დეკრეტთან დაკავშირებით, რომელიც ვატიკანის მეორე კრებაზე მიიღეს და დაადასტურა პოზიცია, რომლის თანახმადაც უნიატური ორგანიზაციების გაუქმება არის აუცილებელი პირობა დიალოგის დასაწყებად. იქვე წამოაყენეს მოთხოვნა უნიატური „ეკლესიების“ ყველა აგენტის მართლმადიდებელი სახელმწიფოებიდან გაძევებასთან დაკავშირებით და ამ უნიატური „ეკლესიების“ რომის ეკლესიასთან სრული ინკორპორირების[59] შესახებ, რადგანაც უნია და დიალოგი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. მაგრამ აქ, ბალამანდში, ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით სრულ კაპიტულაციასა და ვატიკანის დიპლომატიის გამარჯვებას ვხედავთ.

6. ეპისკოპოსები და მღვდლები ღვთის წინაშე ვალდებულები არიან, პატივი სცენ ძალაუფლებას, რომელიც სულიწმინდამ სხვა ეკლესიების ეპისკოპოსებსა და მღვდლებს მიანიჭა და ამიტომ ისინი არ უნდა გაურბოდნენ ამ სხვა ეკლესიების ერთგული შვილების სულიერ ცხოვრებაში ჩართვასაც, იმავდროულად ასევე პატივს უნდა ცემდნენ სხვა ეკლესიების

[59] გაერთიანება, შეერთება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

წმინდა საიდუმლოებრივ წესებს.. ასევე აუცილებელია, რომ კათოლიკი და მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ერთმანეთთან თათბირობდნენ, რათა თავიდან აიცილონ პარალელური მისიონერული მოღვაწეობა (პუქტი 29). „წმინდა საიდუმლოებრივი რეალობის რწმენა გულისხმობს სხვა ეკლესიათა ღვთისმსახურების პატივისცემას“ (პუნქტი 28).

ეს არის დოგმატური მინიმალიზმი, სინკრეტიზმი და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა კანონიკური უფლების ფეხქვეშ გათელვა. საეკლესიო ცხოვრების ყველა დონეზე აუცილებელი თანამშრომლობის მოთხოვნა - ესაა მართლმადიდებელთა მიმართ რომის ახალი სტრატეგიის გამოხატულება. ბალამანდის დოკუმენტის ყველა ზემოხსენებული პუნქტი მოწმობს შემდეგს: რომი გადაწყვეტს, - ჟენევა დაადასტურებს ამ გადაწყვეტილებას, - ფანარა ამაგრებს მას ხელმოწერით. დოგმატური სინკრეტიზმის სამივე ცენტრი ხელჩაკიდებული მიდის. აქაც აღიარებულია პაპისტებთან მღვდლობის სწორი და მაცხოვნებელი საიდუმლოს არსებობა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მათი ყველა სხვა საიდუმლოც სწორი და მაცხოვნებელია. დავსვათ კითხვა: კიდევ რამდენი დრო დარჩა იქამდე, რომ ის, რაც ხელმოწერილია, ცხოვრებაში განხორციელდეს?

7. „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მომავალი მღვდლების განათლებას... თავისი შინაარსით იგი სხვა ეკლესიებისათვის ღია უნდა გახდეს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ყველა გაეცნოს სხვა ეკლესიების მოციქულებრივ მემკვიდრეობასა და მისი წმინდა საიდუმლოებრივი ცხოვრების ავთენტურობას. აუცილებელია ასევე ისტორიის პატიოსნად და ობიექტურად გაშუქების უზრუნველყოფა, რაც მხოლოდ ორივე ეკლესიის ისტორიოგრაფიის შეჯერების საფუძველზეა შესაძლებელი. მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენ ცრურწმენებისა და კონფრონტაციის თავიდან აცილებას “ (პუნქტი 30).

ეს სინდისთან კომპრომისის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ვატიკანი დაჟინებით მუშაობს რაღაც „კოლექტიური ბრალეულობის“ გამო ცრუ მონანიების კულტის განვითარებაზე, და პაპი მიტევებას ეძიებს რაღაც „კოლექტიურ კონტექსტში“, რასაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამასთან დაკავშირებით არავითარი კონკრეტული მოვლენა არ არის ნახსენები. ახლა მართლმადიდებელი ეკუმენისტებიც მონაწილეობენ ამ ყველაფერში, იღებენ პაპის მითს ეგრეთ წოდებულ ორმხრივ „გაცოცხლებულ მეხსიერებაზე“, „ურთიერთგაუგებრობაზე“, „პასუხისმგებლობის ერთნაირ ხარისხზე“, „ისტორიულ შეცდომებთან“ დაკავშირებით „ურთი-ერთპასუხისმგებლობასა“და „ურთიერთმიმტევებლობაზე“.

ბალამანდის მოლაპარაკების ამ ძირითადი პრინციპების შემუშავების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა ფანარასა და რომს შორის დიალოგის დღევანდელ მდგომარეობასა და მიმართულებაზე[60]. ფაქტობრივად, ყველა პირობაა შექმნილი უნიისათვის, რომელიც შესაძლებელია სრული შეთანხმების გარეშე რიგ მნიშვნელოვან დოგმატურ საკითხებში, რომლებიც, თავის მხრივ, დაყვანილია „იმ ლოკალურ ღვთისმეტყველურ ტრადიციებამდე, რომლის შესრულებაც სხვა და-ეკლესიისათვის სავალდებულო არ არის“. სრულიად ნათელია, რომ დიალოგმა არა მხოლოდ არ მისცა საშუალება არამართლმადიდებლებს გასცნობოდნენ მართლმადიდებლური მოძღვრების ჭეშმარიტებასა და თანდათან დაბრუნებოდნენ წმინდა მამათა საღვთისმეტყველო ტრადიციებს, არამედ იგი ლათინებისათვის ერთგვარი ტროას ცხენი გახდა, რომელიც დაეხმარა მათ ზეგავლენა მოეხდინათ მართლმადიდებლებზე, ეიძულებინა ისინი, ეღალატათ

[60] წიგნი დაწერილია გასული საუკუნის 90-ან წლებში და საუბარია იმდროინდელ ვითარებაზე. დღეს ის, რაც ბალამანდის ხელშეკრულებაშია ასახული, ნელ-ნელა ხორციელდება პარაქტიკაში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

თავიანთი ძირითადი ეკლესიოლოგიური და კანონიკური პრინციპებისათვის. თეორიის მტკიცებით, რომლის თანახმადაც ევქარისტიული კავშირი წარმოადგენს არა მხოლოდ დოგმატური ერთობის ხილულ ნიშანს, არამედ ნამდვილი, რეალური ერთობის მიღწევის საშუალებას, იქმნება პირობები ერთობლივი ზიარების დასამკვიდრებლად, დაფუძნებული „და-ეკლესიების“ თეოლოგიასა და ე.წ. „ნათლობის თეოლოგიაზე“ [14].

ბალამანდის დოკუმენტის ამ მიმოხილვის დასასრულს შეუძლებელია, არ დავსვათ კითხვა: არის კი იგი ვატიკანის დიპლომატიის უპირობო გამარჯვება თუ არა? რა არის ეს - ვატიკანის კრების პრინციპების რეალიზაცია თუ მასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი? მართლები ვართ ჩვენ, როცა ბალამანდაში მიღწეულ უნიაზე ვსაუბრობთ?

მალევე, ბალამანდის კონფერენციის შემდეგ, წმინდა მთამ გამოსცა დეკლარაცია, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება ზემოხსენებულ კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებათა გამო. თავიანთ დეკლარაციაში წმინდა მთის ბერები გმობენ „ბალამანდის უნიას“ და პასუხისმგებელ პირებს მოუწოდებენ, რაც შეიძლება მალე ახსნან თავიანთი საქციელი. ამ მოთხოვნაზე პასუხი კონსტანტინეპოლისა და სხვა ადგილობრივი ეკლესიების ეკუმენისტური მოღვაწეობა გახდა. ამგვარად, 1993 წლის ივლისში სრულიადმართლმადიდებელთა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო „ახალგაზრდებისა და სტუდენტების მსოფლიო ეკუმენისტურ ყრილობაში“, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფარგლებში ბრაზილიაში გაიმართა და რომელზეც სინკრეტული ატმოსფერო სუფევდა, გამოყენებულ იქნა არაქრისტიანული სიმბოლიკა (მაგალითად, ნიშნები ინი და იანი) [61] , ხოლო ერთ-ერთი მთავარი

---

[61] ინი და იანი - - ძველი ჩინური სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს, რომ სამყარო შედგება ურთიერთსაპირისპირო ნაწილებისაგან,

გამომსვლელი იყო დოქტორი ჩანგი კორეიდან, ჩვენთვის ცნობილი სპირიტუალური სეანსებით, რომელიც მან კანბერაში ჩაატარა [15]. ამ ყრილობის გარდა მართლმადიდებელი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ „სარწმუნოებისა და წეს-განგების საკითხებზე მეხუთე კონფერენციის“ მუშაობაში, რომელიც ასევე ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ესპანეთის ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელაში იმავე წლის აგვისტოში ჩაატარა. ამას მოჰყვა პატრიარქ ბართლომეს ზემოხსენებული ვიზიტი უფსალაში, ხოლო სექტემბერში მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები „პან-რელიგიური ყრილობის“ მონაწილენი გახდნენ, რომელიც მილანში გაიმართა. მართლმადიდებელი წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ „რელიგიათა მეორე მსოფლიო პარლამენტის“ მუშაობაში ჩიკაგოში, ხოლო იმავე წლის ნოემბერში მონოფიზიტებთან წინაუნიატური ხელშეკრულება გააფორმეს. ის, რომ ბალამანდის კონფერენცია სულაც არ არის რაღაც უმნიშვნელო შეხვედრა, არამედ მნიშვნელოვანი ეკუმენისტური ყრილობაა, ადასტურებს თავად პატრიარქი ბართლომე, რომელიც ამ ყრილობის გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში ახორციელებს. შესაძლოა ყველაზე შორს რუმინელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ბანატელი წავიდა, რომელიც აქტიურად განადიდებს ლიბანში შედგენილ დოკუმენტს და ღიად ქადაგებს „და-ეკლესიების“ თეოლოგიასა და ეგერთ წოდებული „ფილტვის ორი მხარის თეორიას“ [16]. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ წმინდა მთის მამებისა და ყველა კეთილი ზრახვების მქონე ქრისტიანების კითხვებზე პასუხები, ალბათ, უახლოეს მომავალში იქნება, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ბალამანდი - ეს მხოლოდ დასაწყისია.

---

1. ესწრებოდნენ კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუსეთის, რუმინეთის, კვიპროსის, პოლონეთის,

---

რომლებიც ერთობლივად ერთ მთლიანს შეადგენენ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ალბანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. არ ესწრებოდნენ იერუსალიმის, სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის წარმომადგენლები.

2. *ხელშეკრულების ბერძნული ტექსტი გამოაქვეყნა „Καθολική“-მ 1993 წლის 20 ივლისის 2705 ნომერში „აღმოსავლეთისა და დასავლეთის და-ეკლესიების ეკუმენისტური მოღვაწეობა, დაფუძნებული დიალოგებსა და ლოცვაზე, გულისხმობს სრულფასოვან საეკლესიო ერთობას, რომელიც არ მოიცავს არც აბსორბციას, არც ერთმანეთან გაიგივებას, არამედ შეხვედრას სიყვარულსა და ჭეშმარიტებაში“ (SLAVORUM APOSTOLI N 27).*

3. *ზემოთ მოყვანილი მრავალი განცხადება მიუთითებს ამ იდეაზე. მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე განსაკუთრებით დამახასიათებელი. დიმიტრი სალახასი, პაპის კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის კომისიის წევრი (1990 წლის 5 ივნისი): „დიალოგში მონაწილე ორივე ეკლესია აცნობიერებს მსგავსებას, თავის საეკლესიო ბუნებასა და წმინდასაიდუმლოებრივ სტრუქტურას: კათოლიკურ ეკლესიას, ისევე როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას, ეჭვს გარეშე სწამს, რომ იგი განუყოფელი ეკლესიის მემკვიდრეა, ანუ არის ერთიანი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“ (Καθολική N 2566). პაპი იოანე პავლე II ბელოსტოკში, პოლონეთი: „მართლმადიდებლობა და რომო-კათოლიკობა წარმოადგენენ და-ეკლესიებს, არა გამოთქმის თვალსაზრისით, არამედ როგორც ფუნდამენტური ეკლესიოლოგიური კატეგორია, რასაც უნდა დაეფუძნოს ეკლესიებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა“ (Επισκεψις, 1991 წლის 1 ივლისი, N 464). 1990 წელს ბართლომე, მაშინდელი ქალკედონელი მიტროპოლიტი, რომის პაპს სწერდა: „დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ის, რომ სამომავლო გადაწყვეტილებები დაკავშირებულია „და-ეკლესიების“ მოდელთან...“ (Επισκεψις, 1990 წლის 15 ივლისი, N 443). და კიდევ, ქალკედონელი მიტროპოლიტი 1991 წელს წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს, პაპის წინაშე*

გამოსვლისას ბრძანებდა: „ისტორიული ცვლილებების კვალდაკვალ, განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში გაჩნდა პირობები კოოპერირებისათვის, ერთობლივი დამოწმებისა და ჩვენს ორ და-ეკლესიას შორის ერთობის გაღრმავებისათვის... თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ეკლესიის ზეციური მფარველების დღესასწაულთან დაკავშირებით ამ ისტორიულ ქალაქში, რომელსაც თქვენ ასე დიდებულად წინამძღვრობთ, მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია ულოცავს თქვენს უწმინდესობას და: „ყოველთა, რომელნი ჰხართ ჰრომეს შინა, საყუარელთა ღმრთისათა, ჩინებულთა წმიდათა, მადლი თქუენდა, და მშვიდობაჲ და ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა!“ (რომ.1,7).

4. *მიტროპოლიტმა დამასკინ შვეიცარიელმა (მართლმადიდებელი ეკლესიის ე. წ. წმინდა და დიდი კრების მომზადების მთავარმა მდივანმა) 1992 წელს განაცხადა: „კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის ურთიერთობას შესაბამისი შეხედულება აკლია, ესე იგი ის, რაც ჩვენი პრობლემების დაძლევაში დაგვეხმარებოდა. ეს ნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც ისინი, რომლებიც სიყვარულისა და ოფიციალურ საღვთისმეტყველო დიალოგში მონაწილეობენ, კვლავ აღმოაჩენენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ და-ეკლესიები ვართ, როდესაც ჩვენ მზად ვიქნებით, რომ ერთმანეთი ვაღიაროთ ეკლესიებად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაშინ ჩვენ მივაღწევთ ამ აღმოჩენის თეოლოგიურ და ეკლესიოლოგიურ შედეგებს, რომლებიც შემდგომ აისახება როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე“. (Επισκεψιφ 1993 წლის 31 იანვარი, N 488). ზედმეტი არ იქნება, გავიხსენოთ, რომ ლექციის დროს, რომელიც მიტროპოლიტმა დამასკინ შვეიცარიელმა 1992 წლის 5 დეკემბერს წაიკითხა, მან აბატ ემანუილ ხოიფელდერს ეკუმენისტურ სფეროში თანამშრომლობისათვის ჯილდო გადასცა. აბატი, სხვათა შორის, არის ბენედიქტელი ბერი ნედერალტაიხის საabატოდან. დიმიტრი სალახასი, პაპის წარმომადგენელი ბალამანდში 1993*

წელს აღნიშნავს: „სინამდვილეში „და-ეკლესიების“ ცნება ნიშნავს ნებისმიერი ეკლესიის ეკლესიური ბუნებისა და წმინდასაიდუმლოებრივი სტრუქტურის აღიარებას, იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი მათგანი ფლობს მადლსა და ცხონების საშუალებებს“ (Καθολικη N 2705, 1993 წლის 20 ივლისი).

5. *„დიალოგის ველზე“ (1989-1990), ათენი, 1991.*

6. *„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გამოვიჩინოთ რაიმე სოტერიოლოგიური*[62] *ეკსკლუზივიზმი, ხოლო გამოთქმას* exstra ecclesiam nulla salus *(„ეკლესიის გარეთ არ არის ცხონება“ მღვდ. მოწ. კიპრიანე კართაგენელი) ვიწრო კონფესიური ინტერპრეტაცია მივანიჭოთ. მსგავსი სოტერიოლოგიური ექსკლუზივიზმი ეწინააღმდეგება და-ეკლესიების ეკლესიოლოგიას“ (არიჩის კონფერენციის მასალებიდან).*

7. *Καθολικη, N 2705 (1993 წლის 20 ივლისი).*

8. *Καθολικη,* N 2705 (1993 წლის 20 ივლისი).

9. *თუ რამდენად არათანმიმდევრულები და არაგულწრფელები არიან თავად პაპისტები, როდესდაც მსგავს პოზიციებს მისდევენ, ამაზე მეტყველებს პაპის ენციკლიკა „Mystici corporis Christi“, გამოცემული 1943 წელს, რომელშიც ნათქვამია: „თუ ვიმე პაპის ერთგული არ არის, ის არ შეიძლება ქრისტეს ერთგულად ჩაითვალოს“*

10. *„დროთა განმავლობაში... მისიონერულმა მოღვაწეობამ შეიძინა ტენდენცია, თავის პრიორიტეტებში შეეტანა ასევე სხვა*

---

[62] სოტერიოლოგია (ბერძნ. σοτηρια - გადარჩენა (ცხონება), λογος - სწავლება) - საღვთისმეტყველო დისციპლინა, რომელიც ხსნის მართლმადიდებლურ სწავლებას გადარჩენის შესახე; არის დოგმატური ღვთისმეტყველების შემადგენელი ნაწილი. სოტერიოლოგიური ექსკლუზივიზმი გამოხატავს იმ აზრს, რომ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია ცხონების შესაძლებლობა და საშუალება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ქრისტიანთა მოქცევის მცდელობა, ცალკ-ცალკე თუ ჯგუფურად, „თავიანთ ეკლესიაში“ მათი დაბრუნების მიზნით. ამ მოღვაწეობის ლეგალიზებისათვის, რაც პროზელიტიზმის წყაროს წარმოადგენს, კათოლიკურმა ეკლესიამ დაიწყო თეორიის განვითარება, რომლის თანახმადაც სწორედ ის არის ერთადერთი საუნჯე ცხონებისა. ამის პასუხი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მტკიცება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მასშია შესაძლებელი ცხონება. „მშრალზე“ დარჩენილი ძმების საცხოვნებლად დაიწყეს ქრისტიანების გადანათვლა, გამოცხადდა არჩევანისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა მაშინ ამას სათანადო გაგებით არ მოეკიდნენ“ (პუნქტი 10).

11. *Καθολική,1993 წლის 20 ივლისი, N 2705.*

12. *Καθολική, 1992 წლის 5 მაისი, N 2651, აქვეყნებს პატრიარქის ინტერვიუს გაზეთში La Croix.*

13. *კრება გაიმართა ლვოვში, 1992 წლის მაისში. კონსტანტინეპოლმა უნიატურ კრებაზე თავისი წარმომადგენლების გაგზავნით დაამსხვრია სრულიად მართლმადიდებელთა ერთობა უნიასთან დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც ორი თვით ადრე (1992 წლის მარტში) მკაცრად იყო განსაზღვრული. ლვოვში გაიგზავნა ეპისკოპოსი ვსევოლოდ (პანკრატი) სკოლელსკი, უკრაინული წარმომავლობის ეპისკოპოსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მართლმადიდებელ მრევლზე ამერიკასა და კანადაში. უნიატი ეპისკოპოსები მას აღფრთოვანებით შეხვდნენ და ისინი მშვიდობის ამბორით ერთმანეთს მიეახლნენ კრების საზეიმო გახსნაზე, რომელსაც უკრაინელი უნიატების ბელადი, კარდინალი ლიუბაჩივსკი თვამჯდომარეობდა. კრების მუშაობის დროს უნიატმა ლოსტენსკისა და სტამფორდის (კონეკტიკუტი, აშშ) ეპისკოპოსმა ვასილიმ ჩამოაყალიბა ძირითადი წინადადებები მართლმადიდებლურ-კათოლიკურ დიალოგში უნიატების მონაწილეობასთან დაკავშირებით. 26*

მაისს ეპისკოპოსი ვსევოლოდი გამოვიდა წმინდა გიორგის სახელობის კათედრალურ ტაძარში, რომელიც ცოტა ხნის წინ უნიატებმა მართლმადიდებლებს წაართვეს. თავის ამ გამოსვლაში ეპისკოპოსმა არაფერი თქვა ისტორიულ სიმართლეზე დასავლეთ რუსეთში უნიასთან დაკავშირებით და 1596 წლის ბრესტის კრების მზაკვრობაზე. მან დაადასტურა პაპის ვერსია უნიის წარმოშობისა და არსებობის შესახებ. მან ასევე განაცხადა, რომ არაფერი, არსებითად, არ ყოფს ერთმანეთისაგან მართლმადიდებლებსა და უნიატებს. თავისი გამოსვლა მან ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო! აქ პირველად ბოლო 400 წლის მანძილზე კონსტანტინეპოლელი იერარქი მოგმართავთ თქვენ, კიევის ეკლესიის ბერძნულ-კათოლიკ იერარქებს. თქვენ იცავთ ეკლესიის სიმდიდრეს, რომელიც ჩვენ ყველას გვეკუთვნის. თქვენი სინოდი კიევის მიტროპოლიტების მემკვიდრეა. თქვენი სტრუქტურა კიევის გაყოფილი ეკლესიის ერთობის აღდგენის პოტენციურ საფუძვლად წარმოგვიდგება. ამიტომ თქვენ უზარმაზარი პასუხისმგებლობა გაკისრიათ. კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესია ყოველთვის ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, რომ დახმარებოდა უკრაინელებს. ის დღესაც მზად არის, დაეხმაროს უკრაინას. მე განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მელოცა თქვენთან ერთად ამ სინოდის სხდომის მიმდინარეობისას...“ (Ιρενικον, 65/2, 1992).

14. *ის გულისხმობს, რომ ძირითადი პირობა ქრისტეს ეკლესიაში მისასვლელად არის ნათლისღება სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ კონფესიაში იქნა მიღებული წინა ნათლობა. პაპი პავლე VI 1967 წლის 25 ივლისის ბულაში „ANNO INEUNTE“ [63] იტყვის:*

---

[63] ბულა „ANNO INEUNTE“ - პაპ პავლე VI-ის წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქ ათინაგორასადმი რომო-კათოლიკური ეკლესიისა და აღმოსავლეთის ეკლესიის ძალისხმევასთან

„ნათლისღებით ჩვენ ყველანი ერთნი ვართ იესო ქრისტეში“. ნათლისღების ამ თეოლოგიას ბოლო დროს აქტიურად წამოადგენს პერგამელი მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი, რომელიც არის ფანარის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან დიალოგში. ჯერ კიდევ ერისკაცობაში პროფესორმა ზიზიულასმა 1985 წლის 13 თებერვალს ლონდონში წაიკითხა ლექცია თემაზე: „მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია და ეკუმენისტური მოძრაობა“, რომლის ტექსტიც გამოაქვეყნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლსიის გაზეთმა „Sourozh” N 21, აგვისტო, 1985 წ. მასში სხვასთან ერთად ნათქვამია: „იმისდა მიუხედავად, თუ რას ამბობს ამის შესახებ ზოგიერთი მართლმადიდებელი ტრადიციონალისტი, ვფიქრობ, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ შეიძლება დატოვოს ეკუმენისტური მოძრაობა ისე, რომ ამით არ უღალატოს თავის ძირითად ეკლესიოლოგიურ პრინციპებს“. შემდეგ პროფესორი ზიზულასი ეკლესიის საზღვრების პრობლემას ეხება, და ამასთან დაკავშირებით საუბრობს კიპრიანე კართაგენელის მკაცრ ეკლესიოლოგიასა (რომელიც ამტკიცებს, რომ სულიწმიდა მხოლოდ კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიაშია) და ნეტარი ავგუსტინეს ახალ ლიბერალურ ეკლესიოლოგიას [64] შორის (რომელიც სულიწმინდის მადლის არსებობას ეკლესიის გარეთაც უშვებს) დილემაზე. მსგავსი პოზიცია ჰქონდა პროტოპრესვიტერ გიორგი

დაკავშირებით ერთობის მიღწევის გზაზე - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[64] ნეტარ ავგუსტინეს ხსენებულ ლიბერალურ ეკლესიოლოგიად მიიჩნევა მისი შემდეგი სიტყვები: „ყველაფერი შეიძლება გქონდეს ეკლესიის გარეთ, გარდა ცხონებისა“. იმისათვის, რომ ამ სიტყვებმა მორწმუნეებში დაბნეულობა არ გამოიწვიოს, მოვიყვანთ ნეტარ ავგუსტინეს სიტყვებს: „არავის მათ, ვინც ეკლესიის წინააღმდეგია, არა აქვს სული წმიდა“ (სიტყვა 268-ე, 2- Migne, t. 38, col. 1232) - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ფლოროვსკის, რომელიც ამტკიცებს, რომ წმინდანები მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთაც არსებობენ და რომ „ეკლესიის კანონიკური საზღვრები მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის აბსოლუტური“. (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ წაიკითხოთ თავში „საზღვრები ეკლესიისა“ წიგნიდან „ცოცხალი ქრისტეს სხეული - მართლმადიდებლური განმარტება ეკლესიისა“, ფრანგულად „les limites de l' Eglise”, გამოქვეყნებული გაზეთში „მესაჟერ დე ლ' ეჟარხატ დუ პატრიარხე რუსე ენ ეპონე ოქსიდენტალე“, 1961, N 37). უკვე ნახსენებ ლექციაზე პროფესორი ზიზიულასი „ნათლისღების ერთობის“ (baptismal unity) თეოლოგიას გვთავაზობს. იგი წერს: „ნათლისღება ეკლესიის საზღვრებს განსაზღვრავს“. შესაბამისად, არ არის მნიშვნელოვანი, მართლმადიდებლური თუ არამართლმადიდებლური ნათლობა აღესრულა, ეკლესიას შეუძლია ორივე დაიტიოს. ნათლისღების საზღვრებს გარეთ ჭეშმარიტი ეკლესია არ არსებობს. ხოლო „ნათლისღების შიგნით, თუნდაც არსებობდეს რაიმე განსხვავებები, გაყოფები, განხეთქილებები, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ ეკლესიაზე“. კანბერაში მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში ნათლად არის ნათქვამი: „ჩვენ ყველანი ერთი ნათლობით ვართ გაერთიანებულნი“. ამავე დროს ანგლიკანელი მთავარეპისკოპოსი კერი სვამს კითხვას: „თუ ჩვენ გვწამს, რომ წმინდა სამების სახელით ნათლობა ჩვენ ღვთის სახელით გვაერთიანებს და მისი ოჯახის წევრებად გვაქცევს, მაშინ რას ნიშნავს ეს იმ ეკლესიებისათვის, რომლებიც ევქარისტიულად განყოფილნი არიან?“

ეს მოკლე ექსკურსი დავასრულოთ განმანათლებელ ათანასე დიდის შთაგონებული სიტყვებით, რომელმაც თქვა: „უფალმა იმიტომ გვიბრძანა ჩვენ, რომ უბრალოდ კი არ მოვნათლოთ, არამედ გვითხრა - თავდაპირველად ასწავლეთ და მხოლოდ შემდეგ - მონათლეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, რათა სწავლებამ თავიდან ჭეშმარიტი რწმენა გააღვიძოს, ხოლო რწმენა შემდგომ ნათლობით შეივსოს.

მრავალი ერეტიკოსი მხოლოდ სიტყვებს ამბობს, მაგრამ არასწორად ფიქრობს, არა ისე, როგორც მცნებად გვაქვს, და არ გააჩნია ჯანსაღი რწმენა, ამიტომ წყალი, რომელსაც ისინი გვაძლევენ, უსარგებლოა, მას არ ჰყოფნის სიწმინდე, ამიტომ ის, ვინც მისით განიბანება, უფრო უწმინდურებით იფარება, ვიდრე მისგან განიბანება“ (წმინდა ათანასე დიდი, ტ. 26. „არიანელთა წინააღმდეგ“, სიტყვა მეორე).

15. *დოქტორი ჩანგ ხიუნ-კინგი, ცნობილი კორეელი პრესვიტერიანელი [65] ქალი, სეულის უნივერსიტეტის პროფესორი და აქტიური ფემინისტი. იგი ღიად უჭერს მხარს ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების სინკრეტიზაციას[66]. მას არ მოერიდა საქვეყნოდ შემდეგი განეცხადებინა: „ბუდიზმი და შამანიზმი - დედაა ჩემი, ხოლო ქრისტიანობა - მამაა ჩემი“. და ამჯერადაც ბრაზილიაში ის ახალგაზრდა ქრისტიანებს მოუწოდებდა „იესოს დიდი საქმეები აკეთონ სულიწმინდის ძალით“.*

16. *პატრიარქ ბართლომეს ეს შედარება ჩვენ უკვე ვახსენეთ. მოდით ვნახოთ, რას ამბობს რუმინელი მიტროპოლიტი ჟურნალ „Ιρενικον“-ში: „უმიზეზოდ არ შეადარებენ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს ფილტვის ორ მხარეს, რომლითაც*

---

[65] პრესვიტერიანელობა - პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც კალვინიზმს ეფუძნება; იგი უარყოფს სამაღვდელოებას, ხოლო საეკლესიო ორგანიზაცია წარმოადგენს სამრევლოების გაერთიანებას, რომლებიც მრევლის მიერ არჩეული პრესვიტერებით იმართება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[66] რელიგიური სინკრეტიზმი, ანუ რელიგიების სინკრეტიზაცია (ბერძნ. სიტყვიდან συγκρητισμός - შეერთება, გაერთიანება) - განსხვავებული სარწმუნოებრივი და საკულტო დებულებების გაერთიანება მათი ისტორიული განვითარების პროცესში რელიგიების ურთიერთგავლენის გზით. რელიგიური სინკრეტიზმი - ეს არის განსხვავებული რელიგიური, ანთროპოლოგიური და კოსმოლოგიური სწავლებების შეერთება-გაერთიანება. იგი ფილოსოფიაში არსებული ეკლექტიზმის ანალოგიურია - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ადამიანი სუნთქავს. მოდით, მივცეთ საშუალება ეკლესიას ისუნთქოს ამ ორივე მხარით, რათა თავიდან ავიცილოთ შემთხვევები, როდესაც ნამდვილ თუ გამოგონილ მიზეზთა გამო თავს ისე ვაჩვენებთ, თითქოს მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ვართ, ხოლო ამ დროს ცალ მხარეს თავად ვბლოკავთ, ან ისეთ სახეს ვიღებთ, თითქოს ის საერთოდაც არ გვქონდეს“ (Ιρενικον, 66/3, 1993, გვ. 370-371).

პაპიზმი როგორც „და-ეკლესია“

დღესდღეობით რომო-კათლიკური ეკლესია მხოლოდ გარეგნულად ჩანს, როგორც ერთიანი, რადგან მის ფარგლებში თანაარსებობენ სხვადასხვა მიმართულებები, რომლებიც გამოხატავენ ღრმა შინაგან უთანხმოებებს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. საუბარი ხომ ფსევდო-ეკლესიურ ორგანიზაციაზეა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ ეკლესიასთან, რომელსაც სულიწმინდის მადლი ინახავს; რომო-კათოლიკური „ეკლესია“ რომის პაპის ძალაუფლების უპირობო ავტორიტეტზეა დაფუძნებული. მასში მართლმადიდებლური კრებსითობის სული, რომელსაც ძველი რომის მართლმადიდებელი ეკლესია ფლობდა, პაპიზმის სულით არის ჩანაცვლებული. თუ არა პაპიზმის უძლიერესი კულტი, - როგორც ამ ორგანიზაციის ქვაკუთხედი, - რომაული კათოლიციზმი ათას სექტად დაიშლებოდა. ამიტომ რომო-კათოლიკები მზად არიან უარი თქვან ყველაფერზე, გარდა პაპიზმისა, რომელიც იმავდროულად რომის ყველა დოგმისა და კანონიკური ანომალიის მთავარი გენერატორია. დღეს რომო-კათოლიკური ეკლესია საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. განიცდის რა გავლენას ევროპული რაციონალიზმისა და ჰუმანიზმისა, რომელიც მის წიაღში წარმოიშვა, შემდეგ კი მისი კონტროლიდან გავიდა, იგი იძულებულია მუდმივად ესადაგებოდეს თანამედროვე მსოფლიოსა და ჟამს, სულ უფრო ათანამედროვებდეს სახარებას,

ამასთან ცდილობდეს ტრადიციის უწყვეტობის ერთგვარი მოჩვენებითობა წარმოაჩინოს. საკმაოდ გულუბრყვილოა მრავალი მართლმადიდებელი ქრისტიანის რწმენა, რომლებიც რომთან კავშირზე ოცნებობენ, რომელთაც სჯერათ, რომ ეს კავშირი განხორციელდება, როდესაც რომის „ეკლესია“ ზოგიერთი შეცდომის გამოსწორებას გადაწყვეტს. ამასთან მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტი, რომ დასავლეთი უკვე ათი საუკუნეა, რაც განცალკევებულია და მოკვეთილი ქრისტეს ეკლესიის სხეულისაგან, გამხმარი ტოტების ბოჭკოებში უკვე დიდი ხანია არ მიედინება საღმრთო მადლის მაცოცხლებელი წვენი, ჭეშმარიტი სიწმინდის მადლიან ნაყოფს ეს ტოტები ვერ გამოიღებენ. ამიტომ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ რომო-კათოლიკეთა ცალკეული წარმომადგენლების ან მცირე ჯგუფების დედა- ეკლესიის წიაღში დაბრუნებაზე, და არავითარ შემთხვევაში მთელი ამ დიდი ორგანიზაციის მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაერთიანებაზე. მართლაც, რომო-კათოლიკურ ორგანიზაციას მხოლოდ გარეგნულად აქვს ეკლესიის სახე, მისი არსი კი განსხვავებულია იმისაგან, რითაც განმსჭვალულია მართლმადიდებელი ეკლესია. ეს მისი ცნობილი კონსტანტებია, რომლებიც, პრაქტიკულად, უცვლელნი რჩებიან, რადგან მრავალი საუკუნის მანძილზე მათ ტრადიციების სტატუსი შეიძინეს, რომლებსაც პაპიზმის მთელი შენობა ეყრდნობა. იმისათვის, რომ რომო-კათოლიკი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი გახდეს, მასში სრულიად ახალი სამყარო უნდა დაიბადოს, უნდა მოხდეს გადატრიალება. არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი მართლმადიდებლური მოძღვრების მხოლოდ დეკლარატიული აღიარება. ეს განსაკუთრებით ეხებათ სასულიერო პირებსა და თეოლოგებს, რომლებიც, ხშირად, მეტად ღრმად არიან ერეტიკული მსოფლაღქმით დასნებოვნებულნი. დღეს მართლმადიდებლურ სამყაროში არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ახლადმოქცეულნი, უფრო ხშირად სამღვდლონი, აზროვნებას ძველი ლათინური კატეგორიებით აგრძელებენ.

მართლმადიდებელი ეკლესიისათვის რომთან კავშირი უკიდურესად დამღუპველი იქნებოდა, რადგან ეს კავშირი შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ რაღაც კომპრომისს სინანულის გარეშე, რაღაც თითქოსდა საერთო ბრალეულობის აღიარებას. ამ თვალსაზრისით ქრისტეს ეკლესიის კარიბჭე გაიღებოდა ურიცხვი რაოდენობის მეტად ნაირფერი სულიერი ანომალიებისათვის, სიახლეებისა და რაციონალისტური თეორიებისათვის, რომლებიც ახლა შიგნიდან ფლეთენ რომო-კათოლიკურ სამყაროს. ამას, თავის მხრივ, შეუძლია გამოიწვიოს მეტად მძაფრი რეაქცია მართლმადიდებლების მხრიდან, რომლებმაც, შესაძლოა, თავიანთი მისწრაფების გამო, უცვლელად შეინარჩუნონ თვით სული თავისი სარწმუნოებისა, რომთან გაერთიანების შემთხვევაში მოინდომონ გამოეყონ ოფიციალურ ეკლესიას. ამგვარად, უნია არა მხოლოდ არ მოიტანს სასურველ მშვიდობას, არამედ ახალი განხეთქილებების მიზეზი გახდება. მართლმადიდებელი ეკლესიის ცოცხალ და ჯანსაღ ორგანიზმს არ შეუძლია მიიღოს ავადმყოფი, შეუნანებელი ორგანიზმი, და თუკი ეს მაინც მოხდება, ის ნაწილი, რომელიც შესაძლო გაერთიანების შედეგად დასნებოვნებული აღმოჩნდება, ამ დაავადებულ ქსოვილთან ერთად განვარდება დაუზიანებელი ქსოვილისაგან. და თუ სიტუაციას ამ კუთხით შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ ოცნება იმის დაბრუნებაზე, რაც 1054 წლამდე იყო, აბსლუტურად აუხდენელია. და პრობლემა აქ არ არის მხოლოდ ძალაუფლებაში, სარწმუნოების სიმბოლოს სხვადასხვანაირ წაკითხვასა და სხვა დოგმატურ განსხვავებებში; საქმე პაპიზმის სულშია, რომელიც, მუდმივად მიესადაგება რა თანამედროვეობას, სულ ახალ-ახალ განსხვავებულობებს წარმოშობს. და ამ სულს თავისთავად არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებელი ეკლესიის მადლიან სულთან. ამ თვალსაზრისით, მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ჭეშმარიტი, წმინდამამებისეული მართლმადიდებლობის

აღმსარებლობისკენ, უნდა დაამტკიცოს, რომ ერთადერთ ჭეშმარიტებას ჩვენი უფალი, იესო ქრისტე და მისი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს. მაშინ მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლება გახდეს წყარო იმ ქრისტიანებისათვის, რომელთაც სახარებისეული ცოცხალი წყალი სწყურიათ.

სამწუხაროდ, ეკლესიის ეს როლი, ეკუმენისტური მოძრაობის წყალობით, აღარ იმსახურებს სრულ და უპირობო ნდობას. იმის შიშით, რომ მათი „მტკიცე და უცვლელი“ პოზიცია ჩვენს ტოლერანტულობისა და ჰუმანზმის დროში „შეურიგებელ ფანატიზმად“ შეფასდება, მართლმადიდებელი იერარქები და თეოლოგები ისწრაფვიან, ახალი დროის სულისკვეთების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღონ რომთან „სიყვარულის დიალოგში“ და ეძიებენ უღირს კომპრომისებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება რომის „და-ეკლესიასთან“ კავშირი.

ვატიკანის დღევანდელი ოფიციალური კურსი გახლეჩილია სრულიად საპირისპირო გავლენებით მარჯვნიდან და მარცხნიდან. ტრადიციონალისტები, რომლებიც მარჯვენა ფრთას წარმოადგენენ, მთელი ძალით ცდილობენ, შეაჩერონ მოდერნიზაცია, რომელიც ვატიკანის მეორე კრების დროიდან დაიწყო. ამავე პოზიციაზე იმყოფებოდა ოპოზიციონერი კარდინალი ლეფევრიც და მისი მიმდევრებიც, რომლებიც უკვე არაერთი ათწლეულია ვატიკანის ახალ კურსს ეწინააღმდეგებიან. მეორე მხრივ, ახორციელებენ რა ვატიკანზე ზეწოლას, ლიბერალური წრეები ცდილობენ გააუქმონ მღვდლობის ხელშეუხებლობის ინსტიტუტი, დააკანონონ ქალების ხელდასხმა მღვდლებად, ჰომოსექსუალისტების უფლებები, მასონობის მიმართ უფრო მომთმენი პოზიცია, მეტი ავტონომია და რომისაგან მეტი დამოუკიდებლობა, კულტის მოდერნიზაცია და ასე შემდეგ. ამასთან დაკავშირებით ამერიკისა და აზიის კონტინენტებზე, ასევე ევროპაში სულ უფრო მეტ გასაქანს იძენს სინკრეტიზმი.



წარმართული ალ-ქაჯობა ავსტრალიის კათოლიკურ ტაძარში

ასე მაგალითად, ლათინურ ამერიკაში სულ უფრო ხშირად გვხვდება მოვლენა, როდესაც კათოლიკურ ტაძრებში საღვთისმსახურებო პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვა წარმართული კულტის ელემენტებს. ინდოეთში სულ უფრო მეტად ხდება ინდოკათოლოციზმის რაღაც სახეობის პროპაგანირება, რასთან დაკავშირებითაც ზოგიერთ მონასტერში იოგასა და აღმოსავლური მედიტაციის მეთოდიკის შემოტანა ხდება. რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, აქ შეინიშნება მარქსიზმის ქრისტიანობასთან შერწყმა. მსგავსი მოძრაობების დამცველთა შორის გამოირჩევა პიერ ტეიარ დე შარდენი, იეზუტი და მარქსისტი, რომელსაც უდიდესი ზეგავლენა აქვს მოძრაობაზე ,,New Age”[67]. მის გარდა ამ სფეროში

[67] New Age - არის საერთო დასახელება მისტიკური მიმართულებებისა და მოძრაობებისა, ძირითადად ოკულტური, ეზოთერული და

განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა ზოგიერთმა რომო-კათოლიკმა ბერმა-ინტელექტუალმა: თომას მერტონმა (შეეცადა ძენ-ბუდიზმისა და ქრისტიანობის შეერთებას), ოლდერ გრემმა და ბიდ ტრიფიტსმა, რომელმაც ერთ-ერთ თავის შრომაში დაწერა: „არავის არ შეუძლია ამტკიცოს, რომ ინდუისტები, ბუდისტები და მუსულმანები არიან „უსჯულოები“, ამ სიტყვის სრული გაგებით. მე ვიტყოდი, რომ მათში ჩვენი ქრისტესმიერი ძმები უნდა დავინახოთ“. სხვა „მიღწევების“ გარდა, ამ სამმა „მოწინავე ბერმა“ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ „ინტერკონფესიური სახარების“ შექმნის სფეროში, ისეთი ცნებების შექმნით, როგორიცაა „კოსმიური სულიერება“, „წერტილი ომეგა“, „ჰინდუ ან ძენ-კათოლიციზმი“.

ქალების ხელდასხმის საკითხი ასევე ფრიად აქტუალურია, რადგან რომს სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ გადაჭარბებულ ტრადიციონალიზმსა და შეურიგებლობაში, რის გამოც იგი ხდება ფემინისტური წრეების მხრიდან თავდასხმის ობიექტი. ცნობილი დანიელი თეოლოგი ედუარდ შილებე ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ უნდა ვიმუშაოთ მორწმუნეების მოსამზადებლად, რათა უახლოეს მომავალში მათთვის მღვდელი ქალი მისაღები გახდეს[68]. იგი ამბობს: „ქალების მღვდლობაზე არდაშვება წმინდა კულტუროლოგიური პრობლემაა [1], რომელსაც უკვე არავითარი აზრი აღარ აქვს“. იგი თვლის, რომ ქალების ხელდასხმისათვის არავითაირი თეოლოგიური დაბრკოლება არ

სინკრეტულისა. ვიწრო გაგებით, ეს ტერმინი გამოიყენება იდეოლოგიურ-ორგანიზაციულად ერთმანეთთან დაკავშირებულ რელიგიური მოძრაობების მიმართ, რომლებიც ოპერირებს ცნებებით „ახალი ერა“, ახალი საუკუნე“ და მისთ. - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[68] წინამდებარე წიგნის გამოსვლის შემდეგ დასავლეთმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანად „წაიწია წინ“ და ქალთა ხელდასხმა მთელ რიგ კონფესიებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

არსებობს, მას ხელს უშლის მხოლოდ განხეთქილების საფრთხე, რასთანაც შეიძლება ტრადიციონალისტებმა მიგვიყვანონ [2]. კათოლიკ მონაზონთა წიაღში, რომლებიც დღეს მილიონამდე არიან, სულ უფრო ხშირად გვხვდება მოთხოვნა იმისა, რომ ოფიციალურად გაფართოვდეს ქალთა უფლებები ღვთისმსახურებასა და ეკლესიის მართვის საქმეში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ გზაზე პირველ გადასადგმელ ნაბიჯად ვატიკანი განიხილავს საკითხს მონაზონ ქალების მიერ კურიაში მნიშვნელოვანი პოსტების დაკავების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მოცემულ მომენტში, მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანში რამდენიმე ასეული ქალი მუშაობს, არცერთ მათგანს რაიმე სერიოზული თანამდებობა არ უკავია [3]. ასევე აქტუალური ხდება სექსუალურ უმცირესობათა საკითხი. ინგლისში, როჩესტერის მთავარსაეპისკოპოში 1994 წლის აპრილში მიმდინარეობდა სამკვირიანი სემინარი, რომელიც ლათინ-ჰომოსექსუალების მდგომარეობას შეეხებოდა. საეკლესიო კათედრიდან მორწმუნეებს შეეძლოთ გაეგონათ ეპისკოპოს მითიუ კლარკის ფრიად „პროგრესული“ გამოსვლები, ასევე - თეოლოგიის პროფესორის დარელა ლანსისა, რომელმაც, სხვასთან ერთად, გააკეთა უპრეცედენტო განცხადება, რომ, თურმე, „რომო-კათოლიკური ,,ეკლესიის“ უძველესი წეს-ჩვეულებები, არსებითად, ჰომოსექსუალური საქორწინო რიტუალები იყო“. სემინარზე მსგავს გამოსვლებს ცალკეულ მორწმუნეთა გულახდილი საუბარი ენაცვლებოდა, რომლებიც მოცემულ თემასთან დაკავშირებით თავიანთ დაკვირვებებს მსმენელებს უზიარებდნენ [4].

დღევანდელი პაპი იოანე პავლე II ცდილობს ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის ბალანსი გამონახოს. ერთი მხრივ, ის აბორტებთან მიმართებით შეურიგებელ პოზიციას ინარჩუნებს, მაგრამ, იმისათვის, რათა მეორე მხარე დააკმაყოფილოს, ძალიან შორს მიდის სხვადასხვა სინკრეტული იდეების მიღების გზაზე. ჯერ კიდევ 1983 წელს, ანუ კანონიკურ უფლებათა ახალი კრებულის გამოცემის წელს, გაუქმებულ იქნა

მასონური მოძრაობის წევრების ეკლესიისდან განკვეთის მუხლი. თავისი მრავალრიცხოვანი მოგზაურობების დროს რომის პაპმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა წარმართულ რიტუალში. მუსულმანების წინაშე გამოსვლისას ის ღიად ამტკიცებდა, რომ ქრისტიანებსა და მუსულმანებს ერთი ღმერთი ჰყავთ, ხოლო 1986 წელს ინდოეთში ვიზიტის მიმდინარეობისას სატელევიზიო კამერებმა დააფიქსირეს ის მომენტი, როდესაც პაპმა ინდუისტი ქურუმისაგან თავზე ნიშანი „ტილაკი“ მიიღო[69]. იოანე პავლე II პირველი რომის პაპია, რომელიც ეწვია რომის დიდ სინაგოგას და იქ ლოცვას დაესწრო. მსგავსი მოქმედებები ტრადიციონალისტების ბანაკის მხრიდან ხშირად შუქდებოდა და ხელმისაწვდომი ხდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის [5].

კაროლ ვოიტილა[70] (მარცხნიდან მესამე) მასონურ ჯაჭვში

თეოლოგიის სფეროში სულ უფრო ხშირად გვხვდება ლიბერალ თეოლოგთა მისწრაფება, სადავო გახადონ სახარების

---

[69] ტილაკი - ინდუისტური რელიგიის მიხედვით წმინდა ნიშანი, რომელიც შუბლზე ან სხეულის სხვა ნაწილებზე დაიტანება თიხის, ფერფლის, სანდალის ზეთისა თუ სხვა ნივთიერებების გამოყენებით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[70] კაროლ ვოიტილა (პოლონურად Karol Wojtyła) - რომის პაპ იოანე პავლე II-ს მამა

ავტორიტეტი. ისინი ცდილობენ საღმრთო წერილის ტექსტში მოძებნონ „ისტორიული კაცი იესო“ და მის სიტყვებს სახარებისეული ტექსტიდან ახლებური ინტერპრეტაცია გაუკეთონ. უფალი იესო ქრისტე ავანგარდული რომო-კათოლიკური თეოლოგიის მიხედვით სულ უფრო ხშირად წარმოჩინდება, როგორც ახალგაზრდა ებრაელი რაბინი-რევოლუციონერი, სოციალური და რელიგიური რეფორმატორი.

სხვადასხვა თეოლოგიურ სკოლაში მისი სასწაულები აიხსნება, როგორც ნორმალური სამედიცინო ფენომენი. ამ ყველაფრიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ ინტელექტუალიზაცია, სეკულარიზაცია და თავად ამა სოფლის სული სერიოზულ ზიანს აყენებს რომო-კათოლიკური „ეკლესიის“ მთელ ორგანიზმს. იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციამ მთლიანობაში დეზინტეგრაციული ძალების ზეწოლას გაუძლოს, ვატიკანი მუდმივად აძლიერებს პაპის კულტის როლს. თავის საზოგადოებრივი გამოსვლების დროს პაპი სულ უფრო ხშირად უსვამს ხაზს თავის, როგორც ქრისტეს ნაცვლის, უცდომელი სულიერი ხელმძღვანელისა და საეკლესიო ხელისუფლების მტვირთველის როლს. ამ იდეების გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომო-კათოლიკური თემისათვის, რადგან პაპის ძლიერ ავტორიტეტს შეუძლია დისციპლინის ჩარჩოებში მოაქციოს ზოგიერთი ეპისკოპოსი და თეოლოგი, რომელთაც რომისაგან განსხვავებული აზროვნება აქვთ. მორწმუნეებისადმი თავის მიმართვებში პაპმა არაერთგზის გაუსვა ხაზი იმას, რომ რომის ეპისკოპოსი განსაკუთრებული ქარიზმის მატარებელია, რომელიც უფალმა მოციქულ პეტრეს მიანიჭა, - ესაა უცდომელობა სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში, ამასთან არა მხოლოდ მაშინ, როცა ის ex cathedra საუბრობს (რასაც ეგრეთ წოდებული უცდომელობის დოგმატი ამტკიცებს). სულიწმინდა, თითქოს, განსაკუთრებულად იცავს პაპს ცდომილებისაგან, შესაბამისად, ეკლესიაც, რომელსაც უცდომელი მოძღვარი მართავს, ასევე უცდომელია. აქედან გამომდინარეობს, რომ რომო-კათოლიკებისათვის ეკლესია არ მოიაზრება პაპის იმ

როლის გარეშე, რომელიც მას ვატიკანის პირველმა კრებამ განუსაზღვრა [6]. ყველა ამ ვითარების გათვალისწინებით, ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ რა აზრი აქვს მართლმადიდებლების დიალოგს რომო-კათოლიკეებთან, როდესაც საუბარია ფუნდამენტურ განსხვავებებზე, რომლებიც არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული განსხვავებულობების შედეგია და რომელთა გადაწყვეტაც, შესაძლოა, დიალოგის გზითაც მომხდარიყო, არამედ საუბარია ეკლესიის არსისა და ცხონების გზის შესახებ სრულიად საპირისპირო თეოლოგიურ საფუძვლებსა და გაგებაზე. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება მართლმადიდებელმა ეკლესიამ პაპის მწვალებლობის მსხვერპლთათვის გააკეთოს, არის ის, რომ, ურყევად და საქვეყნოდ დაამოწმოს ცხონების წმინდა მამებისეული ჭეშმარიტება და დაიცვას ამა სოფლის სულისაგან თავისი შეუბღალავი სწავლება. მაშინ მრავალი რომო-კათოლიკი, პროტესტანტი და სხვა ერეტიკოსი მართლმადიდებელ ეკლესიაში ჰპოვებს იმას, რასაც თავის ფსევდო-ეკლესიაში ეძიებდა[71].

---

1. ამით ეს თეოლოგი მოწმობს, თუ რამდენად დაშორდა თანამედროვე რომი ქრისტიანულ კულტურას.

2. 1994 წლის 25 აპრილის „Ecumenical press service”-ს მასალების მიხედვით.

3. სააგენტო RNS-ის ცნობით, ვატიკანი, 1994 წლის 30 მაისი.

4. გაზეთ „Wanderer”-ის მასალების მიხედვით, 1994 წლის 12 მაისი.

5. ვნახოთ, თუ რას წერს ამასთან დაკავშირებით 1996 წლის 27 ოქტომბერის იტალიური გაზეთი “Si Si No No”: „ჯერ ასე არასდროს განრისხებულა ჩვენი უფალი, ჯერ ასე არასდროს გათელილა მისი სიწმინდეები. მისი ერი ცდუნდება მასთან ურთიერთობით ასიზაში. წმინდა პეტრეს ეკლესიაში ბუდისტი ბერები დალაი-ლამას ეთაყვანებიან (რომელიც მათთვის ბუდას მორიგი რეინკარნაციაა). იმავე ტაძარში მთავარ საკურთხეველში ბუდას ქანდაკებაა დადგმული. წმიდა გიორგის ტაძარში ამბიონზე ამერიკელი ინდიელები თავიანთ

---

[71] და ვერ იპოვა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

მშვიდობის ყალიონს ამზადებდნენ, იქ ინდუისტური ღმერთების მთელ რიგს მოუხმობდნენ". სამწუხაროდ, მთელი ეს მოვლენები კრიტიკულად არ შეფასდა მართლმადიდებლურ ბეჭვდით ორგანოებში, გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ უკანონო თავყრილობაში ჩვენი სერბი წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

6. 1993 წლის 6 სექტემბრის ჟურნალ ,,Pro Eclesia"-ს მოჰყავს პაპის განცხადებებიდან ზოგიერთი, რომლებიც მან გააკეთა, როდესაც ხსნიდა „ქრისტეს ნაცვალის" როლს: „რომის ეპისკოპოსი, როგორც ქრისტეს ნაცვალი, ფლობს უმაღლეს და უნივერსალურ ძალაუფლებას მთელ ეკლესიაზე (Lumen Gentium[72])". „ამის დასადასტურებლად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1439 წლის ფლორენციის კრების განჩინება: ვადგენთ, რომ... რომის უპირველესი მღვდელი არის ნეტარი პეტრეს მემკვიდრე, მთავარი მოციქულისა, და ქრისტეს ნაცვალი (ვიკარი)[73], მთელი ეკლესიის მეთაური, ყველა ქრისტიანის მამა და მასწავლებელი და მას უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ნეტარი პეტრეს მიერ უბოძა მწყემსმთავრის სრული ძალაუფლება, ეკლესიის ფლობისა და მართვის ძალაუფლება"... მსგავსი პოზიცია დაფიქსირდა ასევე 1274 წელს ლიონის კრების მიერ რომის ეპისკოპოსის პრიმატისა და სრული ძალაუფლების პრობლემის საკითხთან დაკავშირებით. კრებამ დაადგინა, რომ პაპს „აქვს ამოცანა, დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, მას ასევე აკისრია სარწმუნოების სფეროში ყველა დავის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა".

რაც შეეხება პირველ ვატიკარიუმს[74] (1870), მან ფლორენციის ამ დადგენილების ციტირება მოახდინა, ხოლო შემდეგ, მოიყვანა რა ციტატები საღმრთო წერილიდან (ოიან.1,42; მათ.16; იოანნ. 21, 51), უფრო ზუსტად ჩამოაყალიბა ამ ძალაუფლების მნიშვნელობა. რომის

---

[72] Lumen Gentium - პაპისტური ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი „ეკლესიის დოგმატიკური კონსტიტუცია", რომელიც მიიღეს ვატიკანის მეორე კრებაზე. ლათინურად სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხალხების სინათლეს" - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[73] ვიკარი - კათოლიკურ ეკლესიაში რომის იმპერიის დიოცეზის (მხარის) მმართველი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[74] 1870 წლის ვატიკანის პირველი კრება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

უპირველესი მღვდელი აღჭურვილია არა მხოლოდ თვალყურის დევნისა და ხელმძღვანელობის ძალაუფლებით, ის ასევე ფლობს უზენაეს ძალაუფლებას, რომელიც მას ნებას აძლევს, ჩაერიოს არა მხოლოდ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საკითხებში, არამედ საკითხებში, რომლებიც შეეხება დისციპლინასა და მთელ მსოფლიოში განფენილი ეკლესიის მართვა-გამგეობას. ამ თვალსაზრით მეორე ვატიკანიუმიც საუბრობს რომის ეპისკოპოსზე, როგორც მთელი ეკლესიის მოძღვარზე, რომელიც ფლობს უზენაეს და უნივერსალურ ძალაუფლებას. ეს ძალაუფლებაა „ავტორიტეტის პრიმატი ყველაზე, იქნება ეს მოძღვრი თუ მრევლი". „საღმრთო წერილის ტექსტი რომის პირველი მღვდლის, პეტრეს მემკვიდრის უნივერსალურ სამწყემსმთავრო მისიას გვიჩვენებს. არის რა მსოფლიო მოძღვარი, პაპი ტვირთულობს მისიას, ღიად იქადაგოს და განამტკიცოს რწმენა ქრისტეს და ჭეშმარიტი ეკლესიის მიმართ. და ეს არის პეტრეს მისიის ინტეგრალური[75] მნიშვნელობა".

ანგარიშსწორება წმინდა მთის ზილოტებთან

იმ დროს, როდესაც კონსტანტინეპოლი სულ უფრო წარმატებით ავითარებს კეთილგანწყობილ ეკუმენისტურ ურთიერთობებს რომთან, ანგლიკანურ თემთან და ანტიქალკედონელებთან, სულ უფრო შეურიგებელი ხდება მისი დამოკიდებულება მათთან, ვინც ცდილობს, წინაღუდგეს ეკუმენიზმს. ერთ-ერთი იმ მამათაგანი, რომელმაც ჯერ კიდევ 1991 წელს შეძლო საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ კონსტანტინეპოლი ეკუმენიზმის მწვალებლობაში შთავარდა, იყო არქიმანდრიტი ეფრემი, ფილოთეოს მონასტრის სულიერი მოძღვარი. იყო რა წმინდა მთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი ბერი, მან ბოლო დროს რამდენიმე მონასტერი დააარსა ამერიკაში. ამასთან ერთად არქიმანდრიტი ეფრემი ღია კავშირში იმყოფებოდა რუსულ საზღვარგარეთულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რის გამოც ჩნდებოდა

[75] ინტეგრალური - აქ: კრებსითი, ჯამური - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ვარაუდები მისი ამ ეკლესიის იურისდიქციაში გადასვლასთან დაკავშირებით. დაიწყო ბერზე თავდასხმები კონსტანტინეპოლის მხრიდან, ხოლო შემდეგ სხვა ადგილებიდანაც: მას არწმუნებდნენ, უარი ეთქვა ამ ნაბიჯზე, რომელსაც, თითქოს, შეეძლო განხეთქილების გამოწვევა ათონელ ბერებში. კონსტანტინეპოლმა დაიწყო ღია მუქარა მის მიმართ, რომ ხარისხს აყრიდა. მამა ეფრემმა განჭვრიტა ამ ნაბიჯის შედეგები და თავის განზრახვაზე ხელი აიღო, თუმცა კონსტანტინეპოლს განუცხადა, რომ იგი რუსულ საზღვარგარეთულ მართლმადიდებელ ეკლესიას მადლმოსილ და ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად მიიჩნევს.

თავის წერილში, რომელიც რუსული საზღვარგარეთული მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისადმი იყო მიმართული და 1991 წლის 1 ივლისით თარიღდებოდა, ბერი ეფრემი, სხვასთან ერთად, შენიშნავს: „ჩემო უწმინდესო მამებო, საერთო აღშფოთება, რომელიც თავს დამატყდა, ნამდვილად უპრეცედენტოა. მსოფლიო საპატრიარქომ, ელადის ეკლესიამ, ამერიკის ბერძნულმა მთავარსაეპისკოპოსომ, წმინდა მთამ და საბერძნეთის ხელისუფლებამ - ყველამ ზურგი მაქცია. მესმის, რომ ეს ყველაფერი შეიძლება განხეთქილების მიზეზი გახდეს არა მარტო ათონის მთაზე, არამედ ქრისტიან ძმებს შორისაც, ამიტომ მე გადავწყვიტე, უკან დავბრუნდე. ვიცი, რომ ეკლესიაში მშვიდობისათვის მე ეს უნდა გავაკეთო. დარწმუნებული ვარ, მსგავს ვითარებაში თქვენც ასე მოიქცეოდით... როდესაც მსოფლიო საპატრიარქოში მკითხეს, თუ რას ვფიქრობდი თქვენი ეკლესიის შესახებ, მე დაუფიქრებლად ვუპასუხე, რომ თქვენს ეკლესიას მართლმადიდებლურად და, ეჭვს გარეშეა, (მოციქულებრივი მემკვიდრეობითობის მხრივ) კანონიკურად მივიჩნევ. მხოლოდ ერთი რამ არის, რაც ერთგვარ დაბნეულობას იწვევს ჩემში, სახელდობრ ეკლესიური ერთობის საკითხი სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, რაც, სამწუხაროდ, ეკლესიოლოგიურ პრობლემებს ქმნის“. თავისი წერილის დასასრულს არქიმანდრიტი ეფრემი პატიებას ითხოვს და

მოკითხვას უთვლის მათ, ვისაც მიმართავს. ბევრს მამა ეფრემის ეს „სინანული“ მეტად გაუხარდა, ამავე დროს სხვები, უფრო შეუპოვრად განწყობილები, თვლიდნენ, რომ ბერმა მუქარის გამო მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება - დუმილი გარეგნული მშვიდობისა და ერთობის სანაცვლოდ.

თუმცა, კონსტანტინეპოლმა ამ განცხადებას იგნორირება უყო. ამ მოვლენამ აჩვენა, რომ ათონელები გულგრილნი არ არიან იმის მიმართ, თუ რა ხდება კონსტანტინეპოლში [1]. ათონელი მამების მორიგი „მაჯისცემის მოსინჯვა“ დაკავშირებული იყო 1992 წელს ელიას სკიტიდან ბერების გაძევებასთან, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ.

წინასწარმეტყველ ელიას რუსული სკიტი ათონზე

წმინდა ელიას სკიტის ბერებმა ჯერ კიდევ 1957 წელს შეწყვიტეს მსოფლიო პატრიარქის მოხსენიება, რაც იყო პროტესტის ნიშანი ეკუმენიზმის წინააღმდეგ, რასაც იგი ღიად ქადაგებდა. და მართალია, პატრიარქ ათენაგორას გარდაცვალების შემდეგ მრავალმა წმინდა მთის ბინადარმა კვლავ დაიწყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის სახელის მოხსენიება, წმ. ელიას სკიტი თავისი გადაწყვეტილების

ერთგული დარჩა, რადგანაც ხედავდა, რომ არსებითად კონსტანტინეპოლის კურსი არ შეცვლილა. 1985 წლიდან გაძლიერდა ზეწოლა არქიმანდრიტ სერაფიმეზე (ამერიკული წარმოშობის ბერზე, რომელმაც 1970 წელს თავის ძმობასთან ერთად სკიტი განაახლა).

წმ. ათონის მთის დედაქალაქი კარიესი. მარცხნივ - ათონის თვითმმართველობის, კინოტის შენობა

1992 წლის 20 მაისს წმ. ელია წინასწარმეტყველის სკიტში მოულოდნელად დიდი რაოდენობის პოლიციელი შეიჭრა, რომელთაც წინ უძღოდა საპატრიარქოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსი ათანასე ილიუპოლელი. მამა სერაფიმესა და სკიტის სხვა მკვიდრთაგან მოითხოვეს, დაუყოვნებლივ განეახლებინათ პატრიარქ ბართლომეს ლოცვებში მოხსენიება, უარის შემთხვევაში კი - წმინდა მთა დაეტოვებინათ. ბერებმა უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ ამ მოთხოვნას, ამასთან დაინტერესდნენ, არსებობდა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილება მათ გასახლებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, არანაირი წერილობითი დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით არ არსებობდა. მაშინ ბერებმა მოსამზადებლად სამი დღე მოითხოვეს, მაგრამ ეს თხოვნა ასევე არ დააკმაყოფილეს - აუცილებელი ნივთების მოსაგროვებლად მხოლოდ 15 წუთი მისცეს. მალე ყველა ისინი პოლიციის ჯიპებში ჩასვეს და ჯერ

კარიესში გაგზავნეს, ხოლო იქიდან - დაფნიში. იქ მათმა მომლოდინე პოლიციის გლისერმა ბერები ურანოპოლისში გადმოსვა და დევნილები აღმოჩნდნენ ქუჩაში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმავდროულად დაცარიელებულ სკიტში პანტოკრატორის მონასტრის ბერები დამკვიდრდნენ, ხოლო პოლიციის ხელისუფლებამ სიტუაციის კონტროლი გააგრძელა [2]. 1992 წლის მაისში წმ. ელია წინასწარმეტყველის სკიტიდან მთელი ძმობის გამოსახლების პრეცედენტს დღემდე არ მიუღია შეფასება ბერძნულ სასამართლოში.

1993 წლის ივლისში ბალამანდის უნიის ხელმოწერის, ასევე მონოფიზიტებთან შეთანხმების შემდეგ წმინდა მთის ბერებმა დაიწყეს შესამჩნევი უკმაყოფილების გამოთქმა პატრიარქ ბართლომეს ბოლოდროინდელ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

1994 წლის 15 თებერვალს ათონის მთის წმინდა კინოტმა კონსტანტინეპოლიდან მიიღო დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა საპატრიარქო ეგზარქიის წმინდა მთის იღუმენთა და ანტიპროსოპთა [76] მეხუთე მრჩობლ კრებაზე დასასწრებად ჩამოსვლას, რომელზეც ზემოხსენებული ორივე საკითხი განიხილებოდა. ამ ცნობამ ათონელებში დიდი მღელვარება გამოიწვია, რადგან ბერებმა ამაში კრების საქმეებში ფანარის ჩარევის მცდელობა დაინახეს.

საპატრიარქო ეგზარქიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ილიოუპოლელი და ტირონელი მიტროპოლიტი ათანასე, მელიტონ ფილადელფიელი და მიქაელ ავსტრიელი,

---

[76] ანტიპროსოპი - წმინდა მთის მართვის ცენტრალურ ორგანოში, წმინდა კინოტში (Ἱερὰ Κοινώτης, იგივე პროტატი) ათონის 20 მონასტრიდან თითოეული მათგანის წარმომადგენელი, რომელსაც ყოველ წელს ირჩევს მონასტერი. ათონის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს წმინდა ეპისტასია, რომლის შემადგენლობაც ყოველ წელს იცვლება. წმ. სინოდი და წმ. ეპისტასია განლაგებულნი არიან კარიესში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

კონსტანტინეპოლისგან კრებაზე დასწრებისა და თავმჯდომარეობის სანქცია მიიღო. ათონის მთის თვითმმართველობის ამ უმაღლესმა ორგანომ უარი თქვა ეგზარქიის მიღებაზე, იმ მოტივაციით, რომ „არ იყო არანაირი ოფიციალური შეტყობინება ან მუშაობის დამტკიცებული განრიგი, რომლის შესაბამისადაც ეგზრქიას მრჩობლ კრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო“ (Ελευθεροτυπια, 21. 02. 1994).

„ზილოტური“ ესფიგმენის მონასტერი

18 თებერვალს, პარასკევს, ეგზარქიის ზემოხსენებულმა წევრებმა იღუმენებთან და ოცი მონასტრიდან ექვსი მონასტრის წარმომადგენლებთან ერთად ივერონის მონასტერში ჩაატარეს სხდომა, რომელზეც გადააყენეს არქიმანდრიტი იოსები, ქსიროპოტამის მონასტრის წინამძღვარი, ასევე - შემდეგი ანტიპროსოპები (კინოტის წევრები): მღვდელმონაზონი ელისე სიმონაპეტრელი, ბერი ლუკა ფილოთეველი და ბერი ეპიფანე დიონისიატელი; ისინი ყველანი თანამდებობებიდან გადააყენეს „ურჩობისა და დედა ეკლესიის მიმართ მეამბოხე დამოკიდებულებისათვის“. არავითარი ახსნა-განმარტება არ გაკეთებულა იმის თაობაზე, თუ რატომ დაექვემდებარა ამ სასჯელს მაინცდამაინც ეს ოთხი .

იმავდროულად, კარიესში შეკრებილმა ცამეტი მონასტრის იღუმენმა ასეთი გადაწყვეტილება ზეწოლად გამოაცხადა,

რომელიც წმინდა მთის ავტონომიას ხელყოფდა, და გამოთქვეს მოსაზრება, რომლის თანახმადაც მსგავსი დასჯა არ არის კანონიკური და მას არანაირი აზრი არ აქვს. შემდეგ, კინოტის შენობის დახურვისას, მათ განაცხადეს, რომ ათონის მთა „დევნაში“ იმყოფება. ამ მომენტიდან წმინდა მთის ოცი მონასტერი ასე განაწილდა: ცამეტი გამოვიდა ეგზარქიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ (მათ შორისაა: ვატოპედი, ხილანდარი, დიონისიატი, ქსიროპოტამო, ზოგრაფი, დოხიარი, კარაკალი, ფილოთეუ, სიმონაპეტრა, წმ. პავლე, გრიგორიატი, წმ. პანტელეიმონი და კოსტამონიტი). ეგზაქიას მხარი დაუჭირა ექვსმა მონასტერმა. ესენია: დიდი ლავრა, ივერონი, კუტლუმუში, პანტოკრატორი, სტავრონიკიტა და ქსენოფონტი. ესფიგმენმა კანონიკურ საფუძველზე უფრო ადრე გაწყვიტა კავშირი საპატრიარქოსთან და დღესდღეობით კინოტის საქმიანობაში არ მონაწილეობს.

წმინდა მთის ესფიგმენის მონასტერი [77] პრაქტიკულად სრულიად გამოეყო კონსტანტინეპოლს. უკვე დიდი ხანია ამ მონასტრის ღვთისმსახურებაზე კონსტანტინეპოლის პატრიარქის სახელი აღარ მოიხსენიება, ამას გარდა, მონასტერმა შეწყვიტა წმინდა მთის თემის ნებისმიერ მოღვაწეობაში მონაწილეობა და აბსოლუტურად დამოუკიდებლად ცხოვრობს. პატრიარქმა ბართლომემ ესფიგმენელ ბერებსსა და წმინდა მთის ზილოტებს სინანულისაკენ მოუწოდა, თუ მათ არ სურთ თავიანთი პოზიციის დატევება, რომლესაც პატრიარქი „უგუნურ მოშურნეობად“ ახასიათებს, მაშინ ის მათი წმინდა მთიდან წასვლას ითხოვს და ურჩევს, თავშესაფარი თავიანთი თანამოაზრეების ფრთებქვეშ იპოვონ, რადგანაც „წმინდა მთა მსოფლიო პატრიარქის კანონიკური ტერიტორიაა“ და იქ არ არის მათი ადგილი, ვინც მისგან განსხვავებულად ფიქრობს, მათი, რომლებიც მას მთის ხუცესად არ აღიარებენ. ამ მოწოდებას ესფიგმენელები 1992 წლის 30 ნოემბრის ეპისტოლეთი

[77] სამწუხაროდ ესფიგმენის მონასტერი სქიზმაშია - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

გამოეხმაურენ, რომელშიც, სხასთან ერთად, ნათქვამია, რომ „ტახტი კი არ აქცევს ვინმეს პატრიარქად, არამედ მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი აღმსარებლობა“. შემდეგ არქიმანდრიტი ევფემი ძმობასთან ერთად წერილში წერს, რომ ბერები ვალდებულნი არიან უსიტყვოდ დაემორჩილონ იმას, ვინც მართლმადიდებელ სარწმუნოების აღმსარებელია და უნდა განერიდონ მას, ვინც წმინდა კანონებს ფეხქვეშ თელავს. ამასთან მოყვანილია ერეტიკოსებთან ერთობლივი მსახურების, რომის პაპის მოხსენიების, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მაგალითები და სხვა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მსოფლიო ტახტმა განშტოებათა თეორია მიიღო და მწვალებლობაში ჩავარდა. წერილის ბოლოს გამოთქმულია გაოცება იმის გამო, რომ პატრიარქი, ერთი მხრივ, ასე უხეშად მოითხოვს ბერებისაგან მონასტრის დატოვებას, ხოლო მეორე მხრივ - მზადაა გულში ჩაიკრას ერეტიკოსები. და საბოლოოდ ესფიგმენელებმა პატრიარქს შემდეგ მოთხოვნები წაუყენეს;

1. პატრიარქის 1920 წლის ენციკლიკის დაგმობა და ტრადიციული საეკლესიო კალენდრის აღდგენა.
2. მწვალებლებთან დიალოგის შეწყვეტა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლა.
3. ყველა არამართლმადიდებლური პოზიციისაგან განდგომა, როგორც საკუთარისაგან, ისე მისი წინამორბედებისა.
4. კავშირის შეწყვეტა ეკლესიებთან, რომლებიც მწვალებლობაში ჩავარდნენ. ყველა მწვალებელი სასულიერო პირისათვის ხარისხის აყრა[78].

---

[78] ორიოდე წლის წინ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ პოლიციის დახმარებით ესფიგმენის მონასტრიდან ბერები ძალის გამოყენებით გააძევა და ათონიდან გაასახლა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

გავიხსენოთ, თუ როგორ დაუჭირა მხარი ოთხმა მონასტერმა 1992 წლის აგვისტოში საპატრიარქოს მოთხოვნას, ათონიდან ყველა ზილოტის გაძევებასთან დაკავშირებით. ესენი იყვნენ: ივერონი და პანტოკრატორი (რომლებშიც ახლახან საპატრიარქოს აქტიური მხარდაჭერით ორი სხვა მონასტრის ძმობა დასახლდა), სტავრონიკიტა და ქსენოფონტი. 1993 წლის იანვარში ამ ოთხი მონასტრის ჯგუფს დიდი ლავრა შეუერთდა, მხარი დაუჭირა რა საპატრიარქოს მოთხოვნას, შემოღებულიყო სპეციალური ნებართვები [3] ათონის მთის მომლოცველთა და სტუმრებისათვის. ახლა კუტლუმუში გახდა მეექვსე მონასტერი, რომელიც საპატრიარქოს მზარდ მადას ასევრ უჭერს მხარს [4].

ბოლო ათწლეულებში გამძაფრდა წმინდა მთაზე განლაგებული სლავური და სხვა არაბერძნული მონასტრების პრობლემები. დროთა განმავლობაში ამ საკითხმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად საპატრიარქომ არ უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ იგი აპირებს ყველა მონასტერში ბერძენი იღუმენები დანიშნოს და რომ ყველა მონასტერში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე უნდა აღევლინოს. რაც შეეხება თავად წმინდა მთის ბინადართ, მათ უმეტესობას სურს, რომ წმინდა მთა შემდგომშიც საერთაშორისო სამონაზვნო მართლმადიდებელ თემად დარჩეს.

გამომძალველობითი ტაქტიკა, რომელსაც ფანარა იყენებს როგორც წმინდა მთის, ისე იერუსალიმის საპატრიარქოსთან მიმართებაში, კარგს არაფერს გვიქადის. ისმის კითხვა: რა მიზნით გამოიყენებს ფანარა „ბერძნულენოვან დასახლებებში განლაგებული ეკლესიების გაფართოებული და რიგგარეშე კრებების“ მოწვევის პრეცედენტს? ბოლოდროინდელი შეთანხმებები, მიღწეული პაპისტებთან და მონოფიზიტებთან ბალამანდსა და შამბეზში გვაძლევს უცილობელ მოწმობას იმის შესახებ, რომ საპატრიარქო ერეტიკული და ეკუმენისტური ეკლესიოლოგიის გზით მიდის. რა ნაყოფის მოტანა შეუძლია „სიყვარულის ეკუმენისტურ სულს“, რომელიც, ამასთან ერთად,

ინკვიზიტორული მეთოდებით ინერგება? ამ თვალსაზრისით ფანარას პაპისტური ტენდენციებისადმი წინააღმდეგობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მართლმადიდებლობის დაცვა.

---

1. იმავე 1994 წელს კიდევ ერთი სულიერი მოძღვარი ღიად გამოვიდა კონსტანტინეპოლის ეკუმენისტური ერესის წინააღმდეგ. საუბარია სინაელ არქიმანდრიტ ადრიანეზე. მან მიატოვა სინას სავანე და მიტროპოლიტ კიპრიანეს იურისდიქციაში გადავიდა. სულიერი შვილებისა და მისი მიმდევრებისადმი მიმართულ თავის წერილში ბერი განმარტავს, თუ რატომ მიატოვა სინა თავისი მოსაგრეობის დაწყებიდან 37 წლის შემდეგ. მთავარი მიზეზი - ეს იყო ის, რომ კონსტანტინეპოლის ეკუმენისტურ კურსს სულ უფრო აქტიურად უჭერდა მხარს სინაელი მთავარეპისკოპოსი დამიანე, რომელმაც 1993 წლის კონსტანტინეპოლის კრების გადაწყვეტილების შემდეგ მაშინვე შეწყვიტა პატრიარქ დიოდორეს მოხსენიება. სინაელი ბერი თავის მშობლიურ კუნძულ ზაკინაფზე დამკვიდრდა. მალე მოხდა მისი შეტაკება იქაურ მიტროპოლიტ პანტელეიმონთან, ეკუმენიზმის მხარდამჭერსა და კანბერაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სხდომის მონაწილესთან, რომელმაც ერთ-ერთ პირად საუბარში თქვა, რომ ის პაპისტებს ერეტიკოსებად არ მიიჩევს. ბერმა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვიტა, რის საპასუხოდაც მიტროპოლიტმა პოლიციის დახმარებით დახურა სამლოცველო, რომელშიც მამა ადრიანე მსახურობდა და მას მღვდელმოქმედება აუკრძალა. შემდეგ მამა ადრიანემ კავშირი დაამყარა წმ. კიპრიანესა და იუსტინეს მონასტერთან და მიტროპოლიტ კიპრიანესთან, რომელმაც იგი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. მეორე მხრივ, ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც არქიმანდრიტ ადრიანეს ასეთ საქციელს ღიად უწოდებენ „უგუნური მოშურნეობით“ ხიბლში ჩავარდნას. მამა ადრიანეზე განსაკუთრებით სწყდებათ გული

სინაელ ბერებს, რომლებიც მისგან დიდ საყრდენსა და ნუგეშს იღებდნენ.

2. სკიტის წინამძღვრის არქიმანდრიტ სერაფიმეს 1992 წლის 31 მაისის მოხსენების საფუძველზე. (Αγιοζ Κυπριανοζ, N 247). იგივე მოჰყავს ასევე „Ορθοδοξοφ τυποξ“-ს: „ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ რაღაც მსგავსი ორი წლის წინაც მოხდა, როცა საპატრიარქოს ეგზარქიამ საერო ხელისუფლების დახმარებით წმინდა მთიდან წმინდა წინასწარმეტყველ ელიას სკიტიდან რამდენიმე საათში გააძევა რუსული წარმომავლობის ოთხი ბერი, და რომელშიც მაშინვე შესახლდა ოთხი ბერძენი ბერი არქიმანდრიტის მეთაურობით, რომელიც ოდესღაც სამხედრო მღვდელი იყო. ამ საქმის სასამართლო პროცესი, რომელმაც საბერძნეთის ყოფილ ხელმძღვანელობას განსაკუთრებით ბევრი უხერხულობა შეუქმნა, ჯერ არ დამთავრებულა,“ („Ορθοδοξοφ τυποξ“, 25. 2. 1994).

3. *მართალია ოფიციალურად ითვლება, რომ ამჟამად ათონის წვევის ნებართვას კინოტი გასცემს, მაგრამ სინამდვილეში ამით ჩრდილოეთ მაკედონიისა და ფრაკიის სამინისტროა დაკავებული. პროცედურა ისეა ორგანიზებული, რომ შეამციროს არაბერძენ მნახველთა რიცხვი, განსაკუთრებით კი სასულიერო პირებისა, რომელთაც იქ ჩასვლა კონსტანტინეპოლის სანქციის გარეშე არ შეუძლიათ. მოცემულ შემთხვევაში ფანარა მოხეხებულად თამაშობს ნაციონალისტურ გრძნობებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, წმინდა მთის ბერძენთა ნაწილს გააჩნია. რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.*

4. *იმ ათონელი ბერების გვერდით, რომლებიც კონსტანტინეპოლის ეკუმენისტურ კურსს ღიად ეწინააღმდეგებიან, არსებობს ბერების ისეთი ჯგუფიც, რომლებიც ამას სერიოზულ პრობლემად არ თვლიან. ჯერ კიდევ 1991 წელს კონსტანტინეპოლმა ათონს თავს მოახვია ერთი გადაწყვეტილება, რომელიც მრავალმხრივ ანგრევს იმ წარმოდგენას, რომ წმინდა მთა მართლმადიდებლობის ბასტიონს წარმოადგენს. პატრიარქ დიმიტრისადმი მიმართულ*

ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კინოტი რუსულ საზღვარგარეთულ მართლმადიდებელ ეკლესიას ღიად უწოდებს „სქიზმატურსა და მადლს მოკლებულს“. ზოგიერთმა იღუმენმა, მაგალითად ქსიროპოტამის არქიმანდრიტმა იოსებმა, განცხადა, რომ ეს დოკუმენტი ზეწოლის შედეგი იყო. აშკარაა, რომ კონსტანტინეპოლს რუსულ საზღვარგარეთულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლაში ახალი არგუმენტები სჭირდებოდა.

და რას ამბობენ წმინდა კრებათა კანონები?

წმინდა მოციქულთა მე-10 კანონი:
თუ ვინმე ილოცებს უზიარებელთან ერთად, თუნდაც სახლში, ისიც უზიარებელი უნდა გახდეს[79]

წმინდა მოციქულთა მე-11 კანონი:
თუ ვინმე [სამღვდელო პირი] განკვეთილ სამღვდელო პირთან ერთად ილოცებს, როგორც მღვდელთან, ისიც განიკვეთოს.

წმინდა მოციქულთა 45-ე კანონი:
თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებლებთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, როგორც მღვდელმა, განიკვეთოს.

წმინდა მოციქულთა 46-ე კანონი:
თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს ერეტიკოსის მონათვლა ნათლისღებად ან მის მიერ შეწირული მსხვერპლი, მის

---

[79] „უკეთუ ვინმე უზიარებელსა სახლსაღათუ შინა თანამლოცველ ექმნეს, უზიარებელ იქმენ იგიცა“. კანონთა ტექსტები დიდი სჯულის კანონის არსენ იყალთოელისეული თარგმანის ქართული გამოცემის შესაბამისად თანამედროვე ქართულით მოგვყავს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

განკვეთას ვბრძანებთ, რადგან რა აქვს საერთო ქრისტეს ბელიართან? ან რა აქვს საერთო მორწმუნეს ურწმუნოსთან?

წმინდა მოციქულთა 68-ე კანონი:
თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა მეორედ ხელდასხმა მიიღოს ვინმესგან, განიკვეთოს ისიც და მისი ხელდამსხმელიც, მით უმეტეს, თუ ისიც იქნება საეჭვო, რომ ხელდასხმა მწვალებლისგან მიიღო. ასეთებისაგან ნათელღებულებისა და ხელდასხმულების არც მორწმუნედ შეიძლება ჩათვლა, არც სამღვდელო პირად.

მე-9 კანონიკური პასუხი წმინდა ტიმოთე ალექსანდრიელისა:
9. კითხვა: შეუძლია თუ არა მღვდელმსახურს ლოცვა არიანელთა და სხვა მწვალებელთა თანდასწრებით? არავითარი ვნება არ მიადგება მას, თუ აღასრულებს ლოცვას ან ჟამისწირვას ასეთ დროს?
პასუხი: დიდი შესვლის წინ დიაკონი წარმოთქვამს სიტყვებს: „უზიარებელნი განვედით“, შესაბამისად მათ იქ ყოფნა არ შეუძლიათ, თუ არ დადებენ პირობას, რომ შეინანებენ და დაუტევებენ მწვალებლობას[80].

ლაოდიკიის კრების 33-ე კანონი:
მწვალებელთან და განდგომილთან ერთად ლოცვა არ შეიძლება[81].ლაოდიკიის კრების მე-9 კანონი:

---

[80] ქართულ გამოცემაში წმ. ტიმოთე ალექსანდრიელის ეს მე-9 მიგება რამდენადმე განსხვავებულია, სახელდობრ: „ჟამსა საღმრთოჲსა შესაწირავისასა დიაკონი ჴმობს უწინარეს ამბორისყოფისა: უზიარებელნი ვიდოდეთ! არა უღირს უკუე მუნ ყოფაჲ, არათუ აღსთქუმიდეს შენანებასა და სივლტოლასა წვალებისაგან“ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.
[81] ვითარმედ არა ჯერ-არს მწვალებელთა ანუ სახის ხოლო ქონების მეტყუელთა თანამლოცველ-ყოფაჲ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

მწვალებელთა საფლავებზე ან მათ მიერ მოწამეთა ადგილებად სახელდებულ ე.წ. საწამებლებში ლოცვის ან მკურნალობისთვის მისვლის უფლება არ აქვს მორწმუნეს. ასეთებს და მათ იქ შემყვანებსაც, თუ ისინი მორწმუნენი არიან, უზიარებლობით დასჯა ეკუთვნით რამდენიმე ხანს და როცა შეინანებენ და აღიარებენ, რომ შეცდნენ, შემდეგ შეიწყნარონ.

ლაოდიკიის კრების 32-ე კანონი:
მწვალებლებისაგან კურთხევის მიღება არ შეიძლება, რადგან ისინი უფრო უკურთხეველნი არიან, ვიდრე კურთხეულნი.

ლაოდიკიის კრების 34-ე კანონი:
არც ერთმა ქრისტიანმა არ უნდა მიატოვოს ქრისტეს მოწამე და არ უნდა წავიდეს ცრუ მოწამესთან, რომლებიც ან მწვალებლები იყვნენ, ან მწვალებელთა შორის იყვნენ, რადგან ერეტიკოსები უცხონი არიან ღმრთისათვის. ამიტომ მათთან მისული შეჩვენებულ უნდა იყოს.

ლაოდიკიის კრების 37-ე კანონი
არ შეიძლება ურიათა და მწვალებელთაგან გამოგზავნილი რაიმე სადღესასწაულო ძღვენის მიღება, არც მათთან ერთად დღესასწაულობა.

ლაოდიკიის კრების 38-ე კანონი
არ შეიძლება ურიათაგან (იუდეველთაგან) უცომოს მიღება და ამით უღმრთოების თანაზიარად გახდომა.

ლაოდიკიის კრების მე-6 კანონი:
მწვალებლები, რომლებიც ჯერ კიდევ თავისი ერესის მიმდევრები არიან, არ უნდა შევიდნენ ღმრთის სახლში.

ლაოდიკიის კრების მე-7 კანონი:

მწვალებლები - ნავატიანნი, ფოტინიანნი და მეთოთხმეტიანელები - თუ მოიქცევიან და გახდებიან კათაკმევლები ან მორწმუნეები, არ უნდა შევიწყნაროთ, სანამ არ შეაჩვენებენ ყველა ერესს და უფრო იმას, რომლითაც თვით არიან შეპყრობინი. იმ დროიდან მორწმუნედ სახელდებულებმა უნდა დაისწავლონ სარწმუნოების მრწამსი, ამის შემდეგ ცხებულ იქნენ წმინდა საცხებელით და ასე ეზიარონ წმინდა საიდუმლოს.

ლაოდიკიის კრების მე-10 კანონი:
საეკლესიო პირმა საქმის განუხილველად არ უნდა დააქორწინოს თავისი მორწმუნე შვილები ერეტიკოსებზე.

ლაოდიკიის კრების 31-ე კანონი:
არ შეიძლება ერეტიკოსებთან ერთად მძახლობა, ვაჟის ან ქალის მიცემა მათთვის. უფრო დასაშვებია მოყვანა მათაგან, თუ ისინი აღთქმას დადებენ, რომ გაქრისტიანდებიან.

ტრულის (მეექვსე მსოფლიო) კრების 72-ე კანონი
არ შეეფერება მართლმადიდებელ მამკაცს მწვალებელი დედაკაცის ცოლად შერთვა; არც - მართლმადიდებელ დედაკაცს მწვალებელ მამკაცთან შეუღლება. თუკი ასეთ ქმედებას ვინმე ჩაიდენს, ქორწინება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს და უსჯულო თანაცხოვრება დაირღვეს, რადგან არაჯეროვანია შეუერთებელთა შეერთება, არც ცხვართან მგლის შერწყმა და ქრისტეს სხეულთან არ არის ცოდვილი წილნაყარი.

წმ. ბასილი დიდის მე-5 კანონი:
სიკვდილის წინ საჭიროა შევიწყნაროთ ის მწვალებლები, რომლებიც მოინანიებენ. მაგრამ, ცხადია, ეს შეწყნარება განუკითხველად არ უნდა მოხდეს. საჭიროა გამოცდა და გამოძიება, ჭეშმარიტ სინანულს აჩვენებენ თუ არა, და თუ აქვთ ნაყოფი, რომელიც დაამოწმებს მათ მისწრაფებას გადარჩენისკენ.

კართაგენის კრების პირველი კანონი:
ისინი, ვინც ერეტიკოსებმა მონათლეს, საჭიროა თავიდან მოინათლონ, რათა მიღებულ იქნან ეკლესიაში [1].

წმინდა კანონებიდან ამონარიდების გარდა, მოვიყვანოთ წმინდა მამების გამონათქვამებიდან კიდევ რამდენიმე ციტატა ერესთან დამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებით: „მე არ ვუსურვებ მწვალებლებს ტანჯვას, არ ვხარობ მათი უბედურებით. ღმერთმა დამიფაროს! უფრო მეტად მახარებს მათი მოქცევა. იმდენად, რამდენადაც რა უნდა იყოს მორწმუნესათვის უფრო სათნო, ვიდრე იმის ნახვა, როგორ იკრიბებიან ერთად ღვთის გაფანტული შვილები. მე იმდენად არ განვმძვინვარებულვარ, რომ ვთქვა, რომ შეუწყალებლობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე კაცთმოყვარება. პირიქით, მე გირჩევთ, რომ საჭიროა ყველა ადამიანს ყურადღებით სიკეთე ვუყოთ და ყველასთვის ისეთი ვიყოთ, როგორიც მათ სჭირდებათ. ამასთან, მე მხოლოდ ვისურვებდი და გირჩევდით, რომ დაუშვებელია ერეტიკოსებს მხარი დავუჭიროთ მათ უგუნურ რწმენაში, პირიქით, შეურიგებელნი და მტკიცენი უნდა ვიყოთ. რადგან მე ვუწოდებ არა სიყვარულს, არამედ კაცთმოძულეობასა და საღმრთო სიყვარულისაგან განშორებას, როდესაც ვინმე მხარს უჭერს მწვალებლურ გადაცდომას და ამით ხელს უწყობს იმ ადამიანთა კიდევ უფრო მეტად დაცემას, რომლებიც მას მისდევენ“ [2].

ეფესელი წმინდა მარკ ევგენიკი ასევე აფრთხილებს მორწმუნეებს, თავი შორს დაიჭირონ იმ ცრუ-მოძღვართაგან, რომელნიც ფეხქვეშ თელავენ წმინდა მამათა გარდამოცემას: „გაურბოდეთ, ძმებო, მათ და მათთან ყოველგვარ ურთიერთობას. ასეთები არიან ეს ცრუ-მოძღვრები, ცბიერი მზაკვრები, რომლებსაც თავი ქრისტეს მოციქულებად მოაქვთ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თავად სატანა ნათლის ანგელოზად ეჩვენებოდა. ამიტომაც არ არის უცნაური, რომ მისი

მსახურები სიმართლის მსახურებივით იქცევიან. მაგრამ მათი ბოლო მათი საქმეების მიხედვით იქნება... თქვენ კი, როგორც ეს წმინდა მოციქულების მიერაა დადგენილი, მტკიცედ დეგით, დაიცავით გადმოცემა, რომელიც თქვენ მიიღეთ როგორც დაწერილი, ისე დაუწერელი სახით!“.

წმინდა გერმანე ახალი კონსტანტინეპოლის პატრიარქი (იოსებ ვრიენი) კვიპროსელებს მოუწოდებს: „კვიპროსზე მცხოვრებ ღვთის ერს, როგროც კათოლიკე ეკლესიის ჭეშმარიტ შვილებს, მოვუწოდებ, განერიდონ მღვდლებს, რომლებიც ლათინურ სიცრუეს აჰყვნენ, არ შევიდნენ მათ ეკლესიებში, არ აიღონ მათგან ლოცვა-კურთხევა. რადგან უმჯობესია სახლში ილოცო ღვთის წინაშე, ვიდრე ლათინებთან ერთად იარო ეკლესიაში, ხოლო შემდეგ კი მათთან ერთად ჯოჯოხეთში წახვიდე“.

წმინდა ათანასე დიდი, არიანელობის წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლი, მოწამე და აღმსარებელი, მორწმუნეენს ურჩევს: „სწორ და მაცხოვნებელ გზაზე შემდგარებმა, აღმოვიღოთ და განვაგდოთ თვალი, რომელიც გვაცდუნებს, არა ხორციელად, არამედ გონებისმიერად. თუ, მაგალითად, შეგხვდებათ ეპისკოპოსი ან პრესვიტერი, რომელიც უღირსად იქცევა [იგულისხმება მწვალებლობა] და ხალხს აცდუნებს, მათ განერიდეთ. რადგან უმჯობესია მათ გარეშე რომელიმე სამლოცველო სახლში შეიკრიბოთ, ვიდრე მათთან ერთად ცეცხლოვან გეენიაში ჩავცვივდეთ“.

და ბოლოს, მოვიყვანოთ წმინდა ათანასე დიდის ეპისტოლე, მიმართული ბერებისადმი, რომელშიც გადმოცემულია დებულებები, რომელთაც მარავალწილად დღევანდელი ბერმონაზვნობისთვისაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, ასევე - ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, რომლებიც ეკუმენისტური ერესის საშიშ გავრცელებას ეხეთქებიან. „ღმრთის სადიდებლად მოგესალმებით ჩემს ყველა საყვარელ ძმას, რომელიც განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა და ვინც მტკიცეა თავისი ღმრთის მიმართ რწმენაში! ვმადლობდეთ უფალს, რომელმაც თქვენ სარწმუნოება მოგანიჭათ, რათა თქვენ

წმინდანებთან ერთად საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდროთ. მაგრამ რადგანაც მრავალია ისეთი, ვინც არიოზის კვალდაკვალ დადის მონასტრებში, თითქოს სურდეს თქვენი გადარჩენა, მაგრამ სინამდვილეში ჩვენგან, მართლმადიდებელთაგან განდრეკილს, განზრახული აქვს, მოატყუოს უზაკვო გულები, და ასევე ბევრი ისეთი, რომლებიც, თუმცა კი არ ეთანხმებიან არიოზს, მაგრამ იწყნარებენ მას და მის მიმდევრებთან ურთიერთობას, მე იძულებული ვარ, დიდად გულწრფელი ძმების თხოვნით, პირდაპირ მოგწეროთ თქვენ: როგორც თქვენ მართლად და არამოჩვენებითად იმარახავთ სარწმუნოებას, რომელიც თქვენ ღმრთის მადლით მოგეცათ, მინდა გაგაფრთხილოთ - არ იქცეთ სხვათა მაცდუნებლებად. რადგან თუკი ვინმე დაგინახავთ თქვენ, ქრისტეს ერთგულ შვილებს, ასეთ [82] ადამიანებთან ურთიერთობაში მყოფებს ან მათთან ერთად მომსახურეებს, რა თქმა უნდა, ჩათვლიან, რომ მათი მწვალებლობა რაღაც არც ისე მნიშვნელოვანია და თავად გაეხვევიან ამ სიბინძურეში. ამგვარად, ჩემო საყვარლებო, რათა ასეთი რამ არ მოხდეს, განერიდეთ მათ, ვინც მისდევს არიანელობას, ხოლო უფრო მნიშვნელოვანია, განერიდოთ მას, ვინც აჩვენებს, რომ თითქოს არ ეთანხმება არიოზს, სინამდვილეში კი მის მიმდევრებთან ერთად მსახურობს. ძალიან მნიშნელოვანია, ვერიდოთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომელთა პოზიციები ჩვენთვის საძულველია. მაგრამ თუკი ვინმე მოვა და, როგორც ამას იოანე ღმრთისმეტყველი ამბობს, თან მოიტანს გამართულ სარწმუნოებას, მიესალმეთ მას და ძმასავით მიიღეთ. მაგრამ თუ ვინმე თავს მოგაჩვენებთ ისე, თითქოს თქვენს სარწმუნოებას აღიარებს, სინამდვილეში კი მათთან ურთიერთობს, ვინც ბოროტმადიდებლობაში ჰგიეს, განერიდეთ მათთან

[82] იგულისხმება მწვალებლებთან ურთიერთობაში ყოფნა - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ურთიერთობას. თუ იგი პირობას დადებს, რომ შეწყვეტს ამას[83], ძმად შერაცხეთ იგი. მაგრამ თუ ეწინააღმდეგება გამოსწორებას - მაშინ განაგდეთ იგი. მე შემეძლო გამეგრძელებინა ჩემი წერილი, მომეყვანა ამგვარი სწავლების სისწორე წმინდა წერილის მიხედვით. მაგრამ რამდენადაც თქვენ ყველანი ბრძენი ადამიანები ხართ, კარგად გესმით, თუ ვინ მოგმართავთ თქვენ, ხოლო თვითუარყოფის ღვაწლში მყოფებს შეგიძლიათ სხვებიც დაარიგოთ, ამიტომაც მოგმართავთ მოკლე წერილით, როგორც მეგობარი თავის საყვარელ მეგობარს, და მჯერა, რომ ასეთი ცხოვრებით თქვენ დაიცავთ სარწმუნოებას სიწმინდითა და სიწრფელით, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც დაინახავენ, რომ თქვენ არ მონაწილეობთ არამართლმორწმუნეებთან თანალოცვაში, ამისგან სარგებელს მიიღებენ, შეეშინდებათ, არ ჩავარდნენ ცოდვაში და ისწრაფებენ ისევე მოიქცნენ, როგორც ისინი, რომელთაც ისინი ხედავენ“ [3].

როდესაც ვკითხულობთ მრავალი ეკუმენისტური შეხვედრის, ლოცვის, ზეიმის შესახებ, ჩვენ შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ეხლახან ზემოთ მოყვანილი ყველა კანონი და წმინდა მამათა სწავლება სრულიად დარღვეულია: მწვალებლები „ქრისტესმიერ ძმებად“ იწოდებიან, მათი ორგანიზაციები - „და-ეკლესიებად“, აღიარებულია მათი მღვდლობა, ნათლობა და სხვა „საიდუმლოებები“, მათი სახელები ღვთისმსახურებისას მოიხსენიება, იკურთხება ქორწინებები მართლმადიდებლებსა და ერეტიკოსებს შორის, აღევლინება ერთობლივი ლოცვები, იდიდება დღესასწაულები, მიმდენარეობს ღია თანამშრომლობა. ამ ყველაფერთან ერთად ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ადამიანთა საკმაოდ არამრავალრიცხოვანი ჯგუფი ამას განდგომილებად მიიჩნევს, უმრავლესობა კი თავს არიდებს ან ინდიფერენტულად დუმს. ეს იმ ფაქტს ადასტურებს, რომ დღეს ეკლესიის მრავალი წევრის სინდისი პარალიზაბულია.

---

[83] მწვალებლებთან ერთობას - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

---

1. „წმინდა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმინდა მამათა კანონების კრებული“, ღვთისმეტყველების დოქტორის, ეპისკოპოს ნიკოდიმოსის (მილაშაში) განმარტებებით.

2. ეპისტოლე, XII: Patrologia Graeca, t, 91, col… 465 C

3. Patrologia Graeca, 26: 1185D-1188C.

ეკუმენიზმის მიზნები

ეკუმენისტური მოძრაობის ძირითად მიზანსა და ამოცანას ქრისტიანობის რეინტერპრეტაცია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობის სრული განადგურება წარმოადგენს. სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიებს შორის დიალოგი, ასევე, ერთის მხრივ, ქრისტიანობასა და, მეორე მხრივ, ისლამსა და იუდაიზმს შორის, ეჭვსგარეშეა, - მთელი კაცობრიობის რელიგიური გაერთიანების საერთო გეგმის ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენს. აუცილებელია მხოლოდ ახალი „მსოფლიო“ კრება[84], რომელიც „ნამდვილად“ მსოფლიო იქნება (οικουμενικοζ), რადგანაც შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ასეთს არ წარმოადგენს ეკუმენისტებისათვის (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პატივს მიაგებდნენ მათ გადაწყვეტილებებს). ამგვარად, საჭიროა ახალი კრება, რომელიც „ახალ ჭეშმარიტებებს“ გამოაცხადებდა მთელ მსოფლიოში. ჩვენ დავინახეთ, რა ადვილად მოიხსნა ანათემა პაპიზმის წინააღმდეგ, როგორ გამოცხადდენ მონოფიზიტები „აღმოსავლელ მართლმადიდებლებად“, როგორ ღიად ხდება ერეტიკული „წმინდა საიდუმლოებების“ აღიარება. კიდევ მრავალია ცალკეული ნაბიჯი, რომლებიც ამ „დიდ კრებაზე“

[84] ეკუმენისტების თვალსაზრისით - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

შეიძლება ოფიციალურად მოწონებულ და შესაბამისი გადაწყვეტილებებით დამტკიცებულ იქნეს. ასეთ კრებაზე, რომლის ჩატარებისთვისაც უკვე არაერთი ათწლეულია იბრძვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, შეიძლება ქრისტიანთა მსოფლიო გაერთიანება გამოცხადდეს. ამ ცრუ-კრების პროგრამა „მინიმუმი“ კი გახდება aggiornamento - ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში სულიერი ცხოვრების ყველა მიმართულების მოდერნიზაცია, ვატიკანის მეორე კრების მაგალითის მიხედვით.

არსებითად, ეკუმენისტები [1] „ეკლესიების“ საყოველთაო გაერთიანების ილუზიით ცხოვრობენ, რომელიც, მათი აზრით, დედამიწაზე ღვთის სასუფევლის წარმოქმნის საფუძველი უნდა გახდეს. რადგან ეკუმენიზმის საბოლოო მიზანი ყველა რელიგიის გაერთიანებაა, სრულიად ლოგიკურად ჩანს დღევანდელი მტკიცებები იმის შესახებ, რომ არა მხოლოდ ცალკეული ეკლესიები არ ფლობენ ჭეშმარიტების სისრულეს, არამედ ასევე თავად ქრისტიანობა საღვთო ჭეშმარიტების სისრულეს არ მოიცავს. სხვა სიტყვებით, ამ თეორიიდან გამომდინარე, ჭეშმარიტება შემოქმედი ღმერთის შესახებ ყველა არსებულ რელიგიურ ფორმას აღემატება, რომლებიც სხვადასხვა რელიგიებსა და ტრადიციებშია გამოხატული. ამ თვალსაზრისით ხალისით მოჰყავთ მაღალი მთის მაგალითი, რომლის მწვერვალზეც ასვლა სხვადასხვა მხრიდან არის შესაძლებელი, ანუ ღმერთამდე შეგვიძლია მივიდეთ ქრისტიანობითაც, ისლამითაც, ბუდიზმითაც, ინდუიზმითც, იუდაიზმითაც და შესაბამისად, სულაც არ არის აუცილებელი ერთი რელიგიიდან მეორეში გადასვლა, რადგანაც თითოეულ მათგანში, ასე თუ ისე, „სულიწმინდის მადლი“ არსებობს. არსებითად, მსგავს აზრებს ინდუისტი გურუები უკვე არაერთი ათწლეულია მთელ ევროპასა და ამერიკაში ავრცელებენ. ამასთან, ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ საფუძველზე აღმოცენებული ეკუმენისტური მოძრაობა მოცემულ მომენტში საკმაოდ აქტიურად აფართოებს არაქრისტიანებთან კონტაქტებს,

იმას მოწმობს, რომ ეკუმენიზმის მიზნები ქრისტიანულ კონფესიათა ჩარჩოებით არ ამოიწურება. თუმცა სწორედ აქ წარმოსდგება ძირითადი სიძნელეები, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანობა, რომელსაც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს, ამ მიზნის განხორციელების მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარეა ასეთი დაჟინებული სწრაფვა მართლმადიდებლობის შესასუსტებლად, შეურიონ მას ყველა შესაძლო მწვალებლობა. ამით გეგმის განხორციელება შესამჩნევლად გამარტივდება, რადგან სხვა რელიგიათა უმეტესობა არ ახდენს თავისი, როგორც ერთადერთი სწორი სწავლების აბსოლუტიზირებას. ამგვარად, წარმოსდგება აუცილებლობა „ერთობისა მრავალფეროვნებაში“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოცანა ის კი არ არის, რომ შეიქმნას ახალი რელიგია რაღაც უნიფიცირებული კულტითა და სწავლებით, არამედ არის ის, რომ ყველა რელიგია ერთი და იგივე სულიერი არსის გამოვლინებად გამოცხადდეს.

ამავე იდეებს ღიად ქადაგებს მასონობა, რომელიც, ბევრი სულიერი ავტორიტეტის აზრით, მთელი ამ მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს და ერთდროულად ორი მიმართულებით, - მსოფლიოს ეკონომიკურ-კუტურული და რელიგიური გაერთიანებისათვის, - მოქმედებს. სწორედ ამიტომ მსოფლიო ეკუმენიზმის ფუნქციონერთა დიდი ნაწილი, პიდაპირ თუ არა, ირიბად მაინც მონაწილეობს მსოფლიო მასონურ მოძრაობაში. დავსვათ კითხვა: შეიძლება იყო მასონი და იმავდროულად ქრისტიანი? თავდაჯერებული ეკუმენისტებისთვის აქ დილემა არ არსებობს. მათ ქრისტიანობა თავისებურად ესმით, როგორც საღმრთო ჭეშმარიტების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე ავთენტური ასახვა, ამასთან, რა თქმა უნდა, არა ერთადერთი. ამ პოზიციის შესაბამისად, ქვედა საფეხურზე იმყოფებიან ტოტემისტური[85] და

[85] ტოტემიზმი - დღემდე არსებული ადრეული რელიგიურ-სოციალური სისტემა, რომლის საფუძველშიც ე.წ. ტოტემის კულტი

ანიმისტური [86] რელიგიები, რომელთაც ღმერთზე ფრიად პრიმიტიული წარმოდგენა აქვთ. ყველაზე მაღლა - მსოფლიო რელიგიებია, რომელთა შორის ქრისტიანობაც არის. ამასთან, ეს ყველაზე დიდი რელიგიებიც კი განიხილება როგორც ერთი და იგივე არსის სხვადასხვაგვარი „ფოლკლორული და კულტურული სახეები“. სწორედ აქედან მომდინარეობს ეკუმენისტების სახიფათო სწრაფვა, „აიყვანონ უბრალო ხალხი“ ერთიანი „ახალი ქრისტიანობის“ დონემდე, რომელიც გათავისუფლებულია ყველა ისტორიული და კულტურული ანაქრონიზმისაგან (რომელთა რიცხვში, სავარაუდოდ, შედის საეკლესიო კანონები, რომლებსაც, ეკუმენისტების აზრით, დღესდღეობით არავითარი ღირებულება არ აქვთ, გარდა ისტორიული წარსულის ექსპონატებისა). შესაძლოა, ეს სწორედ ის „ქრისტიანობაა“, რომელსაც ამერიკელი მთავარეპისკოპოსი იაკობი ეძიებს; ის თავისუფალი უნდა იყოს წმინდამამებისეული ყველა უხერხული ტერმინისა და ძნელად ასათვისებელი ჭეშმარიტებისაგან. სინამდვილეში, სწორედ ეს ანაქრონიზმებია მთავარი დაბრკოლება ეკუმენისტებისათვის, რადგანაც ისინი ხელს უშლიან ქრისტიანობის „ახალ“ ტენდენციებზე მორგების მცდელობებს. აი, პასუხიც იმ საგონებელ კითხვაზე: რატომ თელავენ ეკუმენისტები ფეხქვეშ ასე ღიად საეკლესიო კანონებსა და გარდამოცემას? - ისინი ხომ მათთვის მხოლოდ სამუზეუმო და არქეოლოგიურ ფასეულობას წარმოადგენენ.

დევს. ტოტემა შეიძლება იყოს რაიმე ნიშანი, საგანი, ცხოველი, მოვლენა და ა.შ. - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[86] ანიმიზმი - (ლათ. *anima*, *animu* - *სამშვინველი და სული, შესაგამისად*) - განსაზღვრავს მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ ადამიანს, არამე ცხოველებსაც, მცენარეებსაც, ქვებსაც, მდინარეებსაც, ტბებსაც, მინდვრებსაც, ციურ მნათობებსაც და საერთოდ ყველა საგნებს აქვთ სული თუ სამშვინველი, და წარმოადგენენ ადგილებს, სადაც სულები ცხოვრობენ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

„ახალი ქრისტიანი“ მთავარეპისკოპოსი იაკობი, ანაფორაში შემოსილი იზომავს ბეისბოლის კეპკას

თუ ეკუმენისტების აზროვნების წესს მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის არ იქნება ძნელი გავიგოთ, თუ როგორ შეუძლია პატრიარქს, მუსულმანებს ბაირამობის დღესასწაული მიულოცოს ან იმამებთან ერთად მეჩეთში ილოცოს. ეკუმენისტური მოძრაობის ბელადებს სწამთ, რომ ყველა რელიგია ერთ ღმერთს ემსახურება და რომ ყოველ მათგანში ამა თუ იმ ხარისხით ღმრთის მადლი მყოფობს, შემოსილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი კულტურული და ისტორიული სამოსით.

პატრიარქი ალექსაი II და სირიის უმაღლესი მუფტი აჰმად კეფტარო

ამგვარ მსჯელობამდე მისულები, ისინი ყველა რელიგიაში სცნობენ ღმერთს, რომლის მიმართაც შესაძლებელია თავისებურად ილოცო. არსებითი განსხვავებები ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. და ამ ჭეშმარიტებით რომ განიმსჭვალონ ფართო მასები, საჭიროა ქრისტიანობა და სხვა რელიგიები გავათავისუფლოთ იმ ელემენტებისაგან, რომლებიც აღვივებენ პროზელიტიზმს, „აგრესიულობას“, იმის რწმენას, რომ „მხოლოდ ჩემი რელიგიაა სწორი, ხოლო ყველა სხვა - არა“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია განვამტკიცოთ „მოთმინებისა და ურთიერთგაგების“ სული. ამ შემთხვევაში ადამიანები მზად იქნებიან ყოველ ადამიანში თავისი ძმა დაინახონ, ყველა სარწმუნოებაში - თავისი სარწმუნოება და ყველა სულში - თავისი ღმერთი.

ძირითად სახარებისეულ იდეას, მოხდეს ყველა ადამიანის გაეკლესიურება ღვთის ერთიან ეკლესიაში, ერთ ჭეშმარიტებაში, ერთ სარწმუნოებაში, რაც სრულად ცათა სასუფეველში განხორციელდება ქრისტეს მეორეს მოსვლისა და საყოველთაო აღდგომის შემდეგ, - ამ იდეას ეკუმენისტები თავისებურ რეინტერპრეტაციას უკეთებენ. გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ისინი, არსებითად, ხილიაზმის იდეას ქადაგებენ ისტორიული „ცათა სასუფევლის“ აქ, დედამიწაზე დამყარების შესახებ. ყველა ჩვენთაგანისათვის შესანიშნავადაა ცნობილი წმინდა წერილიდან და წმინდამამებისელი ლიტერატურიდან, რომ მსგავსი იდეა განუხორციელებელია. ყველა ადამიანი მოწოდებულია ცხონებისათვის, მაგრამ ამ მოწოდებას ყველა არ ეხმიანება. მაცხოვარმა გამოუცხადა სახელი თვისი კაცთა, რომელნი მისცნა ზეციურმა მამამ სოფლისა ამისგან (იოან 17, 6). „მე მათთვის გკითხავ; არა თუ სოფლისათვის გკითხავ, არამედ მათთვის, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან“ (იოან. 17, 9). უფალი იმისათვის კი არ მოვიდა, რომ აცხოვნოს „სოფელი, რომელი ბოროტსა ზედა დგას“, არამედ - რათა იხსნას კაცნი სოფლისაგან და „თავადისაგან ამა სოფლისა“, რომლისთვისაც ეს

„სოფელი“ქრისტესა და მისი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია. ამიტომაც ეკლესია და ეს სოფელი მუდმივად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ეკლესია და ქრისტიანები „სოფლისაგანნი არა არიან“ (იოან. 17, 16), ისინი მასში დროებით ცხოვრობენ, ვითარცა მგზავრნი, ხოლო მათი სახლი - ზეცაშია. უფალი გვასწავლის ჩვენ: „უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თვისთა ჰყვარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიეთ თქუენ სოფლისაგან, ამისთვის სძულთ თქუენ სოფელსა“ (იოან.15,19). „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-ღა რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის თანა“ (1 იოან, 2, 15). მთელი წმინდა წერილი მკაფიოდ გვაგებინებს, რომ ეკლესიის წევრებსა და ყველა სხვა ადამიანებს შორის უზარმაზარი სხვაობაა. არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომ ეს სოფელი ქვეყნის აღსასრულის წინ ქრისტეს სახარებას მიიღებს, ჩვენ ვერსად ვერცერთ სიტყვას ვერ ვნახავთ იმის შესახებ, რომ ეს ქვეყანა იმ დროისათვის ამ ეკლესიაში მივა, როგორც ეს მოშურნე ეკუმენისტებს სჯერათ. პირიქით, წმ. წერილი გვასწავლის იმას, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანთა რიცხვი შემცირდება, რადგანაც ქრისტემ ეჭვი გამოთქვა, ნახავდა კი იგი, როდესაც ისევ მოვიდოდა დედამიწაზე, რწმენას კაცთა შორის? უფალი გვასწავლის ჩვენ, რომ ქრისტიანები ტანჯვას დაითმენენ, მათ დევნიან და შეავიწროვებენ, და ქრისტეს სახელის გამო ისინი „ყოველთაგან წარმართთა მოძულებულ იქნებიან. და მრავალნი ცრუ-წინასწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა...“ (მათ. 24. 9-12). იგი ერეტიკოსებსა და ჭეშმარიტებისაგან განდგომილებს ღიად მიმართავს: **„მრავალთა მრქუან მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინასწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“** (მათ. 7, 22-23).

საღმრთო წერილის ყველა ეს სიტყვა გვიჩვენებს, რომ არსებითად ეკუმენიზმი - ეს ხილიასტური მწვალებლობაა, რომელიც ვლინდება იმის სწრაფვაში, რომ ერთობა განახორციელოს კომპრომისის საფუძველზე ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის, ქრისტესა და ბელიარს შორის ერთიანი, „ახალი ეკლესიისა“ და ერთიანი „ახალი მსოფლიოს“ შექმნის მიზნით. მათ თითქოს ავიწყდებათ იმის შესახებ, რომ ამ დღეს „ცანი მძაფრიად წარხდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ“ (2 პეტ. 3, 10). ავიწყდებათ იმის შესახებ, რომ მხოლოდ ამ ჟამის აღსასრულის შემდეგ გამოჩნდება ახალი ცა და ახალი დედამიწა, ამასთან ერთად დამყარდება უფლის ყველა ერთგულის ერთობა, ერთობა, რომელიც ადამიანის ძალისხმევის ნაყოფი არ არის, არამედ ღმრთის შემოქმედებითი ძალის ნაყოფია. ეკლესიის ისტორია კიდევ იმასაც გვასწავლის, რომ ქრისტიანობა არასდროს გავრცელებულა უღმერთოებთან დიალოგისა და კომპრომისის გზით, იგი განივრცობოდა ჭეშმარიტების ცოცხალი დამოწმებისა და ყოველგვარი სიცრუისა და გადაცდომის წინააღმდეგ ბრძოლის წყალობით. განა მოციქულები უღმერთოთა ტაძრებში მიდიოდნენ, რათა იქ ქურუმებთან ერთად ელოცათ მშვიდობისათვის? ეკუმენისტები კი საზეიმოდ აცხადებენ, რომ „შეუწყნარებლობისა და დაპირისპირების“ დრო წავიდა. ისინი ცრუ მშვიდობას აცხადებენ, სრულებით არა იმას, რომელიც ქრისტესგან მოდის. („მშვიდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ!“), არამედ მშვიდობას, რომელიც ცრუ კომპრომისების შედეგია.

ამ ყველაფრიდან ნათელია, რომ ეკუმენიზმი მნიშვნელოვანი რგოლია მრავალ მცდელობათა ჯაჭვში, რომლის მიზანია ღმრთის შეცვლა ადამიანით, ღმრთის სასუფეველისა - კაცობრივი მეუფებით, ჭეშმარიტებისა - სიცრიუით, ზეცისა - მიწით. მასში ჩვენ იმავე ელემენტებს ვხედავთ, რასაც პაპიზმში, ჰუმანიზმში, კომუნიზმსა და კიდევ დაცემული კაცობრიობის მრავალ სხვა „იზმში“. ხოლო ამ ყველაფრის საფუძველში კი - „ამ

სოფლის თავადის“, ეშმაკის განზრახვაა, ამქვეყნად თავისი მეუფება, თავისი ფსევდო-ეკლესია დაამყაროს და მის სათავეში თავისი რჩეული, ცრუ ქრისტე - ანტიქრისტე დაადგინოს. ეს არის ეკუმენისტური ერესის მთავარი მიზნები და მიმართულებები.

იმისათვის, რომ ყველა ამ ეკუმენისტურმა იდეამ საზოგადოებაში „შეაღწიოს“ და უბრალო ადამიანების გარემოში დამკვიდრდეს, აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა. ამ პირობების შექმნას არც თუ მცირედ შეუწყო ხელი იმან, რომ მართლმადიდებლებმა თანდათანობით დაივიწყეს იმის გაგება, რომ ეკლესია - ეს არა მხოლოდ ეპისკოპოსები და მღვდლებია, არამედ მთელი მორწმუნე ხალხი. სარწმუნოებრივ საკითხებს, ძირითადად, რა თქმა უნდა ეკლესიის მოძღვრები წყვეტენ, მაგრამ ეს გადაწყვეტილებები არ ხდებიან შესასრულებლად აუცილებელნი, სანამ მათ ეკლესიის მთელი ერობრივი სხეული არ მიიღებს, სანამ ისინი, როგორც ერთი მთლიანობა, არ შევლენ ეკლესიის ცხოვრებაში. გავიხსენოთ მრავალი მაგალითი ისტორიიდან, როდესაც ეპისკოპოსები ქმნიდნენ სხვადასხვა უნიებს, შემოჰქონდათ მწვალებლობები და ა.შ... მაგრამ მორწმუნე ერი არ იღებდა ამას, ღიად აღუდგებოდა წინ ასეთ უკანონო გადაწყვეტილებებს, ხოლო ზოგჯერ კი ამხობდა ცრუ-მოძღვრებს, ცხვრის ტყავში გახვეული მგლების მსგავსებს. სწორედ ასეთია ფლორენციის უნიის მაგალითი, რომელიც, თუმცა კი ოფიციალურად იყო დამტკიცებული, მაგრამ მართლმადიდებელი ხალხის ცხოვრებაში ფეხი ვერ მოიკიდა.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვხედავთ სარწმუნოების საკვანძო საკითხებისადმი მორწმუნეთა უმრავლესობის სრულ ინდიფერენტულობას. უპირატესობს საზოგადო თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეს საკითხები მხოლოდ თეოლოგებსა და იერარქებს ეხებათ, ხოლო ხალხს კი ისღა დარჩენია, უსიტყვოდ მიიღოს ის, რასაც ეტყვიან. ასეთი პოზიცია მეტად საშიშია. მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი „დამცავი სარქველი“ არის მონაზვნობა, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე

არასდროს იყო გულგრილი სარწმუნოებრივი საკითხების მიმართ. მონაზვნები სინანულის ღვაწლში ცხოვრობენ, ამა სოფლისაგან განდგომილები, და ცდილობენ განერიდონ მოყვასის განკითხვას, როგორადაც არ უნდა დაეცნენ ისინი ზნეობრივად, მიაჩნიათ რა საკუთარი თავი ცოდვილთა შორის უპირველესად, მაგრამ სარწმუნოებრივ საკითხებში მონაზვნები უარყოფენ „ცრუ თავმდაბლობასა და ცრუ მორჩილებას“ და აღემართებიან, როდესაც ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას საფრთხე ემუქრება. ამისკენ მათ სინდისი უბიძგებს, აიძულებს, იღვაწონ იმ სარწმუნოების სიწმინდეზე, რომლისთვისაც ჩვენი წინაპრები, მოწამეები და აღმსარებლები სიცოცხლეს სწირავდნენ [2]. ცხონება ჩადენილი ცოდვის შემდეგ მონანიებით შეიძლება, მაგრამ თუ ჩვენ ნამდვილ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას დავკარგავთ, დავკარგავთ ერთობას ქრისტესთან, ჩავვარდებით ამპარტავნებაში, რომელიც არის „გმობა სულიწმიდისა“ - ამის გამო პატიება აღარ გვექნება. და, ცხადია, იმიტომ კი არა, რომ უფალი არ გვაპატიებს, არამედ იმიტომ, რომ მწვალებლობაში ჩავარდნილი ქრისტიანი კარგავს ცოცხალ კავშირს ღმერთთან, განეშორება ღმრთის მადლსა და კერპთაყვანისმცემელი ხდება, რომელიც ცრუ ღვთაებას, ფალსიფიცირებულ „ქრისტეს“ ეთაყვანება, რომლის ხატის უკან თავად სატანა დგას, როგორც შემოქმედი ყოველგვარი სიცრუისა და ტყუილისა. მწვალებლობას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ავთენტური სულიერი გამოცდილება, არა აქვს ღმრთის მადლი და სიწმინდე, არ აქვს ცხონება; მწვალებლობაში ჩავარდნილი, ადამიანი ხიბლში, სულიერ ტყუილში ვარდება, და ეშმაკისა და მისი ბოროტი ენერგიის მეკავშირე ხდება. დიდი შეცდომაა ჩავთვალოთ, რომ, თითქოს, ერეტიკოსებიც იმავე ღმერთს ემსახურებიან, რომელსაც მართლმორწმუნენი. და სწორედ ეს არის თანამედროვე ეკუმენიზმის ძირითადი გზავნილი, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც ამტიცებს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების გარეთაც არსებობს ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრება, სიწმინდე და ცხონება.

---

1. *აქ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვყავს ეკუმენისტური მოძრაობის ის პროტაგონისტები, რომლებიც ოფიციალურ ეკუმენისტურ პოლიტიკას ქმნიან. ეკუმენისტური დიალოგების მონაწილეთა შორის ბევრი ისეთი „გულუბრყვილო“ მართლმადიდებელი ქრისტიანია, რომლებიც ეკუმენიზმს აღიქვამენ როგორც სხვათათვის მართლმადიდებლური ჭეშმარიტების გაცნობის საშუალებას, ამასთან, მართალია, მათი განზრახვა სავსებით კონკრეტულია, მაგრამ ასეთი „მისიონერული“ მოღვაწეობის შედეგები გვიჩვენებს, რომ თავად ისინი უფრო მეტს გადმოიღებენ რომ-კათოლიკეებისა და პროტესტანტებისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელნი მართლმადიდებლებისგან. ისინი დიდ მიღწევად თვლიან, თუ ერეტიკოსები რომელიმე თავიანთ ოფიციალურ დოკუმენტში გარკვეულწილად აღიარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებას, ამასთან არ ესმით, რომ ამ „აღიარების“ მიღმა ინტელექტუალური ამპარტავნების ცივი სული ცხოვრობს, რომელსაც მართლმადიდებლობა მდიდარ საგანძურად მიაჩნია, საიდანაც ნებისმიერს შეუძლია აიღოს ის, რაც მას მოეწონება. ნებისმიერ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ თეოლოგს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ეკუმენისტურმა დიალოგმა არაფერი არ მოიტანა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, გარდა ზიანისა, აღარაფერს ვამბოთ იმ ზიანზე, რომელიც მართლმადიდებელ მორწმუნეებს მიადგა, როდესაც ისინი ხედავდნენ თავიანთ მოძღვრებს „ერთობლივ ლოცვებზე“, ინტრონიზაციისა და ხელდასხმის, ტაძრის კურთხევისა და მსგავს მოვლენებთან დაკავშირებულ საზეიმო შეხვედრებზე. მართლმადიდებელი ეკუმენისტების გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, მოსყიდულნი აღმოჩნდენ მდიდარ ძღვენთა და შენატანთა შედეგად, რომლებიც ერეტიკოსებმა ტაძრების, ინსტიტუტებისა და სხვა გასანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მათთვის გაიღეს. მათ წრეში, უთუოდ, არიან ისეთებიც, რომლებიც შეგნებულად ემსახურებიან „უსჯულოების საიდუმლოს“. ნებისმიერ შემთხვევაში საუბარია მრავალსახოვან საზოგადოებაზე, რომელიც მეტად თუ ნაკლებად, ნებით თუ უნებლიედ თავისი პირადი ცხონების წინააღმდეგ, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და, საბოლოო ჯამში, თავად ღმრთის წინააღმდეგ მოღვაწეობს.*

2. *გავიხსენოთ იოსებ ვრენის სიტყვები, რომლებიც ყველაზე ნათლად წარმოაჩენენ რწმენისა და ჭეშმარიტებისადმი მოშურნე მსახურებას:*

„არასოდეს განგეშორებით შენ, სანუკვარო მართლმადიდებლობავ! არასადა განგცეთ შენ მამათა მართლმორწმუნეობაო! არასოდეს დაგიტევებთ შენ, დედავ ღვთისმოსაობისაო! შენ მიერ ვიშვენით, შენ მიერ ვცოცხლობთ და შენთვის მოვკვდებით. და უკეთუ ჟამი არს ჭირისაჲ, შენთვის თავს ათასგზის გავწირავთ[87]“.

რა გავაკეთოთ?

ეს კითხვა დღეს წარმოსდგება მრავალი ქრისტიანის წინაშე, რომლებიც სულ უფო ხშირად ეჯახებიან ეკუმენისტური იდეების გავრცელებას სხვადასხვა დონეზე. უახლესი ისტორიის მრავალრიცხოვანი მოვლენა ნათლად მოწმობს იმას, რომ მიმდინარეობს დაჩქარებული მუშაობა ანტი-ეკლესიის შესაქმნელად, ქრისტიანობის გადასამუშავებლად, დოგმატებისა და საეკლესიო ისტორიის რეინტერპრეტაციისათვის, სულიერი ცხოვრების სეკულარიზაციისა და მოდერნიზაციისათვის. ჩვენ იმ პერიოდში ვცხოვრობთ, რომელიც ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე წმ. მარკოზ ეფესელის, ან თუნდაც არიანული, მონოფიზიტური და მონოთელიტური ერესების დრო იყო. იმ დროს ჩვენი წინაპრები ეჯახებოდნენ მხოლოდ ერთ რომელიმე ერესს, რომელიც ეკლესიას საფრთხეს უქმნიდა, დღეს კი ეკუმენისტური „პაკეტიდან“, როგორც ავისმომასწავებელ პანდორას [88] ყუთიდან, ასობით ერესი ჩნდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ დღემდე ეკლესია სხვადასხვაგვარ ხიფათთან

---

[87] როგორ გვაგონებს ეს რუის-ურბნისის წმ. მეფე დავით აღმაშენებლისეულ ძეგლისწერას - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[88] **პანდორა**, პანდორე (ბერძნ. Πανδώρα, „ყველასაგან დასაჩუქრებული“) - ბერძნულ მითოლოგიაში მაცდური, პირველი ციური ქალი. პანდორას ყუთი - კაცთა მოდგმის დასაღუპავად პანდორას მიერ დედამიწაზე ჩამოტანილი განსაცდელებით სავსე ყუთი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ასე, მაგალითად, წარუმატებელი ფლორენციის უნიის შემდეგ მართლმადიდებლობა ნამდვილ სულიერ რენესანსს განიცდიდა, რომელიც, პრაქტიკულად, სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ახლა კი სერიოზულად დგება საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება არც თუ ისე შორს არის ის დრო, როდესაც ეკლესიამ მხოლოდ კატაკომბებსა და უდაბნოში შეიძლება იარსებოს, იქ, სადაც ის ქრისტეს შეხვდება, - იქ, საიდანაც თავისი ისტორიული გზა დაიწყო.

წმინდა მარკოზ ეფესელი

დღევანდელ დღეს მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან ეკუმენისტური ერესის მიმართ რეაქციის ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს. პირველი - ეს არის ეკუმენიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ ფარგლებში. მეორე ვარიანტი კი უკავშირდება ამ ფარგლებიდან გასვლას და ყოველგვარი ოფიციალური ურთიერთობის გაწყვეტას იმ ეკლესიებთან, რომელთა მეთაურებიც ეკუმენისტურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ. მათ, ვინც პირველ საშულებას ირჩევს, სჯერათ,

რომ ჯერ კიდევ არის შესაძლებელი წმინდამამებისეული კურსის აღდგენა მთელ მართლმადიდებელ სამყაროში და ეკუმენისტურ ერესზე გამარჯვება, ისინი თვლიან, რომ ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ბრძოლის ყველა შესაძლებლობა არსებულ საზღვრებში, რომ არ ღირს მართლმადიდებელი ეკლესიის ისედაც გატანჯულ სხეულს განხეთქილებებით ახალი ჭრილობები მივაყენოთ. მეორე მხრივ, ისინი, რომლებიც ოფიციალურ საეკლესიო ორგანიზაციას განუდგნენ, დგანან პოზიციაზე, რომელიც შეიძლებოდა განგვესაზღვრა, როგორც „ეკლესიოლოგიური წინააღმდეგობა“. სინამდვილეში რაზეა აქ საუბარი?

არსებითად, საეკლესიო ცხოვრებაში წინააღმდეგობისა და განყოფის ცნებებს ნეგატიური შეფერილობა აქვს, რადგან ეკლესიისათვის დამახასიათებელია სიყვარული, მშვიდობა და თანხმობა. ამიტომ ყოველგვარი განყოფა და განხეთქილება, გამოწვეული პირადი ან ჭეშმარიტად ეკლესიურიდან დაშორებული მიზნებით, არაფრით არის გამართლებული და ქრისტეს საწინააღმდეგო გზად ითვლება. თუმცა ისტორიაში რამდენსაც გნებავთ იმდენ შემთხვევას ვნახავთ, როდესაც ეკლესიას თავს ესხმოდნენ „ცხვრის ტყავში გახვეული მგლები“, ანუ ერეტიკოსები, ხოლო მათ შორის იყვნენ მაღალი საეკლესიო ხარისხის მქონენიც, და მაშინ სამღვდელოება და ხალხი მათ განერიდებოდა, მათთან ყოველგვარ კავშირს წყვეტდა. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რას ამბობს IX საუკუნის პირველად და მეორედ კონსტანტინეპოლს შინა შეკრებილი კრების 15-ე კანონი: **„. . . თუ მღვდელი, ეპისკოპოსი, ან მიტროპოლიტი გაბედავს განდგომას თავისი პატრიარქის ერთობისგან და განსაზღვრებისა და განწესებისაებრ არ ახსენებს მის სახელს საღვთო ჟამისწირვის დროს, არამედ კრების მიერ განაჩენის გამოტანამდე და მის საბოლოო დასჯამდე განხეთქილებას მოიმოქმედებს, საღვთო კრებამ დაადგინა, რომ იგი სრულიად უცხო უნდა იქნეს ყოველგვარი მღვდლობისგან, თუკი ემხილა ეს უკანონობა. ეს უკვე განსაზღვრებული და**

დამტკიცებულია იმათ შესახებ, ვინც ცოდვის მიზეზით თავის მღვდელმთავარს განუდგება, განხეთქილებას მოიმოქმედებს და ეკლესიის ერთობას დაარღვევს. მაგრამ ის, ვინც განუდგება თავის მღვდელმთავართან ზიარებას იმ დროს, როდესაც იგი მწვალებლობას საჯაროდ ქადაგებს და აშკარად ასწავლის ეკლესიაში, და საკრებო განჩინებამდე თავის თავს განაშორებს ასეთი ეპისკოპოსის ერთობისაგან, არამცთუ თავისუფალია კანონთამიერი განკანონებისაგან, არამედ ჯეროვანი პატივის ღირსია, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისკენ მისწრაფების მქონე, რადგან განიკითხა არა ეპისკოპოსი, არამედ ცრუეპისკოპოსი და ცრუმოძღვარი და ეკლესიის ერთობა განხეთქილებით კი არ დასერა, არამედ ეკლესია იხსნა განხეთქილებისა და გაყოფისაგან".

მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანები ვალდებულნი არიან უსიტყვოდ დაემორჩილონ თავიანთ მოძღვრებს, რაიმე ცდომილებებისა თუ შეცდომების შემთხვევებშიც, რომელთაც ეჭვობენ რომ, ისინი ჩადიან, და დაელოდონ კრებების გადაწყვეტილებებს. ნებარდართულია, არ დაელოდონ კრების გადაწყვეტილებას და დაარღვიონ მორჩილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მწვალებლობა ღიად იქადაგება, რადგან ერესის მქადაგებელი მწყემსმთავარი აღარ არის ჭეშმარიტი ეპისკოპოსი და მწყემსმთავარი. პავლე მოციქული სულიერი მოძღვრისადმი მორჩილებას გვასწავლის: „მოიხსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ჰხედევდით გამოსლვასა მას ცხორებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა" (ებრ.13,7); „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ" (ებრ. 13, 17). მაგრამ თუ ჩვენი მასწავლებლები კარგები არ არიან, მაშინ რა ვქნათ? წმინდა იოანე ოქროპირი გვპასუხობს: „რა თვალსაზრისით? თუ სარწმუნოებრივ საკითხებში, გაექეცით მას და განერიდეთ მას, არა მხოლოდ მაშინ, თუ ის ადამიანია, არამედ თუნდაც ციდან

ჩამოსული ანგელოზი იყოს“ [1]. ამასვე გვასწავლის წმიდა წერილიც: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ. ვითარცა წინასწარ ვთქუ და აწ კუალად ვიტყვი: უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ! აწ კაცთა-მე ვერწმუნო ანუ ღმერთსა? ანუ ვეძიებ რას კაცთა მოთნებასა? რამეთუ უკუეთუმცა კაცთაღა სათნო-ვეყოფვოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“. (გალ.1, 8-10).

მრავალი ეკუმენისტი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ ისინი სხვა რწმენას ქადაგებენ, მეტიც, ისინი ღიად ამტკიცებენ, თითქოს სწორედ ისინი განმარტავენ სწორად ქრისტეს სწავლებას. ვნახოთ, თუ რას ამბობს ამის შესახებ წმინდა თეოდორე სტუდიელი თავის ერთ-ერთ წერილში: „ჩვენ, ყველა თვალსაზრისით მართლმადიდებლები, უარვყოფთ ნებისმიერ მწვალებლობას და ვაღიარებთ ყველა კრებას, მსოფლიოსა თუ ადგილობრივს, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული. ჩვენ ასევე მკაცრად ვიცავთ წმინდა და კანონიკურ კანონებს, რომლებიც ამ კრებებზე მიიღეს. რადგან შეუძლებელია, სრულიად შეისწავლო ჭეშმარიტების სიტყვისა, თუ იფიქრებ, რომ ფლობ ჭეშმარიტ რწმენას, მაგრამ ამასთან ერთად არ ხელმძღვანელობ ღვთიური კანონებით“ [2]. განა შეიძლება მართლმადიდებელი იყო და ამასთანავე ფეხქვეშ თელავდე წმინდა კანონებს?

განა შესაძლებელია, თავი მართლმადიდებელ ქრისტიანად და წმინდა მამათა მემკვიდრედ მიგაჩნდეს, და თავად სრულებით არ იქცეოდე ისე, როგორც წმინდა მამები, მოწამეები, აღმსარებლები იქცეოდნენ?

ღირსი თეოდორე სტუდიელის მაგალითი მეტად საჩვენებელია ჩვენს დროში, ისევე, როგორც წმინდა ათანასე დიდისა პირველ მსოფლიო კრებაზე და მაქსიმე აღმსარებლისა მეექვსეზე. წმინდა თეოდორე ხატმებრძოლეობაში არა მხოლოდ ხატების წინააღმდეგ ბრძოლას ხედავდა, არამედ -

მწვალებლობასაც, რომელიც ბევრად უფრო დიდი იყო მასზე. ერეტიკოსები ცდილობდნენ, გაეტარებინათ ფართო საეკლესიო რეფორმა, რომელსაც თანდათანობით უნდა გაეუქმებინა ლოცვითი თაყვანისცემა ღმრთივსათნო წმინადანებისა, მათი წმინდა ნაწილებისა, თვით ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა. ამ რეფორმის შესაბამისად წირვა მოკლდებოდა, მარხვები და დღესასწაულები უქმდებოდა, მონასტრების წეს-განგება ლიბერალიზდებოდა, სამონასტრო ქონების კონფისკაცია ხდებოდა, ბერ-მონაზვნების რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდებოდა, ხოლო ეპისკოპოსები მხოლოდ სამეფო საბჭოს კურთხევით უნდა აერჩიათ. საუბარია თავისებურ აღმოსავლურ რეფორმაციაზე [3], რომელიც ამასთანავე მეტად გვაგონებს კათოლიკურ „aggiornamento”-ს.

თუმცა დავუბრუნდეთ „მართლმადიდებლური წინააღმდეგობის“ ეკლესიოლოგიურ პოზიციას. მისი საწყისი წერტილი არის რწმუნება იმის შესახებ, რომ საეკლესიო თემები, რომლებიც ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობენ, ქრისტეს ეკლესიის სნეულ ნაწილებს წარმოადგენს. ასწეთი პოზიცია განსხვავდება იმ ცალკეული ექსტრემისტული დაჯგუფებების რადიკალური ეკლესიოლოგიური პოზიციისაგან, რომლებიც იქამდე მიდიან, რომ ასეთ ეკლესიებში მადლის არსებობას უარყოფენ [4], რაც, სინამდვილეში, კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე ეკუმენიზმი და მის უკიდურეს საწინააღმდეგოს წარმოადგენს.

ამგვარად, როგორია დღეისათვის იმ საეკლესიო თემებთან დამოკიდებულება, რომლებიც ეკუმენიზმს ეწინააღმდეგებიან? ის მეტად განსხვავებულია. მაგალითად, ავიღოთ რუსული მართლმადიდებლური საზღვარგარეთული ეკლესია. ერთი მხრივ, ოფიციალურ მოსკოვს რმსე[89]-ს იერარქიისთვის არასოდეს აუყრია ხარისხი და არასოდეს გადაუცია იგი ანათემაზე (ასევე არაფერი მსგავსი არ ყოფილა საპირისპირო მხრიდანაც), სერბულ ეკლესიას რმსე-ს იერარქიასთან არაოფიციალური ურთიერთობა

[89] რუსული მართლმადიდებლური საზღვარგარეთული ეკლესია - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

აქვს, ასევე გააჩნია ტრადიციულად ძლიერი სულიერი კავშირები. კონსტანტინეპოლი ამ საკითხის მიმართ მეტად ანტაგონისტურად არის განწყობილი. უკვე დიდი ხანია, კონსტანტინეპოლელი იერარქები რმსე-ს საკითხთან დაკავშირებით ცდილობენ კონსენსუსის მიღწევას, რათა იგი ოფიციალურად განხეთქილებაში მყოფ ორგანიზაციად გამოცხადდეს [5]. ასეთი შეურიგებელი პოზიცია გარკვეულწილად პროვოცირებულია რუსული საზღვარგარეთული ეკლესიის მიერ საბერძნეთში რამდენიმე ძველმესტილე ეპისკოპოსის ხელდასხმით, რამაც, ფაქტობრივად, ამ მოძრაობას[90] გადარჩენის საშუალება მისცა. გარდა ამისა, რმსე თავშესაფარს აძლევდა კონსტანტინეპოლის ეკუმენისტური კურსის ბევრ მოწინააღმდეგეს, რომლებიც მთელ მსოფლიოში იყვნენ გაფანტულნი. სერიოზული პრობლემები იქმნება ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად რმსე ეპარქიებს ქმნის რუსეთის ტერიტორიაზე[91]. რმსე-ს იერარქები ამას იმით ხსნიან, რომ აუცილებელია კონტაქტი დაამყარონ ცალკეულ სამრევლოებთან და მღვდლებთან, რომლებიც აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მოსკოვს არ სურს უარი თქვას თავის სერგიანულ წარსულზე [92], აღიაროს სიმართლე რუსეთის ეკლესიის ვნების შესახებ და გაწყვიტოს კავშირი ეკუმენისტურ მოძრაობასთან. მოსკოვის საპატრიარქო რმსე-ს ფანატიზმში, რუს ხალხში სქიზმატური განწყობის გავრცელებაში ადანაშაულებს და ართმევს მას უფლებას, ამ საკითხებში მოსამართლე გახდეს, რადგან თავად რმსე-ს ეს

---

[90] ძველმესტილობას -ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[91] წინამდებარე წიგნის გამოსვლის შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა, კერძოდ, ფაქტობრივად მოხდა რმე-სა და რმსე-ს გაერთიანება - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

[92] ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ამ მიმართულებით რმე-ს ცხოვრებაში - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

ტანჯვა არ გამოუვლია. რაც შეეხება ძველი კალენდრის ერთგულებას საბერძნეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში, ზოგიერთ ადგილობრივ ეკლესიებს, რომლებიც იულიუსის კალენდრის მიხედვით ცხოვრობენ, არ სურთ ამ მოძრაობის მხარდაჭერით ურთერთობა გაიფუჭონ იმ ახალი სტილის მიმდევარ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, რომელთა პოზიციაც ძველი სტილის მიმდევრებთან შეურიგებელი და აგრესიულიც კია [6]. ამასთან არ ხდება ცალკეული ჯგუფების განსხვავებულ პოზიციებს შორის მკაფიო გაყოფა. საინტერესოა იერუსალიმის საპატრიარქოს პოზიცია, რომელიც ბოლო დროს აქტიურ არაოფიციალურ ურთიერთობებს იჭერს ძველმესტილეთა ზოგიერთ ზომიერ ფრთასთან, ასევე რმსე-სთან, რომელსაც უკვე დიდი ხანია თავისი წარმომადგენლობა ჰყავს წმინდა მიწაზე.

მიტროპოლიტი ფილარეტი (ვოზნესენსკი) და არქიმანდრიტი იუსტინე (პოპოვიჩი)

ამასთან, მიუხედავად ეკლესიის ამ ოფიციალური პოზიციისა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და უთანხმოების სხვა მიზეზებისა, ჩვენ შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ ზემოხსენებული საეკლესიო თემები, მიუხედავად იმისა, რომ არა აქვთ რეგულარული კანონიკური სტატუსი, დღესდღეობით

თავიანთი ანტიეკუმენისტური პოზიციით მართლმადიდებლური გადმოცემის ცოცხალ ხმას წარმოადგენენ და ამავე დროს ძლიერ მხარდაჭერას აძლევენ მათ, ვინც ოფიციალური ეკლესიის ფარგლებში რჩება და ეკუმენიზმის წინააღმდეგ იბრძვის.

მხოლოდ გავიხსენოთ, თუ როგორი გავლენა მოახდინა თავის დროზე ეგრეთ წოდებულმა „წუხილიანმა ეპისტოლეებმა“, რომლებიც რუსული საზღვარგარეთული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა ნიუ-იორკის მიტროპოლიტმა ფილარეტმა (1965-1985) დაწერა, - მან 1966 წლიდან აქტიური ანტიეკუმენისტური ბრძოლა დაიწყო, დაუგზავნა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებსა და სხვა ეპისკოპოსებს ღია წერილები, რომლებშიც მოუწოდებდა, მორიდებოდნენ ეკუმენიზმის ყოველგვარ ერესს, რომელიც ანტიქრისტეს მოსვლას ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილებს ფრიად პოზიტიური გამოხმაურება ჰქონდათ მთელი რიგი მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან, საერთო პასუხი ამ „უდაბნოში მღაღადებელ ხმაზე“ დუმილი გახდა. ამასვე შეეჯახენ არქიმანდრიტი იუსტინე (პოპოვიჩი) და მამა ფილოთეოსი (ზერვაკოსი) [7], რომლებიც ასევე აფრთხილებდნენ მორწმუნე ხალხსა და იერარქიას ეკუმენიზმის მცდარ გზაზე შედგომის საშიშროებასთან დაკავშირებით. მათ ტექსტებში, ისევე როგორც სერბი წმინდა ეპისკოპოსის ნიკოლოზის (ველიმიროვიჩის) და ჯორდანვილელი მთავარეპისკოპოსის ამბერკის (ტაუშევის) შრომებში, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მართლმადიდებელი ეკლესიის ცოცხალი და ჭეშმარიტად სწორი დამოკიდებულება ეკუმენიზმისა და მართლმადიდებლობის რეფორმის მიმართ.

მამები იუსტინე და ფილოთეოსი გაგებით ეკიდებოდნენ მათ, ვინც ეკუმენიზმის, მოდერნიზმის უფრო მეტი სეკულარიზაციისა და უღმერთო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოეყო ოფიციალურ ეკლესიას, თუმცა თავად ისინი მსგავსი გზით

არასდროს წასულან, რადგან შიშობდნენ, რომ უფრო მეტი განხეთქილება და არეულობა არ შემოეტანათ. და მაინც, მათ ბოლომდე არ შეუწყვეტიათ მორწმუნეთა გამოსაფხიზლებლად ჭეშმარიტების ქადაგება. ასეთი პოზიცია სამეუფო გზას წარმოადგენს, რომელიც, ერთი მხრივ, ეკუმენიზმის ხიბლს უპირისპირდება, მეორე მხრივ კი - არ თესავს პანიკასა და ახალ განხეთქილებებს, ცალკეული ზილოტების ექსტრემისტული „ჰიპერმართლმადიდებლური“ მოღვაწეობის მსგავსად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ყოველთვის მხედველობაში ჰქონდათ მართლმადიდებლური ჭეშმარიტების ქადაგების აუცილებლობა არამართლმადიდებელთა წრეში, სიყვარულითა და ყოველგვარი შელამაზების გარეშე, მაგრამ არა ცრუ „სიყვარულის დიალოგის“ გზით, არამედ აქტიური მართლმადიდებლური ცხოვრებით, წმინდა მამების, წმინდა მსოფლიო კრებათა გზით.



წმ. ნიკოლოზი (ველიმიროვიჩი) და მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი)

ცალკეულ ზილოტთა „ჰიპერმართლმადიდებლობა“ უმეტესწილად ეწინააღმდეგება წმინდა მამათა სულისკეთებას, რომლებიც სარწმუნოებრივ საკითხებში უჩვეულოდ მკაცრნი იყვნენ, რაც, მიუხედავად ამისა, მათ ხელს არ უშლიდათ, გამოეხატათ თავიანთი სიყვარული არა თავად ერესის, არამედ

იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც დიდი სულიერი სიცრუის მსხვერლნი გახდნენ. ზილოტების უზომო აქტიურობას მართლმადიდებლობისთვის ზიანი უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე - სიკეთე. დღესდღეობით, სამწუხაროდ, მართლმადიდებლობის მრავალი მოშურნე არსებობს, რომლებიც ყველა ეკუმენისტს იოლად უწოდებს მწვალებელს. იყვნენ ადამიანებიც, რომლებიც მწვალებელთა წინაშე თამამად ქადაგებდნენ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია არის ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია. ახლა, სამწუხაროდ, უფრო მეტია ისეთი, ვინც ან დუმილს ამჯობინებს, ან ამას უარყოფს. და აქ ისინი ერესის ფარგლებში შედიან, რადგან კაცთმოთნეობის გამო ჭეშმარიტების შესახებ დუმილი ამ ჭეშმარიტების უარყოფას ნიშნავს. და თუ ვინმე ფიქრობს, მართლმადიდებლობის დასაცავად ასე გამოვიდეს, მან არასწორი გზა აირჩია. სწორედ ჭეშმარიტების წმინდამამებისეული არაპირმოთნე სიტყვა, გამყარებული მოყვასისადმი გულწრფელი ღმერთკაცობრივი სიყვარულით, - აი, ეს არის ყველაზე მძლავრი იარაღი ყოველგვარი სიცრუისა და ერესის წინააღმდეგ. დღეს კი, როდესაც რომელიმე მართლმადიდებელი იერარქი ესწრება ერეტიკულ მსახურებას, არასწორი სარწმუნოების მქონე პირებს მშვიდობის კოცნით ეამბორება და მათთან ერთად ლოცავს ხალხს, იგი, რომელიც სინდისს იმით იმშვიდებს, რომ ღვთისმსახურებაში მონაწილეობა არ მიუღია და მათთან ერთად არ ზიარებულა, ირიბად მაინც აღიარებს მათ ერესს და მწვალებლებთან სულიერ ურთიერთობას ამყარებს. ასეთი საქციელის შედეგი ორმაგად დამღუპველია. ერთი მხრივ, ჭეშმარიტების არდამოწმების გამო ის კიდევ უფრო განამტკიცებს მწვალებლებს თავიანთ არასწორ რწმენაში, ხოლო მეორე მხრივ, აცდუნებს მორმუნეებს. აქვე მიზანშეწონილია გავიხსენოთ სახარების სიტყვები: „უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ვირით საფქველისაჲ ზედა ედვა ქედსა მისსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა“ (ლუკ.17,2).

წმ. ეგნატე (ბრიანჩანინოვი) და წმ. თეოფანე დაყუდებული

ბუნებრივია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია განდგომილების შეჩერება და რაღაც „დიდი“ უნიატური კრების მოწვევის ან ეკუმენისტური ერთობის დამყარების ხელის შეშლა, მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს, რომ კიდევ ერთი ადგილობრივი ეკლესია ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე ნაწილი შეიძლება გადარჩეს დამღუპველ ბადეში მოხვედრისაგან მწვალებლებთან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ყოველგვარი კავშირის დროული გაწვეტით. და ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ეკუმენიზმის მწვალებლობის მხილება, რომელიც სწორედ იმის წყალობით ფართოვდება, რომ ბევრისათვის არ არის ცნობილი მისი ნამდვილი მიზნები და ქვენა ზრახვები. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეკუმენისტური მოღვაწეობა დაიწყებს აქტიურ გავრცელებასა და თუ მომავალში ერეტიკოსებთან გაერთიანება დაკანონდება, მაშინ აუცილებელი იქნება მოვიქცეთ ზემოხსენებული კანონების შესაბამისად და გამოვეყოთ[93] იმ მიზნით, რათა თავი გადავირჩინოთ ერესის დამღუპველი ზეგავლენისაგან. უფრო მეტიც, ახალი დროის წმინდა მამების

[93] ცრუ ერთობას - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ნაწერებზე დაყრდნობით, ისეთებისა, როგორებიც არიან წმ. ეგნატე (ბრინჩანინოვი) [8] და თეოფანე დაყუდებული, ჩვენ შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ სწორედ ჩვენს დროში არის მოსალოდნელი საყოველთაო განდგომილება, რომლის დროსაც ერესი ოფიციალურ საეკლესიო ადმინისტრაციაში შეაღწევს, ხოლო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია კატაკომბებში გადაინაცვლებს.

ღირსი ლავრენტი და მღვდელმონაზონი სერაფიმე (როუზი)

ისეთი თანამედროვე სულიერი მოძღვრების წინასწარმეტყველებანი კი, როგორიც არის მამა ლავრენტი ჩერნიგოველი [9], სერაფიმე (როუზი), მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტატუშევი), გვამცნობენ, რომ ახალი ცრუ „გაერთიანებული ქრისტიანობა“ დაიწყებს სიცრუის გავრცელებას იმის შესახებ, რომ სწორედ ის არის ერთადერთი ქრისტეს ეკლესია. დაიწყებს ახალი ტაძრების აშენებას, აღასრულებენ დიდებულ „მშვიდობის ლიტურგიებს“ (ალბათ იმის მსგავსებ, კანბერაში რომ ჩატარდა), ყველგან ისაუბრებენ მშვიდობისა და სიმართლის ახალ ერაზე. მაგრამ ამ ბაბილონის გოდოლში, რომელიც საეკლესიო გარეგნობას მიიღებს, არ იქნება არც ჭეშმარიტება, არც ღმრთის სული. ქრისტეს ერთადერთი და

ჭეშმარიტი ეკლესია - მართლმადიდებელი ეკლესია - ცოცხალი იქნება, ალბათ - მცირე კატაკომბურ თემებში, ქალაქებში, ტყეებსა და გამოქვაბულებში, ღმერთშემოსილი ეპისკოპოსების, მღვდლებისა და ბერების წინამძღოლობით, სატელევიზიო კამერებისათვის სრულიად დაფარულად. ამ მცირე ეკლესიათაგან მრავალს, ალბათ, არ ეცოდინებათ ერთმანეთის შესახებ. და მათ ერთმანეთთან ხილული ადმინისტრაციული კავშირები კი არ დააკავშირებს, არამედ მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთობა, წმინდა მამათა გადმოცემა და ქრისტეს სისხლსა და ხორცთან ზიარება. ეს თემები სასტიკად იქნებიან დევნილნი, ისევე როგორც ეს ძველი რომის დროს იყო, და ცრუ „ქრისტიანობისა“ და სხვა გაერთიანებული რელიგიების მიმდევრები მათ ფანატიკოსებად, არაჰუმანურ ადამიანებად, უცხოებად, მიზანთროპებად [94] ჩათვლიან, რომლებიც „დედამიწაზე კეთილდღეობისა და საყოველთაო ბედნიერების“ ახალ მსოფლიო წესრიგს ეწინააღმდეგებიან (ასეთივე პოზიცია ჰქონდათ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში უღმერთოებს, და მათ შორის იუდეველები ავრცელებდნენ თვალსაზრისს, თითქოს ქრისტიანები იყვნენ კაცთმოძულეები, რომლებიც საშინელ ორგიებს აწყობენ და შეწირული ჩვილების სისხლს სვამენ). ბევრს, ალბათ, სპეციალურ ბანაკებში დაატყვევებენ გამოსასწორებლად, სადაც სასტიკად აწამებენ, რათა მათ უარი თქვან ცოცხალი ღმერთის რწმენაზე და განუდგნენ მის ეკლესიას, დაემორჩილონ ამა ქვეყნის ხელისუფლებას. ამგვარად, ეკლესია, როგორც თავისი არსებობის დასაწყისში, წმინდა და უბიწო ქალწულის მსგავსად, მოწამეთა და აღმსარებელთა სისხლით განბანილი, მიეგებება თავის სიძეს.

---

1. სიტყვა 34 ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს შესახებ.

2. წერილი 1, 30 (PG 99: 1005 D).

---

[94] მიზანთროპი - კაცთმოძულე, საზოგადოებიდან განდგომილი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ამ შემთხვევაში კონკრეტულად საუბარი იყო მეფის, კონსტანტინე VI-ის უკანონო ქორწინების პრობლემაზე, რომელმაც ქორწინებაზე კურთხევა მიიღო პატრიარქ ტარასისგან, რომელთანაც ღირსმა თეოდორე სტუდიელმა კავშირი გაწყვიტა, რადგან მან საეკლესიო კანონების საწინააღმდეგოდ იმოქმედა. ღირსმა თეოდორემ სარწმუნოების აღმსარებლობისათვის დაითმინა ორწლიანი დევნა და პატიმრობა და გათავისუფლდა მხოლოდ 798 წელს, როცა ტახტზე დედოფალი ირინა ავიდა. წმინდა თეოდორემ, მალევე, 806 წლის შემდეგ გაწყვიტა კავშირი პატრიარქ ნიკიფორესთან, უღირსი იღუმენის რეაბილიტაციის გამო, რომელმაც უკანონო ქორწინება აღასრულა. ამის გამო იგი 809 წელს გასამართლებულ იქნა წმინდა სინოდის მიერ და კვლავ დევნილი გახდა, რომლისგანაც იგი 811 წელს მეფე მიხეილ რანგავამ დააბრუნა. ოთხი წლის შემდეგ წმინდა თეოდორე კვლავ დევნილებაში აღმოჩნდა: ამჯერად აღმოსავლეთის ეკლესია ხატმებრძოლობის კრიზისმა მოიცვა, რომელიც ზუსტად 120 წელი გრძელდებოდა. ღია კონფლიქტი გაჩაღდა, როდესაც იმპერატორმა ლევ სომეხმა მოთხოვა პატრიარქ წმ. ნიკოფორეს, რომ მას ეკლესიებიდან ხატები გაეტანა. როდესაც პატრიარქმა ამის გაკეთებაზე უარი თქვა, დაიწყო მათი დევნა, ვინც ხატების თაყვანისცემას აგრძელებდა. როცა მეფე-ერეტიკოსმა მოისურვა, რომ ღირსი თეოდორე თავის მწვალებლობაზე მოექცია და სტუდიის მონასტერში მივიდა, წმინდა თეოდორემ ჩაკეტა ჭიშკარი და მის მიღებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მონასტერში სამეფო გვარდია შეიჭრა და წმინდა თეოდორე და სხვა ბერები სასტიკად აწამეს. წმინდანის ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილია მართლმადიდებლობის აღმსარებლობისათვის ყველა მისი აღმსარებლური ტანჯვის შესახებ. წმ. თეოდორეს შეეძლო ეს წამება თავიდან აერიდებინა, თუკი ის, სხვა იღუმენების მსგავსად, ხატების თაყვანიცემის აკრძალვის აქტზე ხელს მოაწერდა.

3. „...არცერთი ერესი, რომელიც ეკლესიას აშფოთებდა, არ შეიძლება ხატმებრძოლეობის ერესზე უფრო საშიში იყოს[95]. იგი უარყოფს

---

[95] სამწუხაროდ, თეოდორე სტუდიელის ამ სიტყვების შემდეგ მწვალებლობამ უფრო საშიში ფორმები შვა და ამჟამად, წმ. იუსტინე პოპოვიჩის სიტყვებით, სწორედ ეკუმენიზმია ერესთა ერესი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

ქრისტეს და ანადგურებს მის ხატებას. ერთი მხრივ, ის ლუღლუღებს, რომ ქრისტეს სხეულის აღწერა შეუძლებელია, რითაც ის უარყოფს იმას, რომ სიტყვამ ხორცი შეისხა, იმიტომ რომ, თუკი ის განსხეულდა, მისი გამოსახვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. იმის მტკიცება რომ ის - მოჩვენებაა (ფანტომია) მანიქეველური „სახარებისათვის“ არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ, (ხატმებრძოლობა) ძირისძირამდე ანადგურებს, ანგრევს ღვთის ეკლესიებსა და ყოველგვარ სიწმინდეს, რაზეც ქრისტეს, ღვთისმშობლის ან რომელიმე წმინდანის ხატებაა გამოსახული“. ღირსი თეოდორე სტუდიელი. წერილი II, 81 (PG99:1321D-1324A).

4. 1937 წელს მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოს ფლორინელმა (†1955), ძველმესტილე ბერძენთა მოძრაობის მეთაურმა, პასუხი გასცა კითხვას იმის შესახებ, ფლობს თუ არა ოფიციალური ეკლესია სულიწმინდის მადლს. „ახალი კალენდრის ეკლესია დამნაშავეა ღვთის წინაშე იმის გამო, რაც მან გააკეთა. ამიტომ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს (ძველი სტილის მომხრეებს) არ შეუძლიათ მასთან ერთობაში იყვნენ; ამასთანავე, რადგან მისი სამღვდელოება სხვა საკითხებში არ განუდგა საეკლესიო გადმოცემას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ისევ ფლობს სულიწმინდის მადლს“. იგი თვლიდა, რომ ოფიციალური ეკლესია უფრო პოტენციური, ვიდრე რეალური, განხეთქილების მდგომარეობაში იმყოფება და ამ მდგომარეობაში იქნება მანამ, სანამ რომელიმე სრულიადმართლმადიდებელთა კრება არ დაგმობს კალენდრის რეფორმას. ამის შემდეგ ორმა ეპისკოპოსმა - გერმანე კიკლადიელმა და მათემ - მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან დაამახინჯა ძველმესტილეთა მოძრაობის ძირითადი პრინციპები და განეყვნენ მას, გადავარდნენ რა შემდეგ ექსტრემიზმში, რომელსაც მათი მიმდევრები აგრძელებენ.

5. ფანარას იმ ღია ბრალდებას, რომ რუსული საზღვარგარეთული მართლმადიდებელი ეკლესია სქიზმატურ (განხეთქილებაში მყოფ) თემს წარმოადგენს, მთავარეპისკოპოსმა ამბერკიმ უპასუხა, რომ სქიზმატებად უფრო ისინი უნდა ჩაითვალონ, ვინც თავიანთი სიახლეების შემოტანით განუდგებიან ეკლესიის წმინდა გადმოცემას, ვიდრე ისინი, რომლებიც მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვის მიზნით ასეთებს განუდგნენ. ასეთი პოზიცია გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომელიც ყოველთვის არსებობდა მართლმადიდებელ ეკლესიაში - მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი საზომი არის ის, თუ რამდენად ვიცავთ წმინდა გადმოცემას და ვცხოვრობთ მის მიხედვით,

და არა ის, ვეთანხმებით თუ არა ჩვენ უმრავლესობის აზრს. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ეწინააღმდეგებოდა მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს, რომელიც მონოთელიტობის ერესში ჩავარდა, და მაინც განდგომილი იყო არა ის, არამედ მისი ოპონენტები: პატრიარქი კლიროსთან[96] ერთად, იმპერატორი და სხვანი. ნებისმიერი გზით გარეგნული ერთობის შენარჩუნება ერეტიკულად განწყობილ იერარქებთან, ვითომდა ეკლესიის სიმშვიდისათვის, სინამდვილეში - სწორედ ეს არის ნამდვილი განდგომილება და მართლმადიდებლობის ღალატი.

6. იშვიათად ისმის ფრაზები, მსგავსი ათენელი მთავარეპისკოპოს დოროთეს |(1956-1957) სიტყვებისა, რომლებიც მან ძველმესტილეებთან დაკავშირებით წარმოთქვა: „ძველმესტილეთა მოძრაობა არ არის არც ერესი, არც სქიზმა. ისინი კი, ვინც მასში მონაწილეობენ, არც ერეტიკოსები, არც სქიზმატები არიან, ისინი მართლმადიდებელ ქრისტიანებს წარმოადგენენ"[97].

7. მამა ფილოთეოსი (ზერვაკოსი)[98] ამ საუკუნის ბერძნული მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასულიერო პირია. ცხოვრობს რა წმინდამამებისეული მართლმადიდებელი გადმოცემის ღრმა განცდით, ის გამუდმებით აფრთხილებს მორწმუნეებს სულიერი ცხოვრების მოდუნების საფრთხის, მოდერნიზმისა და ეკუმენიზმის თანამედროვე საფრთხეების შესახებ. მართალია მას სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი ოფიციალურ ბერძნულ ეკლესიასთან, მაგრამ ის გაგებით ეკიდებოდა მათ, ვინც ტრადიციებსა და ძველ სტილს იცავდა. ამასთან, იგი სერიოზულად აკრიტიკებდა მათ შორის იმათ, ვინც უკიდურეს ზილოტობაში ჩავარდა და ახალი სტილის მიმდევარი ოფიციალური ეკლესია მადლგარეშედ გამოაცხადა, რითაც მცდარ გზაზე შემდგარი

---

[96] სასულიერო დასი - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

[97] იმ დროისთვის ძველმესტილეობა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ფორმირებული, როგორც სქიზმა

[98] მამა ფილოთეოს ზერვაკისი (†1980წ. 8 მაისს) - თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი ასკეტი ბერი, რომლის ცხოვრება უფლის სიყვარულისა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მეოხების ნათელი მაგალითი გახლდათ - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

აღმოჩნდა. მსგავს პოზიციას [99] მისდევდნენ საბერძნეთის სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო პირები, რომლებიც ცნობილნი არიან ტრადიციებისადმი ერთგულებით, მაგალითად, მამები იოილ იანაკოპულოსი და ეპიფანე თეოდოროპოლუსი, რომლებიც ძველმესტილეთა ექსტრემიზმს არანაკლებ საშიშად თვლიდნენ, ვიდრე ეკუმენიზმს. მათი აზრით, არამართლმადიდებელთა წინაშე მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებლობა საჭიროა, მაგრამ უნდა გავექცეთ ამ ორ უკიდურესობას, გავექცეთ ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ ეკუმენიზმს“, რომელმაც არაკანონიკური და მწვალებლური მასშტაბები შეიძინა.

8. წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი, განმანათლებელი, სულიერი მწერალი და მე-19 საუკუნის რუსეთის დიდი წინასწარმეტყველი წერდა იმის შესახებ, თუ როგორ დაემორჩილებიან ოფიციალური საეკლესიო ორგანიზაციები ამ ქვეყნის აღსასრულის ჟამს ანტიქრისტესა და ამა სოფლის სულს. ის არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბოლო ჟამს იარსებებს განსხვავება საეკლესიო ორგანიზაციასა და ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ერთი მხრივ, ჩვენ გვექნება საეკლესიო ორგანიზაცია, მოკლებული ქრისტეს ჭეშმარიტ სულს, ხოლო მეორე მხრივ - კატაკომბური თემი, გაერთიანებული ერთიანი რწმენით, ერთიანი სულით, ერთიანი ქრისტეს ხორცითა და სისხლით. ის ამბობს: „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც უკვე დიდი ხანია ირყევა, საშინლად და მოულოდნელად დაიშლება. და არავის შეუძლია ამის შეჩერება ან ამისთვის ხელის შეშლა. დღეს გადარჩენის საშუალებებს ეკლესია სესხულობს დღევანდელი მსოფლიოდან, რომელიც ეკლესიისადმი დაპირისპირებულია, და ამის შედეგი მისი სწრაფი დაცემა იქნება... დაე, ყოვლადმოწყალე უფალმა დაიფაროს ისინი, ვისაც მისი სწამს. მაგრამ ასეთები არც ისე ბევრნი არიან და სულ უფრო მცირენი ხდებიან“. ციტატა მოყვანილია წიგნიდან „Not of This World”, Platina, 1994. ეს წინასწარმეტყველური სიტყვები თითქმის სიტყვასიტყვით ახდა რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ.

9. ბერი ლავრენტი (†1950), 1994 წელს ღირს მამად განდიდებული, თავის სულიერ შვილებს ეუბნებოდა: „მოვა დრო, როცა დახურული ტაძრებიც კი განახლდება, მათ შეამკობენ არა მარტო გარედან, არამედ

---

[99] მამა ფილოთეოსისი მსგავსს - ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა

შიგნიდანაც. მოაოქროებენ ტაძრებისა და სამრეკლოების გუმბათებს. მაგრამ როდესაც ეს სამუშაო დასრულდება, ანტიქრისტეს დრო მოვა. ეეედრეთ უფალს, რომ მან კიდევ მოგვცეს დრო, რათა გავძლიერდეთ, რადგან საშინელი ეპოქა გველოდება. ნახეთ, რა მზაკვრულად მზადდება ყველაფერი. ყველა ტაძარი ისეთი დიდებული გახდება, როგორც არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ ტაძრებში შესვლა აკრძალული იქნება. ანტიქრისტე სამეფო გვირგვინს იერუსალიმის დიდ ტაძარში დაიდგამს, ამ ცერემონიაში მონაწილეობას კი სამღვდელობა და პატრიარქი მიიღებს."(„რუსი მომლოცველიდან").

რუსული გამოცემის რედაქტორის ბოლოთქმა[100]

მღვდელმონაზონ საბა იანიჩის წიგნის **„განდგომილების 50 წელი"**-ის დაწერის მომენტიდან მსოფლიოსა და შიდასაეკლესიო ცხოვრებაში მნიშნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ უკვე ძალიან მალე „ეკლსიის შენობა, რომელიც დიდი ხანია ირყევა, საშინლად და სწრაფად შეიძვრება" (წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი). ეს მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა იქნება, მაგრამ თავისი სულიერი ბუნების გამო მას გარეგნული გამოვლინებების მინიმალური ოდენობა ექნება. დარწმუნებით შეგვიძლია მივუთითოთ ოფიციალური საეკლესიო ორგანიზაციის საბოლოო დაცემის მხოლოდ ერთ მკაფიო ნიშანზე; მაგრამ ის ერთიც საკმარისი უნდა იყოს მართლმადიდებლებისთვის, რომლებიც მოშურნედ იღვწიან თავიანთი გადარჩენისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მსოფლიო" კრება, რომლის ჩატარებასაც მსოფლიოს კულისებში და ელიტა მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე ცდილობდა. ღვთისათვის სათნო მამების თანამხვედრი გაფრთხილებით ეს კრება ავაზაკთა კრება იქნება. ის ვატიკანის მეორე კრების მსგავსი „მართლმადიდებლური" კრება გახდება, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაამხოს ჯერ კიდევ შემორჩენილი

[100] ამ ბოლოთქმას გთავაზობთ შემოკლებით - ქართული გამოცემის რედაქტორი.

საეკლესიო ღვთისმოსაობა. ამ ავაზაკური შეკრების წარმატებით ჩატარების შემდეგ მაღალჩინოსანი რენეგატები ადგილობრივ ეკლესიებში გულუბრყვილო ქრისტიანებს თავს მოახვევენ თავიანთ სქიზმატურ ნაბიჯებს, თან მსოფლიო სისავსის ავტორიტეტებს დაიმოწმებენ.

„რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისაჲ, თქუმული დანიელ წინასწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმინდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა-ყავნ. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდედ მთად“ (მათ.24, 15-16). „ეკლესიები იარსებებს, მაგრამ მართლმადიდებელი ქრისტიანის იქ შესვლა დაუშვებელი იქნება, რადგან ამ ეკლესიებში იესო ქრისტეს უსისხლო მსხვერპლი არ შეიწირება. იქ სატანური შეკრება იქნება†“ (ღირსი ლავრენტი ჩერნიგოველი).

ი.ს.

ქართული გამოცემის რედაქტორის ბოლოთქმა

მღვდელმონაზონ საბას წინამდებარე წიგნის გამოცემიდან 20 წელზე მეტი, ხოლო რუსული გამოცემის რედაქტორის ბოლოსიტყვაობის დაწერიდან - 10 წელზე მეტი გავიდა, და დღეს უკვე ვხედავთ, თუ როგორ ემზადებიან ე.წ. „სრულიადმართლმადიდებელთა“ კრების 2016 წელს ჩასატარებლად. იქნება თუ არა ეს კრება ის ავაზაკური კრება, რომელზეც ეკლესიის მამები წინასწარმეტყველებდნენ და წინამდებარე წიგნშიც არის საუბარი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საკითხებს შეიტანენ კრების დღის წესრიგში განსახილველად და რას დაადგენს ეს კრება. ერთი რამ თვალნათლივ ჩანს: კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სწორედ ხსენებულ ავაზაკთა კრებისმიერი საკითხების შეტანისათვის იღვწის.

ა.უ.